

ლუკა დვალისვილი

ილია ჭყონიას
ცხოვრება და შემოქმედება

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქუთაისი
2005

წიგნში განხილულია ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭყონას ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა. მრავალი ახალი საარქივო თუ დოკუმენტური მასალის მოხმობით ახლებური თვალთახედვითაა შეფასებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში განვითარებული არაერთი სოციალური და პოლიტიკური მოვლენა. განსხვავებული კუთხითაა წარმოჩენილი ამ პერიოდში მოღვაწე ჩვენი დიდი მწერლებისა და მეცნიერების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ს. მუსხის, ალ. ყაზბეგის, ივ. მაჩაბლის, ზ. ჭიჭინაძის, გ. შარვაშიძისა და ნ. მარის ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული უცნობი ეპიზოდები. ი. ჭყონა, მამულისა და ქართული კულტურის დაუცხრომლად მოამაგე შემოქმედი იყო. იგი უდაოდ იმსახურებს სათანადო საპატიო ადგილს ქართული კულტურის ისტორიაში.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის, ასევე საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს.

- რედაქტორი:** ავთანდილ ნიკოლაიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.
- რეკენზენტები:** ოთარ გიორგაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
ჩაჩან ფიფრეშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.
ვლადიმერ წვერაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
ელდარ თაგბარიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ილია ჭყონია (ცხოვრება და შემოქმედება)

შესავალი

„ილია ჭყონიას მსგავსი მწერალი იყო საფრანგეთში გიუ დე მოპასანი. ეს ორი სხვადასხვა ერის მწერალი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მოპასანი ფრანგი იყო და მიტომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი და ეს ჭყონია კი ქართველია და ვინ მიაქცევს ყურადღებას?“

აკაკი წერეთელი. გაზეთი „თემი“ 1913, N 138

ილია ჭყონიას ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად მწერლის საინტერესო საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობისა, მისი სახელი დღეს ნაკლებადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მწერლის შემოქმედება ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. მის ნაწერებში მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა აისახა. ი. ჭყონია მრავალმხრივი შემოქმედი იყო. იგი აგროვებდა ხალხური სიბრძნის ნიმუშებს, წერდა საინტერესო რეცენზიებს თეატრალურ წარმოდგენებზე, ნაყოფიერად იღვწოდა მწერლობაში, თარგმნიდა ევროპული ლიტერატურიდან, ქვეყნის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე აქვეყნებდა უაღრესად საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს. იყო გაზეთ „სიმართლის გზისა“ და ჟურნალ „მეურნის“ რედაქტორ-გამომცემელი. იმავდროულად მწერალი ქართული ლექსიკონისთვის აგროვებდა მასალებს, რომლის საფუძველზე 1910 წელს პეტერბურგში ნიკო მარის წინასიტყვეობით გამოცაა წიგნი – „სიტყვის – კონა“ „სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“. თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა განვითარებული ერისთვის ლექსიკონსა და სალექსიკონო მუშაობას, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ; ცნობილი ამბავია, რომ სეგებდნიერი ერები ამ საქმეს ადრეულ საუკუნეებში შესდგომიან; ერის მამად წოდებული სულხან საბა ორბელიანი ამ ფაქტთან დაკავშირებით გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ქართველებს

ადრეც ჰქონიათ ლექსიკონი, მაგრამ დაკარგვიათ, „უამთა ვითარებითა უჩინოთ ქმნილიყო“-ო. მის დაკარგვას კი, როგორც თვითონ ლექსიკოგრაფი აღიარებდა, მოჰყოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზე გაურყვინათ“. აქედან ნათლად ჩანს ლექსიკონის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება – ენის დაცვა და „წაუხდენაობა“. მამულის უღალატო რაინდმა მოკლე ფრაზაში ჩამოძერწა ყოველი დროის ქართველისათვის მარად დაუვიწყარი დევიზი: „რათა ისწავლონ ენა ქართული შესრულებული და გავრცელებული ფარნავაჲ ქართველთა პირველისა მეფის მიერ“ (I. 21,5).

ნიკო მარი დიდი სიხარულით შეხვდა ი. ჭყონიას ზემოდასახელებულ ნაშრომს: „ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით გამოცემთ ადგილობრივი თანამშრომლის პირველ წიგნს, რომელიც პასუხობს მეტნაკლებად მთელ რიგ ცხოველმყოფელ კითხვებზე იაფეტური ენებისა. მრავალწლიანმა, თითქმის სისტემატიურმა უგულველყოფამ ქართული ენისა ლინგვისტური მეცნიერებიდან გამოიწვია, ის რომ ერთი მხრივ თითქმის უცნობია ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, მეორე მხრივ არაა სრულყოფილი ქართული ლექსიკონები...“ (I.42.4).

ქართული ენა, რომ პოლივალენტოვანი ენაა, იყო და იქნება (რა თქმა უნდა, თუ ქართველები ხელს შეეუწყობთ – ლ. დ.), ამაში ორი აზრი არ არსებობს. მის სიმდიდრესა და ტკბილულერადობას არაერთი უცხო ტომის წარმომადგენელი მოუხიბლავს. ამის ნათელი მაგალითია ალბიონის კუნძულიდან და-მმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების წერილები, არტურ ლაისტის სიყვარული ქართული ენისა და ქართველების მიმართ. ილია ჭყონია, როგორც ბევრისმომსწრე ამაგდარი მამულიშვილი, შორსმჭვრეტელურად გრძნობდა, რომ ქართული ენა, ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, პერმანენტულად განიცდიდა სპარსული, არაბული, თურქული, რუსული თუ სხვა ენების მხრიდან ლინგვისტურ აგრესიას. იგი საჭიროებდა, კარგი გაგებით, აუცილებელ პროტექციონიზმს. სწორედ ამ გრძნობამ, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის აუცილებლობამ, შეაძლებინა ღირსეულ მამულიშვილს შეუძლებელი. თვით ლუკმა პურის საშოვნელად ალექსანდროპოლში გადახვეწილს არ შეუწყვეტია სალექსიკონო მუშაობა და კიდევაც მოახერხა ეს საქმე ღირსეულად მიეყვანა ბოლომდე. ი. ჭყონიას „სიტყვის კონას“ თავის დროზე გამოეხმაურა „სახალხო გაზეთი“ (1912 წ. N 631), რომელშიც დაიბეჭდა მოსე ჯანაშვი-

ლის წერილი „ქართული ლექსიკონი“ – ილია ჭყონიას „სიტყვის კონა“. ავტორი მიმოიხილავს წიგნს, გამოთქვამს ზოგიერთ შენიშვნას და ბოლოს დასძენს: – „დიდ მადლობას ვწირავთ ი. ჭყონიას მოძღვნისთვის ამისთანა მასალისა“ (2. 61). მწერლის შემოქმედებითი საქმიანობა და ინტერესების სფეროები მრავალმხრივი იყო, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი ჰიპოსტასი: მშობლიური ქვეყნისა და საზოგადოების უკეთესობა-წინსვლისათვის ხელშეწყობა. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები ენის გარეშე. არადა ეს ენა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა თავის ძლიერების ზენიტშია დიდი ილიასა და აკაკის თანამოღამე-ქრები, გამხდარიყო ენად „საშინაო ხმარებისათვის“. ამასთან დაკავშირებით იხილეთ აკად. ა. ნიკოლეიშვილის საინტერესო წიგნი (1.20, 239).

ი. ჭყონიას სალექსიკონო მუშაობის შესახებ დღევანდელი ფართო საზოგადოება სათანადოდ არაა ინფორმირებული, თუმცა, საბედნიეროდ, იშვიათად მაგრამ მაინც დღესაც გამოკრთება ნათელი ამ გზაზე. ცნობილი მეცნიერი შოთა ძიძიგური თავის წიგნში წერს: „ქართულ ხალხურ მეტყველებაში შენახული ძვირფასი სიტყვებისა და გამოთქმების შეგროვების მიზნით, ნ. მარმა მიიზიდა გარეშე პირებიც, რომელთაც მოსმენილი არ ჰქონდათ მისი საუნივერსიტეტო კურსი და დაშორებულნი იყვნენ აკადემიურ მუშაობას ამ სფეროში. ქართული ლექსიკოგრაფიის ასპარეზზე გამოდის ილია ჭყონია, ცნობილი მეკლევარი, რომელმაც ნიკო მარის ყურადღება მიიპყრო“ (1.36,88). ი. ჭყონიას მიერ შედგენილი ლექსიკონის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გამოცემისთანავე წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. იგი გაიყიდა პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, ვილნიუსის, კიევის, რიგის, ლაიპციგის და ლონდონის წიგნის მაღაზიებში.

ქართული მწერლობის ისტორიაში ი. ჭყონიას ადგილის გარკვევისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ, ზოგადად მიმოვიხილოთ მწერლის თანამედროვე ეპოქა.

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაზე დაფიქრებული კაცის გონებაში თითქოსდა თავისდაუნებურად ამოტივტივდება ერთი მთლიანი ეპოქის ორი განსხვავებული ნახევარი. დიახ, მე-19 საუკუნე როგორც საქართველოსთვის, ისე მისი მეზობელი ქვეყნებისათვის იყო ახალი დიდი მწერლური ტალანტების სამწერლო კაბადონზე აღმოსვლისა და დამკვიდრების

ხანა. მე-19 საუკუნის მწერლობას როგორც საქართველოს, ისე რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებისათვის, დღევანდელი გადასახედიდან, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული მწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიული ცენზურა ხშირად ახერხებდა ფიზიკური განადგურების საფრთხის შიშით ჩაეკლა მწერალში მისწრაფება, თავისი ნაფიქრი ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიეტანა თანამემამულეებამდე, მწერლები მაინც ღირსეულად იხდიდნენ ვალს.

მე-19 საუკუნე თვისობრივად ახალი პერიოდია ქართული მწერლობისა. სწორედ ამ პერიოდში აღდგა 1453 წელს თურქთა ურდოს მიერ ძალის გზით ჩაჭრილი ხიდი დასავლეთთან... გიგანტური ნაბიჯებით წასულიყო წინ ევროპა... ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „საქართველოს მამად“ წოდებულ სულხან საბა ორბელიანის ქმნილებაში – „მოგზაურობა ევროპაში“ (1.31).

საკუთარი მამულის მოამაგე და დამფასებელ შემოქმედთა შორის ილია ჭყონიას მოკრძალებული ღვაწლის შესახებ გულისტკივილით წერდა იოსებ გრიშაშვილი: „ფრიად ბევრი „დავიწყებული და გამორჩენილი“ მწერლები გვეყავს ...ერთი ჩუმი და უანგარო მოამაგის სახელი ილია ჭყონია... იგი პოეტიც იყო ბელეტრისტიც, დრამატურგიც, მთარგმნელიც (პუშკინის „პალტავა“ გადათარგმნა). მისი რედაქტორობით გამოვიდა „ქილილა და დამანა“, შეადგინა „სიტყვის კონა“... სამი წლის განმავლობაში ქუთაისში ბეჭდავდა სამეურნე ჟურნალს „მეურნეს“. ჰქონდა საკუთარი სტამბაც. ერთი სიტყვით, არ დარჩენილა მწერლობის არც ერთი დარგი, სადაც თავისი წვლილი არ შეეტანოს განსვენებულს“ (2.34, ფ. 10121-127). ი. გრიშაშვილის ეს სიტყვები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიწერა. მას შემდეგ დღემდე დიდი დრო გავიდა. სავარაუდო იყო, რომ ამ უანგარო მამულიშვილის შესახებ შეიქმნებოდა საინტერესო პუბლიკაციები, რომლებიც გააცნობდა ქართულ საზოგადოებას მწერლის შემოქმედებასა და მოღვაწეობას; სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ამიტომ ჩვენი მოკრძალებული სურვილია, ეს მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი სათანადოდ იქნეს შესწავლილი და კუთვნილ ადგილმჩინილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ილია ჭყონიას ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბევრ გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან. ესენი იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ალ. ყაზბეგი, ივ. მაჩაბელი, ზ. ჭიჭინაძე, გიორგი შარვაშიძე, ნიკო მარი და სხვ. მწერლის არქივში (თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში), ამ ადამიანების შესახებ დაცულია ბევრი საინტერესო მასალა, რომლებიც გასული საუკუნის მრავალ საყურადღებო ამბავს ახლებური კუთხით წარმოაჩენს. ჩვენ ნაშრომის დასაწყისშივე მივუთითეთ, თუ როგორ აფასებდა დიდი აკაკი ი. ჭყონიას სამწერლო საქმიანობას. ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ აკაკი არც ისე ხელგაშლილი იყო ვინმეს მიმართ მწერლის იარლიყის მიწებებისა და ტრაფარეტის მიკერების საქმეში. პირიქით, მსცოვანი პოეტი განუხრელად ხელმძღვანელობდა პრინციპით: „მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირსუკანაო“. საყურადღებოა ისიც, რომ აკაკი თავის შეფასებებში თითქმის არ სცდებოდა; ამის ნათელი დადასტურებაა რ. ერისთავის, ალ. ყაზბეგის, შიო არაგვისპირელის პოეტიკული შეფასებები.

„პოეტურად ჩამოსხმული მარგალიტებია ეს პატარ-პატარა მოთხრობები, სადაც სულ უბრალო რამეზეა საუბარი; სულსა და გულს ჰხედება! რამდენჯერმე გინდა რომ წაიკითხო. ერთხელ წაკითხვა არ კმარა!.. იქარგა, ქართული ქართველის სულსა და გულში ქარ-ცეცხლად გატარებული“ (2.37) წერდა აკაკი წერეთელი ი. ჭყონიას შესახებ.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ილია ჭყონიას ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლა. შევეცდებით ვაჩვენოთ მწერლის ნაწარმოებების მხატვრული თავისებურებანი. შემოქმედმა, მისთვის დამახასიათებელი ხელწერით რეალური ცხოვრებიდან აიღო რაციონალური მარცვალი მარადიულობის მსოფლგანცდისა. მან ერთმანეთს დაუკავშირა ძველი ქართული მწერლობის კონცეფციები და მისი თანამედროვე ზოგადადამიანური პრობლემები. საყურადღებოა შემოქმედის მხატვრული სამყარო და მასში გამჟღავნებული ძირითადი ტენდენციები. მათი მიმართება მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს სინამდვილესთან. ჩვენი სურვილია წარმოვაჩინოთ ი. ჭყონიას შემოქმედების პრობლემატიკა. ვაჩვენოთ ავტორის ინტერესთა მრავალფეროვანი სამყარო, გა-

ვარკვიით მწერლის მსოფლმხედველობის საკითხები, განვსაზღვროთ ი. ჭყონიას ადგილი საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას აგრძელებს მე-20 საუკუნეშიც (გარდაიცვალა 1927 წელს ლ. დ.), ჩვენი აზრით, მწერლის მხატვრული სამყარო შემოქმედებითი თემატიკით, პერსონაჟთა ტიპაჟით, ეპოქის პრობლემების გადაწყვეტის მიწანსწრაფულობით, ვფიქრობთ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ი. ჭყონიას შემოქმედება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საგანი იყოს. ეს გარკვეულწილად ლიტერატურულ ანაქრონიზმად შეიძლება წარმოჩნდეს, მაგრამ მასში საგანგაშო არაფერია, რადგან აკაკიცა და ვაჟაც, თავიანთ აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას მე-20 საუკუნეშიც აგრძელებენ, თუმცა მათი შემოქმედება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საგანია. ამასთან დაკავშირებით სავსებით მისაღებია აკად. ა. ნიკოლეიშვილის მოსაზრება, რომ „საბჭოურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, იმჟამინდელ რევოლუციურ მოვლენებთან კავშირში, ადვილად შემუშავდა უახლესი ქართული მწერლობის პერიოდიზაციის ქრონოლოგიური მოდელი“ (1.20,16). თუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საწყის მიჯნად ავიღებთ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ და, როგორც აკად. ა. ნიკოლეიშვილი თავის წიგნში აღნიშნავს: „ამ საუკუნის 900-იანი წლების მიწურული და ათიანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში იქცა ერთგვარ გზაჯვარედინად... ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს საკმაოდ მყარ საფუძველს საიმისოდ, მეოცე საუკუნის (და არა უახლესი!) ქართული ლიტერატურის ისტორიის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად პირობითად მივიჩნიოთ ათიანი და არა XIX საუკუნის 90-იანი წლები“ (1.20.17). მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი ჯერ კიდევ ბევრ მელანს დააშრობს, მაგრამ აქ ვფიქრობთ სადავო არაფერია. ობიექტური რეალობა ერთია. ქართული ლიტერატურის თვისობრივი განახლება მართლაც ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო, თუმცა ხელოვნებაში მიუღებელია რეალური ამბის, ფაქტის სუბიექტური ინტერპრეტაცია ავუკრძალოთ ვინმეს. თუ ჩვენ ტრადიციული საგან განსხვავებით მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის პერიოდიზაციის ახლებურ

გააზრებას მივიღებთ, — რაც რეალობაა, მაშინ უხერხულობაც იხსნება და, ი. ჭყონიას შემოქმედება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი სურვილია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაკლებად ცნობილ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით გარკვეული წვლილი შევიტანოთ ი. ჭყონიას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში.

— ნაშრომის მეცნიერული სიახლე ჩვენი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ესაა პირველი მცდელობა ლიტერატურული სამსჯავროს წინაშე მთლიანობაში წარმოვაჩინოთ ი. ჭყონიას პიროვნება და მხატვრული სამყარო, პირველად გახდა შესწავლის საგანი ი. ჭყონიას მოთხრობებსა და ნოველებში ზეპირსიტყვიერების, ბიბლიური სიუჟეტისა და სახე სიმბოლოების გამოყენება და მათი ავტორისეული ინტერპრეტაცია. გამოვლენილია არაერთი ახალი ფაქტი, ახლებურადაა გაანალიზებული და გააზრებული მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

— ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გარკვეულ წვლილს შეიტანს როგორც ი. ჭყონიას ცხოვრებისა და შემოქმედების, ასევე მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის საკითხების მეცნიერულად შესწავლაში.

— ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტ-ახალგაზრდობას და ი. ჭყონიას შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს, მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ლიტერატურის ისტორიის სპეცემინარებსა და სპეცკურსებზე.

— ნაშრომის ძირითადი წყაროებია „ილია ჭყონიას ნაწერები“ (თავისთავადი და ნათარგმნი) გამოცემული თბილისში, 1913 წელს, საარქივო და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. მწერლის შესახებ არსებული კრიტიკული და სხვა სახის ლიტერატურა. ნაშრომს არა აქვს მასში დასმული საკითხების ამომწურავად გაშუქების პრეტენზია, მაგრამ, ვფიქრობთ, ის რამდენადმე მაინც შეავსებს იმ ხარვეზს, რაც ლიტერატურის ისტორიაში არსებობს ამ საინტერესო პიროვნების მიმართ.

თავი I

ცხოვრების გზა

ილია ჭყონიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო დოკუმენტური მასალებია დაცული ქ. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და ქ. თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

მნიშვნელოვან პირველწყაროს მწერლის წინაპრებისა და ოჯახური გარემოს შესახებ წარმოადგენს მისივე ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება, „ჩემი დღე და სოფელი“, რომელიც დაიბეჭდა 1932 წლის ჟურნალ „მნათობის“ მე-5 და მე-6 ნომრებში. წარმოდგენილ მასალას თან ახლავს რედაქციის მინაწერი, რომლითაც ნათლად ვლინდება ამ ნაშრომის მნიშვნელობა. „ავტორს, როგორც სჩანს, ფართედ განუზრახავს თავისი მოგონებების დაწერა, მაგრამ სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, დასაწყის თავებზედვე შეჩერებულა. ეს დასაწყისი საკმაო ისტორიულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებს შეიცავს. ეს მოგონება სათანადო სარედაქციო შენიშვნით მე დავებეჭდე 1832 წლის „მნათობში“ N 5-6“. წერდა ლევან ასათიანი (2.34, ფ. 10238). ნაშრომის ღირებულება იზრდება იმითაც, რომ აქ წარმოჩენილია ცნობილ ისტორიულ პირთა პორტრეტები ახლებური რაკურსით. დაფიქსირებულია ზოგიერთი გახმაურებული ლიტერატურული ფაქტის უცნობი მასალები.

„ჩემი დღე და სოფლის ამბავი ჩემი დედ-მამის ცხოვრებიდან უნდა დავიწყო, რადგანაც, მე თუ რამე ფასი მაქვს, იმიტომ უმთავრესათ, რომ მათი შვილი ვარ, და მათ შემქნეს და გამზარდეს იმისთანად, რაც დღესა ვარ. მამა ჩემი (დაიბ. 1819 წ.) იყო უფროსი ვაჟი თავის მშობლებისა, მამით გურულია, დედით მეგრელი“.

ასე იწყებს მწერალი თავის ბიოგრაფიას. ი. ჭყონიას მამა მოუნათლავს ვახტანგ გურიელის მიუღლეს – მარიამ ორბელიანს. გურიელის ოჯახმა ბოლომდე კეთილისმყოფელი მეურვეობა გაუწია თავის ნათლულს.

მათი დახმარებით მირიან ბარამის ძე ჭყონია შეიყვანეს თბილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში. „იქ ის, სხვათა შორის ერთსა და იმავე კლასში სწავლობდა ლევან მელიქიშვილთან (შემდეგ მეფის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა), იასე ანდრონიკაშვილთან (შემდეგ თბილისის სასამართლო დეპარტამენტის თავჯდომარე) და ერთ ერთ მამაცაშვილთან – ერთი კლასით წინ ყოფილა მამაზე ტატო ბარათაშვილი, იგივე პოეტი ნიკ. ბარათაშვილი.“ თხზულებაში წარმოჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მოსწავლეობის პერიოდის ნაკლებად ცნობილი ამბები. ეს უკანასკნელი მამის სიტყვით იყო ცქეტი, მხიარული, ჭკუიანი და კეთილი გულის ამხანაგი, მასთან კარგი მოკრივე და მოსწრებული სიტყვის პატრონი, ცოტა დამცინავის კილოთი. მამის სიტყვით „მერანი“ ბარათაშვილმა დაწერა გიმნაზიაში (კეთილშობილთ სასწავლებელი შემდეგ გიმნაზიით გადაკეთდა), კლასში, არითმეტიკის გაკვეთილის დროს. როცა შემდეგ ბარათაშვილის ნაწერები დაიბეჭდა და გამოირკვა ტატოსივე წერილით, რომ „მერანი“ დაიწერა ბევრათ უფრო გვიან, მაშინ, როცა შამილმა შეიპყრო დავით ჭავჭავაძის ოჯახი წინანდალში, და დაიწერა ნიშანდობლივ ილიკო ორბელიანის ტყვეთ წაყვანის გამო, მამა მანც არ ტყდებოდა და ამბობდა, – „არა ბარათაშვილს „მერანი“ გიმნაზიაში სწავლის დროსა აქვს დაწერილი, არითმეტიკის გაკვეთილზეო. კარგათ მახსოვს, რომ „მერანი“ მე ზეპირათ ვიცოდი ჯერ კიდევ გიმნაზიაშიო.“

„მერანის“ შექმნის ისტორია მეტად საყურადღებოა. თუმცა ამ შესანიშნავი პოეტური ქმნილების დათარიღების საკითხი, გამომდინარე თვით ავტორის მოგონებებიდან, თითქოს გადაწვეტილია, მაგარმ ლიტერატურის ისტორიაში მრავლად მოგვეპოვება ისეთი ფაქტები, როცა ცნობილი შემოქმედნი თავიანთი მხატვრული ნააზრევის დათარიღების დროს შეგნებულად უშვებდნენ ქრონოლოგიურ უზუსტობას (მაგ., გალაკტიონი).

ი. ჭყონია მოგონებებში ეხება რუსეთის მიერ დაპყრობილი პოლონეთის ამბებსაც, სადაც 1838 წლიდან ორბელიან-დავითაშვილის პოლკში „ხაზინადართ“ გაუმწესებით მამამისი – მირიან ჭყონია. საოცარი ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული დაპყრობილი პოლონელი ხალხის ფსიქოლოგია. „პოლაკებს ერთობ შორს ეჭირათ თავი რუსის მხედრობისაგან და ძალიან ერიდებოდნენ მის სიახლოვეს, ხოლო ამ ცხენოსან-მთიულთა პოლკს კი ძალიან ეფერებოდნენ.“ (2.56,173).

პოლონელები სულიერ ნათესაობას პოულობდნენ ჯარის იმ ნაწილთან, რომელიც მათსავით დაპყრობილი ერის შვილებისგან, „სულ ჩერქეზ აზნაურთაგან“ იყო შედგენილი. ადგილობრივი მოსახლეობა უბრალო სადილსაც კი არ გამართავდა თურმე, რომ ამ პოლკის წარმომადგენელი, განურჩევლად ჩინისა და თანამდებობისა, მიწვეული არ ჰყოლოდათ. მირიან ჭყონია დაახლოებია ერთ-ერთი გრაფის ოჯახს, სადაც იმდენი სიყვარული მოუპოვებია, რომ „პოლაკები ყველა მათგანს ეხვეწებოდა თურმე: „ან თქვენ ისწავლეთ ჩვენი ენა, ანდა ჩვენ გვასწავლეთ თქვენი ენა, ოღონდ კი ავცდეთ ჩვენი საერთო მტრის – რუსის ენაზე ლაპარაკსო!“ გრაფის ოჯახში მირიან ჭყონიას ოჯახის ვაჟისა და ქალიშვილის დახმარებით შეუსწავლია პოლონური და ფრანგული ენები. „სამაგიეროთ მთელს ოჯახს მამა ასწავლიდა, რამდენადაც თვითონ იცოდა, რასაკვირველია ქართულ ისტორიას და მწერლობას.“ ერთხელ, როცა მ. ჭყონია გრაფის ოჯახს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის ამბავს უამბობდა ბევრისმომსწრე გრაფს ცრემლების ღვრით წამოუძახია: „საწყალი საქართველო და პოლსკა! რა სიმხნემ და თავგანწირულობამ რა უბედურათ ჩაუარა მათ!“ (2.56,173). პატრიოტ პოლონელ გრაფს ქართველი მხედრისათვის მიუნიშნებია, რომ თავად ჩაგრული ქვეყნის შვილმა, თოფი სამართლიანობისათვის მებრძოლი პოლონელი პატრიოტის წინააღმდეგ არ უნდა მიმართოს. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მირიანს უთქვამს, ... რადგანაც ის ხაზინადარია, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ, თუ მაინცდამაინც დააძალებენ, ის გრაფს ველარ შეხვდება, რადგანაც გრაფის გონებისა და გამოცდილების პატრონი ზურგში უფრო გამოადგება თავის ხალხსო. აღშფოთებულ პოლონელ მამულიშვილს წამოუძახია „როგორ? სამშობლოს გამანათვისუფლებელ ბრძოლაში ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა თუ არ მე?!“ ანალოგიური მზადყოფნა ბრძოლისა გამოუთქვამს გრაფის ქალიშვილსაც. გრაფისგან დანერგილი საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის შთაგონება მირიან ჭყონიას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. ეს ცეცხლი გადასდო მან თავის ორ ვაჟიშვილსა და ერთ ქალიშვილს, რომლებიც ღირსეულ მამულიშვილებად დაიზარდნენ. ამ მარადიულ წმინდა ცეცხლს ნაპერწკალი როგორც ჩანს პოლონურ კვესისგან შეენთო.

იმპერიული მონსტრი, რომელიც უხეშ ძალას ემყარებოდა, პოლონეთის 1832 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ უკვე აღარ მალავს თავის განზრახვას და საქვეყნოდ ახდენს ძალის დემონსტრირებას. ხელმწიფის გამოცდილი სატრაპები, მეფის წინაშე მოცახცახე მონა-ლაქიები, უკვე დაჩოქებულ პოლონეთში მრისხანე და შეუვალ მბრძანებლებად გვევლინებიან. ამ მხრივ ილია ჭყონიას მოგონებიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი: „იმ დროს მეფის ნაცვალს გამოცხადებოდა ვარშავის სამოქალაქო გუბერნატორი, პოლაკი გრაფი ლადეინსკი (თუ ლოდიჟენსკი) და წარედგინა პროექტი სახალხო სკოლების გამრავლებისათვის, პასკევიჩმა ჯერ მოუსმინა თურმე გუბერნატორს, მარა მოხსენების გათავებისთანავე შეუყვირებია. ზომ არ გამოჩერჩებულხარ მოხუცო?! ჩვენ ბრიყვებისთვის ვერ მოგვივლია, და შენ კი ჭკვიანები გინდა გაგვიმრავლო?! პროექტ-გაცრუებულმა გუბერნატორმა გამოსელისას ჩუმთ გადაულაპარაკა თურმე მწერლის მამას: – გაიგონე ყმაწვილო ქართველო, რაც მომამახა რუსის მეფის ნაცვალმა? ჩვენ რომ ამას გვეუბნებიან, ნეტავ თქვენ რას გელაპარაკებიან?!“

ნიშანდობლივია პოლონელი გრაფის სიტყვები. მართლაც, როცა ასეთი დიდი ქვეყნის მიმართ კოლონიური ხელისუფლება, ღია დესპოტური მეთოდებით ხელმძღვანელობდა, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ მოეპყრობოდა იგი დაქუცმაცებულ, ერთ მუჭა საქართველოს. მოგონების ავტორი იმპერიული ხასიათის დეფინიცირებით ზუსტად წარმოაჩენს ივერიის მაშინელ მდგომარეობას. თხრობის ქარგაში უცხო ორნამენტივით, მაგრამ ბუნებრივად ზის საქართველოს სინამდვილეში მომხდარი, ცნობილი ისტორიული ფაქტების უცნობი ეპიზოდები.

გამოჩენილი კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი მირიან ჭყონიას გროდნოში გაუცენია, საუბარში, რა თქმა უნდა, 1832 წლის ამბებსაც შეხებიან. გიორგი ერისთავის გადმოცემით: „შეთქმულების სული და გული ყოფილა ალექსანდრე ორბელიანი, პუპლიად წოდებული მწერალი პოეტის, ვახტანგის ძმა. მოთავეების მთავარ კრებაზე აერჩიათ: სამხედრო მინისტრათ გრიგოლ ორბელიანი, ... შინაგან საქმეთა მინისტრათ დიმიტრი ყიფიანი,

ყველა თანამდებობისთვის ეშონათ კაცები, ვერ ეშონათ შესაფერი კაცი მხოლოთ არტილლერიის მოთავეთ, ფელდცესმეისტერათ. კრება

რომ დიდ რჩევასა და ყოყმანში ყოფილა, უცებ ერთს იქვე დამსწრე ერისთავს წამოეძახა რუსულათ. ხოთ ია ბუღუ, გასპადა! (თუ გინდ მე ვიქნები, ბატონებოვო!) ყველას გააცინებოდა. და იმ დღიდან იმ ერისთავს ხოთიაბუღუ დარქმეოდა და მისს შთამომავლობას კი დღესაც ხოთიაბუღუმ-ვილებათ იხსენიებენ. ღალატის გარდა აჯანყების ჩამშლელი კიდევ ბევრი სხვა მიზეზებიც ყოფილიყო – მათ შორის ისიც, რომ ალექსანდრე ორბელიანს ფეხში დიდი ღურსმანი შერჭობოდა, იარა გამიზეზებოდა, და ამის გამო კახეთში დროზე ვერ წასულიყო აჯანყების ცეცხლის ასაგუზგუზებლათ...“

მოგონებათა ავტორის თხრობის ნაღვლიანი ტონი გასაგებია. სამწუხაროდ მაშინაც საკმაოდ ხშირად იყო მიღებული დამპყრობელი ქვეყნის მოხელეთა დაყოფა კეთილებად და ბოროტებად. მწერლის აზრით, ასეთი დიფერენცირება მიუღებელია. იგი ეროვნული ძალების გაორებას, გათიშვასა და დაქსაქსვას უწყობს ხელს.

ამის მაგალითად მეფისნაცვალ ვორონცოვის მიერ საქართველოში ჩატარებული კოსმეტიკური ვოიაჟებიც გამოდგება. არა მარტო ამ მეფისნაცვლის თანამედროვე ქართული საზოგადოება იყო გაორებული – ვორონცოვის პოლიტიკა ქვეყნის პროგრესის გზისათვის ხელშეწყობად მიეჩნია, თუ პირიქით, არამედ ასეთი გაორება შეინიშნება დღესაც. ეს სამწუხარო ფაქტია; რადგან იმპერიის ყველა მოხელეს ერთი სურვილი ამოძრავებდა და ამოძრავებთ. სხვაობა ერთია. ზოგი ჩინოვნიკი თავისი ინტელექტუალური და ცხოვრებისეული გამოცდილებით ახერხებს მოქნილი პოლიტიკის გატარებას, რომელსაც ხშირად დაპყრობილი ხალხის ცნობიერებაში დეზორგანიზაცია შეაქვს, იქმნება ყალბი ილუზია მოხელის „სიკეთისა და დიდსულოვნების“ შესახებ, რაც საბოლოოდ ეროვნული ენერჯის დეზორიენტაციას უწყობს ხელს. ასეთი მმართველი იყო ვორონცოვი – იმპერიის უერთგულესი კარისკაცი.

როგორც სამართლიანად მიუთითებენ, „გ. ერისთავის დრამატურგიის იდეური აზრის პროგრესულობა, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობისა და ბოროტების წყარო მან ბატონყმური ურთიერთობის არსებობაში დაინახა. იგი პირველი მწერალია, რომელმაც კრიტიკულად შეხედა თავისი თანამედროვე საზოგა-

დოების სოციალურ ყოფას და მოგვცა მისი შეულამაზებელი სურათები“ (1,2,425). გ. ერისთავი იმ არცთუ მრავალრიცხოვან ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც არამარტო თეორიებითა და კონცეფციებით მსახურებდა საქართველოს ყოფის გაუმჯობესების საქმეს, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობით მაგალითს უჩვენებდა ერს. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა; მის სიტყვას დიდი წონა. „გროდნოში გიორგი ერისთავს მამისთვის ერჩია სამსახურისთვის თავი დაენებებია, სამშობლოში დაბრუნებულიყო და სასოფლო მეურნეობისთვის ხელი მოეკიდა. „ჩვენ ქვეყანას ვერაფერი შეთქმულება ვერ უშველის, სანამ სამშობლოს მიწაზე ფეხი მაგრათ არ გვედგმება და ქონებით უზრუნველყოფილნი არ ვიქნებით“, – ეთქვა ერისთავს – შემდეგ „გაყრის“ ავტორს.“ გ. ერისთავის ზემოთქმული სიტყვებიდან საუკუნენახევარი გავიდა, მაგრამ დრომ კიდევ უფრო განამტკიცა მის სიტყვებში ჩაფუნდამენტებული აზრის სისწორე. გამოჩენილი დრამატურგის რჩევას მირიან ჭყონია უყოყმანოდ დასთანხმებია. მას ძლიერ ეძნელებოდა თურმე თავისი მამობილს, პოლკის მეთაურ ორბელიან-დავითიშვილს დაშორებოდა, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა მასზე, მაგრამ საბოლოოდ 1847 წელს იგი გადასულა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მირიან ჭყონიას ოჯახმა სამი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა საქართველოს.

პირველი თვით ილია მირიანის ძე ჭყონია, მეორე ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია, ფართოდ განათლებული, ევროპული ენების მცოდნე, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 1894-1905 წლებში ჟურნალ „მოამბის“ რედაქტორი, იმავდროულად, 1903 წლამდის, ასრულებდა ყოველდღიურ გაზეთ „ცოდნის ფურცლის“ რედაქტორის მოვალეობასაც, თარგმნიდა უცხო ენებიდან (იტალიური და ფრანგული), არის ბევრი ისტორიული ხასიათის გამოკვლევის ავტორი, აქვეყნებდა საინტერესო პუბლიცისტურ წერილებსა და კორესპოდენციებს. გარდაიცვალა 1907 წელს. „ალექსანდრე ჭყონია კარგათ განვითარებული კაცი იყო: დინჯი, ზნე-საქტაკი, ყველაფერში ზომიერი, ბეჯითი, ხასიათით მტკიცე, პირდაპირი, პირში მოქმელი“ (1,34,11).

ქართული კულტურის განვითარებას ასევე მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ჭყონიების ოჯახის მესამე შვილმა – ოლღა ჭყონიამ.

ილია მირიანის ძე ჭყონია დაიბადა 1860 წელს 16. VI (28.VI) ოზურგეთში. 1871 წლის 3 სექტემბერს იგი შეიყვანეს ქალაქ ქუთაისის გიმნაზიაში (2.64, ფ. 94, 25). ამ დროიდან ჭყონიებმა ქუთაისში, „სილის უბანში“, მდ. რიონის სანაპიროზე, შეიძინეს ქვიტკირის სახლი და ქალაქში დაძველდნენ (სილის უბანი მოიცავდა ადგილს დღევანდელი ცენტრალური ბაზრის ხიდიდან ძველ ყაზარმებადღე. თანამედროვე გრ. ხანძთელის ქუჩა). ქუთაისში ცხენოსანი რაზმის მეთაურად მსახურობდა ილიას მამა – პოდპოლკოვნიკი მირიან ჭყონია. მან, როგორც უაღრესად განათლებულმა კაცმა, დიდი როლი ითამაშა შეილის აღზრდა-განათლებასა და პიროვნულ ჩამოყალიბებაში. გიმნაზიაში ილია ჭყონია სწავლობდა 1871-77 წლებში, როგორც 1877 წლის 16 ნოემბერს დაწერილი განცხადებიდან ირკვევა, მას თავი დაუნებებია სწავლისთვის. გავლილი აქვს სულ ოთხი კლასი. განცხადებაში აღნიშნულია: „არ მსურს რა სწავლა გავაგრძელო თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში, გთხოვთ, თქვენო უმაღლესობაე, მომცეთ ჩემი საბუთები და მოწმობა სწავლისა და მოსწრების შესახებ“ (2.64, ფ. 29. 1). გიმნაზიის დირექციამ დააკმაყოფილა მოსწავლის თხოვნა, 1877 წლის 23 ნოემბერს გასცა მოწმობა, სადაც მითითებულია გიმნაზისტის აკადემიური მოსწრების შესახებ და ბოლოში აღნიშნულია: „არ დაუმთავრებია რა სრული კურსი გიმნაზიისა, ი. ჭყონიამ ვერ მოიპოვა უფლება... მიენიჭოს პირველი კლასის ჩინი გამოცდების გარეშე“ (იქვე). სასწავლებლიდან წასვლის მიზეზებთან დაკავშირებით ნათქვამია: „წავიდა თავისი თხოვნის საფუძველზე სამხედრო სასწავლებელში ჩასაბარებლად 1877 წლის 23 ნოემბერს“ (2.64, ფ. 29.652). მაგრამ, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ილია ჭყონია მიდის არა სამხედრო სასწავლებელში, არამედ მუშაობას იწყებს ოზურგეთში – მომრიგებელ სასამართლოს მდივნად.

გიმნაზიაში სწავლის ბოლო პერიოდიდან ი. ჭყონია იწყებს აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა ქართულ პერიოდულ გამოცემასთან, რომლებთანაც კონტაქტი სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. მომავალი მწერალი როგორც ირკვევა, ოზურგეთში დიდხანს არ დარჩენილა. გაზეთ „დროების“ 1881 წლის N 265-ში არის ცნობა: „რომ წინასწარი გამოძიების დროს „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა და კორრექტორმა და

შემდეგ თანამშრომელმა ილია ჭყონიამ დამნაშავედ არ აღიარეს თავი“. საქმე ეხება ორი წლის წინ ი. ჭყონიას პუბლიკაციის გამო დაწყებულ დავას. ეს პროცესი, რომლის შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ი. ჭყონიამ და ს. მესხმა მოიგეს. ამდენად 1881 წლის დასაწყისიდან იგი უკვე თბილისშია.

1880 წლის ბოლოს ი. ჭყონიამ გამოსცა პატარა კრებული „სამწერლო თაიგული“. იგი შეიძლება მინიატურულ ანთოლოგიად ჩაითვალოს. მასში თავმოყრილია ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოები ისეთი ცნობილი მწერლებისა, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, რაფიელ ერისთავი და სხვები. 1881 წელს გაზ. „დროების“ 170-ე ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა: „ტფილისის ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში იყიდება „სამწერლო თაიგული“ შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან“.

„სამწერლო თაიგულის“ გამოსვლას იმავე წელსვე გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ (1880 წ. N 144): მასში მოთავსებულია ხელმოუწერელი სტატია, რომელიც ამ კრებულის შესახებ მეტად საინტერესო რეცენზიას წარმოადგენს. „ამ პატარა წიგნში თერთმეტი სხვადასხვა თხზულებაა დაბეჭდილი... ჩვენს შესანიშნავ მწერლებს არ დაუშურებიათ პატარა-პატარა ლექსები და თითქმის ყველას მიუცია თითო ყვაილი ამ თაიგულში ჩასართობლად, მაგრამ ყველა ყვაილი ლამაზი ფერისაა და სურნელოვანია თუ არა, ცოტა საეჭვოა. ...ფაზელს, რომელსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება მოჩვენებასავით იცნობს, მიუცია სამი ლექსი. საკვირველია ამ პოეტის საქციელი. ხშირად რვა-ცხრა წელიწადს ჩუმად არის. მასუკან დაბეჭდავს სადმე რამდენიმე ლექსს, ზოგი მათგანი მკითხველ საზოგადოებას აალაპარაკებს. ამ ჩინებული ლექსების გვერდით ხშირად, ისეთი ლექსებია, რომ არ გჯერა ეს პირველი ლექსის ავტორისაგან იყოს დაწერილი. ...ალეგორიაა აგრეთვე აკაკის პატარა ლექსი „მტარვალებს“. ალეგორიაა, მაგრამ ცხადად გამოხატული და ადვილად მისახვედრი ალეგორია, ერთი სიტყვით ალეგორია აკაკისებური, ლამაზისა და ხალხის კილოს მსგავს კილოთი დაწერილი. აკაკის ლექსი აკაკისებურია, მაგრამ „ჭავჭავაძისებური“ ლექსი ჭავჭავაძისას წააგავს თუ არა, რა მოგახსენოთ... თ. რ. ერისთავის ლექსი „ჩივილი ხვედრისადმი“ ჩინებულია.“

2.ლ. დვალისვილი

რეცენზიაში კრებულის სხვა ავტორების თხზულებებიცაა განხილული. მაგრამ საინტერესოა აკაკის ლექსის „მტარვალებს“ შემოქმედებითი ისტორია. ეს მცირე მოცულობის პოეტური ნაწარმოები რომელიც პირველად „სამწერლო თაიგულში“ დაიბეჭდა? იწყება ასე: „დამეხსენი ოსმალოელო რა მაქვს შენთან საზიარო“ დღეს, როცა შესაძლებელი გახდა ლექსი შედარებოდა ხელნაწერს, აღსდგა პირველი, მწერლისეული ვარიანტი. პირველ სტროფში „ოსმალოელოს“ ნაცვლად ჩაისვა „ჩრდილოელელო“.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლო პერიოდი ი. ჭყონიას განსაკუთრებული შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გააქტიურებით აღინიშნა. რეგულარულად იბეჭდება მისი პუბლიცისტური წერილები და ორიგინალური თხზულებები, რომლებშიც დასმულია ერისა და ქვეყნის საჭირობოროტო პრობლემური საკითხები. მწერლის შემოქმედებასა და პუბლიცისტურ წერილებში ნათლად იგრძნობა ორი მთავარი მიმართულება: პამფლეტურ-სატირული და პეროიკულ-ეპიკური. პამფლეტურ-სატირულ სტილს მწერალი იყენებდა ქართველი ერის შინაური თუ გარეშე მტრების მხილებისა და დაცინვისთვის. პირდაპირი და სუსხიანია მწერლის სატირის ისარი. მას კარგად ესმის სატირის – ამ უძველესი და უტყუარი იარაღის როლი პირადული თუ საქვეყნო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სატირული ნაწარმოებების გამო მწერალი ორჯერ იძულებული შეიქმნა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, სერგეი მესხთან და ივანე მაჩაბელთან ერთად, მაგრამ მან მოახერხა თავის დაცვა. პეროიკულ-ეპიკური სტილითაა დაწერილი მისი პოემა „მურძაყან დადიშქელიანი“, რომელშიც ხოტბას ასხამს ეროვნულ გმირებს, ღრმა პატივისცემითა და აღფრთოვანების გრძობითაა გამსჭვალული მათდამი. შემოქმედი ღრმადაა დარწმუნებული სატირის დიდ შესაძლებლობაში.

ლ. კეკელიძე სატირის მნიშვნელობას თავის წიგნში ასე აფასებს: „იმ საშუალებათაგან, რომელთაც ხალხი მიმართავდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, სატირა ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი იარაღია“ (1.15,3). ხოლო რუსი მკვლევარი დ. ნიკოლაევი წერს: „სატირას, როგორც წინათ, ასევე დღესაც, ერთი საგანი აქვს – ის გმობს საზოგადოების მანკიერ მხარეებს. იგი ებრძვის ზოგადად სიძუნწეს, უმეცრებას ზნეობრივ აღვირახსნილობისა და სხვა ადამიანური ნაკლოვანებების მატარებელ ხასიათებს“ (1.47,17).

სატირულმა ტენდენციებმა თავისებური აქტიურობით იჩინა თავი XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტიურ გამოყენებაში ეს ჟანრი XIX საუკუნეში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებაშია. სინამდვილის მახინჯი მხარეები შემოქმედში მრისხანებასა და აღშფოთებას იწვევენ, მას აღარ შეუძლია გაჩერდეს იუმორის საზღვრებთან და სატირიკოსის მახვილ ისარს იმარჯუებს. სატირა და იუმორი საზოგადოების ნაკლოვანი მხარეების გამოსაველენად მეტად ეფექტური საშუალება იყო ყველა დროის მსოფლიო მწერლობაში. თანაც ეს ჟანრი მწერალს მეტი ლავირების საშუალებას აძლევდა. ალეგორიულ-გადატანითი შინაარსის მინიშნებებს საზოგადოება ადვილად გებულობდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ცენზორებიც, მაგრამ წაყენებული ბრალდების შემთხვევაში მწერალს შეეძლო სატირის საგნისთვის სხვაგვარი გაშიფვრა მიეცა. გაზეთი „ღრობა“ (1882 წ. N 105) წერდა: „შემდეგი ნამდვილი ამბავი შევიტყვეთ, ქუთაისში გამოსაცემად განზრახულის კვირის საოხუნჯო გაზეთ „ხუმარაზე“. მთავარ სამმართველოს არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ უპოვნია, რომ ბ. ილია მ. ჭყონიას მიეცეს ამ გაზეთის გამოცემისა და რედაქტორობის ნება“. ჩინოვნიკური აპარატი დააფრთხო გაზეთის მოსალოდნელმა გამოსვლამ და პირდაპირი უარის ნაცვლად მიკიბულ-მოკიბული პასუხებით შეეცადა გაზეთის გამოცემა ან ჩაეშალა, ან გაეჭიანურებინა. ქუთაისის გუბერნატორი მთავარი სამმართველოს წინადადებას იმ შემთხვევაში ღებულობდა, თუ „ცენზურა ამ ქუთაისური გამოცემისა თბილისში იქნებოდა“. როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ასეთი ნებართვა უარის თქმაზე მეტია, რადგან საოხუნჯო გაზეთი „ღღეის, წამის ამბავს და ვარამს სიმკვირცხლით და მოსწრებულად უნდა ეხებოდეს“. პუბლიკაციის ავტორი (წერილი ხელმოუწერელია) დაბეჯითებით მოითხოვს ქუთაისში შეიქმნას ცენზორის შტატი, რადგან „ხუმარას“ გარდა ქუთაისში ქალები აპირებენ „თარგმანთ-ბელეტრისტული ჟურნალის გამოცემას“. აქვე პ. წულუკიძესა და მ. ქიქოძეს გადაუწყვეტია ჟურნალ „სასულიერო უწყების“ დაფუძნება. ოფიციალური ხელისუფლება, როგორც ჩანს, დასთანხმდა ქუთაისში გაზეთის გამოცემას. მართლაც მალე გამოვიდა გაზეთი, თუმცა შეცვლილი სახელწოდებით „ანკისი“. 1882 წ. გაზეთ „ღრობის“ 158-ე ნომერში არის ცნობა, რომ ამა წლის 2 ივლისს გამოვიდა „ანკისის“

პირველი ნომერიო. გაზეთმა მართლაც მკითხველი საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. აქ კომიკურ ფერებშია წარმოდგენილი მწერლის თანამედროვე ბევრი ვაი მეკენჭე „დანოსჩიკის“ საქმიანობა. სატირის ისარი მიმართულია ქუთაისი ბათუმის რკინიგზის დამპროექტებლისაკენ, რომელთა უგვანო გეგმამ ცენტრალური გურია ცენტრალურ სარკინიგზო მაგისტრალს მოწყვიტა. „რკინიგზამ ლაჩხუთზე გაიარა. აქ ბევრი ღელეები“. ინჟინრებმა გადაწყვიტეს და გააკეთეს კიდევაც მათი შეერთება, რათა ერთი ხიდი აეგოთ. ხალხი წინააღმდეგი იყო, რადგან ამ ღელეებზე წისქვილები ჰქონდათ გამართული. ბოლოს ბუნებამ სამართლიანობა აღადგინა, წყალდიდობის შემდეგ ღელეები თავიანთ კალაპოტებს დაუბრუნდნენ.

„ანკესის“ პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ირონია ჩვენში გაჩენილ ახლადგამოჩეკილ „სოციალისტთა“ მიმართ. „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ბ., ზ. ჭ. და ი. ყ. სულითა და გულით სწადიან განაახლონ ქუთაისში გაბრიელა ქიქოძის დასების დრო და შეთხზონ „სოციალისტები“, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა მოუხერხებიათ რა, და იმედიცაა ვერაფერს გახდებიან, რადგან ამგვარი საქმეებისათვის იმათ აქ რიგიანი ნიადაგი არ ექნებათ“.

„ანკესის“ მე-2 ნომერი 1882 წლის 14 ოქტომბერს გამოვიდა, ოღონდ ქუთაისის ნაცვლად თბილისში. მისი პუბლიკაციები გამოირჩევიან თავისებური მწვავე ტონით. სიცილით სიმართლის თქმის მეტად მოხერხებულ საშუალებას, მწერალი მოხდენილად იყენებს ქვეყნის წყლულოვანი მხარეების საჩვენებლად. როგორც საქართველოს დიდი მეგობარი არტურ ლაისტი შენიშნავდა: „პროზის მშვენიერი სანელებელი იუმორია... ქართველებს შეუძლიათ თქვან რომ ისინი იუმორის განძის მქონენი არიან“ (18, 156). მართლაც, როგორც ა. გერცენი შენიშნავდა: „Смех_одно из самых сильных орудий против всего, что отжило и еще держится“ (1.45, 190).

გამომდინარე ზემოთქმულიდან სიცილით ნათქვამი მწარე ჭეშმარიტება ი. ჭყონიას მიაჩნდა მნიშვნელოვანი ეროვნული ტკივილების განკურნების მოხერხებულ საშუალებად.

80-იან წლებში მწერალს განსაკუთრებით ახლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ალ. ყაზბეგთან, ივ. მაჩაბელთან, ს. მესხთან, ნ. მართან, ზ. ჭიჭინაძესთან და სხვა ქართველ საზოგადო მოღ-

ვაწებთან. „შენი ლექსი ლამაზი ლექსია, ან იანერის წიგნში დაიბეჭდება თუ მოთაესდა, თუ არადა თებერვლის წიგნში. რაც შეეხება „ივერიის“ გამოგზავნას კი, რა მინდა მოგწერო... წრეულს გადავწყვიტეთ ნისიათ არავის გაუგზავნოთ, ამიტომ ნუ ეწყინებათ ალ. მესხიევს, ივ. გველესიანს და ნიკოლეიშვილს, რომ „ივერია“ არ მიუეიდეთ, ვიდრე ფულს არ გაგზავნიან. რატომ არ იწერები ილია, როგორ მიდის შენი საქმე! შენი ძმა ივანე მაჩაბელი“ (2.34, ფ. 10-234-6)-წერდა 1882 წლის 15 იანვარს „ივერიის“ რედაქციის სახელით ივანე მაჩაბელი ი. ჭყონიას. ამ უკანასკნელის არქივში დაცულია მწერლის ხელით დაწერილი „მცირე შენიშვნა ივანე მაჩაბელზე“, რომელიც წარმოადგენს ძვირფას პირველწყაროს ქართული „ბანკობიადის“ ისტორიის, ილიასა და ივ. მაჩაბლის ურთიერთობის, „ივერიისა“ და „დროების“ ყოველდღიური ცხოვერბის შესახებ. აქვეა ცნობა იმის შესახებ თუ რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“. „1885 წელს მთავარმმართველის დუნდუკოვ-კორსაკოვის მიზეზით დახურეს გაზეთი „დროება“ და მით მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს ივ. მაჩაბლის გაულენასა და მოღვაწეობას. უშუალო მიზეზი გაზეთის დახურვისა იყო ორი ფელეტონი: ერთი ივ. მაჩაბლისა და მეორე ამ პწკარების დამწერისა“ (2.34.ფ. 10124-1026). დუნდუკოვ-კორსაკოვი მხოლოდ გაზეთის დახურვით არ დაკმაყოფილდა. ოზურგეთის მაზრის ყოფილი უფროსის ვინმე ვირუბიიოვის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ აღძრა საქმე სტატიის ავტორების წინააღმდეგ. ი. ჭონიამ თავის რაინდულ ბუნებას არც ახლა უღალატა და გადაწყვიტა ივ. მაჩაბელთან ერთად წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე. ეს მისთვის რიგით მეორე სასამართლო იქნებოდა მამხილებელი საგაზეთო პუბლიკაციის გამო (პირველი სერგეი მესხთან ერთად (2.23). მე-19 საუკუნის ერთ-ერთმა უგანათლებულესმა ქართველმა, ივ. მაჩაბელმა, რაინდულ კეთილშობილებაში ტოლი არ დაუდო თავის მეგობარს. რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს იგი სწერს: „ჭყონიას წერილი მივწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა. მე თვითონ ვიკისრებ“ (1.41, 193).

ი. ჭყონიას პუბლიკაციები ყოველთვის გამოირჩეოდა მძაფრი პოლემიკური პათოსით, დაჩაგრული, მაგრამ მართალი კაცის გაფიცხებით. მის

სტატიებს ნამდვილად არ აკლია „მახვილგონიერული“ მიგნებები, პირიქით, ჩვენი აზრით, ამ მხრივ გარკვეულ „გადაჭარბებასაც“ კი აქვს ადგილი. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ცნობილ მკვლევარ ვახტანგ ჭვლიძის მოსაზრებას „ეს პატარა არცთუ ისე მახვილგონიერულად დაწერილი ფელეტონი გახდა „დროების“ დახურვის ერთ-ერთი უშუალო საბაბი“. მთავრობას, რომ ეს წერილი ისეთივე რიგით პოლემიკურ სტატიად მიიჩნია, როგორებიც მრავლად იბეჭდებოდა „დროების“ ფურცლებზე, მაშინ რეაგირებასაც შესაბამისს მოახდენდა; მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ასე არ მოხდა. ივ. მაჩაბელი, როგორც თავის დროზე ს. მესხი და ი. ჭყონია, დამცველის გარეშე წარდგა სასამართლოს წინაშე, „თავის დასაცავად თვითონვე თქვა გასასამართლებელი სიტყვა... სასამართლომ დამნაშავედ არ სცნო თავადი მაჩაბელი და სრულიად გაამართლა ამ საქმეში“ (2.36,4).

ხალხისა და ქვეყნის ინტერესების საჯაროდ დაცვა, იმპერიული მონსტრის წინაშე ქედუხრელობა, იმ პერიოდში სიკვდილთან თამაშს უდრიდა. გამორკინული ნებისყოფის მქონე, თანააღმობის დულაბით გასაღკდევებული მამულიშვილები ერთმანეთის ფარად იქცეოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. შეუძლებელი გამხდარიყო მწერლობითა და გაზეთში თანამშრომლობით ლუკმაპურის შოვნა. არადა ერთიცა და მეორეც ციურ მანანასავით სჭირდებოდა ერსა და ქვეყანას. „ამ საღამოს თუ არ დამკლავ 6 მანეთი მიშოვე, სახლის პატრონს უნდა მივცე – ორი დღე ჩემს სახლში ღამე არ გამითევია, რადგან მისაცემი ფული ვერ ვიშოვე, ეს ერთი კვირაა ვერსად ვერაფერს გავხდი თუ არა შენ არ შეგაწუხებდი“ (2.34, ფ. 5107-6). წერდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს ი. ჭყონია. იგი უმადლის გამოჩენილ მწიგნობარს იმ დამსახურებას, რომ ამას წინათაც მისი „წყალობით ჩაიცვა და დაიხურა“. ბოლოს ჰპირდება, რომ ნიკო მარის ხელით, რომელიც ქუთაისში მის სახლში დგას ბინად, გაუგზავნის საინტერესო მასალებს. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1880-82 წწ. შორის. რადგან აქ, ერთგან, საუბარია, „სამწერლო თაიგულის“ შესახებ, რომელიც 1880 წელს გამოვიდა (2.7).

„არსობის პურის“ მოპოვებისთვის მწერალი იძულებულია თავისი სურვილის წინააღმდეგ ჩინოვნიკი გახდეს. 1887 წლის 13 იანვრით დათარიღებული ქორწინების საბუთით ვგებულობთ: „მოწმობა ესე ეძლევა ქვემო-

რე ამის ხელის მომწერთაგან ოზურგეთის მომრიგებელ სამსაჯულოს სეკრეტარს აზნაურს ილია მირიანის ძე ჭყონიას მას შინა რომელმან იქორწინა ანნა მერაბის ძე ლორთქიფანიძის ასულზედ ლანჩხუთში გუგუბარაულის ეკლესიაზედ“ (2.34, ფ.10159-6).

მიუხედავად ჩინოვნიკის კიტელით შეზღუდულობისა, მწერალი მაინც ახერხებს მისი არტახებისგან თავის დაღწევას და განაგრძნობს აქტიურ შემოქმედებითს საქმიანობას. ქართული საზოგადოების შეგნებული ნაწილი, რომელსაც გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, ცდილობს ძველი ხელნაწერი წიგნების სტამბურად გამოცემას, რათა ხელი შეუწყოს ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეს. მათ შორის გამოირჩევა განათლებული თავადი გრიგოლ გურიელი. ქართული საზოგადოებისთვის სისხლხორცეულად აუცილებელი იყო ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის „ქილილასა და დამანას“ დასტამბვა. ამ წიგნს, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის საგანძურში. 1884 წლის „დროების“ 153-ე, 160-ე და 163-ე ნომერებში სწორედ ამ ლიტერატურული ძეგლის შესახებ ფიგურირებდა აზრი. განათლებულმა არისტოკრატმა, გრიგოლ გურიელმა, დიდი ნდობა გამოუცხადა ჭაბუკ მწერალს – ი. ჭყონიას. „ეს გამოცემა იბეჭდება პატივცემული თავადის გრიგოლ დავითის ძე გურიელის ხარჯით (ექვთიმე ხელაძის სტამბაში), რედაქცია და კორრექტურა მონდობილი მაქვს მე“ (2.30) წერდა ი. ჭყონია. აქვე აღნიშნული იყო, რომ რედაქტორი ხელმძღვანელობდა სამი კარგად შენახული ხელნაწერ-ეგზემპლიარით. წიგნის ბეჭდვას ოფიციალურად აკონტროლებდა და ყურადღებას აქცევდა „იმისთანა ავტორიტეტი ჩვენი ისტორიისა და ისტორიული ლიტერატურისა, როგორც არის ბ. დიმიტრი ბაქრაძე.“

„ქილილა და დამანა“, რომლის გამოსვლას ასე მოუთმენლად მოელოდა ქართული საზოგადოებაც და რომელიც გარკვეულწილად მოუზომელი ვნებათა ღელვის საფუძველი გახდა, ი. ჭყონიას რედაქტორობით დაიბეჭდა 1886 წელს. დიმიტრი ბაქრაძე აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის მას. მისი აზრით, წიგნი ქართული საზოგადოების ყველა ფენას გამოადგება: სამღვდელოს, ნასწავლს, უსწავლელს, კაცს, ქალს, მოხუცსა და ჭაბუკს. „აქ არ შეიძლება ჩვენის აზრით და საზოგადოების მხრით გული-

თადი მადლობა არ ვუძღვნათ თ. გრიგოლ გურიელს, რომ იგი კარგა მოზრდილი წიგნის გამოცემისთვის ხარჯს არ მოერიდა და თვით ბ-ნს ილია ჭყონიას, რომ მან ასე ფაქიზად და წიგნის შესაფერად და თითქმის უცდომლად იგი დაბეჭდა“ (2.46).

„ქილილა და დამანა“ თავისი პოლიგრაფიული დონითაც კარგი გამოვიდა. იგი ჩასმულია სქელ, ლამაზ ყდაში. ნაბეჭდი სუფთაა და დახვეწილი. წიგნი შედგება 890 გვერდისაგან, წინასიტყვაობა შედგენილია ი. ჭყონიას მიერ და მოიცავს 4 გვერდს. „ქილილა და დამანას“ რედაქტორული უზუსტობის ბრალდების გამო პოლემიკას, 1894 წელსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ რედაქტორ-გამომცემელმა ყველას ნათლად დაუსაბუთა თავისი აზრის ჭეშმარიტება (2.50), (2.53).

ი. ჭყონია სრულიად საქართველოს მასშტაბით ყოველი ქართველისგან მოითხოვს მონაწილეობა მიიღოს „ერის მეხსიერების“ – ხელნაწერების გადარჩენის, მისი კულტურული ფასეულობის შენარჩუნების კამპანიაში. სავსებით ახალგაზრდა, 17 წლის ჭაბუკი, „ივერიის“ რედაქციას უგზავნის მის მიერ შეგროვებულ ზურაბ წერეთლის წერილების პირს, აგრეთვე „ქართული გაზეთის“ ეგზემპლარებს, რომლის გამოცემის თარიღია 1821 წლის 25 მარტი. 1832 წლის „ტფილისის უწყების“ რამდენიმე ნომერს (2.39). თუ რაოდენ საჭირო საქმე იყო ერისათვის ხელნაწერთა შეგროვება და მათი დაცვა უხიფათო ადგილას, ამის მტკიცებით მკითხველს არ გადავლლით. ქვეყნის ბედის მოჭირნახულე შემოქმედს ღრმად აქვს შეგნებული ის დიდმნიშვნელოვანი მისია, რასაც უძველეს ხელნაწერთა შეგროვება ჰქვია. „უფალო რედაქტორო! მოგახსენებთ, რომ რამდენი საუკეთესო ქართული წიგნები, თუ ორიგინალური თხზულებები ღპებიან სხვადასხვა უვიცი პირების სკივრებში და ამრიგად საბოლოოდ იკარგებიან შთამომავლობისათვის“ (2.4). წერდა რედაქტორს ი. ჭყონია.

წერილის ავტორი ფრთხილად, მიზანსწრაფულად მოქმედებს. ძვირფასი ხელნაწერის მფლობელს ჯერ საზოგადოებას „გაუმხელს“, მერე კი ტაქტიანად იმედს გამოთქვამს რომ მესაკუთრე თავის განძს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაუთმობს. „პატივისცემის ღირსია კნენა ნ. ა. ერისთავისა, რომელმაც პატიოსანი სიტყვით შეპირდა უფ. ი. ჭყონიას, რომ ამ დღეებში გადასცემს მას მთელს ხელნაწერ მდიდარ ქართულ ბიბლიოთეკას“ (2.4).

ხელნაწერის ზოგიერთი მფლობელი ჭირვეულობდა; ჩასაბარებლად არ ეთმობოდა საგვარეულო საკუთრება, თუმცა ბევრი მის მოვლასა და დაცვას ვერ ახერხებდა. საჭირო ხდებოდა დიპლომატიური სვლები, მეტყველი, დამაჯერებელი სიტყვა, რომელიც ადრესატს შეახსენებდა თავის ეროვნულ ვალს. როგორც ირკვევა, თავად ალ. წერეთლის მდიდარი ბიბლიოთეკა ხელში ჩავარდნია ნიკოლოზ წერეთელს, რომელიც არც აბარებდა და ვერც უვლიდა მას. სტატიის ტონი გამოუვალ მდგომარეობაში აგდება გაჯიუტებულ მფლობელს. „ამ ბიბლიოთეკას ნ. წერეთელი იმედია აგრეთვე გადმოგვცემს, თუმცა ყველა ამის წინააღმდეგში გვარწმუნებს; მით უფრო ვაიმედებთ ჩვენს თავს, რომ ნ. წერეთელი, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლი და როგორც ქართველი, ორნაირად მოვალეა ასე მოიქცეს... ეს წიგნები გაეგზავნება „ივერიის“ რედაქტორს თ. ი. ჭავჭავაძეს, რისიც შეიძლება „ივერიაში დასაბეჭდად და სხვების მომავალი ქართული არხივისათვის გადასაცემათ“. (იქვე). წერილი ქუთაისიდანაა გაგზავნილი 1879 წლის 17 ივლისს. მისი ავტორი საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის იყენებს უდიდესი ქართველი ავტორიტეტის – ილია ჭავჭავაძის სახელს. ეს აუცილებლად საჭირო და სასწრაფო საქმე გახლდათ, რადგან, როგორც ჭორები დადიოდა, თავად ნ. წერეთელმა წერილების ნაწილი დაწვა, მისი აზრით ისინი შეიცავდა გარკვეულ სამხილს, კომპრომატს წერეთელთა გვარის მიმართ. კერძოდ, იმერეთის მეფის სახლთუხუცესის, ზურაბ წერეთლის, მოღალატური საქციელის შესახებ. ქართულ ხელნაწერთა შეგროვებისათვის საჭირო იყო მიუცილებელი პროტექციონიზმი, რადგან ეს საქმე გადადებას ვერ მოითმენდა. მწერალს გული სტიკვა იმ ვითარების გამო, რომ ძველად, როცა საქართველოში განუწყვეტელი ომები მიმდინარეობდა, ჩვენმა წინაპრებმა მოახერხეს დაეცვათ და შემოენახათ „ძველი მწიგნობრობა“. ახლა კი: „ჩვენისავე მამების უმეტრებითა და ჩვენის დაუდევრობის მეოხებით თანდათან საშუალოდ გვეკარგება და ხელიდან გვეცლება... ვინ სანთელს ახვევს ძველ ხელნაწერებში, ვინ ჩაი-შაქარს, ვინ გირვანქობით ჰყიდის.“ (2.27) წერდა 1884 წელს მწერალი.

ავტორის გულისტკივილი გასაგებია, როგორც თვითონ აღნიშნავს, მანუსკრიპტებს „ბეჭედად“ აზის რუსთველის გენია, თამარის დიდება, დავი-

თის სიწმინდე და ერეკლეს გმირთა-გმირობა. ყველა ჭეშმარიტი ქართველი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში თავის უპირველს მამულიშვილურ საქმედ თვლიდა ხელი შეეწყო ქართული მწიგნობრობის განვითარებისათვის, მოეძიათ და დაეცვათ ქართული ხელნაწერები. 1875 წელს ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ჩემი თვალების გახელის დროს მე ვიყავი ძლიერ დაღონებული და გულიც დარდით მქონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არ გექონდა, ვიყავით დატუქსულები. ქართული ენა იღვენებოდა. წიგნების გამოცემა და გამრავლება მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ. და ამიტომ დღე და ღამ მარტო ამ იმედით ვსულდგმულობდი.“ (1.23, 32). ალბათ ქართული ხასიათის აფექტურობაში უნდა ვეძებოთ ის მიზეზები, რომ ასეთ საშურ პრობლემურ საქმეს, როგორც ძვირფასი ხელნაწერების შეგროვებაა, საქართველოში მხოლოდ ეპიზოდური ინტენსივობით ეწეოდნენ და, არა პერმანენტულად. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი ქართველი პოეტის ი. გრიშაშვილის გოდება ლექსში: „გენიოსების ბელი ტფილისის ბაზარზე“.

„ქვევით, ბაზარზე, კვირადღით, ვანქთან,
მტერიან ქუჩებში, დამპალს ჰავაზე,
წონით ვიყოდე ექვსი გირვანქა
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“ (1.35, 27).

ფაქტია, მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ბევრი ვაი-ქართველი უმშვენიერეს საუნჯეს უყურებდა, როგორც ქალაქის მასას. ი. ჭყონია, როგორც ადამიანი, ფრიად ნათელ ფერებში გვეხატება. იგი მეტად სათუთი და მგრძნობიარე გულის პატრონი ყოფილა. მას ესმის პრობლემის მნიშვნელობა. „ადამიანი შობილა არა იმისთვის, რომ თვითონ მსოფლიო პრობლემები გადაწყვიტოს, არამედ იმისთვის, რომ ეძიოს და მიაგნოს ამ პრობლემებს, შემდეგ კი მისაწვდომის ფარგლებში იმოქმედოს“ (1.5.91) ბრძანებდა გოეთე ეკერმანთან საუბრის დროს.

ხელნაწერების შეგროვებისა და დაცვის საქმეს ი. ჭყონია იმავე წელსვე გაზეთ „დროებაში“ ახალი წერილით გამოეხმაურა. აქ გამოთქმულია შემოფოთება იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ზურაბ წერეთლისეული

„შესანიშნავი ბიბლიოთეკის ხელუხლებლად დაცვა“. არცთუ სახარბიელო დღეში იმყოფება „სამეგრელოში ნიკო დადიანის დიდი ბიბლიოთეკა. ის მის შვილებს დარჩათ – პეტრეს და მის ძმებს. მრავალი სამეცნიერო წიგნია ბიბლიოთეკაში. არა ნაკლები იყო ზურაბ წერეთლის დანაშთი წიგნთსაცავი. ამათაც უნდა მოეთხოვოთ საზოგადოდ ქართველობის სახელით“ (2.28).

დადიანისეული წიგნთსაცავის საიმედო ხელში გადასვლას უდავოდ ი. ჭყონიას ზემოდასახელებულმა წერილმაც შეუწყო ხელი. მომდევნო წლის დასაწყისში სამეგრელოს კეთილგონიერმა მთავარმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა. წერილში ნათქვამი იყო: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უფრო მეტი სახსარი და ღონისძიება აქვს – უმეტესი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ვიდრე კერძო პირსო“ (2.31). ასრულდა ქართული მოწინავე საზოგადოებისა და ი. ჭყონიას ნატვრა, „ნიკოლოზ მენგრელსკისადმი, რომ ჩვენ გადმოგვცეს მამის მისის დანაშთი ბიბლიოთეკა“.

ი. ჭყონია დიდად იყო შემოფოთებული თავისი თანამედროვე მწიგნობრობის ბედითაც. მისი თქმით „საჩინო და ნიჭიერი მწერლებით ისედაც ღარიბნი ვართ“, ამის გამო ნაკლები იყო მათი შემოქმედების შესაფერისი ზემოქმედება ხალხზე. იგი ნუგეშობს იმით, რომ, თუ მისი თანამედროვე მწერალთა ნაწერები არ არის ჯერჯერობით სრულყოფილად შეკრებილი და გამოქვეყნებული, ეს ადრე თუ გვიან მოხდება. „მაგრამ მიცვალებულთა ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და სხვა ნაწერების ბედი კი ძლიერ გვაშინებს“. წერილის ავტორი სრულიად სამართლიანად ფიქრობს, რომ გარდაცვლილ მწერალთა გამოძეგმელმა მათი ნაწერები „წყვედიანად ხელის ცეცებით უნდა ექებოს“ და, რასაც მიაკვლევს, იმით დაკმაყოფილდეს. ამ დროს ძალიან დიდია ცთომილების ალბათობა. „ამნაირი გამოცემანი არ არიან სრულნი. ხშირად ხდება, რომ მათში სხვა ავტორების ნაწერებსაც აძლევენ ადგილს გულ-უხვნი და სტუმართმოყვარე გამოძეგმელნი, როგორც მაგ. ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულში დაბეჭდილის დ. ჩოლოყაშვილის ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ კმონებდეს“ და სხვ. (2.26). ამ უაღრესად საყურადღებო ცნობამ გაგვაკვირა. მით უფრო უცნაურია ის, რომ წერილის ავტორს არავინ გამოეპასუხა.

როგორც ჩანს, მაშინდელ ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა ზემოხსენებული აზრის უარყოფელი ეჭვიმოუტანელი საბუთები. ი. ჭყონიას წერილში საუბარი იყო ალ. ჭავჭავაძის ლექსთა პირველ კრებულზე, რომელიც „პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა 1881 წელს... სულ 98 ლექსი... მეორე ნაწილში მოსაკტევეი ლექსები იკრიბება ცოტა-ცოტად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან“, – წერდა ჟურნალი „თეატრი“, 1885 წლის მე-11 ნომერში. ალ. ჭავჭავაძის ამ წიგნის რეცენზია დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წელს N 8, და „დროებაში“ 1881 წ. N 225. პირველი რეცენზია ხელმოუწერელი იყო, ხოლო მეორე ეკუთნოდა ზაქარია ჭიჭინაძეს.

როგორც ცნობილმა, პოეტმა და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა შემდეგში გაარკვია ლექსების ამ პირველი კრებულის გამოცემაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული კულტურის ისეთი მოამაგენი, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი და პეტრე უმიკაშვილი. ილია ჭავჭავაძე თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ვიღებდი მონაწილეობას, შემდეგ თხზულებათა რედაქტორობასა და გამოცემაში: ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა, ლექსნი კ. ორბელიანისა და სხვ.“ (2.2,17). პეტრე უმიკაშვილიც მოგვითხრობს, თავის ავტობიოგრაფიაში: „1881 წელს ილია ჭავჭავაძის, გ. თუმანიშვილისა და ჩემი რედაქტორობით დაიბეჭდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, პირველი ნაწილი“ (2.52), (1.6.110).

როგორც ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის გამომცემლები იტყობინებოდნენ, ლექსები მათ შეაგროვეს ჟურნალ-გაზეთებიდან და აგრეთვე დავით ჩუბინაშვილის ქრესტომათიებიდან. „სამწუხაროდ ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ვერ ვიშოვეთ და იძულებული შევიქენით დაჯერებოდით დავით რექტორისა და სხვათა გადაწერილებს“. ისინი თხოვენ ქართულ საზოგადოებას, რომ თუ მათ მოეპოვებათ მწერლისეული ხელნაწერი ლექსებისა მიაწოდონ გამომცემლებს. ალ. ჭავჭავაძის ლექსებს მოუთმენლად ელოდა ქართველი მკითხველი. „ჩქარა დაიბეჭდება და გამოვა სრული კრება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა“ (2.1). წერდა ჟურნალი „ალმანახი“ 1878 წელს.

ი. ჭყონია, როცა ალ. ჭავჭავაძის ლექსს „სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს“ მდივანბეგ ჩოლოყაშვილს აკუთვნებს, რო-

გორც ჩანს, ითვალისწინებს და იზიარებს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს ცნობას. კერძოდ, სანკტ-პეტერბურგში, 1841 წელს, მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილსა და დავით ჩუბინაშვილის ღვაწლითა და ინიციატივით ქართულად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. წიგნს თან ერთვის მარი ბროსეს შესავალი წერილი, სადაც ავტორი წერს: „მეფე ირაკლი მეორის გინა გიორგი მეთერთმეტის დროს იყო ჩოლოყაშვილი ჯიმშერ ერისთავის-ძე დავით მღვიანბეგი მეფეთაგან პატივცემული, დიად მეცნიერი და უცხო პიიტიკოსი, რომელი პკონებდა ასე უნდა ეთქვაო ტარიელს ნესტან დარეჯანისათვის. სადა კსწერია „აწ რასაცა მე მალირსებ“, მის მაგივრად „სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ კმონებდეს“ (1.11,13). ილია ჭყონია, როცა ეკვს ქვეშ აყენებს აღ. ჭავჭავაძის მიერ ამ ლექსის შესაძლო ავტორობას, უდავოა გულისხმობდა ზემოდასახელებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობას. როგორც ჩანს, წერილის ავტორი არ იცნობდა 1841 წლის 21 ნოემბრით დათარიღებულ მარი ბროსესადმი გაგზავნილ პლატონ იოსელიანის წერილს, სადაც აღნიშნულია: „...ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა კარგად მოხდა და იყიდება კარგად. წინასიტყვეობაში მიღებული ორი კუპლეტი დავით მღვიანბეგის სახელით, არის ქმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან. ჩვენ ესრეთ ვიცნობდით და ამის დასამტკიცებლად ესეცა არის, რომ მეორე ხანა მისი არის ფრანციზულიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩვენა.“ (წერილი აღმოაჩინა იოსებ გრიშაშვილმა ლიტერატურის მუზეუმში, N 4797-5).

როგორც ირკვევა, მაშინდელი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა ეს წერილი, რადგან ი. ჭყონიას ზემოხსენებულ სატატიას თავის დროზე არავინ გამოეხმაურა. უფრო მეტიც, მოგვიანებითაც მარი ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის გავლენით ეს ლექსი დ. ჩოლოყაშვილის დაწერილად იქნა აღიარებული. მაგ. ცნობილი მკვლევარი აღ. ხახანაშვილი 1913 წელს წერდა: „...ჩოლოყაშვილმა დასწერა რომანსი: „სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომელ არ კმონებდეს“ (1.43,527). ამ მშვენიერმა ლექსმა თავისებური გავლენა მოახდინა ქართულ ზეპირსიტყვიერებაზეც. იგი ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. რუსულად თარგმნა ნიკოლოზ მზარეულევმა (1.48.176); ხოლო გერმანულად – არტურ ლაისტმა (1.49,28).

ილია ჭყონია სავსებით სამართლიანად მსჯელობს ერის მიერ საკუთარი ისტორიის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ. „ერის მეხსიერების“ – უძველესი ხელნაწერების შეგროვება და უსაფრთხო ადგილას დაცვა ქვეყნისთვის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. „როგორც ის ერი არ არის ღირსი ერთა-თანა შერაცხვისა, რომელიც არ ირკვევს და არ სწავლობს თავის ისტორიას, ისე ცალკე კერძო პირიც არ ჩაითვლება ღირსეულ კაცად. უკეთუ მას არ ეხალისება შეისწავლოს თავისი გვარის შთამოება და თავგადასავალი ძვირფასი მამულის ისტორიაში“ (2.27) წერდა მწერალი 1884 წელს.

აქვე ი. ჭყონია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მზადდება და მალე დაიბეჭდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ჩინებული გამოცემა „ეს ნაწარმოებები ძვირფას განძად შეეძინება ჩვენს აწმყო წიგნთსაცავსო“ (იქვე). მწერალს ღრმად აქვს შეგნებული მსოფლიოს ხალხთა ენებზე არსებული მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებების დროულად ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა. იგი ამ მხრივ თვითონაც აქტიურ შემოქმედებით-მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა. მაგრამ მწერალი ასევე დიდ აღფრთოვანებას გამოხატავს „ქართველთა ბიბლიის „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით. „დროების“ 1884 წლის N 174-ში იგი მიესალმება ახალგაზრდა რუსი გრაფის ი. ბობრინსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას.

ი. ჭყონიას საგანმანათლებლო საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა გასული საუკუნის 80-იან წლებში. 1883 წელს ქ. ქუთაისში მას ჩამოუყალიბებია უახლოესი სისტემის მანქანებით აღჭურვილი სტამბა და შეკვეთას 25%-ით უფრო იაფად ასრულებდა ვიდრე სხვები. აქვე თავად ლ. მაჭუტაძის სახლში მას დაუარსებია ბიბლიოთეკა, სადაც შესაძლებელი იყო ახალი წიგნების შეძენა-გამოწერა (2.25).

ი. ჭყონიას ოჯახი ქუთაისში პატარა ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდნენ, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ისე ჩვენი ერის გულშემატკივარი უცხოელი სტუმრები. განსაკუთრებული თბილი ურთიერთობა ოჯახს ჰქონდა ყველა ქართველისათვის სათაყვანებელ, ალბონის კუნძულის მშვენიერ ქალიშვილთან, მარჯორი უორდროპთან. შემონახულია წერილები, რომლებითაც ჩანს თუ რა გუ-

ლითადი მეგობრობა აკავშირებდათ ილია ჭყონიას მეუღლეს ანნეტა ჭყონიასა და მარჯორი უორდროპს. „ძვირფასო მეგობარო ანნეტა! მივიღე თქვენი კეთილი ბარათი. ბოდიშს ვიხდი რომ აქამდე ვერ მოგწერეთ. აქ დიდი ზამთარია... სურვილი მაქვს გაზაფხული მალე მოვიდეს აქ და საქართველოშიც. ...უგულითადესი მოკითხვა ჩვენ მაგიერ ძმ. ილია და მირიან და ყველა ნაცნობები და მეგობრები. სიყვარულით თქვენი მარად ერთგული მარჯორი უორდროპი“. წერილი ქერჩიდანაა გაგზავნილი 1896 წლის 23 სურწყუნისს, სადაც მარჯორი თავის ძმასთან, ოლივეერთან ერთად, იმყოფებოდა. ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ გაზაფხულზე თავის დედამითა და დედამიშვილებით ესტუმროს საქართველოს. ინგლისელ ქალიშვილს ეს ნატერა მართლაც აუსრულდა. „1896 წლის დასაწყისში გარდა სამსახურით გადატვირთულ ოლივეერისა, უორდროპების მთელი ოჯახი ყირიმიდან საქართველოში წამოსულან“ (1.28,170). ჭყონიებისა და უორდროპების მეგობრობა ბოლომდე გაგრძელდა, სანამ მუხანათმა სიკვდილმა მარადისობაში არ გადაიყვანა ქართველების მოჭირისუფლე ინგლისელი ქალიშვილი. „ამ ზაფხულს მეშინია, რომ ვერ მოვდივარ საქართველოში. ...ნეტა გნახოთ მომავალში!“ – წერდა ილია ჭყონიას მეუღლეს, ანნეტა ჭყონიას, 1909 წლის 31 მარტს მარჯორი უორდროპი, როცა ის და მისი ძმა პეტერბურგის ჰაერის მანებლობის გამო იძულებული შეიქმნენ რუმინეთში, ბუქარესტში, დასახლებულიყვნენ. მარჯორის ნატერა „ნეტა მომავალში გნახოთ“ სამწუხაროდ არ ახდა. იგი 24 ნოემბერს, მოულოდნელად გარდაიცვალა ბუქარესტში.

1895 წლის 28 მარტიდან ი. ჭყონიამ ქუთაისში გამოსცა ქვეყნისთვის უადრესად საჭირო ჟურნალი „მეურნე“, რომელსაც კქონდა საინტერესო რუბრიკები: მეურნეობის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ჰიგიენის, მრეწველობის, სტატისტიკის, საბეითლო და სხვ. ჟურნალი პოპულარული იყო და კარგადაც იყიდებოდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ ქუთაისში „მეურნის“ გამოცემის საქმე გართულდა. როგორც ირკვევა, რედაქტორს ურთიერთობა გაუფუჭდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამიტომ 1898 წელს იგი იძულებულია ჟურნალი დახუროს და სამუშაოდ თბილისში გადადის. თუმცა ი. ჭყონიამ ვერც თბილისში მოახერხა რაიმე სამსახურის შოვნა. ოჯახი საშინელ მატერიალურ კრიზისს განიცდიდა. ეს დასტურდება იმ გულისშემძვრელი თხოვნა-წერილიდან, რომელიც მან 1902 წლის 17 ივ-

ნისს გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. „დროებით გაჭირვებული მდგომარეობის გამო იძულებული ვარ ვითხოვო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას მასესხოს ერთი წლით 150 მანეთი, რაც საჭირო არის ჩემთვის, რომ ოჯახობით წავიდე ერევანს, სადაც საიმედო კაცისაგან აღქმული მაქვს ჯამაგირიანი ადგილი. ტფილისში სამი თვეა უსაქმოდ ვარ და ვერაფერი სამუშაო ვერ ვიშოვნე. ნათხოვნი თანხა აუცილებლად საჭიროა ჩემთვის სახლის ქირის, მეფურნის, ყასაბის და სხვათა გასასტუმრებლად“ (2.59, ფ.844, N6810).

წერილში ი. ჭყონია იმასაც აღნიშნავდა, რომ მან ფული ვერსად ვერ იშოვა, ამიტომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მისთვის ბოლო იმედი იყო. საბედნიეროდ, თუმცა სანახევროდ, მაგრამ მაინც დაკმაყოფილებული იქნა მწერლის თხოვნა. იმავე წლის 20 ივნისის ბარათში აღნიშნულია: „განიხილა რა თქვენი თხოვნა გამგეობამ თავის მორიგ სხდომაზე, დაადგინა: „მიეცეს ბ-ნ ი. ჭყონიას სესხად შვიდ თუმან ნახევარი სალიტერატურო ფონდის სარგებლიდან და მიერთვას ბარათი, რომ ეს ფული გადაგვიხადოს ერთი წლის განმავლობაში“.

ცხოვრება მრავალი მოულოდნელობითაა აღსავსე. მკაცრი სინამდვილე ნაადრევად აცამტკერებს ჭაბუკობის დროინდელ ოცნება-მისწრაფებებს. ილია ჭყონია ზემოხსენებული წერილის დაწერიდან 20 წლით ადრე საჯაროდ მოუწოდებდა ახალგაზრდობას, რამენაირად თავი აერიდებინათ ჩინოვნიკობისაგან. რადგან, მწერლის აზრით, ჩინოვნიკის კიტელი ახშობს პიროვნებას, ინდივიდს. ამ პრობლემის მთავარი საწუხარი მან თავისი წერილის სათაურში გამოიტანა „როგორ ავაცდინოთ ჩვენს ახალგაზრდობას ჩინოვნიკობა“ (2.18). მისი აზრით უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდობა რომ განათლებას ქართულად ღებულობდეს, მაშინ საჭირო აღარ იქნება უმაღლესდამთავრებული აუცილებლად ჩინოვნიკურ აპარატში შევიდეს სამუშაოდ. დღეს კი სხვა გამოსავალი არ არის: „რა უნდა ქნას ყმაწვილმა კაცმან რაც უნდა გულის სიწრფელით ძაგდეს ჩინოვნიკობა, როდესაც ამ უბედურებას ზედ-ერთის ხეწნა მშობელთა და მახლობელთა, რომლებიც ევედრებიან მას „შემოსავლიანი ადგილის“ შოვნას ე. ი. სამსახურში შესვლას და ჩინოვნიკათ გახდომას, გინდის ადგილი პოლტაეაშიც იყო?“ (2.18).

ამ სტატიის დაწერიდან ორი ათეული წლის გასვლის შემდეგ ი. ჭყონია, მსგავსი პრობლემის წინაშე თავად აღმოჩნდა. მანაც ვერ შეძლო თავი აერიდებინა ჩინოვნიკის მუნდირისთვის. უფრო მეტიც, მან ამ მუნდირის საქართველოში ჩაცმაც ვერ მოახერხა და იძულებულია სამუშაოდ ერევნის გუბერნიაში გადავიდეს. ერევანი, კერძოდ ქ. ალექსანდრეპოლი გახდა „მისი პოლტავა“, სადაც იგი განამწესეს მომრიგებელ შუამავლად. ამ დროიდან მოყოლებული 1915 წლამდე ი. ჭყონია ერევნისა და თბილისის გუბერნიების განაპირა, მივარდნილ მხარეებში ასრულებს ამ მძიმე მოვალეობას. იგი უჩივის თავის ხვედრს, ენატრება საქართველო, მაგრამ, რადგანაც მან თავის სამშობლოში ვერ იშოვა სამსახური, იძულებულია შეურიგდეს მწარე რეალობას. საქართველოდან იძულებით წასვლის შემდეგ ი. ჭყონია დაუახლოვდა ცნობილ ქართველ პოეტს დიმიტრი ხოშტარიას (დუტუ მგრელს), რომელიც ერევანში გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობდა. დუტუ მგრელისა და ი. ჭყონიას მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ლიტერატურის ფრონტზე ისინი ერთმანეთის შემოქმედებას ყოველგვარი მიდგომისა და მიკერძოების გარეშე განიხილავდნენ, უფრო მეტიც: ორი მამულიშვილი, როგორც ჩანს, გამომდინარე იმ პრინციპიდან „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებენ ერთმანეთს. მაგ., როცა ი. ჭყონიამ გამოაქვეყნა თავისი ნოველა „უტუ ხუნცურავა“ (2.65). დუტუ მგრელმა სასტიკად გააკრიტიკა იგი (2.51).

მიუხედავად ასეთი ლიტერატურული პაექრობისა ი. ჭყონიასა და დუტუ მგრელს სულიერი მეგობრობა აკავშირებდათ. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაცული მათი მიწერ-მოწერა. როგორც წერილებიდან ჩანს, მიუხედავად ერთგული, მუყაითი სამსახურისა, გუბერნატორი მაინც შემოსწყრომია ი. ჭყონიას. ეს უკანასკნელი სთხოვს დუტუ მგრელს, ეგებ რამენაირად მოუხერხოს აუდიენცია გუბერნატორთან, რათა მას მაინც დაუმტკიცოს თავისი სიმართლე. მწერალი ჩინოვნიკის გაძალღებულ სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს. „მომსახურე და გამომიტხოვე, რომ მანდ დარაჩინაგში ერთი საათის აუდიენცია დამინიშნოს, თორემ დღეიდან ველარაფერს გავაკეთებ ისე დამენადრა გული, იძულებული ვიქნები გავექცე ისეთ საქმეს,

რომლის ასრულებას არც ერთგულება შველის, არც მუყაითობა და არც საქმის ცოდნა. კაცმა თავლაში იცხოვროს, ნეხვზე გაკეთებული საჭმელი ჭამოს, დღე რწყილმა გჭამოს და ღამე ქინქლმა და კიდევ პირაქეთ გაყვედრიდენ? ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს“ (2.34, ფ.6302-6). ასეთ გულისშემძვრელ წერილს წერს ი. ჭყონია 1904 წლის 12 ივლისს იგდირიდან ღიმიტრი ხოშტარიას. ამავე წლის 23 აგვისტოს ისევ ახალ წერილს აახლებს თავის მეგობარს, რომელშიც ისევ გუბერნატორთან შეხვედრის მოწყობას სთხოვს. თუ როგორ უყურებდა წერილის ავტორი თავის ჩინოვნიკურ მოღვაწეობას, სამსახურის შესაძლო დაკარგვას, კარგად ჩანს ნაწერის ერთ ეპიზოდში. „დროზე შემატყობინე ჩემი ნივთიერი უბედურება და ზნეობრივი დიდი ბედნიერება, რომ თადარიგი დავიჭირო. ასე ჩემო ღიმიტრი, შენ იცი როგორ ძმურად დამიფაცურდები და არ მიაქცევ ყურადღებას იმას, რომ შენ უფროსი ხარ და მე ხელქვეშე“ (2.34, ფ.6302-6).

ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ბედი, მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მნიშვნელოვან პერიოდში რომ მძიმე იყო, ეს ცნობილი ფაქტია. ამის კლასიკური გამოხატულებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ქ. ნახიჩევანიდან გაგზავნილი ბარათები. ღიმიტრი ხოშტარიაც – ეს ფრიალ საინტერესო მწერალიც იძულებული იყო თავის შემოქმედებით აქტიურობითა და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე წლები ერევნის გუბერნიაში ჩინოვნიკად გაეტარებინა. ღირსეული შეილების იძულებითი „გადაფრენა“ მამულიდან და მოხელის სკამისადმი მათი დამოკიდებულება ი. ჭყონიამ შთამბეჭდავად ჩამოძერწა ფრაზაში, როცა ის ამ სკამის დაკარგვის შესახებ ამბობს. „ნივთიერი უბედურება და ზნეობრივი დიდი ბედნიერება“ (2.34, ფ. 6302-6).

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, შეუჩვეველი ჰავა და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ნაადრევად აძაბუნებდა ადამიანს. მწერლის მეუღლე მძიმედ დაავადებულა. ისევ ღიმიტრი ხოშტარიას სთხოვს წერილით უშუამდგომლოს გუბერნატორთან, რათა გადაიყვანოს მომრიგებელ შუამავლად უფრო მივარდნილ მხარეში, ოღონდ კი ის ადგილი მთა ან ზეგანი იყოსო. რადგან მწერლის მეუღლე ბარის კლიმატს ვეღარ იტანდა. „ამიტომაც მინდა გუბერნატორს ვთხოვო სადმე ზეგანში გადამიყვანოს–ტალინში, ქუმიშკენტში, ანუ ახალ ბაიაზეთში. როგორც მესმის ამ

ადგილის შუამავლები თვით ეძებენ შემთხვევას ადგილის გამოსაცვლელად“,- წერდა მეგობარს 1907 წლის 23 ივნისს ილია ჭყონია (2.34, ფ.6300-6).

სამშობლოს დაშორებული მწერალი ცდილობს არ ჩამორჩეს თავის მამულში მიმდინარე კულტურულ და საზოგადოებრივ საქმეებს. 1908 წლის 1 დეკემბერს ქ. ალექსანდრეპოლიდან ის წერილით მიესალმა დიდი აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს, „სულმანათო, იცოცხლე ჩვენს შორის შენი ნატერის ასრულებამდე, დროთა სრბოლაში უკვდავი ნიჭის ნათესით. შენი ნიჭის თავყვანისმცემელი ილია ჭყონია“ (2.66.608).

მწერალი ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობს ქართულ პრესასთან. უგზავნის მათ საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება. შემოქმედებით გმირობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1910 წელს ი. ჭყონიამ გამოაქვეყნა ლექსიკონი (რომელზედაც ზემოთ გვეყონდა საუბარი და რომელიც ნ. მარმა და მ. ჯანაშვილმა მოიწონეს), ხოლო 1913 წელს მწერალმა მოახერხა თავისი ნაწერების საკმაოდ სრული კრებულის გამოცემა. მაშინ, როცა ის იძულებულია მამულისაგან შორს „თავლაში იცხოვროს და ნეხვზე გაკეთებული საჭმელი ჭამოს“ ამ დროს წერს თავის მოთხრობებს, რომლის ავტორი აკაკიმ მოპასვანს შეადარა. „ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ ასე გაჭირებული, ნივთიერადაც კი, როგორც ახლა ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურებას: ორი წელიწადია ორ ოჯახობათ ვცხოვრობ, ხარჯი ერთ ათად მომემატა...“ (2.34, ფ. 6304-6) – წერს 1913 წლის 18 აგვისტოს ი. ჭყონია დუტუ მეგრელს და სთხოვს, რომ ზაქათალის ოლქში მომრიგებელი შუამავლის „3 ვაკანსია“ გაჩნდა, და ეგებ როგორმე მოუხერხოს, რომ იქ გადაიყვანონ სამუშაოდ. მწერალს იზიდავს ეს უძველესი ქართული მხარე თავისი ისტორიითა და ენით. „პატარა ქართველის“ ავტორი ისევ ერთგულად, ძმასავით დაეხმარა მეგობარს. იგი რჩევა-დარიგებას აძლევს მას, თუ როგორ იმოქმედოს „როგორც შეგიძლია გააკეთე საქმე, შენ იცი. შენი დუტუ მეგრელი“ (2.34, ფ. 6304-6).

1915 წლის 2 ნოემბერს დუტუ მეგრელისადმი ქ. სიღნაღიდან გაგზავნილი წერილით ირკვევა, რომ ი. ჭყონიას თავისი უღალატო მეგობრის დახმარებით მართლაც მიულწევია, რომ საქართველოში გადმოეყვანათ. იგი ქ. სიღნაღშია, ხელმძღვანელობს გლეხთა III განყოფილებას, ომში

წასული მომრიგებელ-შუამავალ, ნიკო ნაცვალაოვის მაგიერ. მწერალი, როგორც თვითონ აღნიშნავს, სამსახურებრივი საქმეებით ძლიერ დატვირთული ყოფილა „ორჯერ ვითხოვე გავეთავისუფლებინე ამ განყოფილებისაგან, მარა უარი მითხრეს, – შემოქმედი აღფრთოვანებულია აქაური ბუნებით. – ვისაც სიღნაღიდან ან ნუკრიანიდან არ გადაუხედავს ალაზნის ველზე, ის ნუ იტყვის ქვეყნის მშვენიერების რამე გამეგება. მხოლოდ ერთი ადგილიდან გადასახედი სჯობს აქედან გადასახედს – ჯუმათის მთა“ (2.34, ფ. 6297-6).

ამ მშვენიერი ბუნებით მოხიბლულ მამულიშვილს არ აეიწყებდა, რომ ამ ულამაზესი კუთხის მკვიდრნი, „ზაქათალის ოლქის“ ინგილონი მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან. საჭიროა აქ სასწრაფოდ გაიხსნას ქართული სკოლა. „შარშან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას ვთხოვე სკოლა გაეხსნა კაკში, ინგილოთა მთავარ სოფელში, მარა პასუხიც ვერ მივიღე. არსად არ არის ქართული სკოლა ისე საჭირო, როგორც აქ. გარეთ გასული ინგილო შინ დარჩენილ ძმას წერილს რუსულათ წერს“ (2.34, ფ. 6297-6). მწერალი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ეს მხარე სამწუხაროდ ქართული ინტელიგენციის მხრიდან უფრო დიდ ყურადღებას საჭიროებს, რადგან ენობრივი გადაგვარება აქ სახეზეა. „როცა ინგილოს გრძნობით უნდა რამე თქვას იტყვის თათრულად“. ი. ჭყონია ყველას ევედრება, მოხელონ ამ მხარეს. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი საინგილოს, მკვიდრ ცნობილ მკვლევარ, მოსე ჯანაშვილისადმი: „ჩემი აქ ცხოვრება ერთი რამ წარმოუდგენელი ტანჯვაა. ერთობ დაჩაგრულია ხალხი, რომლის ქომაგობამ ბევრი გადამკიდა. მტერი უტვინო, მფრთხალი და უსვენდისო. მათ მფარველობას უწევს აქაური ჩინოვნიკობაც. ... ფარულად შენი ძმა გაბრიელიც (შემდეგ ჩამოთვლილია სხვა გვარებიც ლ. დ.) ყოველ კვირა დანოსებს გზავნიან ჩემზე, იმის გამო, რომ მე კანონისამებრ ხარჯი გავეწერე ქონებისდაგვარ, მომჩინებებს კი უნდათ ნაიბების დროინდელი წესით კვლავ ღარიბებსა და მდიდრებს ერთნაირათ თანასწორათ გავაწესო! ცის მანანასავით მოველი კოტესა და შენს აქ ჩამოსვლას. ეგებ დამხმარებოდით, მარა, როგორც ვხედავ კაკში თქვენს ნახვას ვერ მოვესწრები“. (2.34, ფ. 22192-6).

ჩვენ გვაოცებს მწერლის შემართება, უშუალობა და გაბედულება. ერთი კაცი – უბრალო მომრიგებელი შუამავალი, წლებით საკმაოდ დამძიმებული, უშიშრად წინ აღუდგა „საინგილოს ოლქის“ ჩინოვნიკობასა და შეძლებულ ზედაფენას. მწერალს გული სწყდება ქართული მოწინავე საზოგადოების ინდიფერენტობაზე ამ მხარის მიმართ. გულნატკენ მამულიშვილს ერთ-ერთი პატარა წერილის არშიაზე გულისტკივილით მიუწერია „მცირე შენიშვნა მ. ჯანაშვილის „ინგილოთა ჭირისუფლობის გამო“: ა) ცნობა მისი (მ. ჯანაშვილის) კაკში არ ყოფნისა 20 უკანასკნელი წლის „განმავლობაში მომცა მისმა ძმამ გაბრიელ ჯანაშვილმა“ (2.34, ფ. 20180-6). მკითხველისთვის იოლია ამოიცნოს შენიშვნის დამწერის გულისწყვეტა. როცა ამ კუთხეში დაბადებული და გაზრდილი გამოჩენილი კაცი ვერ ხედავს სათანადოდ თავის მხარეს, სხვების გულგრილობა რაღა გასაკვირიაო.

ი. ჭყონიას ინტერესების სფეროები ფრიად მრავალფეროვანია. მას აინტერესებს ეთნოგრაფია, ისტორიოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ენის წარმომავლობის პრობლემები; მაგრამ ყველაზე უფრო თანმიმდევარი ეროვნული უფლებების დაცვისა და განმტკიცების პრობლემების გაშუქების დროსაა. ის განსაკუთრებით ფხიზლობს და ფრთხილობს, როცა საქმე ერის ყველაზე მნიშვნელოვან საუნჯეს ენასა და მიწას შეეხება. მწერალმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მიუთითა იმ საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა აფხაზეთსა და ახლად შემოერთებულ აჭარაში რუსეთის იმპერიის წინასწარ გამიზნულ დივერსიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ (2.40), (2.14).

სიღნაღიდან 1915 წელს დიმიტრო ზოშტარიასადმი გაგზავნილ ზემოდასახელებულ წერილში ერთგან აეტორი წერს: „აქაურმა შეძლებულმა ქართველებმა ოთხი კაცის თაოსნობით (ექიმი თ-დი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯანდიერი და სხვ.) მთხოვეს გაეუგო გრაფ ტრზენგაუზენისაგან თუ შეელება თავის სანიორის მამულს და რა ფასში. დიდად სასურველია, რომ მაგ მამული გადავიდეს ისევ ქართველების ხელში და არა ვინმე უცხოელისაში. იმედია ამ საქმეს თავს შეიძებ საგვარტომო სარგებლობისათვის.“ (2.34, ფ. 6297-6) მწერლის არქივში ჩვენ მოვიპოვეთ მასალა, რომელიც 1903 წლით თარიღდება, რვეულის არშიაზე ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობით გულდამძიმებულ მამულიშვილს მიუწერია „ზოგიერთ რე-

დაქციას ხელობად გაუხდია ჩვენი მიწების სხვისთვის მიყიდვა. აიღეთ, რომელიც გნებავთ N-ი ამ გამოცემისა თუ შიგ არ ნახოთ განცხადება „ისყიდება ამ და ამ ქართველის მამული და დაწერილებით პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე რედაქციაში“. იცოდეთ გამყვიდელი თუ ჩვენებურია, მყიდველი ამ შავ ბედით დროში, არასოდეს ჩვენებური არ იქნება“ (2.34, ფ. 10206-10207). ჩვენ გვაოცებს ამ წერილის ავტორის ამოუწურავი სიმბხე და სიცოცხლისუნარიანობა. ეს ის კაცია, რომელიც ამავე წერილში მძიმე ყოველდღიური შრომისაგან ქანცმიღებული წერს: „ცხრა თვეა რაც ნაცვალოვის მაგიერ ვმუშაობ აქ და ვიწყველი დაბადების დღეს“ (წერილი დიმიტრი ხომტარიასადმი) ...ხოლო უფრო ადრე მოსე ჯანაშვილისადმი გაგზავნილ წერილში: „ჩემი აქ ცხოვრება ერთი რამ წარმოუდგენელი ტანჯვაა“. დიახ, ი. ჭყონიას, როცა საქმე მამულის ვალების გადახდაზე მიდგება, ყველაფერი ავიწყდება. დალილობაც, მტანჯველი სამსახური, „თავლაში ცხოვრება და ნებზე გაკეთებული საჭმელის ჭამა“. ქვეყნის საჭიროებისადმი ქედის შეშველება, არა მარტო თავის უპირველეს ამქვეყნიურ დანიშნულებად მიიჩნია, არამედ სხვებსაც მოუწოდებს და აგულიანებს ანალოგიური ქმედებისაკენ.

საბედნიეროდ, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ბევრი ქართველი არა მარტო ფიქრობდა ი. ჭყონიას მსაგსად, არამედ ამ ფიქრის შესაბამისად მოქმედებდნენ კიდევ. მაგ., დავით ღამბაშიძეს ინგლისელ წარმომადგენლობასთან ერთად დაუარსებია ერთობლივი ფირმა, რომელიც ამიერკავკასიის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და საუკეთესო თესლით ამარაგებდა. ი. ჭყონიას არქივში აღმოჩნდა ამ ორი ღირსეული მამულიშვილის ურთიერთმიმოწერა (2.34, ფ. 10267-6). დავით ღამბაშიძეს ი. ჭყონიასათვის, რომელიც ამ დროს საინგილოში სოფ. კახში მოღვაწეობს, დაუვალდება ამ რეგიონში თავისი ფირმის წარმომადგენლობა. 1914 წლის 20 მაისს, ი. ჭყონიასადმი გაგზავნილ წერილში, დ. ღამბაშიძე წერს: „ჩვენი ფირმის მთავარი მიზანი დიდი მოგების გაკეთება კი არ არის, არამედ ჩვენი დაბეჩავებული ქვეყნის ეკონომიურად გამძლავრება. ამ საქმეში თქვენ რა თქმა უნდა სრული თანაგრძნობით მოგვექცევით. იმ შემთხვევაში კი, როცა არაქართველ მყიდველთან გვექნება საქმე ჩვენ ნებას გაძლევთ ჩვენ ფასებს თქვენი გასამჯელოც წაუმატოთ, რადგან არც სურვილი და არც მისწრაფება არა გვაქვს მფარველობა გაუწიოთ იმ

ერებს, რომლებიც დღეს ჩვენ სამშობლო ტერიტორიას ეპატრონებიან და ჩვენი ხალხი საყვლეფ ობიექტათ გაუხდიათ“. (2.34, ფ. 10237-6)

ი. ჭყონიას ღრმად აქვს გააზრებული თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ხალხისთვის სამკვიდრო მიწის შენარჩუნებას. მართლაც უმიწო ადამიანი, რაც არ უნდა მდიდარი იყოს იგი ფულით, ემსგავსება დაგირავებულ ჭერქვეშ მცხოვრებ კაცს, რომელსაც სახლის პატრონი გაბრაზების შემთხვევაში, უზარმაზარი ანაზღაურების შეძლების დროსაც კი ქუჩაში გამოადგებს იგი ჰგავს გემის მფლობელს, რომელსაც არ აქავს საზღვაო ან სამდინარო წყლები. „ყოველგან და ნამეტურ ჩვენში, მიწა-წყალს აქვს უდიდესი და უპირატესი მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში“ (2.5), – წერდა იგი 1879 წელს.

საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, ძნელბედობის ჟამს, რადგანაც ვერ ახერხებდნენ ქართველი კაცის მეომრული სამტკიცის გატეხვას, მტერი მის დამარცხებას ანთოსივით მშობლიური მიწისგან მოწყვეტით ცდილობდა (გაიხსენეთ თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის გადასახლებები ლ. დ.). მე-19 და მე-20 საუკუნეებში რუსეთის იმპერია საქართველოს მიმართ ანალოგიურ ტაქტიკას მიმართავდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს პროცესი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მტკივნეული შეიქმნა, რადგანაც ხელოვნურად ინსპირირებულმა სოციალ-დემოკრატთა ყალბმა ინტერნაციონალიზმმა, ქართული მიწის გასხვისების საქმეს პრაქტიკულად და თეორიულად მხარი დაუჭირა. ამის შესახებ გულისტკივილით წერდა ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი. „ჩვენს სოციალ-დემოკრატებს რეზოლუცია დაუდგენიათ – საქართველოში სხვა ერების გადმოსახლების წინააღმდეგი არა გვაქვ-რავო! სადამდის მივა უკულტურო ადამიანის „ინტერნაციონალიზმი“-მეთქი ...ჩვენში მიწის საკითხი განა მარტო აგრალული საკითხია? იგი ღრმა პოლიტიკური საკითხია, ქართველი ხალხი თუ ტერიტორიას შეირჩენს, ვერავინაც ვერას დააკლებს, თუ დაჰკარგავს იგი მოკვდება.“ (1.38,23).

ი. ჭყონია თავიდანვე უარყოფითად ეკიდებოდა საქართველოს დაყოფას პარტიებად და დასებად, მაგრამ, რადგანაც ასეთი დაყოფა უკვე გასული საუკუნის 80-იან წლებში მწარე რეალობა იყო, ეროვნული ინტერესების მოწინააღმდეგეთა ბანაკს იგი ზედგამოჭრილი სახელით მოიხსენიებს – „მოუკულმართეთა დასი“.

პირველ მსოფლიო ომს, რომელმაც ასე დაამძიმა ცხოვრება და რომელმაც კიდევ უფრო გაამძაფრა ადამიანებს შორის ურთიერთობა მალე უარესი კატაკლიზმები მოჰყვა. 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა რუსეთის იმპერია დაანგრია. დაჩქარდა ი. ჭყონიას დიდი ხნის ნატურა – თავი დაენებებინა მომრიგებელ შუამავლის თანამდებობისათვის. 1917 წლიდან ის უკვე თბილისშია. მწერალი აქტიურად ჩაება ომებითა და რევოლუციებით უცნაურად აღგზნებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავე წლის სექტემბერში ა. სონლულაშვილთან ერთად მან დააარსა და გამოცა გაზეთი „სიმართლის გზა“ (საერო ცხოვრებისა და მწერლობის დღიური). სამწუხაროდ, სექტემბრის თვეში გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა და უქალაქობის გამო მისი გამოცემა შეწყდა. გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები გვხიბლავს ავტორთა ფართო განათლებითა და ინტელექტით.

ი. ჭყონია უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. მწერლის ხელნაწერები დაღადავენ, თუ როდენ იმედიანად უყურებს ქვეყნის მომავალს. ამ მხრივ საინტერესოა ლიტერატურის მუზეუმში დაცული მწერლის გამოუქვეყნებელი, უარესად საინტერესო წერილი „დღეს ქართული მწერლობის უქმეა“ (2.34, ფ. 10173-10183). იგი სამი ხელნაწერი ფურცლისაგან შედგება და წარმოადგენს მშვენიერ პირველწყაროს ქართული ინტელიგენციის მაშინდელი განწყობილების გასარკვევად. წერილი, ჩვენი აზრით, როგორც ჩანს, 1920 წელს დაიწერა, რადგან იგი ეძღვნება ქართველ მწერლთა პირველ დღესასწაულს – „პოეზიის დღეს“, რომელიც პირველად 1920 წლის 7 მაისს აღინიშნა. „ეს პირველად არის, რომ საქართველოში განსაკუთრებული დღე ინიშნება ქართული მწერლობის აღსანიშნავად. და ეს არცაა გასაკვირი. მწერლობა ერის ცხოვრების სარკეა. და რამდენადაც ხალხი უფრო შეგნებულია, იმდენად უფრო პატივს სცემს თავისი გონებრივსა და ზნეობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელ სარკეს – მწერლობას. და როდის ჰქონდა ქართველ ხალხს თავისი სიღრმესა და გულში ისე შეგნებული თავისი ერთობა და ძალა, როგორც დღეს 117 წლის მონობის შემდეგ. მისმა დემოკრატიამ სცნო თავისი თავი“. შემდეგ ი. ჭყონია მიმოიხილავს საქართველოს მწერლობის ისტორიას და სიამაყით

აღნიშნავს, რომ იგი ყველა ეპოქასა და საუკუნეში „ყოფილა დამოუკიდებელი და მოწინავე დარგი ქართველი ხალხის ცხოვრებისა“. მისი აზრით, ქართველი კაცი მწერლობის უდიდესი დამფასებელია. იგი აღნიშნავს, რომ „ილია ჭავჭავაძისგან გამიგონია ერთი ქართული ლეგენდა, რომელშიც ნათქვამია: როცა ქართველები და სპარსელები დიდი ომის შემდეგ დაზავდნენ სპარსელებს ყურანზე დაუფიციათ, ხოლო ქართველებისთვის უთქვამთ: თქვენ სახარებაზე ნუკი დაიფიცებთ, „ვეფხისტყაოსანი“ რომ გაქვთ, იმაზე დაიფიცეთო. „რუსთაველისა“ და მისი ეპოქის შემდეგ საქ-ოს, როგორც ერთ მთლიან ერთეულს არ გაუხარია. XVII საუკუნეში, როცა საქართველომ აღმოსავლეთისაგან შეიწროებულმა ამჟამად დააკაკუნა დასავლეთ ევროპის კარები და იძულებული გახდა დაკავშირებოდა რუსეთს; და რუსეთმა დაარღვია პირობა კავშირისა და დაიმონა საქართველო, სადაც არ მისცა ცხოვრების ნება მაშინდელ ქართველ ინტელიგენციას... რუსეთის იმპერიალიზმმა შეძლო მოესპო პოლიტიკური თავისუფლება საქართველოსი, მაგრამ ვერ შეძლო მოესპო მისი კულტურა და მწერლობა. თუ რა ფასდაუღებელი იყო და არის მწერლობა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის, ამის გასაშუქებლად გეტყვით ერთ ნამდვილ ამბავს, რაც 1893 წელს მოხდა თბილისში „სასტუმრო ლონდონში“, სადაც სადილობდნენ ერთი განათლებული ინგლისელი და ერთიც რუსი, მასწავლებელი რუსული მწერლობისა გიმნაზიაში. საუბრის დროს რუსმა სხვათა შორის ჰკითხა ინგლისელს: ერთი გვასწავლეთ თქვენ ინგლისელებმა, ჩვენ რუსებს, როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს უცხო თესლის ხალხები ისე მოწინებით გვეპყრობოდნენ ჩვენ რუსებს, როგორც მოწინებითაც გვეპყრობიან თქვენ, თქვენი სახელმწიფოს უცხო თესლის ხალხი. ინდოეთის მეფეებიც კი მოწინებით ფეხზე დგანან ყოველი ინგლისელის წინაშე, და აქ კი ყველა ქართველს ჩვენს ტოლათ მოაქვს თავი, ხელს გვაწვდის და გვერდით გვიჯდება. – ეს კულტურის საქმეაო მიუგო ინგლისელმა. ინდოელი რომ შეადარებს ჩვენს შექსპირს თავის სამშობლოს რომელიმე თუნდ საუკეთესო მწერალსაც კი რასაკვირველია მოწინებით მოგვეპყრობა ჩვენ. თქვენ კი რა კულტურული უპირატესობა გაქვთ ქართველებთან. რა შეგიძლიათ წინ დაუყენოთ მათ „ვეფხისტყაოსანს“ „Слово о полку Игореве“ (2.34, ფ. 10173-10183) და მათი

შედარების შემდეგ როგორ გინდა ქართველი მოწიწებას გრძნობდეს თქვენ წინაშე“. ეს ვრცელი ამონაწერი კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინს ი. ჭყონიას ეროვნულ და მსოფხედველობრივ კრედოს, რომელსაც ტრანსფორმაცია არასოდეს განუცდია. რადგანაც ჭეშმარიტება ერთია – სამშობლოს სიყვარული შეუცუელელია. „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“ (რ. ერისთავი). „კარგი რამ არის მამულის სიყვარული“, – წერდა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი.

როგორც ირკვევა, ი. ჭყონია აქტიურად ჩაბმულა დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობით საქმიანობაში. დამოუკიდებელ ქვეყანას სულიერად და ხორციელად ჯანმრთელი ახალგაზრდობა სჭირდებოდა. მწერალი ორივე საქმეს ერთნაირი შთაგონებით მსახურებდა. თავისი კალმით ზნეობრივ სიმტკიცესა და სისპეტაკეს განამტკიცებდა, ხოლო პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის სამსახურშია. იგი აურჩევიათ ქუთაისის სპორტული საზოგადოების – „შევარდენის“ თავჯდომარის ამხანაგად. მწერლის თანამედროვე საზოგადოება პატივს მიაგებს მას და ეიმედება იგი. „საყვარელო ძმაო ილია! ქუთაისის ტანსაყარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ ერთი ჯგუფი ეგებება რა 1921 წელს, განსაკუთრებული იმედით შეცქერის საყვარელი სამშობლოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრწყინვალე მომავალს და მასთანვე თავის ლამაზ და მშენიერ „შევარდენის“ გაფუჩქენას და აყვავებას, რომელიც თავისუფალი საქართველოს აღორძინების ტალღებში იშვა. ამასთანვე ეს ჯგუფი მოგესალმება ქუთაისის „შევარდენის“ თავჯდომარის ამხანაგს, როგორც შევარდენის ერთ უერთგულეს მეგობარს და მოგილოცავს ახალ 1921 წელს.“ (2.34, ფ. 10225-6).

ღიახ, ქართველთა შეგნებული ნაწილი იმედით შეჰყურებდა თავისი მამულის მომავალს. ზემოხსენებულ წერილს მაშინდელი უგანათლებულესი საზოგადოება: ექიმები, იურისტები და მასწავლებლები აწერენ ხელს. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა მათი ბედნიერება. იმ მოლოცვილ „იმედიან წელს“, სატანამ იზეიმა გამარჯვება. ქვეყანამ ისევ დაკარგა თავისუფლება. ქართული საზოგადოება დამბლადაცემულივით აგონიაშია. სასტიკად იმედგაცრუებულია მწერალიც. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ბევრი დოკუმენტური მასალა, რომელიც ფართოდ წარმოაჩინ-

და ი. ჭყონიას იმდროინდელ განწყობილებას, კერძოდ, თუ როგორ განიცდიდა მწერალი საყვარელი სამშობლოს მიერ სანუკვარი თავისუფლების დაკარგვას. სამაგიეროდ, მწერლის არქივში, საყოფაცხოვრებო ანგარიშების პატარა გაყვითლებული წიგნაკის არშიებზე, შემორჩენილია ფანქრით მიწერილი რამდენიმე ცნობა, რომელიც დათარიღებულია 1922 წლის ოქტომბრით. მინაწერი თავის მცირე მოცულობის მიუხედავად პიროვნების განწყობილებასა და ქვეყნის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას უზუსტესი სრულყოფილებით წარმოაჩენს. „მშია, მწყურია, და მცივა ყველაფერს ავიტან ან გავუძლებ მარა გული მაინც მტკივა, რადგან ჩემ ხალხს ვერ ვაღვიძებ“ (2.34. ფ.10259-6). იქვე „მივიღე 1922 წლის ეკენისთვეში 1) ბათინკები, 2) პირსახოცი, 3) ცხვირსახოცი, 4) ნიფხავი ოქტომბერში, 5) ზეწარი, 6) ბალიშის პირი, 7) ნიფხავი, 8) პერანგი.“ იმდროინდელი საზოგადოების დაცემა და დეპრესია, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა შეუგინეს მოხდენილად გამოხატა გალაკტიონმა ლექსის ერთ ფრაზაში „ცხოვრება გაცუდა ვით ძველი გროში, არარაობად იქცა სოფელი, არ გაგიკვირდეს, რომ ასეთ ღროში მცირე ბედითაც ვარ კმაყოფილი.“ როგორი „კმაყოფილიც“ იყო მაშინდელი ქართველობა, ეს ი. ჭყონიას მინაწერიდანაც კარგად ჩანს, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანდა „გზა ხსნისა“, ამიტომ თავმოყვარე მწერალი იძულებულია მიიღოს მათხოვრის არმალანი – პირსახოცი და საცელები.

1921 წლის ამბების შემდეგაც ილია ჭყონია ცდილობს თავი დააღწიოს დეპრესიას, შეუდგეს აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ ამ პერიოდის მოყოლებული უხალისობა და ნაძალადევი ტონი ეტყობა მის ნაწერებს. თითქმის საერთოდ წყდება წერილები მეგობრებისა და რედაქციების მიმართ. მწერალი გარეგნულად ინარჩუნებს აქტიური შემოქმედის პოზას, მაგრამ ეტყობა, რომ მის ნაწერებს უკვე აღარ მოსდევს აზარტი და შინაგანი სიხალისე. 20-იან წლებში იგი ნ. ლორთქიფანიძის ლიტერატურულ ჯგუფშია. დ. შულიაშვილი წერდა: „ქუთაისში 1921-24 წლებში არსებობდა მწერალთა დიდი ორგანიზაცია, რომლის წევრები იყვნენ: ს. ხუნდაძე, ი. ჭყონია, ნ. ლორთქიფანიძე, ს. ცირეკიძე, ვ. გორგაძე, ვ. გაფრინდაშვილი და სხვები. ეს ორგანიზაცია სცემდა ჟურნალ „უქიპერიონს“ (2.55), (იხ. გაზეთი „კომუნისტი“ 1990 წ. N 151 დ. შულიაშვილი – „ილია ჩიანელი“).

მართლაც, ი. ჭყონია „უქიპერიონის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. ჟურნალში უაღრესად საინტერესო წერილებია დაბეჭდილი გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის, „პოეზიის დღისა“ და ქართული ფუტურის-ტების შემოქმედების შესახებ.

1921 წელს ქუთაისში ნ. ლორთქიფანიძის თაოსნობით გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ გამოცემული ჟურნალი „კრებული“. მის პირველ ნომერში დაიბეჭდა ი. ჭყონიას საინტერესო მოთხრობა – „არკაცი“, რომელიც, სამწუხაროდ, დასრულებული არაა. თუმცა ნაწარმოების ბოლოში მითითებულია, რომ გაგრძელება იქნებაო. მწერლის არქივში მართლა აღმოჩნდა ამ მოთხრობის გაგრძელება, რომელიც სულ 58 ხელნაწერ ფურცელს მოიცავს, მაგრამ დასრულებული არც ესაა. დიახ, მართლაც ეტყობა მწერლის ბოლოდროინდელ ნაწერებს შემოქმედებითი უხალისობა, რაც, ჩვენი აზრით, ისევ და ისევ მამულის თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული დეპრესიის შედეგი უნდა იყოს. დაუსრულებელ მოთხრობაში გაკიცხულია მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის ინდიფერენტიზმი. გამოთქმულია პროტესტი რუსული იმპერიის მუხანათობაზე. „ჩემი ძველი ბატონი ტახტის აზნაურად ითვლებოდა, სანამ ტახტი თავზე არ გადაგვამსხვრიეს რუსებმა“ (მალაქიას სიტყვა). თხზულებაში წარმოჩენილია ლოთი რუსი მოხელე, რომელიც „სარევიზიოდაა“ ჩამოსული და თვითონ ველური შემდეგი მოსაზრებისა ქართველობაზე: „ჩვენ კაცს ერთი ქეციანი თავისიანი ურჩევნია ათ თქვენებურ დარბაისელს“ (2.34, ფ.10119-6).

„არკაცის“ შემდეგ ი. ჭყონიას რაიმე მხატვრული ნაწარმოები ან პუბლიცისტური წერილი არ გამოუქვეყნებია. მწერალი გარდაიცვალა 1927 წლის 9 ოქტომბერს. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 9 ოქტომბერს ქ. თბილისში გარდაიცვალა კავშირის წევრი, ხატოვანი მწერალი ი. ჭყონია. დაკრძალვა დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში“ (2.54).

როგორც ირკვევა, მწერალი ბოლო წლებში ავადმყოფობდა. იგი თბილისის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაშინდელი პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ფაქტს. გაზეთ „კომუნისტში“ ვრცელი წერილი დაიბეჭდა ი. ი-ლი ფსევდონიმით, რომელშიც მიმოხილულია მწერლის შემოქმედება.

როგორც ჩანს, ი. ჭყონიას საკუთარი შეილი არ ჰყოლია. ჰყავდა შეი-
ლობილი. ეს დასტურდება სამგლოვიარო განცხადებით. „ანა მერაბის
ასული ჭყონიასი, პოლინა ნიკოლოზის ასული ფხალაძე-სადოვსკისა და
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სადოვსკი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ,
მეგობართ და ნაცნობთ, რომ 9 ოქტომბერს გარდაიცვალა პირველის
საყვარელი და დაუვიწყარი ქმარი დანარჩენებისათვის მამობის გამწვევი
ილია მირიანის ძე ჭყონია“ (2.54).

სამგლოვიარო წერილებში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ ი. ჭყონი-
ამ „იმ დროს დაიწყო მუშაობა, როდესაც ჩვენში მოღვაწეობა-მწერლობა
განსაკუთრებით თავგამოდებას, ძლიერ ნებისყოფასა და საქმის სიყვა-
რულს მოითხოვდა“.

მართლაც, გმირობის ტოლფასი იყო იმ დროს ქართული ლიტერატუ-
რის მოყვარეთა, ქართველ მწერალთა მოთმინება და საქმის სიყვარული.
თავიანთი დიდი ეროვნული მისიის ღრმა შეგნებითა და იმედით – „იბრძვის
და იღწვის დღეს მშიერ-მწყურვალი, უანგარო მუშაკი დღევანდელის ჩვე-
ნის ლიტერატურისა. ეს, მართალია, თავგანწირვაა, მსხვერპლია, და თუმ-
ცა ამ მსხვერპლს ქართველთა დღევანდელი უმადურობა აორკეცებს და
წამებად ხდის, მით უფრო უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი,
რომელიც აღიმართება ძეგლად მერმისის გულში“ (1.40, 222) წერდა ი.
ჭავჭავაძე 1886 წელს. ეს მისია ი. ჭყონიამ ღირსეულად აღასრულა:
აღნიშნული ფაქტი უდავო ჭეშმარიტება იყო. მისი ცხოვრება და შემოქ-
მედება მოკრძალებულადაა აღმართული „ძეგლად მერმისის გულში“.

თავი II

მხატვრული შემოქმედება

ი. ჭყონია ფრიად მრავალმხრივი შემოქმედი იყო. იგი წერდა ლექსებს, პოემებს, პროზაულ ნაწარმოებებს, აქვეყნებდა საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს. ეწეოდა სალექსიკონო მუშაობას, შეაგროვა და გამოსცა ხალხური ზეპირსიტყვიერების ბევრი ნიმუში. იყო ბიბლიოგრაფი და აქვს საინტერესო რეცენზიები, თარგმნიდა უცხო ენებიდან. როგორც ზემოდასახელებული ჩამონათვლიდან ჩანს, ი. ჭყონია საკმაოდ ფართო დიაპაზონის მწერალია. ლუკმაპურისთვის განუწყვეტებმა ბრძოლამ შეიძლება ბევრი რამ დააკლო მის მხატვრულ შემოქმედებას ხარისხობრივი თვალსაზრისით, ამიტომ შეიძლება იგი ვერ ამალღდა მე-19 საუკუნის პირველხარისხოვან მწერალთა ღონემდე. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ნიუტონის შეგონება, თუ ის სხვებზე შორს იხედებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე იდგა. ი. ჭყონია ერთ-ერთი იმ შემოქმედთაგანია, რომელმაც ხელი შეუწყო ეპოქის წყვდიადიდან ქართული მწერლობის ტიტანები ამოზიდულიყო.

მწერლის შემოქმედების შესწავლის გასაადვილებლად მისი ნაწერები დაკვათი უანრების მიხედვით; დავალაგეთ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოვახდინეთ მათი ლიტერატურული ანალიზი. აქეთკენ გვიბიძგა იმ გარემოებამ, რომ ამგვარად უკეთესი აღსაქმელი და თვალყურმისადევნებელი იქნება მწერლის შემოქმედებითი ძიების შუქ-ჩრდილოვანი მხარეები. ამგვარი დაყოფა განაპირობა თვით შემოქმედის მიერ 1913 წელს გამოცემულმა საკუთარი ნაწერების კრებულმა, სადაც მასალები დაახლოებით ანალოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული.

ა) პოეზია

ლექსების წერა ი. ჭყონიას ბავშვობის ასაკში დაუწყია. აქვეყნებდა კიდევ: მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით მწერალმა ისინი საინტერესოდ არ ჩათვალა და თავის ბოლო გამოცემებში არ შეიტანა. ი. ჭყონიას

შემოქმედების კვლევა ადასტურებს, რომ იგი ჭაბუკობიდანვე გახდა მამულის ჭირისა და ლხინის მოზიარე, რაც, როგორც ირკვევა, თერგდალეულთა უდიდესი ღვაწლისა და ავტორიტეტის შედეგია. სამშობლოს გაჭირვებულმა მდგომარეობამ თითქოს ნაადრევად დააბრძენა ჭაბუკი. ჯერ კიდევ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლე, რომელსაც 16 წელიც არ შესრულებია, 1877 წელს წერს ლექს-პამფლეტს, რომელშიც მთელი პირდაპირობითაა მხილებული მეფისდროინდელი სასწავლო სისტემის შესვეურთა შეუფარავი სურვილი – საქართველოს სკოლებსა და გიმნაზიებში აიკრძალოს ქართულ ენაზე სწავლება, ბავშვებს შეაძლონ ყოველივე ეროვნული. მწერლის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში წარმოდგენილია ქართული კულტურისა და ენის საოცრად მოძულე და მაგინებელი ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი ვინმე აგაპიევი.

„აგაპიევს ზომ იცნობდით – ჩენი რჯულის მასწავლებელს,

ჩენი მოღმის, ჩენი ენის, ჩვეულების მაგინებელს?

ერთხელ გეითხრა: „მიკვირს ბავშვნო, თქვენ რათ გინდათ ქართულიო?

რაც იყო, ის აღარ არის ნულარ გჯერათ წარსულიო!“

ეს სიტყვები გულში მოგეხედა, დაგვიჭეჭკა, დაგვისერა,

მკერდში შხამათ დაგვიგუბდა, ავეიჩქარა მაჯის ძგერა!“

ლექსის ფინალში ნაჩვენებია, რომ ეროვნულ თავმოყვარეობა შელახულ ჭაბუკურ, ცეცხლიან გულებს ნავთად მოევლინა მოგვიანებით შემოსული სომხის ბავშვის სიტყვები, რომელმაც სიცილ-კისკისით განაცხადა, რომ „ტერ-დავითამ გამჯორაო, სომხურს კარგათ რათ არ სწავლობ შენ, შე ტაკიმასხარაო!“ ყრმა პოეტი ლექსში მთელი პირდაპირობით, დაჩაგრული, მაგრამ თვალხილული კაცის გაწიწმატებით გადმოგვცემს დიდ ეროვნულ ტკივილს – ქართული ენის შეურაცხყოფას დამპყრობელი, მოყვრის ნიღაბით შემოსული მტრის მიერ; მართალია, სალექსო ფორმაში ნოვატორული არაფერია, იგი მოვლენების არც მხატვრულ-ესთეტიკური გააზრებით გამოირჩევა, მაგრამ მასში ჩანს პოეტის „გულში რა თონეც იყო!“

ი. ჭყონიას ლექსების თემატიკა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მათი უმრავლესობა შექმნილია პატრიოტულ მოტივზე, ზოლო მცირე

ნაწილში გაშუქებულია სოციალური პრობლემები. ქართულ კლასიკურ მწერლობასა და ფოლკლორში სიმბოლური, ალეგორული, მეტაფორული და ა. შ. მრავალი სახე (ხატი) იპოვება ერის მდგომარეობის წარმოსაჩენად შექმნილი. ი. ჭყონიას შემოქმედებაში სიმბოლოს, ალეგორიას პირობითი დატვირთვა გააჩნია, რადგან ისინი ადვილად იშიფრება. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი – „საპყრობილეში“ (მიბაძვა). იგი გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“ 1881 წ. N 222-ში. აქ გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ კისერში წაჭერილი „ძლიერნი ხელნი“ უშლის ავტორს ბოლომდე გამოთქვას თავის გულის ტკივილი. მოძმეც ვერ შევლის მას თავისი უმეცრების გამო.

„...როცა სიშმაგით დავეძებ ნათელსა განთიადისას,
ძლიერნი ხელნი მიშლიან, მისპობენ საღსარს ძებნისას...
როს უმეცრების წყალობით ვეღარ მშველიან მოძმენი
უღონო ბრაზით ვწყველი, ვინც მომაყენა ეს ღღენი!“

ნიშანდობლივი ფაქტია ის, რომ სწორედ უმეცრებაა ერის გამოფხიზლებისა და ქვეყნის აყვავების გზაზე ყველაზე დიდი დაბრკოლება. ასე იყო მაშინაც და ასევეა ახლაც. შემოქმედი ერთი წამითაც არ სცილდება თავის იდეათა სამყაროს. მიუხედავად აწმყოური ძნელბედობისა, მას აქვს ურყევი მრწამსი და იმედი უკეთესი მომავლისა. დიდია იმედის ძალა...

„...მარა დრო მუდამ უკუმა არ იტრიალებს აღარა!
ტუსაღსაც ბედი მეწვევა დაკრავს ჩემიცა ნაღარა...
მაშინ დაწყდება ბორკილი, გამოვალ მოედანზედა,
სამშობლოს ვემსახურები, მტერს რისხვას დავცემ თავზედა!“

უამრავი დიდი მტრის თუ მთის ქურდბაცაცა ტომების სისხლიანი ექსპანსიისაგან საქართველო არა მარტო ვაჟკაცურმა ქედუხრელობამ და ტიტანიურმა მოთმინებამ იხსნა, არამედ იმედისა და მესიანისტური იდეის მარადიულმა სინედლემ. ქართული ლიტერატურის უდიდესი მხატვრული

ძეგლის – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს გიორგი მერჩულეს ქვეყნის უმძიმესი სოციალური და პოლიტიკური მგომარეობის მიუხედავად არ ტოვებდა მრწამსი უკეთესი მომავლისა. მესიანისტური იდეა არის მანათობელი ლამპარი, შთამაგონებელი ძალა და მასაზრდოებელი წყარო მე-19 საუკუნის მტრის მიერ გაპირქმეებული ქართული ცის ქვეშ მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისა. „ქართველთა მრავალ საუკუნითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პურთა გამოძცხვართა. ვერა ერეოდა ვერცა შინაგანი და ვერცა გარეგანი მწუხარება. გალაღებული თავისუფლებითა და გალაღებული მთებით, ეცინოდა ბედსა და უბედობას. ქართველთა შესჭამეს იმპერი რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, გამოსწოვეს ტვინი სპარსთა და თვით დარჩნენ შეუჭმელად მათთთვის, ვინც ჰგონებდნენ მათს შეჭმას“ (114, 208). მესიანისტური იდეა ასაზრდოებს ეპოქის ქართული მწერლობისა და აზროვნების მამების – ილიასა და აკაკის მხატვრულ შემოქმედებას.

მესიანისტური იდეის ფართო პლანით არსებობა ი. ჭყონიას შემოქმედებაში უნდა მიეწეროს არა ეპოქის მაჯისცემის ინერციით გადმოცემას, არამედ იგი არის ერთ-ერთი სისხლხორცეული მემკვიდრე წინაპართა ნაანდერძევისა, რომელსაც იცავს და ახორციელებს როგორც თეორიულ ნააზრევში, ისე პრაქტიკული საქმიანობით. ი. ჭყონიას ლექსები ჩვენს ყურადღებას იპყრობს განცდების გამოხატვის უშუალობით. მწერლისთვის უცხოა სათქმელის შებურვა ძნელად გასაგებ ფრაზებში, რომელთა ამოსაცნობად მკითხველს ლექსიკონი ან განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდება. იგი აძლევს საშუალებას დაინტერესებულ პირს ადვილად ჩასწვდეს შემოქმედის სულიერ მღელვარებას, გაითავისოს ფრაზა და განიცადოს სტროფში ჩაქსოვილი აზრის სიტყბო თუ სიმწარე. მოვიხმობთ 1882 წელს „ივერიის“ N 2-ში გამოქვეყნებულ ლექსს – „პასუხათ ი. ბ-მე“

„ჩვენი ქვეყნის ბედის ვარსკვლავს

ნუ დაეძებ, ძმაო, ცაზე!

ჯობს თვალები ძირს დაიღო

და მოძებნო ქვეყანაზე.

ის ციდან ჩამოუგდია

უკუღმართი დროის ტრიალს...

ვიდრე ამ სენს არ გაეკურნავთ
 ამაოა ძებნა მისი...
 ჩვენვე თავს ნუ ვიტყუებთ –
 გახარდება გული მტრისი!”

ი. ჭყონიას ამ ლექსს მაშინდელი ქართული საზოგადოება ურთიერთსაწინააღმდეგო გაგებით შეხვდა. ქუთაისში გამოძავალ გაზეთ „შრომა-ში“ (1882 წ. N 30) დაიბეჭდა ბოსლეველის წერილი – კრიტიკული მიმოხილვა „ივერია“ 1882 წ. N 2“. სტატიაში იგრძნობა რომ მისი ავტორი განათლებული, ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ საოცარი ნიჰილისტი. მან „ივერიის“ მხატვრული შემოქმედება საერთოდ უარყოფითად შეაფასა. მათ შორის, ი. ჭყონიას ზემოდასახელებული ლექსიც. „ვილაც ჰს წყობილ-სიტყვეობაში... მართალია უმეცრება თვით სამსალის გვასმევს ფიალას, ისიც მართალია, რომ „სული-ზნე-ჭკუა ავიმალლოთ“, მაგრამ ის კიდევ უფრო მართალია, რომ ავტორი პოეტათ არ შეუქმნია ღმერთს და მუზას ტყუილა აწვალებს“.

სასიამოვნო ფაქტია, რომ ლიტერატურის ფრონტზე გადაჭარბებული, ვულგარული კრიტიკა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, პირად მტრობაში არ გადაიზარდა. ი. ჭყონია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ბოსლეველის, იგივე ესტატი მჭედლიძის მხეცური მკვლევლობის ფაქტს და თავისი გულისტკივილი წერილით გამოხატა (2.32).

შეიძლება ითქვას ზემოდასახელებულ ლექსს მხატვრული სრულყოფა მართლაც აკლია, მაგრამ მისაღებია იდეა. უბედობისადმი ქართველი კაცის შეურიგებლობის სულისკვეთება აიტაცა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულმა მწერლობამაც. „უბედობა ვერ ჩააქრობს ქართველობის ბედის ვარსკვლავს, დამარცხებაში უნდა იწვრთნებოდეს ერის ფოლადი ენერგია, დამარცხებიდან მუშაობაში გადასვლა და არა სასოწარკვეთაში, ნურც გამარჯვება გვინდა მეტეორის ქვასავით ზეცით ჩამოვარდნილი. საბოლოოდ ის გაიმარჯვებს, ვინც ბრძოლითა და შემოქმედებით გაიმარჯვებს“ წერდა კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში (2.58).

ი. ჭყონიამ იცის, რომ უდიდესია „მგრავინავე სიტყვის ძალა“. ამიტომაც სთხოვს იგი განგებას, რომ მოჰმადლოს ამ ნიჭის მფლობელობა, რომელსაც პოეტი ერის სამსახურში ჩააყენებს. „სინდის-შებლალულ კაცს

მეტადრე, თუ იგი კერძო კაცი არ არის, თავის სასიკვდილოთ მიაჩნია საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვა“ წერდა მწერალი (2.33). რამდენადაც „სინდისშებლალული“ კაცი უფროსის ბეჭდვით სიტყვას, იმდენად შენატრის მას მამულიშვილი მწერალი, რადგანაც ღირსეული კაცის ხელში კალამი ხმალია – ახლობლებისთვის იმედისა და უსაფრთხოების გარანტი. მტრისათვის შიშის ზარის დამცემი.

„ნეტავი ქვეყნათ მრგვინავი სიტყვა
 მოეცა ნიჭათ ჩვენთვის განგებას!
 რა მკაცრი მტერი გაუჩნდებოდი
 კაცთა ღირსების მჩაგვრელ მონებას“.

პოეტის სურვილი და განზრახვა კეთილშობილურია. მეტყველი სიტყვის საშუალებით სურს მას თანამომძეების აღაშქრება „ბოროტების დასამარცხებლად“. მისი მიზანია სიმართლის დროშის ზეაღმართვა „უსამართლობის გულსაგმირავათ“. თავისუფლებისა და სამართლიანობის მოთხოვნა იმ ეპოქის ქართული მწერლობისთვის უცხო არ იყო, მაგრამ ამ მხრივ მაინც საჭირო იყო ცხელი გული, ნათელი გონება, იუველირის სიფაქიზე და სიფრთხილე. მწერლის მიზანსწრაფვა ერთია – გამოაცოცხლოს გმირი, მხნე წინაპრების იდეალი, თავის თანამედროვე ქართველებში. მაშინ!

„მისასწრაფავად კელავ გახდებოდა
 მიეიწყებული ღღეს იდეალი,
 რომლისთვის მარად სისხლის რუს ღვრიდა
 დაუძლეველი მხნე წინაპარი.“

ამ სტროფებში დავანებული „სანატრელი ჟამის“ მსურველი გრძნობა მამულიშვილებს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ „მრავალი მტერი“ შესაძლებელია მტკიცე ერთობით იქნეს ძლეული, ოღონდ თითოეული ჩვენგანი უნდა აღიარებდეს და ცნობდეს „მოვალეობის“ გრძნობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე. წარმოდგენილი ლექსი „ნეტავი ქვეყნათ“ 1882 წელს დაიბეჭდა „ივერიის“ N 92-ში.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში შექმნილი პოეტური ნიმუშებით ი. ჭყონია მკითხველის წინაშე წარმოდგება, როგორც საბრძოლველად გამზადებული დაჩაგრული ერის ცხოვრებისა და განწყობილების გამომხატველი რეალისტი მწერალი. თავის დროზე, როცა ცნობილი კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას განიხილავდა, აღნიშნავდა: „ვაჟა-ფშაველა რეალისტია და აგრძელებს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებითს გზას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი ძლიერი ტალანტის წყალობით ინდივიდუალურ ელფერს ანიჭებს კლასიკურ რეალიზმს“ (1.3, 10). ზემოაღნიშნული განცხადება უცილობო ჭეშმარიტებად გვესახება. ასეთი განცხადება ვაჟას პიროვნებას არაფერს აკლებს, პირიქით. ამიტომაც გარკვეულწილად ლოგიკურიც იქნება, და რეალური სინამდვილის დაფიქსირებაც, თუ ვიტყვით, რომ ილია ჭყონიაც იდეური და შემოქმედებითი ფორმათა ძიების თვალსაზრისით დიდი 60-იანელების მემკვიდრეა. სწორედ ამ თაობამ, კერძოდ ილიამ, როგორც მ. ქიქოძე წერდა „ქართული ლიტერატურის ევოლუციის თვალსაზრისით სალიტერატურო ჟანრების და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა, ძველ მწერლობაში გაბატონებულ ისტორიულ და რომანტიულ ეპოსს, რელიგიურ პიმნებსა და ოდებს... რეალისტური მოთხრობის, რეალისტური ლირიკისა და ფილოსოფიური პოემის ჟანრი დაუპირისპირა“ ამ თაობის შემოქმედებით ემბაზში იშვა მშვენიერი სამოქალაქო ლირიკის ნიმუშები. „სამოციან წლებამდე ჩვენი პოეზიის თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, დაქუფუნებდა ჩვენი დიდკაცობის გულისთქმას... სამოციან წლებში ჩვენმა მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულისთქმა... ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა“ (1.40,553) იტყოდა დიდი ილია.

ეს ვრცელი ექსკურსი მეტყველებს იმაზე, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ შემოქმედებით ასპარეზზე გამოსული დიდი თუ პატარა მწერალი „ლიტერატურულად“ ენათესავება 60-იანელებს. ერთ-ერთი მათგანი ილია ჭყონიაცაა. მწერლის პატრიოტული ლირიკის ყოველი სიტყვა თითქოს საბრძოლო მოწოდების მცხუნვარებას ასხივებს, მაგრამ ამ ბობოქარი, ემოციით დატვირთული ლექსების გვერდით პოეტს შეუძლია მსუბუქ-ლირიკული ტონით შექმნას საოცრად ნაზი, მშვიდი პარმონია. 1884 წელს

დაწერილი ლექსში „ჩემი გული“ პოეტმა წარმოაჩინა ყველაზე მთავარი და გრძნობიერი ორგანოს მიკროკლიმატი, რომელზედაც ვერ მოქმედებს ვერაუთარო გარეგანი ქარიშხლები. შემოქმედის გული, ხან საოცრად „შფოთავს, კენესის, წყრება, ღელავს, ცეცხლობს!“ ხანაც კი...

„ხან კი არის დაწყნარებით,
მყუდრო, მშვიდი, ნაზი მტკბარი,
გრძნობის, ტრფობის სიყვარულის
სადგური, თავშესაფარი!
ან, კოლეუ:
„მაშინ ვინც მას გაეცნობა,
თვით სამოთხედ აღიარებს,
სეუდათ ტვირთი გაშორდება,
შიგ თავს ტკბილათ შეაფარებს“.

პოეტის აზრით, ზოგჯერ ცხოვრება ისეთი წინააღმდეგობებით არის აღსავსე, რომ „თურმე ქვეყანა არის ბაზარი“. იმდენია დაბრკოლებები და „ბრბოს შური“, ლამისაა ხელი ჩაიქნო ყველაფერზე. „ებრძოლო ანგართ, გერჩიოს კუბო!“ ქვეყანა ხელში ჩაიგდეს „ყველაფრის“ ვაჭრებმა. ამიტომ განუკითხაობაა ირგვლივ.

„ვაჭრათ შობილი ვინც კი არ არი
ბრბოს აზრი ღვენის, აძაგებს აღრჩობს“.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ქვეყანაში თითქმის აუტანელია ცხოვრება და შეუძლებელი კეთილი აზრის შენარჩუნება, შემოქმედი ამას მაინც ახერხებს. პოეტს სურს უბიწო, სპეტაკი გულით ბოლომდე სიმართლის სამსახურში იდგეს, „რომ ადლის ნაცვლათ ვზომავ გულითა“.

და გონებით ვჭრი მარგატლის წილათ?
რომ არ ვაფასებთ კაცს ქონებითა
საერთო საქმეს სულსა ეძღვენი წვლილათ“.

შემოქმედის ერთადერთი სურვილია, მიუხედავად სიძნელისა, არ შედრკეს, გული არ გაიტეხოს ერმა: „ემონოს მხოლოდ სინდისს, პატიოსნებას“.

სიმართლისა და სიწმინდისადმი სიყვარული, ერთგულება და თაყვანისცემა ჩანს 1886 წელს დაწერილ ლექსში „იღრიალე ჩემ გარშემო“... სადაც მწერალი გამომწვევი ტონით, საბრძოლოდ შემართული მიმართავს ცხოვრების ზღვას – „იღრიალე ჩემს გარშემო, რამდენიც გსურს... ქედს მაინც ვერ გამიხსრი“. იმპერიის ჭაობის ხაზში არა მარტო ბოჭავს, არამედ თვით სუნთქვასაც კი უძნელებს შემოქმედს, მაგრამ იგი არ გაურბის არაერთარ სიძნელეს. საერთოდ მწერლისთვის უცხოა ცხოვრებისაგან განდგომა და გაქცევა. მტრის წინაშე „ქედუხრელობა მის ცხოვრებისეულ კრეოდ იქცა. „ამისი მაქვს მტკიცე რწმენა, რომ სანამდე სამარეში ჩავალ“ და სხვას დაუეცლი „ჩემ წილ ადგილს ამ არეში“ აცხადებს მწერალი:

„იღალადებს და იქუხებს
ეს კალაში სიმართლესა,
მკრეხელებს და ფარისეულებს
წაამწარებს სინათლესა“.

მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა ადასტურებს, რომ ზემოქმედი სიტყვების ავტორი პირდაპირი და შეუვალი იყო ქვეყნისა და ხალხის მტრების მიმართ.

ი. ჭყონიას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კაცობრიობისათვის მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის პრობლემებს. იგი ცდილობს ოცნებით ჩასწვდეს იმქვეყნიურ რეალობას, მსჯელობს წარმავლობა-მარადიულობის შესახებ. ამკარად იგრძნობა მწერლის პესნიმისტური განწყობილება, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია პირად-ბიოგრაფიული ამბებით.

„ოჰ, თუ იმ ქვეყნად არის სიცოცხლე,
ვინც აქ მიფარდა, თუ იქაც ვნახავ“.

გულისგატეხვა და წუწუნი უცხოა ი. ჭყონიას შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. თუმცა ამ ლექსს – „ოჰ თუ იმ ქვეყნათ არის სიცოცხლე“ მწერალი საოცარი აპათით ამთავრებს „...ბედნიერია,

ვინც არ შობილა, უბედურია კაცთ ნაშიერი“. მომდევნო პერიოდის ლექსში შემოქმედი მახვილგონიერულად მოქმედებისკენ მოუწოდებს თანამემამულეებს.

„ღმერთი ღიღია საწყალთა,
განგება გარდაუვალი,
მარა, თუ ხელს არ გაეანძრევთ
ისე არ გვიშეელის უფალი“

როგორც 1892 წელს დაწერილ ი. ჭყონიას ერთი უსათაურო ლექსიდან „სევდა მჩაგრავს, გული წყლულით მევესება“ ირკვევა – გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში გამოიკვეთა ერთი ნაწილი ადამიანებისა, რომლებსაც ვაჟა „უიმედო ინტელიგენტებს“ ეძახდა. „ჩვენ გვეგონა „უიმედონი“ ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა სწამთ, გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არ სწამთ, ნამეტნავათ ქართული“ (I.10, 409). ი. ჭყონიას სევდა და ნაღველი ამ შემთხვევაში პირადული ცხოვრებიდან არ გამომდინარეობს. მწერალმა ერთ-ერთმა პირველმა დააფიქსირა, რომ ქვეყანაში ფეხს იკიდებდა იდეა, რომელიც შემდეგში აპოკალიფსს უქადდა მას.

„სევდა მჩაგრავს გული წყლულით მევესება,
ვის მიენდო, მპურათ ვის მივცე ხელი?
ამას უნაღვლობ, დარდათ ეს გადაშექცა –
თუ წაეიქვეც არ მყავს ნუგემის მთქმელი!“

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ლექსში თითქოს წინა პლანზეა წამოწეული სუბიექტურ-პირადული განწყობა, მაგრამ, არა: – პოეტი გვიხსნის დარდის მიზეზს. იგი ზოგადეროვნულია.

„ეხედავ მხოლოთ უსაქმოებს, მლიქვნელებს,
გულღრძობებს, პირში ფარისეველთა,
კუჭისათვის სულის უარმყოფელებს,
მამულის მგობთ, მსოფლიოსთვის მზრუნველთა“.

აშკარაა, რომ მწერლის ფხიზელ მამულიშვილურ ალღოსა და დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებას დროულად დაუფიქსირებია ჩენი ქვეყნის სამოქმედო სარბიელზე გამოსულ ე. წ. „მოღვაწეთა“, „საქმენი საგმირონი“. შემოქმედმა გაბედულად აღიმადლა ხმა ამ უგონო კოსმოპოლიტების წინააღმდეგ, მაგრამ ამოდ დაშვრა. „მამულის მგმობ, მსოფლიოსთვის მზრუნველ“, „თვალხილულ“ ბრმათა ლაშქარი სნეული ლეიპლივით ივსებოდა (ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა მწერლის პუბლიცისტური წერილები, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). ისე მრავალრიცხოვანი ყოფილა ასე „დეფექტურად“ მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი, რომ:

„...იმათა ბურთი და მოედანი
ლელოც გააქეთ კისკასათ თავხედურათ“

მწერლის აზრით, მედროვეთა ეს ხროვა „ერის ბედს წარსულსა და მომავალს, ანაცვლებენ დღევანდელ დღეს მონურათ!“ როგორც ვხედავთ, სინამდვილე მოუთმენელია, დუმილი – დამლუპველი. პოეტი ეძებს კაცს, რომელიც იმედინ სიტყვას ეტყვის და ანუგეშებს:

„ამ გულსაკლავ სინამდვილეს ვერ ვითმენ...
ვის გწამს ღმერთი, შემობრალე, მითხარი;
ასე გასტანს, ვიდრე ცოცხლობს ჩენი დგმა,
თუ ჩვენთვისაც გაბრწყინდება ცისკარი?!“

ი. ჭყონიას პოეტური ქმნილებების უმრავლესობაში უფრო პუბლიცისტური მხილებაა ბოროტებისა, თუმცა მას ეხერხება სათქმელის ორიგინალური გააზრება და მისი გამოძერწვა სადა, მაგრამ ფრიად შთამბეჭდავ სტროფებში.

საახალწლო, სასუფრო ინტიმური განცდები დღესასწაულის შინაგანი ელვარების შუქს აფრქვევს მკითხველს. – ასეთია მწერლის პოეტური კალმის მონასში ლექსი – „სადღეგრძელოები“. აქ შექმნილია ცნობილი ქართველი მამულიშვილები – მეფეები და მწერლები: მეფე ვახტანგ VI, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, მამია გურიელი და სხვ.

ლექსის ფაბულა აგებულია გრიგოლ ორბელიანის პოემა „სად-ლეგრძელოს“ პრინციპით. პროტაგონისტი მიმართავს თანამეინახეთ: „მოდით კისკასით ძმობილნო ჯაერი გადვიქნათ ლხინათა...“ მაგრამ ეს არ არის უბრალო შექცევა ან დროისგატარებით იგივე დროის მოკვლა. არა! ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანთან, ესაა გარკვეული ინციატიური რიტუალი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობის – „სადლეგრძელო ესვათ წინა კაცთ.“ ლექსში განსაკუთრებით მოწინებითაა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძე.

„ცოცხლობდეს ჩვენი პოეტი
ლექსთ – ბედაური ილია...“

მწერალი აქებს მის მამულიშვილურ ღვაწლს.

„ქება მის ნათქვამს: „სამშობლოვ,
რაზედა მოგიწყენია?
აწმყო თუ აღარა გწყალობს,
„მომავალი ხომ შენია!“

ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ ლაიბნიცის სიტყვების – აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა – მხატვრულ გააზრებად. აქ შექებული არიან როგორც აწ უკვე გარდაცვლილი, ისე მწერლის თანამედროვე ღირსეული მამულიშვილები. ლექსის ფინალში მოცემულია ფაქტებისა და მოვლენების ერთგვარი შეჯამება და განზოგადება. რადგან ქვეყანას ჰყოლია და ჰყავს ჭეშმარიტი გულშემატკივრები, მომავალშიც აუცილებლად იქნებიან ასეთები და დალოცვილია ისინი.

„კვლავ მათ ვუნატროთ სიცოცხლე
აწცა და მრავალ-ჟამიერ,
ვინც ღვაწლი დასდვას მამულსა
ჩვენ საქართველოს ამიერ!“

პოეტი თავის ნაწერებში ხშირად ეხება მოყვასის სიყვარულის მარადიულ თემას. იგი განსაკუთრებულ პატივისცემას ამჟღავნებს ერის უდიდესი პოეტის – აკაკის მიმართ, რომელსაც უძღვნა თავისებურად გადაკეთებული ლექსი „ხანჯალს“. მართლაც, რომ უცნაურად დახანჯლულა

აწმყო დროითა და თანამედროვე ქართველთა უგუნურობით პოეტის გული. მწერლის სიმბოლურ-ალეგორიული ჩანაფიქრი – თუ ვინაა მისი თანამედროვე საქართველოს უდიდესი მტერი – იოლი ამოსაცნობია. იგი ხანჯალს შემდეგი სიტყვებით მიმართავს.

„ასი წელია – თითქმის დღეს –
რაც არ არგიხარ ქართველებს,
რაც არ სობიხარ მტრისა მკერდს,
ვით უწინ ოსმალ-სპარსელებს!“

ლექსი გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსაა დაწერილი. ისტორიის უბრალოდ მცოდნე მკითხველისათვისაც კი გასაგებია ავტორის გულისტკივილი. სამწუხაროდ, წინაპართა ეს ნაცადი იარაღი მწერლის თანამედროვე „ვაი მაპულიშვილთა“ ხელში ნამდვილ ეროვნულ რისხვად ქცეულა „ძმა-ძმაზედ გიქნევს ხელმარჯვედ“. ყოველივე ამით გულშეწუხებული პოეტი დასძენს:

„წყველიმც იყავ „ხანჯალო“
„რკინაო ზორასნისაო“
ციხეს შენ გვიტეხ შიგნიდან
საშავდლოთ ამ ქვეყნისაო!“

იღია ჭყონია მოკრძალებული, უპრეტენზიო შემოქმედია. თუმცა ხშირ შემთხვევაში მისი მხატვრული ნააზრევი ასხივებს ემოციათა ალს, რომელიც მკითხველზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. ამ მხრივ მის შემოქმედებაში გამოირჩევა სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსები, რომლებშიც უფრო მეტად ადამიანური ნაღველი და გულისტკივილი იგრძნობა, ვიდრე დაციხვის სუსხი. ასეთია „ჩვენებური მეკენჭე“, რომელიც მრავალ მხრივად საინტერესო, როგორც იმდროინდელი რეალური ვითარების მხატვრული ხორცშესხმა და აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე „მოღვაწის“ ადეკვატური სურათი.

„სახლში მარხულათ ბრძანდება,
ძროხას შესჭამს შენსას თუა,

„გეწვეიო“, მართალს ამბობს,
რომ გაატიეებს, მაშინ სტყუა;
კენჭს უფულოდ არვის აძლევს,
და თუ აძლევს, ზოგს სხვის ჯინზე,
სინდისს ზუთხში გაგიყიდის,
სამშობლოს ბედს თათრის ჩინზე“.

ნათქვამია: —ყველაფერი ახალი კარგად დაეიწყებული ძველიაო. ეს ჭეშმარიტება ამ ლექსითაც დასტურდება. სიბრძნე ყველა დროში თანაბრად აშუქებს. სამწუხაროდ, „მეკენჭეში“ წარმოდგენილი პრობლემა დღეს უფრო გლობალურია, ვიდრე თავის დროზე იყო. ლექსში თითქოს იგრძნობა თავისებური სულიერი ნათესაობა „მეკენჭესა“ და დავით კლდიაშვილის ზოგიერთ „შემოდგომის აზნაურს“ შორის, მაგრამ „მეკენჭე“ საოცრად გადაგვარებული, სამშობლოს ბედის თათრის ჩინზე გამცვლელი ნაკაცარია და, ამ მხრივ, ზემოშედარებულ გმირებს შორის უდიდესი ზნეობრივი უფსკრულია.

ბავშვობისა და შეგნებული სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მწერალმა ქ. ქუთაისში გაატარა. დაუმონავი რიონი და ბებერი ბაგრატი არიან მისი ჭაბუკობის დროინდელი ოცნება-იმედების გაკვირტვისა და ზოგჯერ ნაადრევი ფოთოლცვენის მომსწრენი. ქუთაისს მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ქალაქის ღვიძლ შეილად თელის თავს, მისი ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს; ამიტომ ზოგჯერ აქ მომხდარ უმსგავსობას პიროვნულ ტრაგედიად აღიქვამს და მკაცრი ტონით მიმართავს საყვარელ ქალაქს. „ქუთაისო, ტურფა კუთხევე საამქვეყნო ცხოვრებისა, შენთა მკვიდრთა დამჩაგვრელო და მალამოვე მტრის გულისა.“ ქუთაისს საქართველოს გვირგვინის ძვირფას ლალს უწოდებს შემოქმედი, მაგრამ ამავე დროს იგი ... „სამარე ხარ იმედების კვლავ საგანი მტრის ნიშნისა“. ქუთაისი, „გმირთა აკლდამა“, დღეს ბიჭ-ბუჭობის აკენად გადაქცეულა, „ქალაქი ჩამოსულებს შარბათს ასმევს“ და საკუთარ მკვიდრ შეილებს კი სამსალას. მწერლის მწარე, სევდიანი სტრიქონები რუსული ბიუროკრატიულ-იმპერიული აპარატის მიერ ქალაქში შექმნილი დუნე ატმოსფეროს, უსისხლო, ლამის გადაგვარებამდე მისული ყოფის პროტესტის გამოძახილია.

მსუბუქ-სამხიარულო ლირიკულ ქარგაზეა აგებული ლექსი „ოკრიბელი გოგო-ბიჭის მიწერ-მოწერა“. იგი უდავოდ განიცდის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენას. მაგ. („გოგოს პასუხი“) „დასაწუნი აბა რა გაქვს? ზედ გამოჭრილინარ ჩემთვის, ისე როგორც მჭადის ცომი გახურებულ კეცისათვის“. გაშიარების ეს რიტუალი და სალექსო ფორმა დღესაც აქტიურია ზეპირსიტყვიერებაში.

ქვეყნის გადაგვარებაზე გოდებს პოეტი ლექსებში: „ეხლანდელი ქართველები“, „კაცსა ვეძებ“ და სხვ.

ი. ჭყონია, როცა საქმე ეროვნულ თავმოყვარეობისა და ღირსების შელახვას ეხება, საოცარი გაწიწმატებითა და შემართებით იბრძვის. ამ შემთხვევაში იგი უკომპრომისოა. მწერალი ზიზღნარევი ირონიით დასცილნის ქართველი ხალხის უბოროტეს მტერსა და აუგად მახსენებელს, შოვინისტური გაზეთის რედაქტორს – პალმის, რომელიც ერთ დროს დავით კლდიაშვილმა დუელში გაიწვია.

ერთხელ სიზმრათ პალმა ნახა,
ცხადათ რაც ეზმანებოდა
გრიშა ვოლსკი, სასიკვდილე
ზღვის ყურეში იღრჩობოდა!
ანდრონიკაშვილს ტყვიით ხვრეტდენ
იქვე ჟურულს ხმლით ჭრიდენ თავს
კლდიაშვილს ოთხში იღებდნენ,
სახოკიას აძრობდნენ ტყავს.“

„ჩერნომორსკი ვესტნიკ“-მა ისევ წამოიწყო თავისებური ლანძღვა-გინება, უსაფუძვლო კილვა ქალაქის თვითმმართვეობისა და მისი ხელმძღვანელობის“ (1.16.76), – თავისებური ნალვლიანი ტონით წერდა დავით კლდიაშვილი. პალმის გაწიწმატება გასაგები იყო. ქ. ბათუმის თვითმმართველობა, ქალაქის თავის ჩათვლით, ქართველები იყვნენ და კიდევ ატარებდნენ ქართველებისთვის სასურველ პოლიტიკას. ლექსში მოხსენიებული პირებიც და ბევრი სხვაც ვაჟაკური შემართებითა და გონივრული წინდახედულებით ახერხებდნენ ცარიზმისა და მისი სატრაპების ღია გარუ-

სების პოლიტიკის ნეიტრალიზებას. მიძღვნილი ხასიათის ეს ლექსი წარმოადგენს მორალურ მხარდაჭერას მასში მოხსენიებულ პირებისადმი. ავტორის ესთეტიკური პრინციპები რეალისტურია. იგი ცდილობს ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების დაკავშირებით შექმნას კონსტრუქციულად და იდეურად მთლიანი ნაწარმოები, სადაც მოცემულია ყოველდღიური ცხოვრების საინტერესო სურათები, მათში ჩაქსოვილი დემოკრატიული იდეებით. ზომიერი იუმორი ემსახურება ხასიათების რეალისტურ ჩვენებას. „მზიარული სიცილი ყველაზე კარგი წამალია სულის სამკურნალოდ“ ამბობდა ცნობილი ინგლისელი რომანისტი ჰენრი ფილდინგი „ჯოზეფ ენდრიუსის“ წინასიტყვაობაში. მკითხველისთვის ძნელი გასაგებია, რამდენად უმკურნალა პალმის „სულს“ ლექსის „იუმორმა“, ერთი კი ცხადია, რომ ბოლო მომენტში მან ხელი აიღო ქართველთა მიმართ პასკვილების თხზვაზე.

პალმის „სიზმარი“, როგორც მწერალი გვამცნობს, ამით არ მთავრდება. მისი „დაუსაბამო ფანტაზია“ უფრო შორს მიდის... სრულიად საქართველოს ამოწყვეტა ელანდებოდა ეელიკორუსულ შოვინიზმით გაბრუნებულ ამ ვაჟბატონს.

ხალხური ზეპირსიტყვიერების გაელენას განიცდის აგრეთვე ლექსი „ოზურგეთისაგან შვილის დარიგება“. აქ იუმორისტის მსუბუქი, უბოროტო ტონით, წარმოჩენილია გლეხური, მიაშიტური დარიგება, რომელიც შებეზნილია ადვილად ამოსაცნობ სიცბიერეში. „თუ გსურს ბედნიერი გახდე, სასარგებლოც ხალხისათვის, კაი შენდა მეინდომე ცუდი მეზობლებისათვის“. ანალოგიურია ლექსი „ყვირილასა და ოზურგეთში“.

1900 წელს ი. ჭყონიამ გამოსცა სატირული ლექსების კრებული „ჭოლოკი“. საერთოდ მწერალი ეწეოდა ქართული ხალხური სიბრძნის ნიმუშების აქტიურ შეგროვებას, რომლებსაც რეგულარულად აქვეყნებდა. რამდენიმე ნიმუში ხალხური ზეპირსიტყვიერებისა მწერალმა გადაამუშავა და მათ საფუძველზე შექმნა მშვენიერი მხატვრული ტილოები: „ხრესილის ომი“, „რუხის ომი“ და სხვ. ი. ჭყონიას არქივში დაცულია რამდენიმე რვეული, რომელშიც თავმოყრილია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მის მიერ შეგროვილი ხალხური სიბრძნის ნიმუშები. კერძოდ, აქაა 1889-90 წწ. გურიაში ჩაწერილი საჩონგურე ლექსები, რომელთათვისაც მწერალს აკიდო უწოდებია. იგი შედგება ორი წიგნაკისაგან. აქვეა იმერეთში

შეგროვილი თქმულებები, ლეგენდები, ანდაზები და სხვ. დაუღალავი მამულიშვილი არა მარტო საქართველოში აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, არამედ ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეშიც, სადაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება უხდებოდა. მას ჩაუწერია სომხური, აზერბაიჯანული და ქართული ფოლკლორული მასალები. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა სომხურ სოფელ ლანში ჩაწერილი თქმულება „ქალი“. აქვეა სომხური ანდაზები, რომლებიც ნათლად წარმოაჩნეს ამ ერის ფრთხილ ბუნებას. მაგ., „თავს მიენდე, ამხანაგს ნუ, მიმნდო ყველა იტანჯება, ამხანაგი კარგი იყოს იგი ღმერთსაც ეყოლება“.

ი. ჭყონია ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი პოეტი იყო. მას ახასიათებს სიყვარულითა და გულთბილი უშუალოებით მისვლა საგნებთან, მაგრამ, რადგანაც ხშირ შემთხვევაში პოეტს იდეა შეგნებულად წინა პლანზე გამოაქვს – ეს ვნებს ლექსის მხატვრულ და მელოდიურ მხარეს.

შემოქმედის პოეტური შემკვიდრებიდან ცალკე გამოეყობთ საინტერესო პოემას „მურძაყან დადიშქელიანი“. იგი 1910 წელს დაიწერა და როგორც მწერალი აღნიშნავს, ეძღვნება ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის, ქართული კულტურისა და ერის მოჭირისუფლე ალბიონელი ქალიშვილის, ჭყონიების ოჯახის უახლოესი მეგობრის, მარჯორი უორდროპის ხსოვნას.

პოემა საყურადღებოა მხატვრული თვალსაზრისით. აგრეთვე, როგორც დოკუმენტალური პოეზიის იშვიათი ნიმუში. იგი უშუალოდ ამბის თვითმხილველთა გადმოცემებითა და ამ თემაზე არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზეა შექმნილი, ამიტომ მასში თავმოყრილია ისეთი ისტორიული და დოკუმენტალური მასალები, რომლებიც ყოველთვის იწვევდა და იწვევს ქართველი ხალხის ცხოველმყოფელ ინტერესს.

ნაწარმოების ქარგა აგებულია ნამდვილ ისტორიულ ამბაეზე, კერძოდ: 1856 წელს, რუსეთის იმპერიამ მოინდომა ერთპიროვნულად გაბატონებულიყო სვანეთში. მიზნის მიღწევისათვის პირველ რიგში საჭირო იყო თავიდან მოეშორებინათ სვანეთის მთავარი კონსტანტინე (იგივე მურძაყანი). შეიქმნა სცენარი, სადაც მთავარი კონსტანტინე მთავარ, მაგრამ მაინც ადვილად „გადასაბირებელ“ კაცად იყო ნაგულისხმევი. იგი საპატიო პატიმრობაში უნდა წასულიყო ერევანში. შეცდა სცენარის დამკვეთიც და შემ-

სრულელებლიც. თავისუფლებისმოყვარე, ამაყი ერის შვილი, უბრალოდ არ დანებდა. მან იმსხვერპლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და რამდენიმე ჯარისკაცი. ალყაშემორტყმულ სახლში მთავარი დიდხანს იგერიებდა ორი ასეული ჯარისკაცის შემოტევას, ბოლოს მძიმედ დაჭრილი მურძაყანი ხელში ჩაიგდეს და რამდენიმე ხანში დახვრიტეს კიდეც.

პოემის დასაწყისში ი. ჯყონია შთამბეჭდავად წარმოადგენს „კლდეებისა და მთების ქვეყნას“, სადაც ცხრა თვე ზამთარი მეფობს, საიდანაც მოქუხს ენგური და ცხენისწყალი. „თამარის შეტკობილ“ ამ კუთხეში მთავრობდა უაღრესად კოლორიტული პიროვნება, თითქოს ქართული მითებიდან აღმდგარი ბუმბერაზი მურძაყან დადიშქელიანი. საინტერესოა მისი პორტრეტი.

„ბრვე ტანადი, შავ თმა ხუჭუჭ, ცისფერ თვალა, თეთრ წითური,
ცხვირი ორბის, ტუჩი მარჯნის და კბილები საღაფური,
ულეაშ გრძელი, წვერ ნაპარსი, შუბლი ფართო, მამკური,
წერამ სიყრმე ტკბილი მისცა, ვაჟკაცობა-წამებული“.

ამ სტროფში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მოცემულია გმირის არა მარტო უნაკლო გარეგნული ხატი, იდეალური პორტრეტი, არამედ ბოლო სტრიქონში, უაღრესად ლაკონურ ფრაზაში ჩატეულია მთავრის მთელი ბიოგრაფია. ანტითეზის მოშველიებით „შავ თმა ხუჭუჭ, ცისფერთვალა თეთრ წითური“ პოეტმა შექმნა შთამბეჭდავი მხატვრული სახე, რომელიც ძალდაუტანებლად არის მოქცეული პოემის პოეტურ ქსოვილში.

თხზულებაში მოვლენები იმპერატორის ლაქიათა ინტრიგების გამოიხსობით სწრაფად და დრამატულად ვითარდება. თურქებთან ომში სახელგატეხილმა პოლკოვნიკმა პეტრე უსლარმა გადაწყვიტა ისეე აემალლებინა შელახული ავტორიტეტი. მან მოიგონა და გუბერნატორი გაგარინიც „დაარწმუნა“, რომ სევანთა მთავარი რუსეთს ღალატობსო. გადაწყდა სევანეთის სამხედრო ძალებით დაკავება. რუსის ჯარი სამთავროს შეესია. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები. მთავარს რუსთა ერთგულების დასადასტურებლად ქუთაისში ჩასვლა მოსთხოვეს. მურძაყანმა მთელი სევანეთი შეკრიბა და შეეკითხა – ნდობოდა თუ არა რუსებს. შეკრებილთაგან ყველამ რუსთა ორპირობა შეახსენა მთავარს და ქუთაისში გამოცხადება

დაუშალა. ბევრ მათგანს საკუთარ თავზეც ეწენიათ და ბევრიც გაეგონათ რუსთა გაუტანლობის, ცრუ დაპირებებისა და მუხანათობის შესახებ. ამის გამო გოდებდა 1837 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე უსათაურო ლექსში „ჰე, საქართველო, პტოლომეს დროს აღყვავებული“ (139,147). რუსები პირველად საქართველოს როგორც მეგობრები, ისე მოეველინენ, მაგრამ სულ მალე გამოაჩინეს თავიანთი ნამდვილი სახე და გამოავლინეს განზრახვანი. „მახვილადებით მოვიდნენ მზაკერულად მიგვეცეს გვემასა“. სწორედ მორიგი „მზაკერობის“ ეშინოდათ უბატონო სვანეთის ქედუხრელ შვილებს. პასუხის დაგვიანების მომიზეზებით რუსთა სარდლობამ კვლავ განაახლა დაპყრობილი ტერიტორიის მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკება და სისხლიანი ნაკვალევით იწყო სელა სვანეთის ცენტრისკენ. მაშინ ჭეშმარიტი პატრიოტი და კეთილშობილი მთავარი გაეპარა ოჯახსა და ახლობლებს, გამოცხადდა ქუთაისში და სთხოვა გაგარინს შეეწყვიტა სვანეთის აწიოკება. გენერალ-გუბერნატორს დადიშქელიანის დანახვაზე შიშით „კინალამ სული ჩექმებში“ გაეპარა, მაგრამ თავს სძლია... დათაფლული ენით ყველაფერი აღუთქვა მთავარს, თან მალულად მეფისნაცვალთან დააბეზლა მურძაყანი, როგორც იმპერიისათვის ფრიად სახიფათო და საშიში პიროვნება. გაიცა საიდუმლო განკარგულება მთავრის ერევანში გასახლების შესახებ. მურძაყანი გენერლის კეთილი მიღებისა და დათაფლული სიტყვების შემდეგ ნამდვილად არ მოელოდა ასეთ ბრძანებას. მან გაგარინს სთხოვა ქუთაისში მაინც მიეცა ცოლშვილთან გამოშვებების საშუალება, მაგრამ მცველებით გადიდგულებულმა გუბერნატორმა მრისხანე უარი უთხრა მას და მედიდურად მოითხოვა მისი დაპატიმრება... უსულგულო გენერალი თავის მცველებიანად შეეწირა მურძაყანის ბასრ სატევარს. დიდხანს იბრძოდა მზაკვარი მტერით ალყაშემორტყმული ამაყი მთავარი, მაგრამ ბოლოს მიიმედ დაჭრილი მაინც შეიპყრეს და საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხალხის მოსალოდნელი აჯანყებით დაშინებულებმა სასწრაფოდ დახვრიტეს.

შემოქმედის მსოფლმხედველობის ამოცნობა ყოვლის უწინარეს ათვლის წერტილის მონიშვნას ითხოვს. ამ წერტილიდან უფრო საცნაური ხდება მწერლის ინდივიდუალური მსოფლალქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტეგრალური მოდელი. რაც უფრო დიდია შემოქმედი, მით მეტად ძნელდება ასეთი „წერტილის“ დაფიქსირება. თუმცა, ვფიქრობთ, ეს აუცილებელია და საჭირო.

ი. ჯყონია მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ჩვენი აზრით, მისი ყველა პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური წერილი შთაგონებულია სამშობლოს სიყვარულით. მამულის სიყვარული ყველა, დიდი თუ პატარა ქართველი შემოქმედის მკვებაეი წყარო იყო და ამით ვერავის გააკვირებ ჩვენში, მაგრამ ი. ჯყონიას პოეტურ მემკვიდრეობაში ვერ დავაფიქსირეთ ერთი ლექსიც კი, სადაც პირად ინტიმურ, ან სხვა თემებზე იქნებოდა საუბარი. ეს მწერლის ტრაგედიაცაა და ბედნიერებაც.

ი. ჯყონიას დასახელებული პოემა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მამულის სიყვარულის კეთილშობილური გრძნობით. მწერლის სურვილია, გამოიყვანოს ძილქუშიდან ქართველი ერი, რომელშიც ფესვი გაუდგამს პარტიკულარიზმის სარეველას. პოემაში იგრძნობა, ვიწრო კუთხური განწყობილების მოძმლაერება, რომელიც აძაბუნებს ისედაც დასუსტებულ ქვეყანას. ამით უპირველეს ყოვლისა მტერი სარგებლობდა. სვანეთის მთავარი ქუთაისში დახერიტეს. მწერალი შეძრულია იმ ფაქტით, რომ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ამ ამბავს მიესალმა, რადგანაც მთავარმა გაგარინთან ერთად მოუსაველეთის გზას გაუყენა გენერლის ემისარი და მამებელი თარხან არდიშვილი. ეს უკანასკნელი კი წარმოშობით ქუთაისის მკვიდრი იყო. მურძაყანმა სიკვდილით დასჯის წინ სისხლმწყურებულ, გაუთვითცნობიერებელ ბრბოს ჯკუისდამრიგებლურად მიმართა.

„მერე ლიანგს მიუბრუნდა: გთხოვ ძმებო ყურს მომაყრობდეთ ქართველი სისხლის შეილებსა, შეგფერით განწირულს გმობდეთ?“

როგორც ავტორი შენიშნავს, ეს – „მურძაყანის ნამდვილი სიტყვებია, სიკვდილის წინ ნათქვამი“. რაინდი მთავარი აღსასრულის წინ, მშვიდად, მოუწოდებს ქართველებს ერთად დგომისკენ, წინდახედულობისაკენ. გაფრთხილება – „ძმებო, როს მოხვალთ ჯკუაზე“, მტერისა და მოყვრის გარჩევას როდის ისწავლითო დღესაც აქტუალურია. საჭიროა მეტი შორსმჭვრეტელობა, თორემ „დღეს მე ვარ ასეთ ყოფაში, ხვალ თქვენც ამასვე ელოდეთ“.

ი. ჯყონიასათვის ნიშანდობლივია ყოველგვარი შეფარვისა და შელამაზების გარეშე ცხოვრების სინამდვილე მოაქციოს სადა მხატვრულ სამოსელში და ისე გამოიტანოს სამზოვზე. მისთვის თითქმის არაა დამახასიათებელი სიმბოლურ-ალეგორიული ხერხებით სათქმელის გადმოცემა. მი-
5. ლ. დვალისძვილი

სი ფრაზა ტევადია და პირდაპირი. სერიის მაყურებელ ხალხზე გაბრაზებული მწერალი მათ სხვის წისკვილზე წყლის მიმცემ ლიანგს უწოდებს: ესაა უჭკუო მედროვე მასა, რომელიც „წუთით ცხოვრობს, მომავალზე ერთ-თავათ ხელაღებული“. თანამოძმის კიცხვა მათ ხელობად გაუხდიათ.

**„გმოს და ღვენოს, ვინ არის ქვეყნისთვის თავდადებული
მტრებთ და ფლიდებს მხარი მისცეს იფოს ძალის ბრმა ერთგული“**

თითქმის ეროვნულ უბედურებად უნდა აღიქვას ის გარემოება, რომ ჩვენში არც აღზევებისა და არც დაღზევების პერიოდში არ გამოლულა 30 ვერცხლის ბრჭყვიალს დახარბებული იუდა. პოემაში ბოროტი სულის პოლკოვნიკი ქართველთა შორის დაემებს დამბეზლებლებსა და ცილისმწამებლებს, ქართველების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ისინი საკმაოზე მეტი გამოჩნდნენ. „მაბეზღერები გაიმძრავეს, ვინც კი და რამდენიც სურდა“. ამით გულშემძრული პოეტი თვითირონით, გულდაწყვეტილი წერდა:

**„ჩვენი წესი, ზომ ასეა თუ სხვას ჩვენი ცუდი უნდა,
დახმარებას ჩვენვე ვუწვევთ, რა გვარიც და როგორც უნდა“.**

ილია ჭყონიას პოემაში გვხვდება აკაკის „გამზრდელში“ გამოყენებული ერთი სახე-ხატი თავისებური ინტერპრეტაციით. მაგ. „ეს სოფელი ასეთია შარბათის სმას სდევს საშსალი“. მწერალს შეუძლია კალმის ერთი მოსმით შექმნას საოცრად საინტერესო მხატვრული სახე (მაგ. მურძაყანის გარეგნობა). იგი მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იყენებს ქართულ მწერლობაში ხშირად ხმარებულ მეტაფორებს (მაგ. „ცხერებს გვანან მგლის შენაფეთსა“), აქ მაინც არ იქმნება ტრაფარეტისა და შაბლონის განწყობა. მწერალი ცდილობს წინადადება ააგოს ისეთი მიგნებული სიტყვებით, რომელთაგან გამოწვეული შთაგონება დიდია და, ამავე დროს, ისინი ზუსტად გამოხატავენ, როგორც მოქმედი გმირის ქცევასა და გუნებაგანწყობილებას, ასევე იმ ობიექტურ რეალობას, სადაც მოქმედება ხდება. მაგ. „ელდა ეცათ ვინც იქ იყვნენ: ცხერებს გვანან მგლის შენაფეთ-

სა, ზოგი დივანს ქვეშე შეძვრა, ზოგი გარბის ლანჩებს ცვეთსა“, ან კიდევ: „ისმის „ვაი“ და „გვიშველეთ“, უღვთონიც უხმობენ ღმერთსა“, „მთელი სახლი ეზოიან დაემსგავსა ჯოჯოხეთსა“. ყველა ზემოდასახლებული წინადადება, რომლებიც შეშინებული ადამიანის სახისა და განწყობილების გამომხატველია, ვფიქრობთ ქართული მეტაფორული აზროვნების მშვენიერი ნიმუშებია.

მწერლის ესთეტიკური ნააზრევის მნიშვნელოვან სრულყოფილებაზე მეტყველებს ის, რომ პოემაში დახატული თავისუფალი სვანეთის, თავისუფლებისმოყვარე მთავარი, მხატვრულ ქმნილებაშიც ისეთივე რაინდად და გონიერ მმართველად წარმოჩინდა, როგორც რეალურ ცხოვრებაში იყო. ალექსანდრე მაკედონელს მიაწერენ სიტყვებს, რომელიც მას ერთი მწერლისთვის უთქვამს: მირჩვენია, ჰომეროსის მოთხრობაში ვიყო თერსიტე, ვიდრე თქვენს მოთხრობაში აქილეუსი. ვფიქრობ, ი. ჭყონიამ ამ საფროთხეს მწერლური ოსტატობით დააღწია თავი. საერთოდ პოემა ორიგინალური სტილითა და იმედიანი განწყობილებით ხასიათდება. რაც შეეხება სიუჟეტის განვითარებასა და მოვლენების ლამის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაშლას კულმინაციისაკენ, აქ ახალი არაფერია. ქართულ პოემას მსგავსი ნიშნები ბლომად ჰქონდა გასულ საუკუნეში. შეენიშნავეთ მხოლოდ, რომ მწერალი, როგორც ჩანს, უნებურად, თავის თანამედროვე ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში ფეხმოდგმულ ღვთის უარყოფასა და ათეიზმს მექანიკურად მიაწერს მურძაყანს. მთავარი დაჟინებით უარს ამბობს ზიარების მიღებაზე.

„(ღმერთი) მცველი ჩაგრულთა სიმართლის... ზღაპარი არის ხუცების, მათი ტან-ფეხის ჩამცმელი, გამძლები მათი მუცლების, იგი ცნებაა სიბნელის, ხალხთა წინ სვლის უკან დამხვევი, გონების გამბრუებელი, თაოსნობისა წამართმევი“.

რატომღაც დაუჯერებელი ჩანს ქრისტიანი მთავრის ასეთი აგდებული დამოკიდებულება ღმერთისადმი. კაცი რომელსაც უყვარს მოყვასი, მზადაა საკუთარი სიცოცხლის ფასად სისხლის ღვრა ააცდინოს ქვეყანას, ასე არ იფიქრებდა. საერთოდ მურძაყანის აპათია ამქვეყნიური ყოველდღიურობის მიმართ უნდა გამომდინარეობდეს იმ მოულოდნელი ღპრესიის აგონიიდან, რომელშიც ის უნებურად აღმოჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა მეუღლე რუსუდანისთვის გაგზავნილი წერილი.

„რუსუდან, კაცის სიცოცხლე – მოჩვენებაა მიწაზე!
სინამდვილეა ტანჯვები, სხვა მოვლენასა ყველაზე.“

პოემა განიცდის ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენას. მასში ბევ-
რია დიდაქტიკური ხასიათის მშვენიერი გამონათქვამები:

- 1) „ერთი დღე არვის შერჩება, გინდ კაცი იყოს, გინდ ერი;
დღეს რომ სხვას ჩაგრავეს, ხვალ ხედავ – მონაა საწყალობელი“.
- 2) „მტერს სწავლით და ზნით უნდა აჯობო, თუ არა ძალით მჯობნი ის არი.“
ქართველის სისხლის შვილებსა, შეგფერისთ განწირულს გმობდეთ?
- 3) „ძმებო, როს მოხვალთ ჭკუაზე, მტერს და მოყვარეს რო ცნობდეთ?
დღეს მე ვარ ასეთ ყოფაში, ხვალ თქვენც ამასვე ელოდეთ!“
- 4) „ეს სოფელი ასეთია შარბათის სმას სდევს სამსალი“.
- 5) „ჩვენი წესი ზომ ასეა: თუ სხვას ჩვენი ცული უნდა,
დახმარებას ჩვენვე ეუწევთ, რა გეარც და როგორც უნდა!“

მურძაყან დადიშქელიანის დახვერეთის ფაქტმა დიდი რეზონანსი გამო-
იწვია იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში. თვით ხელმწიფის უერთგულე-
სი მოხელე კ. ბოროზდინიც კი აღიარებდა, რომ მთავარი უაღრესად
კეთილშობილი პიროვნება და ბუნებისგან ქმნილი გამორჩეული, სრულყო-
ფილი ინდივიდი იყო. „იგი სულ სხვა ჯურის კაცი იყო! უზარმაზარი,
მშვენიერი ტანადი და მოყვანილი, ლამაზი ქერა, გოლიათისებურის ძალ-
ღონის, ის ერთი იმ მშვიდ და მომთმენ ხასიათის ადამიანთაგანი იყო,
რომელთა გაბრაზება და გულისმოყვანიება მეტად ძნელია ხოლმე, მაგ-
რამ თუ კი ერთი მოთმინების ფიალა აღევსოთ, მეტად საშიშნი ხდებიან...
იგი მეტად პატივსა სცემდა პატიოსან და სამართლიან ადამიანებს. –
სწორედ ეს, მთების ამაყი შვილი, ხელში ჩაუვარდა განათლებულ, მაგრამ
ბოროტ რუსის მოხელეებს „არც უსლარია ახლა ცოცხალი და აღც
ბარტოლომეი და თუმცა მაინც სამართლიანობა მოითხოვს, რომ მთელის
ამ ღრამის უმთავრესი მიზეზი იყო მათი უტაქტობა“ (1.4, 224).

ბ) პროზა

ილია ჭყონიას პროზაული ნაწერები, რომლებსაც აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა აკაკი წერეთელმა, მკითხველთა ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ აქ ყოველგვარი ხელოვნური გართულების, ფრაზის გაბუნდოვანებისა და სათქმელის გაჭიანურების გარეშე მოცემულია თითოეული გმირისა და მოვლენის სადა, შთაბეჭდავი დახასიათება. მწერლის მოთხრობათა ციკლი უფრო ცხოვრების ყოფით მხარეებს ახასიათებს, ზოგიერთ მათგანში წარმოდგენილია დიდი ეროვნული ნაღველი და ტკივილი. თხრობაში ჩართულია მწვავე სცენები, სადაც მწერალი მკაცრი, მაგრამ პირუთვნელი პუბლიცისტის როლში გვევლინება და თავის პოზიციას ყოველგვარი შეფარვის გარეშე გამოხატავს. ი. ჭყონიას მოთხრობები და ნოველები პირობითად, საერთო მიზანდასახულობით, განწყობილებითა და პათოსით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

ყოფით-საყოფაცხოვრებო: „ბედნიერი დაცილება“, „მოშივებულთ მადა“, „ოცდახუთ მანეთიანი ღია წერილი“, „ფორთოხლები“.

მორალისტური: „უბედური შემთხვევა“, „გარემოების ძალა“, „უნებურათ გაგონილი“, „დროის ბრალია“, „ქარაგმული ამბავი“, „ღები“, „უტუ ხუნცურავა“ და სხვ.

პატრიოტულ-პუბლიცისტური: „პალიკო ამანჩახოძე“, „ბრუსილოვი მოკლეს“, „საჯავახოელის შენიშვნა“.

ცალკე შეიძლება გამოიყოს ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობა – „ამირანი“.

ცხოვრებისეულ ყოფით თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის საინტერესოა „ბედნიერი დაცილება“, რუსი ოფიცრის ქალიშვილი – მინადორა, რომელსაც დედა ქართველი ჰყავს და რომელიც საოცრად ლამაზია, თავის მდიდრულად მორთულ საწოლ ოთახში კითხულობს სამიჯნუროსატრფილო ხასიათის რომანებს. ახალგზარდა ქალიშვილი ისე გადასულა ნაწარმოების გმირთა ცხოვრებაში, რომ თავისი ცხოვრება მოსაწყენად და უფერულად ეჩვენება. აგერ სამი წელიწადია, რაც ინსტიტუტი გავათავე... და ცხოვრებისადმი განუსაზღვრელი გულ-გრილობის მეტს ვერაფერს ვხედავ. სადაა ის ნეტარი, აღტაცებული ცხოვრება.. და და-

ლოცვილი სიყვარული“ (გვ. 255*). უეცრად სადღაც თოფმა დაიგრიალა და „გზადაბნეული საფანტები“ ზუზუნით მშვენიერი ქალწულის ოთახში შეცვივდნენ. გულშეღონებული მინადორა ძლივს მოასულიერეს. ახალგაზრდა კაპიტანი, რომელიც თავს ჩიტებზე ნადირობით ირთობდა, ფრიად შეძრწუნებული და შეშინებულია, რამეთუ ვაიმონადირის მიზანსაცდენილმა საფანტმა კინალამ ქალიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა. შეიძლება მინადორას მამამ, მალაღჩინოსანმა ოფიცერმა, კიდეც დასაჯოს ქარაფშუტა კაპიტანი. ამიტომ მან დაასწრო და ბოდიშის მოსახდელად მინადორას მამას სახლში ესტუმრა. უნებლიეთ გაცნობილ ქალ-ვაჟს ისე მოეწონათ ერთმანეთი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც დაინიშნენ. ბედნიერი მინადორა და ახალგაზრდა კაპიტანი გულწრფელად ლოცავენ იმ ბედნიერ დაცილებას, რომელმაც მათი შეხვედრა გამოიწვია.

ყოფით პრობლემებზე შექმნილ ნაწარმოებში მწერალი მსუბუქი იუმორით აგვიწერს ქარაფშუტა, მაგრამ ცბიერ, გარჯის გარეშე ფუფუნების მსურველ ოფიცრებს. საოცრად გაეშმაკებულ მსახურებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს; მექრთამე, გაიძვერა სასამართლოს მოხელეებს; ღარიბ, მაგრამ საოცრად მოხერხებულ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს, რომლებიც თავის მხრივ ცდილობენ მოატყუონ უსამართლო მოსამართლენი („ფორთოხალი“). მწერლის სარკაზმი, სატირის ისარი ბასრია, ოღონდ არა მხამიანი. თვით უკიდურესად უარყოფითი გმირის დახასიათების დროსაც ჩანს შემოქმედის მიერ მასში ადამიანის დანახვა და სიყვარული.

მწერლის თანამედროვე სოციალური ცხოვრების ფონზეა შექმნილი და მისივე გამომხატველია „ოცდახუთ მანეთიანი ღია წერილი“. ახალგაზრდა, დარდიმანდი თავადიშვილი, ალექსი, ქალაქში ცხოვრობს. მასთან მსახურად დგება სილამაზითა და ენებით საესე რუსის გოგონა. ალექსიმ მონღღმა პირველ ღამესვე დაუფლებოდა მშვენიერ ასულს, ამიტომ შეეცადა მის მოსახიბლად მთელი თავისი მჭვერმეტყველება გამოეყენებინა: „ერთი მითხარი, შე ცუგრუმელა: შეიძლება მხურვალე გრძნობით დავეწაფო მშვენიერ შინაარს ღვთაების იმ ტურფა თხზულებისას, რომლისთვი-

* აქაც და შემდგომშიც ციტატები დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით - ი. ჭყონიას ნაწერები (თავისთავადი და ნათარგმნი), თბ., 1913 წ.

საც ადამიანს ტანი დაურქმევია?.. არ იფიქრო, რომ მე თუ ნაწარმოები ისე მომეწონა, როგორც ეხლა, ერთი ორი გადაფურცკლის შემდეგ მივატოვო..." (გვ. 312).

გაქნილი, მეტად გამჭრიახი და მოხერხებული მსახური გოგონა თავის სიტყვებში თითქოს შეფარვით კიდევ კპირდება სურვილის ასრულებას. „ბატონო, თქვენი ხომ არ არის ის თხზულება, რომელიც აგრე მოგწონებიათ? გადაფურცლამდე ჯერ უნდა შეიძინოთ. მგონი, არა? სხვისი საკუთრებაა..." (გვ. 312).

ალექსიმ შეაწყვეტინა: „...ვინც ვარგა, სხვისიც მისია და მისიც მისია“. მშვენიერმა ასულმა ეს გამოთქმა რამდენჯერმე „ალტაცებით“, მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა, შემდეგ კი ახალგაზრდა ბატონს მოკრძალებით სთხოვა „ჯამაგირის ანგარიშიდან“, თუ შეიძლება, 15 მან. წინასწარ მიეცა. მიამიტმა თავადიშვილმა ერთად-ერთი 25 მანეთიანი გაუწოდა და სთხოვა ხურდა დამიბრუნეო. ქალმა შესთავაზა, რომ ქვემოთ საკონდიტროში ჩავიდოდა და დარჩენილ ფულს ამოუტანდა. მსახური ფულიანად გავიდა და საერთოდ არ გამოჩენილა.

მამაკაცისა და ქალის გრძნობათა მდინარება, მათი ერთმანეთისადმი ლტოლვა, ბიოლოგიური გრძნობის გამოყენება ანგარებითი, ყოფით-საყოფაცხოვრებო სურვილების (ფულის შონა) დასაკმაყოფილებლად, თავქარიანი ქარაფშუტას გაცუცურაკების სცენა, ზომიერი იუმორი, – ყველაფერი ეს ნიშანდობლივია ი. ჭყონიას შემოქმედებისათვის.

მწერლის სატირის თავდასხმის საგანი ხშირად მეფის ჩინოვნიკური აპარატია; უეცრად მოხელეთა გამექრთამებული არმია, რომელთა ზნედაცემული, ადამიანურ ღირსებას მოკლებული სახე საზოგადოებას კოსმეტიკის გარეშე წარუდგინა.

ფრიად საინტერესო ადამიანის, გეგუთში „უკანეთობის“ დღესასწაულზე გაცნობილ ბერი ჟინარიძის შესახებ მოგვითხრობს მწერალი პატარა ნოველაში – „ფორთოხლები“. უაღრესად მნიშვნელოვანია ი. ჭყონიას დამოკიდებულება ქართულ სასუფრო ტრადიციებთან დაკავშირებით (ალბათ გასაზიარებელია დღესაც – ლ. დ.).

„სხვისი რა მოგახსენოთ და, მე კი ჩვენებური ნადიმისთანა მოსაწყენი, თავ-მოსაბეზრებელი და ნერვების ამშლელი თითქმის არა მეგულება რა. ძველსა და ახალს შუა ჩატეხილი ხიდი სწორეთ ამნაირი სადილებია.

სიმღერა – სიმღერას არ გავს ხმა არავის უვარგა და ჰანგები არავინ იცის; დაიწყებენ მრავალჟამიერს ძველებურ კილოზე და გადავლენ რუსულს „კამარინზე“, შეუდგებიან ვითომ ძველებურ ხუმრობასა და მოსწრებულ სიტყვებს და ლანძღვა-ვინებით გაათავებენ; მოინდომებენ მამა-პაპური სიმკვირცხლის გამოჩენას ყანწების სროლა-დაჭერით და ბოლოს ბოთლებს დაუშენენ ერთმანეთს თავ-პირში; ცდილობენ აქა-იქ დღევანდელ საზოგადო საქმეებზე ჩამოავდონ საუბარი და ისიც ჭორიკანობით და ცილის წამებათ გადაექცევათ ხოლმე“ (გვ. 278).

ნოველაში მწერალი გვამცნობს, რომ უინარიძეს ადრე სასამართლოში „უჩანსაჩაღნიკად“ უმუშავია. საოცრად ზნედაცემული, უსინდისო და გაიძვერა ყოფილა იქ მყოფი ყველა მოხელე. „ქრთამს ვიღებდი სულო ცოდვილო, ეს რა, რომ დაეიფიცო, რა დროსია ახლა.“ (გვ. 279). ეს გულქვა ადამიანები „ფრიად შორსმჭვრეტელნი და წინდახედულიც“ არიან. „ქრთამი წინდაწინ ვიცოდი ყოველთვის“, – გულწრფელად აცხადებს ბერი უინარიძე. მაგრამ ზღება მოულოდნელი, კომიკური ამბავი – ერთმა „ქუთაისის რუსებთან მზარეულობაში გაცულლუტებულმა კაძახის შვილმა“ მოსამართლეს შესთავაზა, თუ საქმეს მოაგებინებდა, „თხუთმეტ აპელცინს“ მიართმევდა. უწიგნურ მოხელეს „აპელცინი“ რალაც დიდი ქრთამი ეგონა, ხოლო შეკითხვა შერცხვა. მან მართლაც სამართალი შეაბრუნა – მტყუანი გაამართლა და გლეხისგანაც დაუფარავი ირონიით მიიღო მის მიერ „დიდ ქრთამად“ აღქმული 15 ფორთოხალი. ნოველის ბოლოს მწერალი შთაბეჭდავად წარმოაჩნეს „გულგასივებულ“ მოსამართლეს, რომელსაც ამის შემდეგ ბრაზით თავის სიცოცხლეში ფორთოხლისათვის პირი არ დაუკარებია.

„მოშვივებულთ მადა“ მკითხველს იტაცებს მსუბუქ-კომიკური, ამასთანავე ოდნავ ნალექლმერეული ირონიით. ნაწარმოებში ვხვდებით თითქმის საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს, რომლებიც მწერლის მაღლიანი კალმით საოცრად სრულყოფილ, კოლორიტულ სურათს აქმნიან თავიანთი კუთხეებისას. შემოქმედმა ხატოვანი ფუნჯით რამდენიმე გვერდზე მოახერხა მრავალფეროვანი საქართველოს უაღრესად ლამაზი, მოზაიკური სურათის შექმნა. შესანიშნავი, სხარტი და მახვილი ენით ეპიზოდებისა და ხასიათების აღწერა კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას. აქაა: „კუდაბზიკობას გადაჩვეული იმერელი, მაჭახელა-გადავიწ-

ყბული გურული, მეგრელი, რომელიც თავის დღეში ცხენზე არ მჯდარა, რაჭველი, რომელსაც არც კურტანი მოუკიდია ზურგზე, არც მესტიერეთ უკვლია, ლეჩხუმელი, რომელსაც არასოდეს ქურდისათვის ხელი არ დაუცლია, სვანი ქალაქის გემო-აღებული, კუჭის-წვისაგან დატანჯული ქართლელი“ (გვ. 386). ეს ადამიანები რიგრიგობით იხსენებენ თავიანთ კუთხეებსა და ოჯახს. მოქარგული ენით ხატავენ სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების ადგილობრივ ტრადიციებს. მწერალს დიდებულად ეხერხება ერთი შეხედვით ამ ყოფით საყოფაცხოვრებო ტრადიციების ფონზე ულამაზესი მხატვრული ფერებით წარმოაჩინოს საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება, ზნემაღალი და სტუმრის მოყვარე ქართველი კაცი. საოცრად მართალი, დახვეწილი, ცოცხალი და ცინცხალია მწერლის მიერ დაწერილი კი არა, თითქოსდა ფუნჯით დახატული სურათი.

გურული ნატრობს... „აგვსვა, დაგვსვა და ჩემსი ოდის პარმალზე დაგვსვა... ვაი, ნენა, გამჩენის მადლმა, ერთ ლანდზე აგვივებდით სუფრას: „უმარულ წასმულ ციცასავით თეთრი ღომით, მძალე-ძმარში გაკეთებულ ქათმით, საცივით შემზადებულ ინდაურით, კეცზე შემწვარი ჩვენი ბუუყის კალმახებით და საწებლით. ღვინო ანდასოულით კი კურცხლებს გადმოგაყრევიანებდით თვალებიდან... კურცხლებს“ (გვ. 307). კოლორიტულია სვანის ნატურა. „თუ გნახეთ ჩემს კოშკში ბეჩოს, – ერთ სომეხივით ჩამგვრალებულს, ძროხას დაგიკლავთ, სუკი ბევრი ავა ზედ, სათბილო და ბეჭი... მიმოზდქით და ბლაცნეთ, ქერის პურებს კიდევ ბევრს დაგიყრით ზედ, გუდით არაყს გამოგიკოტრიალებთ, თუ გინდათ ქე ჩვიხრჩვით შიგ... სხვა რომ მონინებოთ რამე კიდევ, ჩიყვს თუ მომჭამთ, თუ არა მეტს ვერაფერს გიშოვნით-ღა...“ (გვ. 308).

ნაწარმოები ფრიად საინტერესოა თავისი მხატვრული ღირსებებით. მასში ძალუმაღ იგრძნობა მწერლის სევდაშეპარული ტონი, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოქმნილია იმ ნიადაგზე, რომ საქართველოს – ასეთ მდიდარ და მრავალფეროვან ქვეყანას – ცუდი დროისა და „პატრონის“ გამო არ შეუძლია რიგიანად, ჯეროვნად გამოკვებოს ამ მიწის მკვიდრნი. ამიტომაც მოქმედი გმირები იძულებულნი ხდებიან ფანტაზიაში გადავიდნენ და ისე წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობა; თითქოს მათ ყველაფერი ჰქონდეთ და სიმდიდრეც თავზე გადასდიოდეთ. მაგრამ ასე არ არის რეალური ვითარებით. სწორედ უსახსრობამ აიძულა ეს ადამიანები მიე-

ტოვებინათ თავიანთი კუთხეები და სამუშაო ყვირილაში (დღევანდელი ზესტაფონი - ლ. დ.) ეძებნათ.

ი. ჭყონიას ეს მშვენიერი ნოველა ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ „დოკუმენტური პროზის“ საინტერესო ნიმუშად. თუმცა ავტორს თავი მოქმედ გმირად არ გამოჰყავს, მაგრამ აღწერილი გარემო მისი მოხეტიალე ცხოვრების ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო, ხოლო ნოსტალგია - „მომთაბარე“ ცხოვრების თანამდევნი ჩრდილი. „დოკუმენტური პროზის“ უპირატესობის თეორია რომანთან შედარებით ჩვენში 20-იანი წლების მიწურულს აგორდა. „თუ მწერალმა შეძლო ... სინამდვილის მხატვრული და კარგი ენით აღწერა - ეს სინამდვილე ყოველთვის დაჩაგრავს და წაახდენს გამოგონილი გმირის ისტორიას“, - წერდა თავის დროზე ნ. მიწიშვილი (2.63). დრომ ამ მოსაზრების მცდარობა დაადასტურა.

ი. ჭყონიას ზემოდასახელებულ ნოველაში წარმოდგენილი ეპიზოდები ოდნავი ვარიაციით 20-იანი წლების ბოლოს გამოიყენა ნ. მიწიშვილმა. „...ეხ, ერთი დამსუა სამეგრელოში... შეფუცხუნებული მაჭარი, ჭყინტი სიმინდი, შემწვარი წაბლი, მშრალი კვახი. ვა, შე კაცო, ვა! რა სჯობია ახლა ამას! (მეგრელის მონოლოგიდან) ...მაგ ხომ კაია და კაი, მაგრამ რა ჯობია ჩვენებურ ამოღესილ ლობიოს დანაყილი საკმაზით, პრასას, რომ ზედ გადააჭრი, კეწარახიან ლობიოს. მერე აყენებულ კეცზე გამომცხვარი ცხელი მჭადი იოლი ღვინოთი, ან... რა ჯობია ახლა მაყვალში ჩადებულ წიწილს ან ისრიმში აქნილ ვარიას; თუ არა და მაგარ ნივრის წვენი ჩადებულ დედალს... პიტნაში გადაზელილ ყველს (იმერლის ნატურა) (1.18,92).

ი. ჭყონიას მოთხრობათა და ნოველების ერთ ნაწილში გამოკვეთილად არის ნაჩვენები ადამიანთა მორალისა და ზნეობის, სინდის-ნამუსის, ანგარებისა და სულმოკლეობის, ქარაფშუტობისა და უგუნურების, მიმტეველობა-მიუტეველობის მძაფრი, ქარიშხლიანი სურათი. ამის გამო პირობითად ჩვენ ამ ხასიათის ნაწერებს ვუწოდებთ მორალისტურ-დამრიგებლურს. ადამიანს ევალება სრულყოფილებისაკენ მიმავალ უაღრესად რთულ და ათასგვარი ცდუნებით აღსავსე გზაზე შინარჩუნოს ზნეობრივი სიწმინდე, სისპეტაკე და უბიწოება. მწერალს ესმის, რომ ადამიანი რთული არსებაა, ყოველ სულიერში ღვთაებრივი ნაპერწკალი ღვივის, რომ ამ

ქვეყანაზე სიკეთე და ბოროტება თანაბრადაა სინთეზირებული ყველაფერში. შემოქმედი ერთგულია ქართულ ანდაზებში ხალხური სიბრძნის სახით დავანებული პრინციპებისა „ასჯერ გაზომე ერთხელ გაჭერი“ და სხვ.

ამ მხრივ საინტერესოა პატარა ნოველა „უბედური შემთხვევა“. ივანე კოპალიანი, მხნე და შრომისმოყვარე გლეხი იყო. იგი ადრე დაობლდა. დედამ აღზარდა. 20 წლისამ ცოლი შეირთო. ოჯახის საჭიროებისათვის გადაწყვიტა ქალაქს წასულიყო, ეგებ ცოტა ფული ეშოვნა. 10 წელი თავდაუზოგავ შრომაში გაატარა ივანემ. ბოლოს დაგროვილი თანხით იყიდა ვერცხლის ქამარი, ახალი ტანსაცმელი, დარჩენილი ფული ჯიბეში ჩაიდო და მონატრებულმა სულსწრაფად მიაშურა სოფელს. თავისი უბნის დასაწყისში თანაშემზრდილი მეზობელი შეხვდა, რომელმაც ძლივს იცნო. ივანემ იგი მეორე დღისათვის საკუთარ სახლში დააპატიჟა. ეზოში შესული შვილი ვერც დედამ იცნო... ივანეს გული ჩასწყდა. სამწუხაროდ, ვერც ახალგარზდა ცოლმა შეიცნო ქმარი. ივანეს მაცდუნებელი აზრი გაუჩნდა. ვინაობა დამალა, რათა ერთგულებასა და სიწმინდეში გამოეცადა ცოლი და დედა. იგი ვაჭრად გაეცნო ოჯახის წევრებს და სთხოვა: სოფელში შემომალამდა და, თუ შეიძლება ღამე გამათევინეთო. ვახშმის შემდეგ თვითმარქვია ვაჭარმა დედაბერს აუწყა, რომ ქალაქში შემთხვევით მის შვილ – ივანეს გასცნობოდა, რომელიც რაღაც დანაშაულისათვის ციხიბრში იხდიდა სასჯელს. თან სთხოვა, რომ, თუ ამაღამ შენ რძალს დამაკავშირებ, უამრავ ფულს მოგცემ და შეიძლება შენი შვილი ციხიდან გამოვაშვებინოო. ყოყმანის შემდეგ დედამთილი დაყაბულდა, მაგრამ რძალმა მტკიცე უარი განაცხადა. შემდეგ შეთქმულმა რძალ-დედამთილმა წაღლით სიცოცხლეს გამოასალმეს „ვაჭარი“. სიმართლე მეორე დღეს გაირკვა, როცა სტუმრად დააპატიჟებული მეზობელი ივანეს სახლს მიადგა. ...მწუხარებისგან ელდანაცემი, დაუძლურებული რძალ-დედამთილი ერთმანეთის გვერდით დაეცა.

ამ ნოველას, რომელიც 19 წლის შემოქმედმა დაწერა და რომელიც გამოქვეყნდა პატარა წიგნაკ „სამწერლო თაიგულში“ გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ (1880 წ., №144). ხელმოწერელი რეცენზიის ავტორი ეფიქრობთ უმართებულოდ აფასებს მას.თუმცა ნამდვილი ამბავი არისო, გვეუბნება ავტორი, მაგრამ ცოტა ეჭვი ებადება მკითხველს ამის სინამ-

დვილისა. დედა მოკლული იმერლის ჯერ მაჭანკლათ უხდება თავის რძალს და, როცა კხედავს ვერ გასჭრა მისმა მაჭანკლობამ, იღებს წალდს და მიდის იმ კაცის მოსაკლავათ „ოჯახის გაუპატიურებისათვის“, ან რათ მაჭანკლობდა, ან ჯავრი რაი მოუვიდა, რომ მისი ოჯახის გაუპატიურება განიზრახეს“ (გვ. 244).

როგორც ჩანს, რეცენზიის ავტორს გულისყურით არ წაუკითხავს განხილული ნოველა. იგი ცდება შინაარსის გადმოცემის დროს, როცა ამბობს, რომ გაცუდებული მაჭანკლობის შემდეგ დედამთილი „იღებს წალდს და მიდის იმ კაცის მოსაკლავათ“, ეს ასე არ გახლავთ. შეურაცხყოფელი წინადადებით განრისხებულმა რძალმა: „დიდი ხნის ცხარე ბრძოლების შემდეგ იღუმაღმა ხმამ ძლია ყმაწვილი ქალის გულს, დამნაშაის სიკედლით დასჯის წინააღმდეგს... და დაუწყო დედამთილს ჩაგონება, თუ რა ღირსეულ საქმეს იზამენ ისინი თუ მოკვლენ მის შეურაცხყოფელ ვილაც ოხერ ვაჭარს“. დიახ, რძლის იძულებას დაეთანხმა დედამთილი და, წალდით რძალი კვლავს „ვაჭარს“ და არა ივანეს დედა.

ნოველას წამძღვარებული აქვს მინაწერი, სადაც კვითხულობთ, „ეუძღვნი აკაკის, ამ ამბავის სიუჟეტის მომცემს“. რეცენზენტის ნიჰილიზმიც („ნამდვილი ამბავი არისო, გვეუბნება ავტორი“, მაგრამ მკითხველს ამნაირი ნამდვილი ამბის არ სჯერაო“) – მიუღებელია. აკაკის ნაამბობი სარწმუნოა, და რა გასაკვირია ასეთი ამბავი მაშინ მომხდარიყო, როცა მსგავს შემთხვევებს დღესაც ხშირად აქვს ადგილი.

როგორც ი. ჭყონიას მთელი შემოქმედებიდან ჩანს, მწერალს ახლო და კარგი ურთიერთობა ჰქონია მგოსანთან. ეს მრავალგზის დასტურდება. ამ მხრივ საინტერესოა პოეტის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაწერილი წერილი, რომელშიც ი. ჭყონია დიდი პატივისცემით, ზომიერი ხოტბითა და მოკრძალებით აფასებს მგოსნის ღვაწლსა და შემოქმედებას.

ნოველაში მხატვრული დამაჯერებლობით არის ასახული მოხუცი ქალისა და რძლის რთული ფსიქოლოგიური განცდები. დამაჯერებელია კაპიტალისტურ ყოფით-ურთიერთობების შემოჭრასთან დაკავშირებით „შრომის შვილის“ ფსიქიკაში გაჩენილი გარკვეული დაეჭვება და ყოყმანი. შეინიშნება ზნეობრივი იდეალების გადაფასების დაწყება. საესეებით მართალი იყო დიმიტრი ბენაშვილი, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქარ-

თული საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩენილი ასეთი ბზარის შესახებ წერდა. „რალაც საოცარი ჭია, რომელმაც მთელი ევროპა მოიარა და ახლა ქართულ ოჯახშიც შემძვრალა და მის მთლიანობას ღრღნის. ეს ჭია ოჯახში შესული საყვარელია, რომელმაც გარკვეული შინაარსის მატარებელი რომანული სამკუთხედი შექმნა. ამ ელემენტის შეჭრის შემდეგ ოჯახში ფარისევლობა ბატონობდა და ხრწნიდა მის მორალურ ელემენტს, რომელიც საფუძვლად უდევს ოჯახს.“ (1.27,151).

მწერალმა 10-15 წლით ადრე მიგვანიშნა თავის ნოველაში იმ საშიშროების შესახებ, რომელიც შემდეგ შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა. ნოველაში წარმოდგენილი რძალი და დედამთილი ტრაგიკული პიროვნებები არიან, რამეთუ იბრძოდნენ უმწიკვლო ზნეობრივი იდეალის (ოჯახის სიწმინდის) დასაცავად და უნებლიეთ დიდი უბედურება დაიტეხეს თავს.

აქვე შეენიშნაეთ, რომ მსგავს სიუჟეტური ნაწარმოები მოგვიანებითაც საკმაოდ გვხვდება ქართულ მწერლობაში. მაგალითისთვის დავასახელებთ მ. ჯავახიშვილის „ორი შვილი“, რომელშიც ხარბი და ბოროტი ზაქრო „უნებურად“ შვილის მკვლეელი გახდა.

სიხარბე, ანგარება, მომხვეჭველობა, ფულის შოვის გულისათვის სინდის-ნამუსსა და ზნეობაზე ხელის აღება, საოცრად ამახინჯებს ადამიანს. ასეთ გადაგვარებულ პიროვნებად დაგვიხატა მწერალმა გორში დამკვიდრებული სომეხი ვაჭარი კარაპეტა ტერ-ასტეაწათურიანი მოთხრობაში „გარემოების ძალა“. „18... წელს ზონში ვაჭრობა დაიწყო ნესტორა ნახულაშვილმა.“ მან ყველასათვის მოულოდნელად პატიოსანი, წესრიგიანი და გონიერი კაცის რეპუტაცია მოიხვეჭა, საკმაოდ გამდიდრდა. უამრავ ადამიანს გაუმართა ხელი და და კარგ გზაზე დააყენა. ასეთივე წესრიგიანობით გამოირჩევა მისი ცოლი შუშანა. მოულოდნელად ნესტორა დაიღუპა. ანდერძით მან 100000 მანეთი საქველმოქმედოდ დატოვა. აქედან 31000 მანეთი „თბილისში ქართველთა უნივერსიტეტის დასაარსებლად“. აქვე ანდერძთან ერთად ნახეს ნესტორას სიმამრის კარაპეტა ტერ-ასტეაწათურიანის წიგნი, რომლის შინაარსი ფრიად მნიშვნელოვანია. აქ ლამის ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და გულისტკივილით მოთხრობილია მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში თავა-

დაზნაურთა ძლიერი საგვარეულო ოჯახების რღვევისა და მათი სიმდიდრის გადასვლა უცხოტომელ ფარისეველ ქორ-ვაჭართა ხელში. საოცარი სისრულითაა ნაჩვენები ადამიანთა ღრმა ფსიქოლოგიური განცდები, ტკივილები და მწუხარება. მხატვრულთან ერთად მწერალი დაჯილდოებულია სოციოლოგიური განზოგადოების ნიჭით. აქ ერთგვარად ისმის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა პიროვნულ უბედურებაში. პრობლემის ასე წარმოჩენა გადაჭრით ამტკიცებს, რომ მწერალი იცნობდა ევროპის მოწინავე ფილოსოფიური და სოციოლოგიური სკოლების შეხედულებებს ამ დარგში (ეს მართლაც წარმოჩინდა მის პუბლიცისტურ წერილებში, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).

მოთხრობაში ნაჩვენებია, რომ სიხარბე, მომხვეჭელობა, გამდიდრებისკენ ლტოლვა ყოველგვარი საშუალებებით, საოცრად ამახინჯებს ადამიანების ზნეობას. იქამდე, რომ იგი მტაცებულ მხეცზე უფრო დაუნდობელი და სისხლისმოყვარული ხდება. ასეთია საქართველოში გაზრდილი სომეხი კარაპეტა, რომელმაც არ დაინდო ყოფილი ბატონი, ვისი მეოხებითაც შიმშილით სიკვდილს გადარჩა, გამდიდრდა და ცხოვრებაში გამოვიდა. მან არა მარტო სიმდიდრე გამოსწოვა სრულიად თავის კეთილისმყოფელს, არამედ გაიძევრობით მოახერხა ციმბირში მისი ოჯახიანად გადასახლება. ერისა და საზოგადოების გამაფრთხილებლად ჟღერს მებატონე ამირინდოს სიტყვები. „ჩემო ძმებო, დებო და შვილებო! ამ დღეში მყოფი ამირინდო... ჩემი უბედური მეუღლით, დიდი ოთარ შატბერდელის ქალით, გეთხოვებით საუკუნოთ! ...ვისაც რამ შეგცოდეთ შეგვინდეთ, თუ ვისმე რამეთ გარგოდით, ხანდიხან მოგვიგონეთ ხოლმე! ... გაჭირვებული, მშიერ-მწყურვალი, სისხლის ცრემლით მტირალი, სხვისგან ილაჯ-გაწყვეტილი კარაპეტა ჩემს ოჯახში შევიხიზნე, ვუპატრონე, დავაპურე, კაცათ გამოვიყვანე... მან კი ნელ-ნელა მთალა... მონავერათ მოეკლინა ჩემს ავლა-დიდებასა ბოლოს ჩემით მევე გამომჭრა ყელი... სადაც ქვეყნის გაჩენიდან ბინადრობდა საყარსამიძის გვარი, იქ ეხლა გაბატონდა გუშინ შემოხიზნული კარაპეტა... იყავით ფრთხილათ, თორემ თქვენც ამ დღეს მოელოდეთ! მშვიდობით! დაგიცვასთ უფალმა!“ (გვ. 334).

ამ საგანგებო ზარს ვფიქრობთ დღესაც არ დაუკარგავს შემოკერის საჭიროება, ოღონდ ეს კია, რომ მას ზომიერად, ტაქტიანად, გონებისთვალებითა და გულისყურით უნდა დარისხება. ზოგიერთი ერის თანდაყო-

ლილ სიცბიერესა და მუხანათობას ანალოგიური საშუალებებით უნდა ებრძოლო... მაგრამ ქართულ გენში უკვე ჩამოყალიბებული ლუარსაბიზმი, მხოლოდ დღევანდელი კუჭის მოთხროვნისგან განსხვავებით ცხოვრობს და მისთვის ამაღლებული და ზნეობრივი დღევანდელი რეალობის ფონზე ქალის კოსმეტიკასავითაა. თვით რუსეთის იმპერიის ლაქიებიც კი საჯაროდ აღიარებდნენ: „ქუთაისში სომხებსა და ებრალებს მხარი მხარს ყოფნა და ვაჭრობა უხდებათ, მაინც ეს მოსულები ერთმანეთში მორიგებულან და საერთოდ თავიანთ ექსპლუატაციის მსხვერპლათ იმერლები უქცევიანთ“ (1.4,54).

ეს სიტყვები გასული საუკუნის 50-იან წლებში თვითმხილველის მიერ დაიწერა. პრობლემამ დღეს უფრო აქტუალობა შეიძინა, ოღონდ საქართველოს სხვა კუთხეებში.

კარაპეტებისთვის მეგობარი და იდეალი არ არსებობს. თუმცა მათ აქვთ ერთი იდეალი – ესაა ფული და სიმდიდრე. თავის ღროზე კარაპეტამ ასევე უსულგულოდ მიატოვა და უღალატა თავის ერთადერთ მეგობარს, ნესტორას მამას, დასაღუპად გაიმეტა მისი ოჯახი.

ი. ჭყონია ამ ნაწარმოებით წარმოადგენს ტიპურ მუხანათ უცხოტომელებს, რომლებიც მზაკვრობითა და ქართველთა კეთილი ბუნებით ბოროტად სარგებლობენ. ართმევენ მათ მიწასა და ყოველგვარ სიმდიდრეს. მწერალი ქადაგებს მაღალ ზნეობასა და პატიოსნებას. გეაფრთხილებს ზოგიერთი „მოყვრის“ შესაძლო მშვიდობიანი ექსპანსიის შესახებ. კაპიტალისტური ურთიერთობის ზოგადი ელემენტის საქართველოში შემოჭრასა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების (ბევრ შემთხვევაში მახინჯის) დამკვიდრებას ჩვენში მრავალი მწერალი შეეხო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებში წარმოჩენილია მთელი რიგი საინტერესო მომენტები, რომლებიც ვფიქრობთ ფრიად მნიშვნელოვანია ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული მხატვრული მწერლობა და პუბლიცისტიკა, როგორც კი ცოტა მოღონიერდა, აქტიურად აშუქებს იმ სამწუხარო რეალობას, რასაც სომხური ეთნოსის „მშვიდობიანი ექსპანსია“ უქადდა საქართველოს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ქართული დრამატურგია.

ი. ჭყონიას „გარემოების ძალა“-ს დაწერიდან მომდევნო წელს (1900) შეიქმნა ვაჟას პოემა „ჰაოს და ქართლოს“, სადაც გადმოცემულია თუ როგორ შეიფარა და ქონება გაუყო მტერთაგან დევნილი ლატაკი ჰაოსი ქართლოსმა. ხიზანმა ომში წასულ ქართლოს ამაგი იმით გადაუხადა, რომ ცოლ-შვილი სახლიდან გაუყარა, ყოველივე სიმდიდრე წაართვა და ომიდან უკანდაბრუნებული ქართლოსი სახლიდან გამოაგდო. საგულისხმოა და გასათვალისწინებელი გამწარებული ქართლოსის ცოლის სიტყვები ქმრის მიმართ: „ღირსი არ არის ნუ სტირით, შვილებო თავის მამასა, თქვენთვის ყელების საჭრელად ჰაოსს აძლედა დანასა“ (1,8, 384). ისტორია მეორდება. ამის ნათელი დადასტურებაა „ჰაოსის“ ქმედება დღევანდელ აფხაზეთში.

ქალის ფსიქოლოგიისა და ხასიათების იშვიათი ცოდნა გამოავლინა მწერალმა საინტერესო ნოველაში „უნებურათ გაგონილი“. ავტორი მიმზიდველი თხრობით გუაუწყებს ორი ახლადგვარდაწერილი მანდილოსნის გულწრფელ საუბარს ერთმანეთთან. შემოქმედი სარკაზმითა და მსუბუქი ირონიით გადმოგვცემს, თუ როგორ შეძლო მოხერხებულმა ქალმა ქარაფშუტა მოღალატე ქმრის „მორჯულება“ და უკან დაბრუნება. როგორც კი „მამისგან მზითუვი მიიღო, ჩემი ქმარი ვერცხლის წყალივით დამიძვრა ხელიდან...“ ამაო გამოდგა მეუღლის დასაბრუნებლად ტკბილი სიტყვები და აღერსიანი მოპყრობა. მაშინ მოხერხებულმა ქალმა ეშმაკობა იხმარა. მან გაითამაშა უცნობი ქალის როლი, რომელიც ქუჩაში ვითომ შემთხვევით გაეცნო მეუღლეს და პაემანი დაუნიშნა. ქმარმა ვერ იცნო ჩადრით პირდაბურული ცოლი და საიდუმლო ადგილას რამდენიმე ცეცხლოვანი ღამე მიუძღვნა. ბოლოს ქალმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. შერცხვნილმა ქმარმა პატიება და ერთგულება აღუთქვა ცოლს. ამ ერთი შეხედვით თითქოს უბრალო რომანულ-სათავეადასავლო ეპიზოდში ბევრი რამ არის ჩაქსოვილი ისეთი, რომელშიც მთელი სიმართლითაა ნაჩვენები ასე ვითომდა „შემთხვევითმა „წუწკობამ“ და „სიცელქემ“ შეიძლება დაანგრიოს ტრადიციული ოჯახი და ის „ტრიუმფირატი“, რომელთა არსებობას მიუთითებდა დ. ბენაშვილი შეიძლება შეიქმნას ბავშვების უდემამოდ აღზრდის მიზეზად.

საინტერესოა ნოველის ერთი ეპიზოდი, სადაც ახალგაზრდა ქალი მეორეს აცნობს თავის ქალწულობის დროინდელ ფიქრებსა და გაუმხელელ ნატვრას. ამ ეპიზოდში, ჩვენი აზრით, ავტორი ახერხებს იშვიათი მხატვრული ხატოვანებით, დამაჯერებლობითა და მთელი უშუალობით გადმოგვცეს ქალის ფსიქოლოგია.იყო ზაფხულის სურნელებით ფშვინვარე ღამე; საწოლი ოთახისა და აივნის ფანჯრები ღია დაეტოვე. თუმცა ზღვის პერია, მაგრამ მაინც ცხელოდა და ზეწრის ამარა დაეწევი, ერთიც ვნახოთ ძილშია, რაღაც მძიმე გულაღმა გაშხლართულს მთელ სხეულზე დამეცა. შიშის უმაღ ნერვები დამიტკაბა. სულ საამო ყრუანტელმა დამიარა ტანსა... გონს, რომ მოველ, ვიფიქრე შალვა ფხიაშვილი იქნება მეთქი (ქალს ეს ყმაწვილი უყვარდა) კელავ ისე დამკარგვოდა გონება, რომ დილაძღე არ გამოვრკვეულვარ... დილას გამოვიღვიძე და რას ნახავს ჩემი თვალები. აი, ის დასაწვავი კედლის ნოხი ჩამოვარდნილიყო და გულს დამცემოდა... მთელი ის დღე სულ ვიტირე“ (გვ. 262).

წარმოდგენილ ეპიზოდში ჩანს შემოქმედის პოეტური აბსტრაქტიზების დიდი უნარი და ნიჭი. გმირის ღრმა ექსპრესიისა და სულიერი ქარიშხლებისა თუ მიკროკლიმატის ცოდნა. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწერილი ეს ნოველა, დასახელებული ეპიზოდით, შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართულ მოდერნისტულ ნაწარმოებად, რომელიც უხვად შეიცავს იმპრესიონიზმის ელემენტებსაც. იმპრესიონისტული ნაკადის არსებობა მწერლის შემოქმედებაში, ჩვენი აზრით, ბუძუნაწოვია ევროპული ლიტერატურიდან, რომლებიდანაც ხშირად თარგმნიდა იგი. ი. ჭყონიას ამ საინტერესო ნოველასთან საკმაო მსგავსებას იჩენს 1918 წელს ლეო ქიაჩელის მიერ დაწერილი იმპრესიონისტული ხასიათის ნოველა „შეურაცხყოფილი“. მასში მოთხრობილია თუ როგორ დაინახა ახალგაზრდა სტუდენტმა „უთვალოდ“ (აკადემიკოს ა. ნიკოლეიშვილის ტერმინი) გვერდით ოთახში დაბინავებული ახალგაზრდა ქალის ტანსაცმლის გაძრობა და საწოლში ჩაწოლა, მიმდევარი სასურველი მომენტებით. აქ „თითქმის პირველი სტრიქონიდანვე წამოჭრა მწერალმა კარდინალური კითხვა „არსებობს თუ არა მოვლენა, ვინდ ქვეყნიერება, თავისთავად, ან, როგორც გერმანელები იტყვიან, an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია?“ (132, 221).

მართლაც დასახელებული ნოველები ახლოს დგანან ერთმანეთთან, როგორც შინაარსობრივად, ისე გამოხატვის ფორმითაც, რადგანაც „იმპრე-
6. ლ. დვალისძე

სიონიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებანი, როგორცაა მოვლენათა უკიდურესი სუბიექტურობით აღქმა და განცდა, ამ შემთხვევაში ხელსაყრელ საფუძველს ქმნიდა ავტორისეული ჩანაფიქრის გამოსახატავად" (1.20,23) წერს აკად. ა. ნიკოლეიშვილი თავის წიგნში. მართლაც, ხსენებულ ნოველაში გამოიხატა „უკიდურესი სუბიექტივიზმი“.

„ქარაგმული ამბავი“ 1903 წელს დაიწერა. მასში ერთდროულად რამდენიმე თემაა წინა პლანზე წამოწეული. მორალურ-ზნეობრივი და პატრიოტულ-დიდაქტიკური. ნაწარმოების სათაური, ვფიქრობთ, ზუსტად ხსნის შიგ ჩაქსოვილ შინაარსს. აქ ქარაგმულად (შეფარვით) საუბარია ერთის შესახებ და იგულისხმება მეორე. მწერალი ნოველაში წარმოადგენს სიმბოლურ-ალეგორიულ სახეთა მთელ გაღერეას. ოღონდ მოქმედ გმირთა დიალოგებით ადვილად იშიფრება თუ ვისზე, ან რაზე გვესაუბრება ავტორი.

ქვეყნად ცხოვრობდა თურმე ერთი მამფალი, რომელსაც ყველაზე მეტად „საჯაროდ სიმართლის მეტყველთა“ ეშინოდა. ერთხელ მის სამეფოში გამოჩნდა ერთი ვიღაც მწყემსი, რომელიც ჭეშმარიტებას ღალადებდა. მამფალმა ყოველგვარი შებრალების გარეშე თავი მოქკეთა მას. ნიშანდობლივია მწყემსის სიტყვები გამოცდის დროს, რომელიც ვფიქრობთ იმავდროულად მწერლის ნააზრევია.

„ვეზირის კითხვა: რა არის ნიჭი საერთოდ?“

მწყემსმა მიუგო: ნიჭი ზენაარი ძალაა, რომელსაც წრთენა წყენს და სწავლა აღაფრთოვანებსო!”

(ვფიქრობთ წერთნაში უნდა იგულისხმებოდეს ნიჭის შეზღუდვა, მისთვის თავისუფლების წართმევა და ჩარჩოებში მოქცევის ცდა.)

„ვეზირმა კითხა: რომელი ქარია უფრო ძლიერიო? მწყემსმა მიუგო: ერის თავის-თავის შეგნებიდან დაბერილი ქარი ყველა სხვა ქარებზე უფრო ძლიერიო.“

ვეზირმა კითხა: რა არის ამ დროს მწიგნობრობაო? მწყემსმა მიუგო ამ დროს მწიგნობრობა ისეთი ასპარეზია, რომელზედაც მარულაში გამოდიან ერთსა და იმავე დროს, ბედაურები და ბარგის ცხენებიც, ვირები და ახლათ დამუტრუკებული ჩოჩრები...!” (გვ. 350).

ვფიქრობთ, ზემოგამოთქმული აზრები ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს მწერლის ეროვნული, ესთეტიკური და სოციალური მრწამსისა და პოზიციების გასარკვევად. რწმენით გასხივოსნებულ და განმტკიცებულ

ეროვნულ შეგნებას ვერავითარი მსოფლიური თუ კოსმიური ძალა ვერ დააბრკოლებს როგორც ლუკას სახარება ღალადებს: „ნეტარია ვინც ირწმუნა, ვინაიდან აღსრულდება უფლის მიერ თქმული მის მიმართ“ (1.1, 110 45).

სწამდა უდიდეს ქართველსა და ესთეტს – გიორგი მერჩულეს, რომ რწმენითა და ღვთის სიყვარულით აღვსილი ერი, უფლისათვის, რომელშიც აკუმულირებულია ყველაფრისადმი სიყვარული უკეთეს მყოფადს დაიმსახურებდა „უფალო წყალობ – ყავ“ გინა თუ „უფალო შეგვიწყალებ“ (1.30, 186).

დესპოტური იყო მამფალის ხელისუფლება, ამიტომაც არ აქვს მას მომავალი. იგი სისხლიანი მმართველია, რომელიც ყოველგვარი არაადამიანური ხერხებით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას. მისთვის უცხოა ქვეშევრდომთა შებრალება და სიყვარული. ნოველას თითქოს შინიდან ანათებს რწმენა ჭეშმარიტების გამარჯვებისა. მართლაც, მამფალის უკუღმართად გაზრდილმა შვილმა ველარ შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება.

ნაწარმოებში, როგორც აღვნიშნეთ, უზნეობა დესპოტიზმთან ერთადაა ნაჩვენები. ურთიერთ გაუტანლობითა და დაკორტვნივით თავისუფლების დაკარგვის თვალსაჩინო მაგალითია ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში თევზების „სიმღერა“:

„ღიღისა ქვაბში მძიმე ხუფს ქვეშ,
სულს ვერ ვითქვამთ, ვიგულებით...
მის ნაცვლად, რომ თავს ავხადოთ,
ერთურთს ვკენწლავთ ზედ ვაკვლებით,
რასაც უნდა მხარს ვაძლევდეთ
იმას ვქელავთ იმას ესრესავთ,
ჩვენ დასაკლავ სამართებელს
ჩვენვე ვჰვადოთ და ჩვენვე ველესავთ!“

თევზებმა თითქოს იციან, ვინ არის მათი მტერი და რა ღუპავთ მათ. ისინი მართლა „თევზურად“ ცხოვრობენ „საქმე, საქმე არ ჩჩანს“. მხოლოდ ამო საუბარში ეკარგებათ დრო. „ცნებას სიტყვათ, სიტყვას აზრათ ვერ ვაქცევთ და ვყმუით მგლურათ!“ სწორედ ამით სარგებლობს მზაკვარი, ვერაგი მომხდური. ეს იციან თევზებმა, თუმცა...

„ეინც რომ ქებაში, შიშიე ხუფ ქევშ
ჩაგვსხა, გვხარშავს ნელსა ცეცხლზე,
ტკება ჩენი დაბრმავებით
და... გვაქეზებს ერთმანეთზე“ (გვ. 355).

ეს ლექსი კომენტარს არ საჭიროებს. აქ მთელი პირდაპირობითაა გაცხადებული – ეროვნული მთლიანობის აუცილებლობა. პირდაპირაა მითითებული მტრის შესახებ. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ „თევზების ტრაგედია“ კიდევ უფრო მძაფრად მეორდება დღეს. თავისებურ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ როგორ მოახერხა მწერალმა იმ დროს ამ ხასიათის ნაწარმოების გამოქვეყნება. მაგრამ, როგორც იმ დროის მხატვრული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების გაცნობა ცხადყოფს, მეფის ცენზურა ისე რბილია შემდგომ და კიდევ შემდეგ დროინდელ თავის კოლეგებისგან, როგორც ქვა მატყლთან შედარებათ. აქვე ჩანს დიდი გულისტკივილი ქართველთა მიერ ერთმანეთის გაუტანლობა-დაუნდობლობის გამო. დამაფიქრებელია და შთამბეჭდავი ერთი ადგილი თევზთა დიალოგიდან: „რას ამბობ პეკლია ღმერთმა ნუ აცოდინოს მამფალს ჩენი ენა, თვარა საშინაო ლაპარაკსაც აგვიკრძალავს, არა თუ ბედი გაგვიუმჯობესოს... განა მისი ყმების, მისივე მსგავსი ადამიანების ბედი არ ესმის, რომ სამფათ ტყავს აძრობს?“ (გვ. 355).

საშინელი, დემონური განზრახვა და მრისხანება ჩანს ბოროტი მამფალის მიერ შვილისადმი მიცემულ აღთქმაში: „ნუ გეშინია, შვილო სანამ მამაშენი ცოცხალია, თევზებს კი არა, ადამიანებსაც არ ამოადგმევიინებს კაცურათ ენას!“

ნაწარმოების ფინალი მაინც ოპტიმისტურია. ბოროტი მამის ბოროტ შვილს „ბედის კოჭმა უმტყუნა და აღჩუხს მაგიერ თონხლოთ დაუჯდა“ (გვ. 356).

ნოველაში სჭარბობს დიდაქტიკურ-დამრიგებლური ტონი. თევზთა ცხოვრების მაგალითზე ნაჩვენებია მწერლის თანამედროვე თავისუფლებადაკარგული საქართველო. ჩენი აზრით, თევზების დიალოგში დაფიქსირებული აზრი, რომ მამფალი თავის ყმებს თანამომძმეებსაც არ ზოგავს და ჩვენ როგორ დაგვინდობსო პირობითად ასე შეიძლება გავშიფროთ: მამფალი – ეს იმპერატორი და მისი ჩინოვნიკური აპარატია, დაჩაგრული

ყმები - იმპერიის გაჭირვებული რუსული მოსახლეობა, ხოლო ყველაზე მძიმე დღეში მყოფი მესამე საფეხური, თევზები - საქართველოა, რომელსაც პირველ-მეორე საფეხურებზე მყოფნი ან ჩაგრავენ ან მორალურად ავიწორებენ.

ადამიანთა გაუტანლობის, ერთმანეთისადმი უსულგულო დამოკიდებულების, უბრალო ანგარების ცდუნებით უდიდესი მიუტყეველი დანაშაულის ჩადენის შემზარავი სურათია წარმოდგენილი მოთხრობაში: „დროის ბრალია“. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხრობა, ჩვენი აზრით, ილია ჭყონიას მხატვრულ შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწარმოებია. შემკული ხატოვანი ორნამენტებით, მდიდარი ლექსიკითა და ღრმა ექსპრესიით. ამბავი უაღრესად საინტერესოა, თხრობა დინამიური და მიმზიდველი. მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო მძაფრი სიუჟეტებით გამოირჩევა. მთელი აქცენტი გადატანილია ფრაზის პლასტიკურობასა და ენერჯიაზე.

მწერალი ჯუმათის იავარქმნილ მონასტერთან გაცნობია, ვიღაც საოცრად სიმპათიურ მოხუცს, რომელმაც ახალგაზრდობაში ჩადენილი მეტად შემადრწუნებელი ცოდვა გაუშხილა. „მოხუცმა დაიწყო თავის ამბავი, რომელსაც ხშირად წყვეტდა ოხერითა და ცრემლებით“. გურიელის მთავრობის დროს იგი ფრიად მოხდენილი და გულადი ვაჟკაცი ყოფილა. მაგრამ გურიანთას ციხეში, სადაც ის მეციხოვნედ იყო გამწესებული ყველა ჯობნიდა იარაღითა და აღკაზმულობით. ამან შური აღძრა ახალგაზრდა ჭაბუკის გულში და გადაწყვიტა რამენაირად ეშოვა კარგი „შეჭურვილობა“. ჭაბუკის სურვილი ბოროტად გამოიყენა თურქთა მიერ დაპყრობილ ქობულეთში მცხოვრებმა სოლომონ თამაზაშვილმა. რომელმაც წააქეზა გამოუცდელი ახალგაზრდა, რომ თუ მოიტაცებდა ჯანსაღ, ლამაზ ქართველ ბიჭს, მაშინ ის იარაღსა და ჩასაცმელს სრულად მიიღებდა. სწორედ აქედან დაიწყო ახალგაზრდა მეციხოვნის ცდუნება და ეშმაკის გზაზე შედგომა. მან ჯერ შეიწვია, შემდეგ კი გაიტაცა ძალიან კეთილი და საყვარელი ბიჭი, რომელიც პირობისამებრ, ტყეში, ხეზე მიაკრა, საიდანაც ის თამაზაშვილს უნდა წაეყვანა. მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი, ვინმე გეჯალიძემ, გურიანთას ტყეში, სისხლის აღების გამო მოკლა თამაზაშვილი. უდანაშაულო, ხეზე მიკრული, საოცრად მშვე-

ნიერი ქართველი ბავშვი ყვაე-ყორნების მსხვერპლი შეიქმნა. შემადარწუნებელი, ამაზრზენია ადამიანის მიერ ჩადენილი ეს ვანდალური აქტი. ...გადავიწერე პირჯვარი... ავცოცდი ხეზე. უცნაური მყრალი სუნი იკრაცხვირმა. ხის შუა წელამდე ვიქნებოდი აცოცებული, რომ ავიხედე ზევით. იმისთანა შენმა მტერმა და აემა ნახა, რაც მე მაშინ დავინახე: ჩონჩხი ჩამოკიდებული ბაწრით, ყვაე-ყორნებისგან ხორც-გაცლილი, მარტო აქაიქ შერჩენოდა ამშორებული მძორის ნამცეცები. თავის ქალა მკერდის ძვლებზე ჩამოქინდრებოდა. სვავის ამოკორტნილი თვალის უპეები შავ უფსკრულათ ჩანდა. ფეხის ძვლებზე კი ჭია ღუები დაცოცავდნენ ...ნიაგმა დაქროლა. ახმაურდა ტყე და ჩონჩხის ხელ-ფეხის ძვლები ერთმანეთზე აწკაპუნდა..." (გვ. 289).

ალბათ ძნელია ამაზე უფრო შემზარავ-დამთრგუნველი სურათის წარმოდგენა. თუმცა იგი მეტი-ს-მეტად ნატურალურია. ნატურალიზმის მამათაურად წოდებული ე. ზოლა თავის სტატიაში „რომანის შესახებ“ უპირატესობას დოდესა და ფლობერს ანიჭებდა ბალზაკთან შედარებით, რადგან „მათთან მხატვრული განზოგადება უგულვებელყოფილია და ყურადღება ფაქტების დეტალურად წარმოსახვას ეთმობა (1.46, 108).

ი. ჭყონია მწერლობაში ჩვენ არ შეიძლება მოვიხზოთ როგორც წარმომადგენელი ნატურალიზმისა. თუმცა საჭიროებისამერ ამ მეთოდსაც მოხდენილად იყენებს. წარმოჩენილი სურათიც ხომ „მეტი-ს-მეტად“ ნატურალურია, მაგრამ ამ მომენტში უცილობლად საჭირო, რათა მკითხველმა ბოლომდე გააცნობიეროს უბრალო ანგარებას შეწირული კრავივით უდანაშაულო ბაღლის სიცოცხლე. უსაზღვრო ზიზღს იმსახურებს ის, ვინც „ასე უწყალოდ დალუპა ათი წლის სიცოცხლით სავსე, მზეთ-უნახავი, ხუჭუჭ თმინი, შავთვალეზიანი, თეთრ ყირმიზ-ლოყებიანი, კალმით ნახატი ნაქნარობის ყმა..." (გვ. 290).

მოთხრობაში ნათლად წარმოჩინდა მწერლის მაღალი ოსტატობა და სათქმელის ხორცშესხმა მოქნილ ფრაზაში. იგი ყველა ეპიზოდში, ყოველი პასაჟის შექმნის დროს აღწევს სურათის მოზაიკურ ფერადონებასა და დამაჯერებლობას. მკითხველი იჯერებს იმასაც, რომ იმ კაცს, რომელსაც ასეთი მიუტყვებელი დანაშაული აქვს ჩადენილი ლამის მოუნანიებია, უფრო მეტიც სოფელს უყვარს და პატივს სცემს მას. ისინი ვერასოდეს დაიჯერებენ იმას, რომ ასეთ ღვთისნიერ პიროვნებას რაიმე ცოდვა თუ აქვს ჩადენილი. „ყველანი ერთად იხსენიებენ მას, როგორც სამაგალითო

პატიოსნების ადამიანს, სიტყვის კაცს, მხნე მუშას და გამტან მეზობელს". მოხუცს ბოლომდე აქვს გათავისებული ჩადენილი ბოროტების საღისტური ხასიათი, ამიტომ მთელი ცხოვრება თავისი საქმიანობითა და კეთილი მოღვაწეობით ცდილობდა მიეღწია მონანიებისათვის, სულის სიმშვიდისათვის, მაგრამ საესებით ლოგიკურად, მან ეს ვერ მოახერხა. იგი ნატრობს სიკვდილს, მზადაა უკიდურესად ეტანჯოს ჩადენილისათვის... „სამართლიანად მიმარჩნია ჩემი ცოდვილი სულის ჯოჯოხეთში ყოფნა და, ასე მგონია, იქაური წამება სინდისს გამიწმენდს და ცოდვას მომიოხებს... ყველაფერი სჯობია ამისთანა ყოფას!.. ვაი, მას კი არა ვინც ჯოჯოხეთში იტანჯება, ვაი მას ვინც სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთს გულში ატარებს." (გვ. 201).

მოხუცის სულიერი მდგომარეობა, მისი ტანჯვა, მთელი სიმართლით, დამაჯერებლობითა და მხატვრული სრულყოფილებითაა ნაჩვენები. ვფიქრობთ, ეს მოთხრობა, იმ იშვიათ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც წაკითხვისთანავე არ მთავრდება. იგი მკითხველს აიძულებს კითხვის დასრულების შემდეგ დაუსრულებლად იფიქროს მასზე, რადგანაც საზოგადოებისთვის მტკივნეული ყველა საკითხები, როგორცაა: სიკვდილ-სიცოცხლე, სამოთხე და ჯოჯოხეთი, მადლი და უმადურობა, ყოფნა-არყოფნა, ნებისყოფა და ცდუნება, ეშმაკის გზაზე შედგომის დამლუპველობა და დაგვიანებული სინანული, ერთადაა აქ წამოჭრილი და გაანალიზებული.

მწერალი ნაწარმოებში ქმნის ბუნების დიდებულ სურათს. მას ეხერხება ზღვისა და ხმელეთის ისეთი რეალური ჯადო-ხატის გამოძერწვა, რომელიც ერთნაირ სასიამოვნო განწყობილებას ბადებს ყველა მკითხველში.

ბევრი საზღაპრო შეენიერების მდებარეობაა საქართველოში, ამ ბალთა ბაღში დედამიწის ზურგისა... წარმოიდგინეთ მაისის მოწმენდილი დილა. აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ-სამხრეთით ხედავთ მთელ დასავლეთ საქართველოს მიდამოებს. თვალს ვერ აშორებთ რიონის, სუფსის, და ბევრი მათი შესართავების თვალ-უწვდენელ ზურმუხტ ვაკეებს, ვერცხლისფერათ მოკამკამე მდინარეებით შემკულთ... მთები ვაკე გორებით შეპყლებულნი, უმეტეს ნაწილათ ტყეებით შექოჩრილნი და ზოგან აუღებელი თოვლით დაგვირგვინებულნი. დასავლეთით, თითქმის თქვენ ფეხთ ქვეშ, დაპყრებთ უსაზღვრო შავ ზღვას, მყუდროს, ზვიადს, ლაჟვარდი მჭვე-

ლებით ნაზათ მობიბინეს, გემ-ხომალდებითა და ნავ-ფლუგელებით მო-
ოჭვილს, მზის სხივებით უცხოთ მოციაგეს..." (გვ. 282) ან, კიდევ,
მიტოვებული ტაძრის მაინც დიდებული სურათი. „ჯუმათის მთის მწვერ-
ვალზე ერთილა ძველი მონასტერია, ოდესმე მდიდარი და აწ კი დალა-
რიბებული; იგი დგას უსიტყო მოწმეთ... როგორც ზღვის დელვისგან
ჩხერზე გარიყული გემები, ანძებ დამტკვრეული, ფსკერ გაბზარული და
მგზავრებ დაღუპული“ (გვ. 282).

ახლობელ ადამიანთა შეუთავსებლობა, სიხარბე, შური, გაუტანლობა,
ერთმანეთის დაუზოგავად გაკენწვლა საბაბი და მიზეზი გამხდარა იმი-
სა, რომ ორი დის – სალომესა და რუსუდანის ქონება და პატრონებიც,
მფლობელ სამფლობელოიანად მოყვრის ნიღბით მოსულ ნათათრალ
იოანეს საკუთრება გახდა. ამ ნოველაში – „ღები“ (ავტორი მიუთითებს,
რომ ჩაქვშია დაწერილი) ნაჩვენებია, თუ როგორ შეირთო იოანემ მშვე-
ნიერი რუსუდანი, რომელსაც სიმდიდრესთან ერთად უნაკლო გარეგ-
ნობა და კეთილი გული აქვს. დის ბედნიერებამ შურით აღაევსო ბორო-
ტი ადამიანი სალომე. იგი დაუკავშირდა იოვანეს (დის ქმარს), ეს
უკანასკნელი მას ცოლად შერთვას პირდება, თუკი დის სიმდიდრის
ხელში ჩაგდებაში მიეხმარება. სალომემ გაიძვერობით, ცბიერებითა და
რუსუდანის მიაშიტი ხასიათით ისარგებლა. მთელი სიმდიდრე გამოს-
წოვა მას. როცა იოვანემ ღების ქონება ხელში ჩაიგდო, ორივეს უარი
უთხრა ცოლად შერთვაზე და ულუკმაპუროდ დატოვა. გვიან თვა-
ლახილულმა, გაძარცვულმა და ნაცემ-ნაგვემმა სალომემ დახმარებისათვის
ისევ მისი ხელშეწყობით გაკოტრებულ დას მიაკითხა. ისინი ერთად
მისტირიან თავიანთ შეცდომასა და მწარე ბედს. ავტორი მთელი პირ-
დაპირობით ამხელს, რომ სიხარბეს, შურსა და გაუტანლობას არაეის-
თვის კარგი არ მოუტანია. განსაკუთრებით საშიშია იგი ახლობელთათ-
ვის. რომ მოძმეთა შეუთანხმებლობით მხოლოდ და მხოლოდ გარეშე
ძალა სარგებლობს. მწერალი გვაფრთხილებს: ნათათრალ იოვანესავით
მზაკვარი მტერი ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს საქართველოს. ასეთები
მზადაა შინაურთა შულში დაღვრილი სისხლი საკუთარ წისქვილზე,
საკუთარი ბედნიერების გასამტკიცებლად მიუშვას. ორი დის შეცდომა
უპატიებელი და გამოუსწორებელი შეცდომაა. იგი არ უნდა განმეორ-
დეს. ასე მიაჩნია მწერალს. თუმცა... დიახ, შეგონება შეგონებად დარჩა
დღესაც.

1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№50) დაიბეჭდა ი. ჭყონიას პატარა ესკიზი „უტუ ხუნცურავა“, რომელმაც მძფრი პოლემიკა და კამათი გამოიწვია იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე. ესკიზში აღწერილია სამტრედიიდან მატარებლით მგზავრობა, როცა ვაგონში, რომელიც „ღვინის რუმბივით იყო მოგზაურებით სავსე“ (გვ. 343) დაურიდებელი ჯიკავ-ჯიკავით ამოვიდა „შუა ხნის ქერა კაცი, ცხვირ-აბზეცილი, მოსული ტანადი“ (გვ. 343) შემომატებულმა ყოველგვარი ზრდილობის გარეშე ადგილიდან წამოაგდო ორი დამხედური მგზავრი, რომელთაგან ერთმა საერთოდ დატოვა ვაგონი, ხოლო მეორე იძულებული იყო დარჩენილიყო, რადგან იქვე მისი ბარგი ელაგა. ამ მგზავრს „შუატანისაზე უფრო მაღალი კარგა ჩასკენილი, შავი წვერ-ულვაშითა და თვალებით სავაჟკაცო მოყვანილობა ჰქონდა“. ეს გახლდათ უტუ ხუნცურავა. შემოჭრილმა მოქალაქემ, როცა გაიგო, რომ უტუ მეგრელი იყო პატარა ბავშვივით დაიჭირა და მეგრელების სიტყვიერ შეურაცხყოფას მოჰყვა: „აქაურების რჯული: თუ ღონიერს შეხვდით, ფეხს დაულოკავთ, თუ მოსარევათ დაიბრიყვებთ ვინმეს ნელს ცეცხლზე დაწვავთ... ასე იცის ისეთმა ველურმა, მხეცმა, უსინდისო და მხდალმა ხალხმა, როგორიც თქვენა ხართ. ძალიან მიყვარდა ჩემს ყმაწვილობაში თქვენში ქურდ-ავაზაკების დევნა: დღე იმათ ვქაჩავდი და ღამე კი სადაც შევიდოდი ღამის გასათევად... კმ... აქაური ქალები... ვენაცვალე“ (გვ. 345). მოძალადე მგზავრმა ისეთი სიტყვების კორიანტელი დააყენა, რომ მგზავრთა უმრავლესობა იძულებული შეიქმნა გასცლოდა. უტუ ითმენდა... ბოლოს კი, როცა შემოჭრილმა ცოლიც ცუდად უხსენა და ქუდიც დაუჭრა, ხუნცურავამ იფეთქა, „...მოძალადეს ჯერ რამდენიმე სილა უთავაზა, შემდეგ კი ღია ფანჯრიდან „პლატფორმაზე“ გადააგდო. ესკიზის გამოქვეყნებისთანავე 1902 წლის „ივერიის“ №159-ში დაიბეჭდა დუტუ მეგრელის წერილი—„ხმა შორიდან“, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული ესკიზის როგორც მხატვრული, ისე შინაარსობრივი მხარე. „მოთხრობა მოკლებულია ბუნებრიობას, და ცხადათ ეტყობა, რომ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია თავიდან ბოლომდე. რა უნდოდა ამ მოთხრობით ავტორს... ნუ-თუ ის რომ მეგრელი იმდენად დაცემულია სულით, რომ არც პირადი შეურაცხყოფისათვის, არც მთელი ეროვნების აბუჩად აგდებისათვის, რომელსაც ის ეკუთვნის პასუხს არ გასცემს... ხოლო თუ მის ჯიბეს შეეხებით, მატერიალურ ვნებას მოუტანთ... მაშინ გამოიღებს ხელს.“

დუტუ მეგრელი გაკვირებულია, საიდან მოიფიქრა „ჭინათელმა“ (ი. ჭყონიას ფსევდონიმი) ასეთი პასკვილი მეგრელთა შესახებ, თუმცა ავტორს „ცოტაოდენი სამწერლო ნიჭი ეტყობა“-ო. მწერალი „ცნობის ფურცელსაც“ უკიუინებს, თუ ნომრის შესავსებად მასალა გინდოდათ, რაღა ეს ესკიზი დაბეჭდეთო.

დუტუ მეგრელის წერილს გამოეპასუხა „ცნობის ფურცელი“, თუმცა „პატარა ქართველის“ ავტორი მაინც თავის პოზიციასზე დარჩა და განაცხადა: „თუ მართლა საზოგადოთ ქართველების სიბეჩავე უნდა დაეხატა ავტორს, გმირადაც საზოგადოდ ქართველი უნდა ყოფილიყო გამოყვანილი“ (2.51).

საინტერესოა „ცნობის ფურცელში“ (1902 წ., №1882) დასტამბული წერილი „პასუხად დუტუ მეგრელს“, რომელიც რედაქციის სახელით გამოქვეყნდა. მასში სწორად არის გაშიფრული და გაგებული ესკიზის ავტორის უსაზღვრო გულისტკივილი – წარმოშობილი ეროვნული თავმოყვარეობისა და მხედრული მამაცობის მოღუწების გამო. ალბათ გარკვეული ჭეშმარიტებაა იმ სიტყვებში, როცა სენაკის მაზრის უფროსი გასული საუკუნის 50-იან წლებში მეფისნაცვალს წერდა: „ამ მხრის ხალხი ორმოც წელიწადზე მეტია რაც მშვიდობიანად ცხოვრობს და წინანდელი მეომრული თვისებები თითქმის დაკარგა“ (1.4,25). ვფიქრობთ, ეს სამწუხარო რეალობაა დღესაც. ზოგჯერ სისხლის გამოშვება ჯანმრთელობისთვისაა საჭირო. სარედაქციო მინაწერში რეალიზებულია მწერლის სათქმელი. ესკიზში „კარგად არის დასურთხატებული ჩვენი ზნეობრივი დაცემა, სიბეჩავე და სიგლახაკე, მოკლებული ყოველგვარ თავმოყვარეობას“ და ეს გამოჩნდა, როცა „ერთი არაქართველი მოხელე ყოველნაირად ლანძღავს მგზავრს“.

დუტუ მეგრელსა და რედაქციას შორის გამართულ პოლემიკაში პირობითად შეიძლება ვთქვათ რომ ორივე მხარე მართალია. პირველის გულწრფელი გაფიცება გასაგებია, რადგანაც მან ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობის გარეშე გაიგო ესკიზის შინაარსი. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ მწერალს ყურადღებიდან გამორჩა ავტორისეული საგანგებო ხაზგასმა, რომ „მოდალადე“ მგზავრი ფიზიკურადაც და გონებრივ-ზნეობრივადაც გადაგვარებული მოხელე უცხოტომელია. „ქერა, ცხვირაბზეკილი

კაცი". ნიშანდობლივი და აუცილებლად ყურადღებამისაქცევია ესკიზის ფინალიც, როცა „უშიშარმა“ თავხედმა მგზავრმა „კუთვნილი მისაგებელი“ მიიღო (ოთხი კბილი ჩაემტრა თავი გაიტეხა) იგი უკვე კერძო პირიდან უცებ გადაიქცა ცბიერ, ცრუ მოხელედ, რომელიც უტუს აბეზლებს „შეიყარით ეგ ძაღლი!.. მაგ ანარქისტია... რევოლუციონერია!“ ამ თვისებას, უნებურ მეტამორფოზას და სიცრუის თქმას ყურადღება უნდა მიაქციოს მკითხველმა, რადგან ქართველი ერთი საუკუნის მანძილზე ბევრნაირად გადაგვარდა, მაგრამ იგი სიცრუის თქმას მაქსიმალურად გაურბოდა. „ქართველმა რაც არ უნდა გითხრათ სრული სიმართლეა, მაგრამ თუ სადგურის უფროსი ვინმე სხვაა, ის უსათუოდ ტყუის. მას უნდა ორმაგად გადაგახდევინოს“ (1.7, 384) წერდა ალექსანდრე დიუმა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს.

აქვე შევნიშნავთ, რომ დღეუ მებრელის მძაფრ წერილებს, რომლებშიც იყო შეურაცხმყოფელი ფრაზები ი. ჭყონიას, როგორც მწერლის მიმართ, ამ ორი საინტერესო მოღვაწეს შორის ურთიერთობა კი არ გაუმწევაკებია და, ისინი ერთმანეთის მტრები კი არ გამხდარან, რომლის სამწუხარო მაგალითებიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბევრია; პირიქით, რადგან ისინი ბედუკუღმართობის გამო ერეენის გუბერნიაში მოღვაწეობდნენ, ერთმანეთი გაიცნეს, და უგულითადესი მეგობრებიც გახდნენ: აი ადგილები მათი მიწერ-მოწერიდან: „ძვირფასო ძმაო დიმიტრი!“ (1904 წ.), „უძვირფასესო ძმა დიმიტრი!“ (1911 წ.), „ილია მირიანოვიჩ!“ (1913 წ.) და სხვ. ანალოგიური მეგობრული ურთიერთობის დამყარებას აქონდა ადგილი, უფრო ადრე, მძაფრი საგაზეთო პოლემიკის შემდეგ ი. ჭავჭავაძესა და გენერალ რევაზ შალვას ძე ერისთავს შორის.

პატრიოტულ თემაზე შექმნილ მოთხრობებში, რომლებშიც სჭარბობს პუბლიცისტური ტონი და განსჯა, ჩვენ მხოლოდ სამი მოთხრობა გავაერთიანეთ. და, ამ ჟანრის მოთხრობებს, პირობითად ვუწოდეთ პატრიოტულ-პუბლიცისტური. ისინი შეიძლება ითქვას მოჭარბებულად შეიცავენ პირველ რიგში პატრიოტულ განწყობილებას, ამავე დროს, აქვე, მოცემულია პუბლიცისტისათვის დამახასიათებელი მწვავე შეფასება და განსჯა ეროვნულ-პოლიტიკური თემებისა.

დღევანდელობასთან მიმართებაში ფრიად საინტერესო და აქტუალურია პატარა ესკიზი „პალიკო ამანჩახოძე“, რომელიც მწერალმა ჩვენი აზრით უფრო მიგნებული სათაურით „სახელის მაძიებელი“ გამოაქვეყნა თავდაპირველად, ხოლო 1913 წელს გამოცემულ თავის წიგნში პირველდასახელებული სათაურით შეიტანა.

ნაწარმოებში პალიკოსა და გიორგის დიალოგით ფარდა ეხსნება მე-19 საუკუნის 900-იან წლებში საქართველოში არსებულ მრავალ პოლიტიკურ დაჯგუფებათა და პარტიებს შორის მიმდინარე კინკლაობასა და და მწვავე უთანხმოებას. ჩანს, რომ ეს გაერთიანებები ერთმანეთს ექიშკებიან და უკიდურესი გაწიწმატებით ეკამათებიან მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველ ერს შეუქმნან ბუტაფორიული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იღვწიან ისინი თავიანთი „მაპულიშვილური“ ვალის მოსახდელად. ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს ძველი ქართული სიბრძნე – ორი ძიძის ხელში ბავშვი ნაბანს გადააყოლესო – შემდეგში ეს მართლა ასე მოხდა. ისტორიამ მალე დაადასტურა ზემოთქმულის ჭეშმარიტება.

ილია ჭყონია ნაწარმოების ფინალშივე მოხდენილი იუმორით ხატავს თავის გამოჩენის მანიით დამუხტულ მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი დონ კიხოტის სახეს. „ახალგაზრდა კაცი, გახუნებულ და სიმტკიცე შებღალულ ჩოხაში გამოწყობილი, ტარ-მუჭში შეღანძლულ ხმალსატევიარით აღჭურვილი და პატარა ჯორზე ამხედრებული, სოფლის შარას ადგა. დინჯი იყო პირუტყვის ტარება და ამაყი მხედრის შეხედულება: ისე მედიდურათ ეჭირა ყურებამდის ბოხონჩამოფხატული თავი წვრილათ აწოწილ ტანზე, რომ ხამს კაცს ეგონებოდა – სამშობლოს დასახსნელად მიდისო“ (გვ. 267). ეს „სამშობლოს დასახსნელათ“ მიმავალი „რაინდი“ შეხვდა თითქმის მისივე მსგავსი გარეგნობისა და განწყობილების „მაპულიშვილს“, რომელიც „მაღალს, ძვალ ტყავათ გადაქცეულსა და ფერდი-ფერდს მიკრულ ჯახრიკზე იჯდა; ჩარგვალებულ დაბალ ტანზე გაცვეთილი პალტო ეცვა, თავზე სანახევროთ დაფლეთილი ჭილობის ქუდი ეხურა, საპირე გაბზღარული ჩექმის წვერი ძლივს ედგა დაზიანებულსა და მრავალგან დაკერებულ მოსართავზე ჩამოცმულ უზანგში“ (გვ. 268).

ვეიქრობთ მწერალს ეხერხება პიროვნების პორტრეტის დიდებული ჩამოსურათხატება, „გაკენწლილი“ გმირის მიმართ სინანული და შეცოდების გრძნობა გიჩნდება, ნაცვლად დაცინვისა. ეს ავტორისეული ღირსეული ჰუმანიზმია ეპიზოდში ლოზუნგის გარეშე ჩაორნამენტებული.

დასახელებული ორი „მოხდენილი ვაჟკაცი“ ჯერ ერთმანეთის გარეგნობას გაკენწლავენ, კერძოდ: გიორგი პალიკოს (პირველი მგზავრი მეორეს) ორაზროვნად აუწყებს: „ჩემო ძმაო, რად ღუპავ შენს გამომზდელს და დამპურებელ სოფელს ამ ბოსტნობაზე?! უცხენოთაც არაფერი გიჭირს საფრთხობელათ, ხოლო ცხენიანათ, ხომ სულ გაკეთება იქნები“. ეროგან ტიცციან ტაბიძე წერდა: ქართველს „უყვარს თეტრალიზაცია ცხოვრების“ მაროლაც, ქართველი, მიუხედავად ცრემლ-სისხლიანი მძიმე ისტორიისა, ახერხებდა დარდიმანდულად, დაცინვით, ნიშნის მოგებით შეეხედა თვით სიკვდილისთვისაც კი, და მას ყოფიერების დასასრული კი არ უწოდა, არამედ გარდაცვალება, კუბოს – სასახლე, მრისხანე ავადმყოფობას მიგნებულად ბატონები და სხვ.

პალიკო და გიორგი მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა ახერხებენ ღიმილიანი, ვითოჲ მხიარული და უდარდელი კაცის პოზის მიღებას. პალიკოს ლამის დღესაც ეროვნულ სენად გადაქცეული – ჭემმარიტი მამულიშვილის საამაყო სახელის მოპოვება ჰქონდა განზრახული, ოლონდ იოლი გზებით. „ის ჩამყვა გულში ზაფრათ, რომ ქვეყანაში ვერაფრით გამოვიჩინე თავი. არც ერთ კენჭისყრას არ ვაკლდები: ხან ერთ დასს ვეხმარები, ხან მეორეს, ხან მესამეს, მაგრამ არცერთმა არაფრათ ჩამავდო, დახმარებით ყველამ დამიხმარა, მარა მე კი არცერთი არ წამადგა. ასეთი უბედური შევიქენი, რომ ორჯერ-სამჯერ ჩხუბიც ამიტეხეს კენჭის ყრის დროს. გვერდები მე დამემტვრა და გაზეთში კი სხვები ჩაწერეს მოჩხუბრათ, მე გამომტოვეს.“ (გვ. 269) სამწუხაროა ამ „გმირი მამულიშვილის“ ასეთი ხელისმოცარვა. გასაგებია ასეთ „გამოჩენის“ მსურველთა გაცრუებული იმედები და გულისწყვეტა.

საგანგაშოა ის გარემოება, რომ თითქმის საუკუნის წინანდელი ცხოვრებისეული ანომალიური მოვლენები, მიუხედავად მწერლის გაფრთხილებისა, თითქმის აბსოლუტური მსგავსებითა და თანხვედრილობით მეორდება დღესაც. –ჩნდება კითხვა ნუთუ წინა კაცი აღარაა უკანას ხიდი?!

საინტერესოა გიორგის დარიგება პალიკოსადმი, თუ როგორ შეიძლება გახდეს იგი ქვეყანაში „გამოჩინებული“ პიროვნება. ვფიქრობთ, „დარიგება“ მრავალმხრივია საინტერესო.

„რომ მოკვდეს ვინმე სადმე კენჭ-ნაყარი კაცი, ხომ იცი, ყველა კენჭ-ნაყარს ჩვენში საზოგადო მოღვაწეებს ეძახიან, მოდი და კი არ იტირო, არ გაგიწყრეს ღმერთი! – მიდი და „ბავთი“ თქვი. აქე და აღიდე მიცვალებული; ასე თქვი: „ღამეს, რომ მთვარე მოშორდეს, მზე მაინც გაგვინათებს; მდინარეები, რომ დაშრეს – წვიმის წყლით მოვიკლავთ წყურვილს; პური რომ გაწყრეს ქვეყნათ, მჭადით გამოვიპურებთ თავს, მარა რა უნდა ქნას კაცობრიობამ, თუ ერთ უბედურ დღეს ჰაერი აღარ ექნება?.. მსგავსათ ამისა რაღა უნდა ქმნას დღეს დაობლებულმა საქართველომ, რომ ცოცხალთა შორის აღარ ყავს აწ ამ კუბოში მდებარე გვაში. მისი ერთადერთის შარავანდედით შემკულ მოღვაწისა“. (გვ. 270).

ვფიქრობთ „დარიგება“ ჯერ ერთი მშვენიერი მჭევრმეტყველების ნიმუშია, და მეორეც, ამნაირი ხოტბა-ღიდების, ანდა უკიდურესად კაცის მიწასთან გამასწორებელი ბოლძიანი ეპისტოლეები დღესაც საკმაოდ „ცხვება“ ბოროტების ღუმელში. თუმც ქართველმა კარგად იცის მოზომილი, დარბაისლური სიტყვის ფასი. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად გრიგოლ რობაქიძის პოლემიკა მიგვაჩნია ნ. მიწიშვილთან.

ილია ჭყონია ამ მცირე ფორმატის ნაწარმოებში ადვილად ახერხებს შექმნას თავისი თანამედროვე საზოგადოების ერთი მეტად „გაპოლიტიზირებული“ ნაწილის ტიპური სურათი. ეს ადამიანები „მოჩვენებითი მამულიშვილობით“ ცდილობენ მოიპოვონ ხალხში ავტორიტეტი და სახელი. მწერალი დასცინის ასეთ „მოღვაწეთა“ თავქარიანობასა და ქარაფშუტობას, მათ განზრახვას – სახელი და აღიარება იოლი გზით მოპოვონ. შემოქმედი აქვე გვაფრხილებს, რომ, თუ საზოგადოება ფრთხილად არ იქნება, ამ ვითომდა „სასაცილო აზრების მქონე „მოღვაწეებმა“ შეიძლება მიზანს მიაღწიონ. გაფრთხილების დროულობა ისტორიამ დაამტკიცა. ჩვენი აზრით, პალიკოსა და გიორგისნაირ „მამულიშვილებისგან“ სულ ათ წელში ამოიზარდა ყვარყვარე თუთაბერები.

პატრიოტულ თემაზე შექმნილ თხზულებათაგან შეიძლება გამოვყოთ „ბრუსილოვი მოკლეს“. ნაწარმოებში იგრძნობა ერთგვარი ნოსტალგია

ძველ საქართველოსა და მის ღირსეულ შვილებზე, რამეთუ ახლანდელ დროში არც ქვეყანა და არც მისი წარმომადგენლები არ გამოირჩევიან ზნეობრივი სიწმინდით, სინდისიერებითა და მამულიშვილური თავმოყვარეობით. მწერალი მკვეთრად გამოხატული გულისტკივილით ააშკარავებს იმპერიისა და მის მოხელეთა ზიზილ-პიიღების გამხრწნელ ზემოქმედებას ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მორალსა და ზნეობაზე. მოქმედება ხდება სოფელ ჭამაწოლეთში. როგორი სულისკვეთების ხალხი იცხოვრებს ამ სახელწოდების სოფელში ეს მკითხველისათვის თავიდანვე გასაგებია. ფერისცვალება დღესასწაულია. ხალხი ნაირფერად მორთულა: „ოქრო-ვერცხლი, ფარჩა-აბრეშუმი დიბა-ხვერდი, ძვირფასი მაუდი ყველას ამშვენებდა... თავმომწონე ქალი და კაცი შალის და ჩითის ტანისამოსით, გლეხების გარდა არ გავიდოდა დღეობაზე“ (გვ. 293). როგორც გამოჩნდება, ამ მშვენიერად ჩაცმულ საზოგადოებას სულიც როდი აქვს მშვენიერი. დღესასწაულის შემდეგ ჩვეულებისამებრ უნდა გაიმართოს ბურთაობა. თუ როგორ უყურებდა ქართველი კაცი ამ რაინდული თამაშის მნიშვნელობას (და, საერთოდ გონიერი გართობის მასტიმულირებულ როლსა და ფუნქციას) კარგად ჩანს არქიმანდრიტის სიტყვაში: „ერნო და დარბაისელნო! უფალმა ღმერთმა მისი მსგავსების – კაცის შრომა, რომ დალოცა, მით დალოცვილი იქნა ყოველი ის, რაც პატიოსან შრომას ხელს უწყობს! ამ მრავალნაირ ხელის შემწყობ საგანთა შორის თავის ადგილი აქვს აგრეთვე კაი გუნებაზე ყოფნას, წესიერ ღზინს სიმრთელის გამამაგრებელს, თვალის გამწაფავს, სიმკვირცხლევაჟკაცობის გამომჩენ პატიოსან თამაშსაც!“ (გვ. 294). აქ დიდებულად არის ჩამოყალიბებული გონივრულად მოწყობილი სპორტული შეჯიბრების, „წესიერი ღზინის“ მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და საერთოდ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური წრთობის საქმეში.

თამაშის დაწყების წინ მოულოდნელად გამოჩნდა რუსის გენერალი ბრუსილოვი, რამდენიმე მხლებლითურთ. იქ შეკრებილ ჭამაწოლეთის საზოგადოების ყველა წევრს გულში მაცდურმა სურვილმა გაუარა. ყველამ, თავადმა, მღვდელმა თუ გლეხმა გადაწყვიტა ესარგებლა ამ გამოჩენით, მოპირფერებოდა გენერალს, რათა შემდეგ თავიანთი საწადელის ასრულება ეთხოვათ. ყველას „აჯობა“ ახალგაზრდა მომხიბვლელმა თავადის ქალმა, რომელიც გამდელის მეშვეობით დაუკავშირდა გენერალს და, რო-

ცა ხალხი ისე გაიტაცა ბურთაობამ, რომ ბრუსილოვის არსებობა დაავიწყდა, გაიტყუილა იგი იქვე ტყეში, მაგრამ დანებების წინ... „ღენერალმა მაყურჭათ შეკრულს ვერაფერი გაუგო... მე მოკლეს ბატონო-თქვა, ვუთხარი“. ქალის ეს უკანასკნელი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ცოტა მოშორებით მეთუალყურედ მდგარმა გენელის ადიუტანტმა მანდიკაშვილმა, რომელმაც ყვირილი გააბა – ბრუსილოვი მოკლეს, ბრუსილოვი მოკლესო! გენერალსა და მის ლამაზმანს ბოლომდე სიამოვნება არ დასცალდათ – მობურთალ-მაყურებელი ყველა თავზე წაადგა „მიჯნურებს“. შემაშფოთებელი და შემადრწუნებლად სამარცხვინოა ამ სტროფების კითხვა, რომელშიც წარმოდგენილია, თუ როგორ გადაგვარებულა და დაცემულა ქართველ ქალთა ერთი ნაწილის ზნეობა: „...ეს მეტი არაფერი გულზე გასკდა (მინდიკაშვილზე ამბობს – ლ. დ.) რატომ ცოლი ან ქალი არ არჩია ჩემიო, და ვითომ შემარცხვინა... დედა... აბა რა სირცხვილია თურმე... ქვეყანაში პირველ კაცს, ხელმწიფის ტოლს თუ მოეწონე! მეტი არ შეპჭამოს ჭირმა ღენერლის სიყვარული სირცხვილი და თავისმოჭრა არ იყოს“ (გვ. 302) – ამბობს გულდათუთქული, ხელმოცარული „საპატარძლოს“ გაღია. გამდელის ნუგეში გველის ამბორს ჰგავს. ზნეობრივ სითახსირეში ის ვისის გამდელზე მეტია. „ნუ სწუხარ, მე აგერ არ გყავარ მაგისთანა საქმეები მომიხერხებია და მომინამუსებია განსვენებული ჩემი ქალბატონის და შენი დედაპთილისთვის?! შემოგველოს შენი პირიმთვარისა.“ (გვ. 303), – აგრძელებს ნუგეშისცემას გაღია.

საგანგაშო ნიშნულამდე მისულა ქართველი ქალის ერთ დროს ნაქები კდემამოსილება. სავესებით მომკვდარა მორალი. ცოლქმრული ერთგულება და სიწმინდე ბუტაფორიულ მცნებებად ქცეულან. თავის მხრივ, ქალებსაც არ სწამთ და არ სჯერათ კაცების ზნეობისა. საზოგადოების ორივე მხარე „პარმონიულ“ მიმართებაშია ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ ამბობს „შესწრებული“ ქალბატონი ადიუტანტ მანდიკაშვილზე – ბრუსილოვს საკუთარი ცოლი და ქალიშვილი შესთავაზა, გენერალმა დაუწუნა და იმან გააბრაზაო. ამ აუხორცმა მანდილოსანმა მაინც მიაღწია გენერალთან განმარტობას და საკუთარ სახლში საკუთარი სხეული უძღვნა მას. სწორედ ამის გამო შენიშნავს გულისტკივილით მწერალი: „დროს ვერ აყვეით, ვერ დაეხვდით მომზადებულნი და დავეცით ზნით, – მეტი არაფერი – უპირველესი ბრალი ჩვენ გვედება“ (გვ. 303).

საქართველო, როგორც ვხედავთ, სავსებით დაუქიპნოზირებია იმპერიულ მონსტრს, რომლის შხამით გათანგული მზადაა ყველანაირად ასიამოვნოს და ყველაფერი დაუჯეროს მას (სამწუხაროდ ასეა დღესაც). ეს ის უკიდურესი ნიშნულია, როგორც ზიგმუნდ ფროიდი იტყოდა: „დაქიპნოზიტორებულის სამყარო, ასე რომ ვთქვათ შემოფარგლულია ქიპნოზიტორით. საქმე იქამდე მიდის, რომ პირველი სავსებით მორჩილი ხდება უკანასკნელისა, გამგონე და რწმენის მქონე.“ (1.26, 29).

ი. ჭყონია ნაწარმოებში იძლევა ცხენტშეჯიბრების საოცრად შთაბეჭედავ სურათს, რომელიც მოზაიკური ფერებით პოეტური ორნამენტებით ალამაზებს ეპიზოდს: „ქუსლნაკრავი და აღვირმინებებული ცხენები გაიშალნენ წელში, მიწის სისწორეზე გამართეს სახსრებში ძარღვებდაჭიმული ფეხები... მუცლით, ბალახს ეხებოდნენ, ისე ქარბუქივით გასწიეს ძუაფაფარ აფრიალებულთ.“ (გვ. 297).

ზოგიერთი ქართული ხასიათის დეფორმაციულ ნაკლოვანებასა და მისი აღმოფხვრის აუცილებლობის სურვილითაა გამსჭვალული 1900 წელს დაწერილი პატარა ესკიზი „საჯავახოელის შენიშვნა“. იგი საინტერესოა დღევანდელობასთან მიმართებაშიც. ნაწარმოებში მოქმედება ხდება მატარებლის ვაგონში, სადაც ერთი მგზავრი დანარჩენებს წაუკითხავს საინტერესო საგაზეთო ცნობას, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გახდა, გასული საუკუნის 60-იან წლებში არაფრისმქონე ამერიკელი მოქალაქე – ვინმე კლარკი ოქროს საბადოებზე სურსათითა და ტანსაცმლის გონივრული ვაჭრობით მილიონერი. ყველა მგზავრმა შეაქო კლარკის „ბეჯითობა“ და მუყაითობა, თან გულში გაიფიქრეს რატომ ჩვენში არ არის ასეთი. თითქოს მათი გულისნადები წაიკითხა ჩოხოსანმა მხარბეჭვანიერმა, გრძელვლავშიანმა მოხუცმა საჯავახოელმა, რომელმაც დასძინა: „მრავალ ჩვენებურს თქვენ კლარკზე ნაკლები არც ალებ-მიცემის სიმხნე ქონებია და არც ჭკუა და გამჭრიახობა, მარა მათი ბოლო მაინც სიმწრით ლუკმის ჭამა ყოფილა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში ამერიკა არ არის, აქ ერთ თაოსანს ასი ხელის შემშლელი კანჭებში შეყურებს და ასი კიდევ სხვა, მიღმა უმზადებს სამარეს...“ (გვ. 274).

მოხუცის ნაუბარში მწერლის გულისტკივილი და სათქმელია რეალიზებული. ეს რომ ასე გახლავთ ქვემოთ წარმოდგენილი პუბლიცისტური წერილებითაც დავრწმუნდებით.

ი. ჭყონიას ნაწერებიდან შეიძლება ცალკე გამოვეყოთ პატარა მოთხრობა „ამირანი რამ გააცინა“. აქ კიდევ ერთხელ არის მცდელობა ქართულ მითოლოგიაში არსებული მთებზე მიჯაჭვული ამირანის სახე გააზრებული იქნას ახალი კუთხით. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში მითის აქტიური გამოყენება, სახეობრივი გარდასახვა და მრავალფეროვანი ვარიაციები, შეიძლება ითქვას, მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის პრეროგატივაა. კ. იმედაშვილის თქმით: „მითმა შეიძლება ფონი შექმნას რეალური ღონისათვის, შეიძლება განწყობა. არც ის არის გამორიცხული, რომ მითის პაროდირებას მიმართოს ავტორმა. მაგრამ ყოველივე ამის გვერდით შეიძლება მითი ჩვეულებრივი მხატვრული სახეებითაც გამოვლინდეს, იქნება ეს შედარება, მეტაფორა, თუ ალუზია“ (1,13,95).

მწერალი შეეცადა ჩაწვდომოდა ამირანის ტრაგედიის ფსიქოლოგიურ ნიუანსებს. ამას იგი აკეთებს გმირისათვის ერთდროულად ღვთაებრივი და კაცური ვნებათღელვისა და სხვა სახასიათო ნიშანთა შენარჩუნებითა და გამთლიანებით. ამავე დროს ნაწარმოებში ავტორი ამირანის სწრაფვას კაცობრიობის სამსახურისადმი ხსნის არა ლეგენდებში წარმოდგენილ-დაცული მოტივაციით, არამედ ფაქტიურად აკეთებს ახალ ვერსიფიკაციულ ძიებას და გვიხატავს, რომ ამირანის თავგამეტება საკაცობრიო იდეალებით ნასაზრდოებია და ზემთაგონებულია ქალისადმი – სიყვარულით. მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერი ქალწულის მინდას ხილვამ, მასთან შეხვედრამ მთვარის რომანტიული სხივებით გაშუქებულ ველზე, ალაგზნო ლომებზე მონადირე ამირანის გულში სიყვარულისა და უკვდავების ცეცხლის შადრევანი. ქალ-ვაჟ შორის ტრფობა, ერთმანეთისადმი მიცემული პირობითაც განმტკიცდა. ამირანმა გადაწყვიტა: „უკვდავ ჰყოს სატრფო გულისა – მინდა და მისი მშობელი კაცობრობაც“ (გვ. 359).

მწარედ მოტყუედა კეთილი მიზნებისათვის თავდადებული გმირი. როცა მან მთა მთაზე შედგა, ზეცას ავიდა და ცეცხლიც წამოიღო. ამან ფრიად შეაშოთა „ცის ძალები“. ერთ-ერთმა მათგანმა – „ხერხმა“ ამირანს ზევიდან დაანახა, რომ მისი სატრფო „მინდა მთის გადამღელი დედაკაცი“ სრულიად მოულოდნელად „ვიგინდარა ქერა კაცს ჩახუტებოდა“. მზაკერულმა ღალატმა ამირანს ძალა გამოუღია, რომლითაც ისარგებლეს ცის ძალებმა, ჩამოიყვანეს დედამიწაზე და კაკვასიის ქედზე მიაჯაჭვეს.

გმირი ამირანი ბედს არ შეურიგდა და „ათასი წლის ჯაფის შემდეგ“ კიდევაც შეარყია პალო. ცის ძალებმა ხანგძლივი მჭობის შემდეგ დაადგინეს, რომ ამირანისთვის ისეთი პირობა დაედოთ, რომლის „ასრულებით, ვერ მიხვდეს ისე სულის ძალა, შემოქმედებითი ნიჭი და სხეულის ღონე ნელ-ნელა თანდათან აკლდებოდესო“... (გვ. 360) მას შესთავაზეს „ქალი შეირთე“ ვინც გასურს დედამიწის ზურგზე. ან ინატრე და გაგიჩნთო. ამის გაგონებაზე ამირანს დატყვევებიდან პირველად გაეცინა... „ამირანი ძალიან ჭკუიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო: ის შეცდა ერთხელ, ხოლო მეტს აღარ შეცდება“ (გვ. 361).

ასე ამთავრებს ნაწარმოებს ავტორი.

ასეთი ფინალით მკითხველს მრავალი საფიქრალი გაუჩინა მწერალმა. მაგრამ მოთხრობის ქარაგმა მეტნაკლებად ადვილად ამოსაცნობია, თუ ტექსტს გულმოდგინედ გავშიფრავთ. კერძოდ ამირანის სახეში, როგორც ტრადიციულად ქართულ მწერლობაში კოდირებულია მთელი საქართველო. მისი რაინდული, უკვდავი და ქედუხრელი სული, ჭირისა და მძიმე ხვედრისადმი შეურიგებლობა. ამდენად, ამ კოდის გაშიფვრა არაა ძნელი. ხოლო, რაც შეეხება ამირანის საყვარელ ქალწულს – მთის გადაღმელ მინდას, რომელიც ვიგინდარა ქერა კაცს ჩახუტებოდა – ეს ხაზგასმა ვფიქრობთ, მიგვანიშნებს, რომ მინდა და მისი ქერა კაცი – რუსეთის იმპერიაა, რომელმაც მაცდუნებელი ტყბილი სიტყვებით მოინადირა უზაკველი ტიტანი გმირის გული და მაცდურობით კავკასიის ქედს მიაჯაჭვა იგი. ამირანი ჩვეულებრივად ქედს გადმოღმა ნადირობდა. ქედს იქეთ გადასვლა მას საუკუნო ტყვეობად დაუჯდა. ამირანის სახეში ტრადიციულად მთელი საქართველო თავისი ტყივილითა და სიხარულით, თავისი რწმენითა და იმედგაცრუებით, თავისი წარსულით, აწმყოთი და მყოფადით. მწერალს იმედი აქვს, რომ „ჭკუიანი“ ამირანი თავს გაითავისუფლებს და მეორედ აღარ შეცდება. არ გამართლდა მამულიშვილის გაფრთხილება და ნატვრა. მას შემდეგ ამირანი კიდევ მრავალჯერ შეცდა. მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა სანუკვარი ოცნება იყო...

„მოვა დრო და თავს აიშვებს

იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!“ (137,74).

მე-20 საუკუნემ ესტაფეტად მიიღო წინარე ეპოქის იდეის პრაქტიკული რეალიზება. ი. ჭყონიას თხზულებებზე საუბრისას ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის მხატვრული თავისებურებანი, რომლითაც მწერალმა მოახერხა თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში ნაწრთობი აზრების მკითხველთა გულებთან შეუღლება. მის თხზულებათა ძირითად წამმართველ ძალას წარმოადგენს გმირის ხასიათის გახსნა და ამ ხასიათის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროტაგონისტის გარეგნული პორტრეტი. მაგ. „პალიკო ამანჩახოძე“. მწერლისთვის საჭიროების შემთხვევაში დამახასიათებელია სატირისა და იუმორის მოხდენილი მონარჯება. მაგ. „ბრუსილოვი მოკლეს“, „ფორთოხლები“, „ოცდახუთ მანეთიანი ღია წერილი“ და სხვ. შემოქმედს ახასიათებს გარკვეული სწრაფვა ეპიზოდების ორნამენტულობისაკენ, რაც ხშირ შემთხვევაში სასურველი შედეგით მთავრდება. მის მიერ შექმნილი გმირის რეალისტური პორტრეტი, უფრო ხშირად მოკლებულია ქვეტექსტებს; მისი ყოველი ქცევა, უესტი, მოვლენასთან დამოკიდებულება ძირითადად განპირობებულია მისი ინდივიდუალური ფსიქიკით. მწერლის ერთ მთავარ სტილურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ლირიზმი მის პროზაში. ალბათ მწერლური სტილის ამ თავისებურ მსგავსებას გულისხმობდა აკაკი წერეთელი, როცა ი. ჭყონია ცნობილ ფრანგ მწერალს შეადარა.

მართლაც, ი. ჭყონიას მოთხრობები და ნოველები თავისი განწყობილებით, შინაგანი ლირიზმით, იდეის ექსპრესიული გამოხატვით, გროტესკულისა და დრამატული შტრიხების ზომიერი კომბინაციით ემსგავსება გი დე მოპასანის შემოქმედებას, როგორც თემატური და შინაარსობრივი მომენტებით, ასევე სამწერლო სტილითა და მხატვრული ასახვის ფორმებითაც. მაგრამ აქ ეპიგონური მიმართების ერთ უმნიშვნელო დეტალსაც არ აქვს ადგილი. ხშირად, ისევე როგორც მოპასანთან ი. ჭყონიასთანაც მთელი მოთხრობის, ნოველის სათქმელი აკუმულირებულია ერთ ფრაზაში, ასეთ ფრაზას თავისი ფუნქციიდან გამომდინარე შეიძლება ეუწოდოთ ამხსნელი წინადადება. ეს ერთი „ნაკვესი“ ტევადია და მოქნილი; მასში ჩამუხტულია უზარმაზარი გზნება, ისევე, როგორც ჯინი პატარა ბოთლში. ასეთი ფრაზა ხსნის სათქმელის იდეას. მაგ. მოპასანის ერთ პატარა ნოველაში, რომლის სათაურია „გადაურჩი“ მოცემულია ახალგაზრდა მარ-

კიზა დერენდონის ქალური „სიცელქე“, რომელსაც ქმარი მოსწყინდა და, მასთან გაყრის ორიგინალური მეთოდი მოიგონა. ქალბატონმა გაიგო თუ როგორი გარეგნობის ქალები ჰყავდა მის ქმარს საყვარლად. წინასწარი შეთანხმებით შეარჩია ასეთი აღნაგობის მსახური გოგონა, რომელსაც მარკიზას მიერ გაღებული გარკვეული საფასურის ფასად დანიშნულ დროზე უნდა ეცდუნებინა ქალბატონის მეუღლე. მართლაც, ხუთ საათზე მარკიზამ, როგორც შეთანხმებული იყო, ქმარს საწოლში მიუსწრო მსახურთან ერთად. „ნალალატეე“ ქალბატონს „შემთხვევით“ თან მამა და მოსამართლე ახლდა. როცა ნასიამოვნებმა მარკიზამ ეს ამბავი სიცილითა და სიხარულით მოუთხრო მეგობარს – ბარონესა დე გრანჟურეს და ხატონად აღუწერა შიშველი ქმრისა და მოსამსახურის დაბნეული და გაკვირვებული სახე, ბარონესამ წყენით დასძინა „ვითომ, რა გიშავდა, ჩემთვისაც გეკვივნებინა?“ (1.19, 277). ბოლო ფრაზა, რომლითაც ნაწარმოები მთავრდება, იმედდროულად წარმოადგენს ნაწარმოების იდეის გასაღებს. ამ ფრაზით შექმლო მწერალს ნოველა დაეწყო კიდევ, რადგან მას სურდა ეჩვენებინა მაღალი წრის ქალთა ერთი ნაწილის ფუქსავატური ცხოვრება და გარყვნილება. ზღვარსგადასული დანტერესაბა ორი შიშველი სხეულის ურთიერთობის სცენებით. ასეთი ამხსნელი ფრაზები ჭყონიას თხზულებებში ხშირად გვხვდება. მაგ. „ამირანი რამ გააცინა“. აქ ძირითადი დატვირთვა გადატანილია ნაწარმოების იდეის ამხსნელ ფრაზაზე. „ამირანი ძალიან ჭკუიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო ის მეტს აღარ შეცდება“. ანალოგიურია „ბედნიერი დაცილება“, ცოლი – „მინადორა მხოლოდ იმას სთხოვს ღმერთს, რომ მისმა ქმარმა მეტი აღარ დააცილოს არაფერს“, ანალოგიურია „ფორთოხლები“, „ოცდახუთ მანეთიანი ღია წერილი“, რომელიც ასევე მთავრდება ამხსნელი ფრაზით – „ვინც ვარგა, მისიც მისია, სხვისიც მისია“. როგორც დიდი პორაციუსი იტყოდა: „ნაწარმოების წარმატების საწინდარია მისი შემცველი მასალის მხატვრული დამუშავების მაღალი დონე. ეს მასალა შეიძლება ავტორისეული, დამოუკიდებლად მოპოვებული ანდა ნასესხები იყოს. სესხება შეიძლება მითოლოგიიდან, თქმულება ლეგენდებიდან... მწერალმა თუ პოეტმა ძველსა და ცნობილს ახალი შთანაფიქრი უნდა დაუდოს საფუძვლად.“ (1.44, 2). ი. ჭყონიას პროზაული ნაწერები მართლაც საყურადღებოა „მხატვრული დამუშავების მაღალი დონით“. აქ

„სესხებაც“ მრავალფეროვანია. ჭეშმარიტად სარწმუნოა აკაკის რეცენზია და ი. გრიშაშვილის დასკვნა. „მკითხველს მოსწონს მისი მზიარული მოთხრობები“ (2.34, ფ. 186). მართლაც, უდიდესი განსაცდელის ყამსაც კი მზიარულდება და უკეთესობის მოლოდინი აერთიანებს მოპასუხისა და ი. ჭყონიას გმირებს. ზვალინდელი დღის იმედი რწმენითა და შთაგონებით აღავსებს მათ. „დღეს იმიტომ ვასრულებთ გარკვეულ სამუშაოს, რომ ვიცით, ჩვენი მუშაობის შედეგი მომავლისათვის გარანტირებული იქნება, რამეთუ მეორე დღეს, კვლავ ამოვა მზე და შრომის ნაყოფი მომწიფდება“ (1.29.60) წერდა თავის დროზე რულოლავ შტაინერი.

ი. ჭყონიას სწამდა, რომ საქართველოს უკეთესი დღეები დაუდგებოდა. ოღონდ ნათელი მომავლისათვის ქვეყნის ერთგულ შვილთა შეერთებული ღვაწლი იყო საჭირო. ამიტომაც მწერლის პირადს, საზოგადოებრივსა თუ შემოქმედებითს საქმიანობას ზვალინდელი მზიანი დღის რწმენა ასულდგმულებდა. სულმნათი აკაკი თავიდანვე ცნობილი იყო, როგორც ენამოსწრებული და პირში მთქმელი კაცი. იგი საქვეყნოდ აცხადებდა „როს წარამარა მწერალი სიტყვების წამომპროშია, რა არის იგი თუ არა პურისთვის მყეფი გოშია“. გამორჩენის გულისთვის ვინმესი ქება მას დიდ დანაშაულად მიაჩნდა. მან გულწრფელი აღფრთოვანების სიტყვები უძღვნა ი. ჭყონიას თხზულებებს. „მისი პროზა პოეტურად ჩამოსხმული მარგალიტებია! ეს პატარ-პატარა მოთხრობები, სადაც სულ უბრალო რამეზეა საუბარი, სულსა და გულს ჰხვდება! რამდენჯერმე გინდა, რომ წაიკითხო. ერთხელ წაკითხვა არ კმარა!.. იქარგა ქართული ქართველის სულსა და გულში ქარ-ცეცხლად გატარებული. აქ არც სხვისი კაჭკაჭური მიმბაძველობაა და არც სხვილ-სხვილი იდეების გამოდგომა... სულ უბრალო რამ, თითქმის უმნიშვნელო შემთხვევა არის მოქარგული. როგორც გრილი სიო მხურვალე ზაფხულის დღეს, ისე ხვდება ეს პატარ-პატარა მოთხრობები ქართველის გრძნობა-გონებას“ (2.8).

თავი III

პუბლიცისტიკა

ი. ჭყონიას შემოქმედებაში უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პუბლიცისტური წერილები, რომლებსაც მწერალი რეგულარულად აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე. აღნიშნული პერიოდი ქართველი ერის ისტორიაში ფრიად საყურადღებო მოვლენებითაა ნიშანდობლივი. როგორც იყო: თერგდალეულთა გამოსვლა სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე, ბატონყმობის გაუქმება, აჭარის შემოერთება, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გააქტიურება (ქართული თეატრალური დასის დაარსება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. ახალი უურნალ-გაზეთების გამოცემა), 1905 და 1917 წლის რევოლუციები, საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის ახალი ანექსია და სხვ. ყოველივე ზემოდასახელებული მოვლენა ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული სიმძაფრითა და პირუთენელობით აირეკლა. უაღრესად საინტერესოა აგრეთვე მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლებიც საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს გააზრებული ჩვენთვის საინტერესო ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა; აგრეთვე ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი ნიუანსები. ამ მხრივ საინტერესოა პირადი წერილები და მოგონებები ალ. ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის, ივანე მაჩაბლის, ილიას, აკაკის, სერგეი მესხის, დუტუ მეგრელის, გიორგი შერვაშიძის, ნ. მარის და სხვათა შესახებ. პირადი მიმოწერის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მიუთითებს ნოდარ ტაბიძე, როცა წერს „ეპისტოლარული მემკვიდრეობა საუკეთესო მასალაა ნაღდი ისტორიის დასაწერად. მით უფრო, როცა ბარათს ერთი ადრესატი ჰყავს და გულის გადაშლა შინაგანი მოთხოვნილებაა“ (1.24.10).

ი. ჭყონიას დიდი და საინტერესო პუბლიცისტური მემკვიდრეობა დარჩა. ამიტომ შეუძლებლად მიგვაჩნია ყველა მის პუბლიცისტურ წერილზე

ყურადღების გამახვილება, თუმცა საყურადღებო ყველაა. წერილებში დასმული პრობლემებიდან გამომდინარე მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესაძლებლობისამერ ამომწურავად და გამოწვლილვით შესწავლის მიზნით. ჩვენ პირობითად ისინი 3 ჯგუფად დაყავით: 1) წერილები, რომლებშიც დასმულია და გაანალიზებულია ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. 2) წერილები, რომლებშიც წარმოჩენილია ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენის პრობლემები და 3) წერილები ქართული თეატრის შესახებ (აქვე შევნიშნავთ, რომ მწერალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ერისა და ქვეყნისთვის მტკივნეულ ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო პრობლემას შეეხო. მაგრამ ეს პრობლემები რამდენადმე შესულია ჩვენს მიერ ზემოდასახელებულ წერილთა ჯგუფში).

§ 1. ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები

ი. ჭყონიას პუბლიცისტუიკაში

ფიქრი საქართველოს წარსულზე აწმყოსა და მომავალზე ი. ჭყონიას პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური შემოქმედების მთავარი მკვებავი წყაროა. სრულიად ჭაბუკი მწერალი დიდი სიხარულით მიესალმა აჭარის დაბრუნებას დედა სამშობლოს შემადგენლობაში და ამ სასიხარულო ფაქტს ვრცელი წერილები უძღვნა. ამ მხრივ საინტერესოა „ივერიის“ 1879 წლის №4-ში გამოქვეყნებული კორესპოდენცია „ხმა ბათუმიდან“ „ბრძოლა მთა-ბარში, წინ და უკან, ოთხივე კუთხივ, ბრძოლა შეუწყვეტელი პირისპირ უთვალავ მტრებისა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად“. ასეთი პირქუში, ნატურალისტური სურათით წარმოადგინა მწერალმა საქართველოს რეალური ისტორია, ქვეყნის მთელი ხანგრძლივი არსებობის პერიოდში. პუბლიცისტის თქმით, საქართველო ხანმოკლე მშვიდობიანობის პერიოდში ახერხებდა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონისთვის მიეღწია და ამიტომაცაა ქვეყანა მოფენილი „ხურ-თმოდვრების მშვენიერი ნაშთებით“... ყოფილა დრო, როცა საქართველო თავს კი არ იცავდა, ხშირად სხვების მფარველად გვეკლინებოდა.

ასეთი შესავლის შემდეგ წერილის ავტორი ღრმად უფიქრდება თავისი დროის საქართველოს მძიმე ყოფას და აკეთებს საგულისხმო დასკვნებს: „ჩვენ ეხლა ამ რიგ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი გახლავთ სამნაირი... პირველი ისე ცხადია მისი მოხსენება ბეჭდვით საჭირო არ მგონია, მეორის თქმა გულით მინდა, მაგრამ არ შემიძლია... მესამე გახლავთ ჩვენგან მტრის მეგობრად მიღება... ამ „გონების“ წყალობით შეგვემთხვა იგი, რაიც სწორედ არის გამოთქმული ანდაზით: „უაის გავეყარე, უკის შევეყარე“.

წერილის ავტორის ქარაგმა იოლად ამოცნობა, მოყვრისა და მეგობრის ნიღბით მოსული მტრის მითოლოგება, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ყველაზე ადვილად გასაშიფრი სიმბოლოა. მწერალი გადმოცემული ამბების თვითმხილველია. იგი წინდახედული, შორსმჭვრეტელი მამულიშილის თვალთახედვით აფასებს რეალურ ვითარებას და არ უკვირს აჭარის ქართველების სურვილი, რომ თურქთა უღლის მოშორების შემდეგ მათ არ სურთ რუსეთის იმპერიის უღელი და მოითხოვენ ინგლის-საფრანგეთის მფარველობას. „მოინდომეს სრული თავისუფლების შოვნა... არ გეგონოთ რომ ეს იყო მათგან ჩვენი უსიყვარულობისაგან და ძმური თანაგრძნობის უქონლობისაგან... არა, მიზეზი სულ სხვაა... უღელი იმ რიგი რამაა, რომ ძმური სიყვარულიც ვერ მიგიზიდავს მასთან.“

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორმა კარგად იცის არა მარტო საქართველოს, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ისტორიაც. მას მაგალითისთვის მოჰყავს გერმანიის მიერ ელზას – ლოტარენგიის დაპყრობა და დასძენს: მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხის ხალხი ძირითადად გერმანულენოვანი იყო, გერმანელები მაინც დიდი სიფრთხილით მოქმედებდნენ და საუკეთესო და რჩეული მოხელეები დააგზავნეს ამ მხარეში. მწერალი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ახლად-შემოერთებულ აჭარის შემთხვევაში პირუკუ მოხდაო. აქ ჩინოვნიკებად მოგვევლინენ: „ძველად სამოქალაქო სამსახურიდან კაიკაცობისთვის გამოვდებული „ჩინოვნიკი“, კაიკაცობისთვის გაკრეჭილი ღვედელი, აფიცერი, რომლის ენა ისეა გაწაფული ერთ-რიგის ლოცვა-კურთხევით, რომლის უმისოდ მისი მობრუნება არ შეუძლია... აქტიორი ამხანაგობიდან გაპარული, ვაჭარი და სხვა“. ასეთი „პატრონების“ „კაიკაცობით“ აჭარაში

ხშირად ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობდა ოსმალთა ემისრები და მოსახლეობას აჭარიდან აყრასა და თურქეთში გადასახლებას ურჩევდა (სამწუხაროდ მოსახლეობის ნაწილმა ირწმუნა მაცდუნებელი დაპირება და მშობლიური კუთხე მიატოვა ლ. დ.). ენობრივი ბარიერი, ჩინოვნიკური აპარატის ქალადომანია და ბიუროკრატიული ყოყლოწინობა კიდევ უფრო ზრდიდა მოსახლეობის ანტიპათიას. მწერალი სიფრთხილესა და გონიერებას მოითხოვს. იგი პირდაპირია და უშიშარი ქვეყნის უკეთესობის ძიების საქმეში. „სასურველია, რომ აგრეთვე გადაყვანილ იქნებოდეს აქედან აქაური მომრიგებელი მსაჯული, რომელსაც ინიც კი არ ესმის ქართულში და როგორი მსაჯული უნდა იყოს იგი, ვისაც მომჩივნის ენა არ ესმის“. მწერალი მომავალს მაინც იმედინად შეცქერის, რადგან „საბედოდ, ბათომის მაზრის უფროსად არის კაცი, რომელსაც მთელი ბათომის ოლქის ქართველი, ოსმალის საქართველო თავის მფარველ ანგელოზსავეთ შესცქერის, და რომლის ერთს სიტყვას მასზე, სხვის მთელ მოძღვრების წაკითხვაზე უფროსი გავლენა აქვს. ეს კაცი გახლავთ თ. გრ. დ. გურიელი“.

ი. ჭყონიას მსოფლმხედველობის გასარკვევად, როგორც ვხედავთ, დიდი მნიშვნელობა აქვს მის პუბლიცისტურ წერილებს და რეცენზიებს, რომლებიც ერთიან კავშირშია მწერლის მხატვრულ ქმნილებებთან. მკითხველის წინაშე წარმოჩინდება შემოქმედის პირადი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარამონიული პორტრეტი, საქმე კაცისა, რომელიც პრაქტიკული საქმიანობითა და თეორიული ნააზრევით ქვეყნის უკეთესობისაკენ წინსვლას მსახურებდა.

მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ნიშანდობლივ თავისებურებად უნდა მივიჩნიოდ ლირიკულობა (რა თქმა უნდა პრობლემის მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ლ. დ.). აქ ძირითადად იგულისხმება ფაქტებისა და მოვლენებისადმი ლირიკული მიდგომა. მოვლენის აღქმისა და შეფასების ლირიკული პათოსი, რომელიც ზომიერია და მოკლებული გადამეტებულ სიტყვაკაზმულობასა და კოსმეტიკურ ეფექტს.

აჭარისა და ბათუმის ამბები მწერლის ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ 1877 წელს მოექცა, როცა ახალი დაწყებული იყო რუსეთ-თურქე-

თის ომი. ბრძოლების შედეგად საქართველოს ყველა კუთხე დაზარალდა და განსაკუთრებით საზღვრისპირა გურია. „დადგა ეს ომი თავის ჭეჭა-ქუხილითა და მოსთხოვა გურიას მსხვერპლი კაცითა და ნიეთიერებითა“ (2.38,25). სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოშიც ბევრს ჰგონია, რომ რუსეთმა „ლანგრით“ მოართვა საქართველოს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ახალციხე და აჭარა. ამ წერილიდანაც დასტურდება, რომ მარტო გურიიდან რუსეთის მხარეზე 5000 მეომარი იბრძოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც „ცოტა-ცოტას“ თუ მივუმატებთ ფრიად შთამბეჭდავი მათემატიკა გამოგვივა. წერილის ავტორი შეწუხებულია იმითაც, რომ არა მარტო ომმა და გვაღვებმა გააჩანაგა ქვეყნის ეკონომიკა, არამედ ქართველთა მიერ ომის შედეგად მომრავლებულ მიცვალებულთა დასაფლავების წესმა, ლამისაა ქვეყანა დაამშოოს. „მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ... გლეხი... ვალდებულია სადილი გამართოს, რომელიც 30-40 მანეთზე ნაკლები არასდროს ჯდება. ამგვარად მშობლები იღუპებიან ერთობ დიდის ხარჯით და ნათესავნი გლოვის გამო უშუშეურობით“ (2.39).

საერო და განსაკუთრებით გადაგვარებული სასულიერო პირების ერთი ნაწილის უზნეო ყოფა წარმოაჩინა მწერლმა წერილში „ბათუმისაკენ“ („ივერია“, 1878 წ.): „ერთი ხუცესი გვყავს, ლაზარე ოდიშარია პქვია და სულ გათათრებულია; რამდენი ბავშვი მოუნათლავად, რამდენი კაცი უზიარებლად მოკლა. იმას ვინ დათვლის, ქრთამებს იღებს და იმისთანა სიმთერალე იცის, რომ როგორც მოწონებულმა ლოთმა“. დარბაისელი მეგრელი მგზავრის ეს სიტყვები მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს ქართული საზოგადოების ერთი, არცთუ უმნიშვნელო ნაწილის მატერიალურ გადატაკებას, რომელსაც პარალელურად მიჰყვება, ხოლო ზოგჯერ წინაც უსწრებს ზნეობრივი დაცემა და გახრწნილობა.

ი. ჯყონიას ლექსებში, მოთხრობებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში იგრძნობა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. მწერალი შეწუხებულია მამულის აწმყო მდგომარეობით და ცდილობს გამოსავლის პოვნას. საოცარი გულისხმიერებითა და სითბოთია მის პუბლიცისტურ წერილებში საქართველოს სხვადასხვა კუთხე და მათი მცხოვრებნი დახატულნი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის სტატიები, რომლებიც აფხაზეთს ეძღვნება, და რომლებშიც ავტორმა თითქმის საუკუნით აღრე იწინასწარმეტყველა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც დღეს ყველა ქართველს ჭეშმარიტად სამწუხარო რეალობად ექცა.

„დროების“ (1880 წ., №261) გამოქვეყნდა რუსულ გაზეთ „გოლოსიდან“ გამომოქცდილი ხელმოუწერელი წერილი... „გოლოსს“ სოხუმიდან სწერენ, ჩვენი ქალაქი ხელახლა შენდებოა. ახლად გადმოსახლებულნი უმეტესწილად გუდაუთაში ესახლებიანო, რომელიც აქედან 22 ზღვის მილზეა დაშორებულიო. გასულ თვეში კორესპოდენტს თვითონ უნახავს სომხებისა და მალაოროსების ოცდარვა ოჯახი, რომლებიც გუდაუთაში ეპირებოდნენ დასახლებას. სომხები სრულიად ღარიბნი ყოფილან და მალაოროსები კი შეძლებულნი და ჯანმრთელები. ესენი წინათ ჩრდილო კავკასიაში მდგარან და ახლა საოჯახო მოწყობილობა და მიწის სამუშაო მაშინები თან მოაქეთო. კორესპოდენტის სიტყვით, გადმოსახლებულების რიცხვს ყოველდღე ემატება“. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პერიოდში ი. ჭყონია „დროებაში“ მუშაობდა რუსულ გაზეთებიდან მთარგმნელად და კორექტორად. მისი წერის სტილის ანალიზი ადასტურებს, რომ ეს სტატიაც მისია, მწერალი შიშით შეკუყრებდა ამ ქართულ მიწაზე უცხო ხალხშიც გამორჩეულად ცბიერი ტომის ჩამოსახლებას. სტატიის ბოლო სტროფი ოფიციალურად დარისხებული ეროვნული საგანგაშო ზარის გუგუნს ჰკავს. ნახევრადმთვლემარე, ფინანსურად ღარიბმა ქართულმა საზოგადოებამ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ძალით ტყემლის ჭმევას, რომელსაც შემდეგ შეილთაშვილებისთვისაც უნდა მოეკვეთა კბილები. აფხაზეთის თემას პატრიოტი მწერალი მრავალ გზის შეეხო. კერძოდ ლიტერატურის მუზეუმში დაცულ მწერლის პირად არქივში აღმოჩნდა უაღრესად საინტერესო მოგონება ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ, რომელიც მრავალმხრივად საყურადღებო, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვიანტერესებს მოგონების ერთი ეპიზოდი, რომელშიც აღნიშნულია: „...1881 წელს ტფილისში გავრცელდა ხმა რუსის მთავრობას განზრახული აქვს ასი ათასი კაზაკი დაასახლოს აფხაზეთშიო. გულისტკივილით გაუუზიარე სანდროს ეს ამბავი, რომელმაც ბევრი ჩვენთაგანი დაალონა... ხალხიანად მომიგო მან, ერთი ოცდახუთი წლის შემდეგ ყველა ქართველებად გადაიქცეაო“ (2.34, ფ. 128.74).

ილია ჭყონია და ალ. ყაზბეგი ახლო მეგობრები ყოფილან. გასული საუკუნის 80-იან წლებში რამდენიმე თვე მათ ერთად, ერთ, დაქირავებულ ოთახშიც უცხოვრიათ. საინტერესოა დიდი რომანისტი სუმრობანარევი წინასწარმეტყველებაც.

აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილებიდან საგულისხმოა 1898 წელს უურნალ „მეურნის“ №4-ში გამოქვეყნებული სტატია „უმიწობისათვის“. მასში ავტორი იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ მომზადებულია და მალე „ივერიაში“ დაიბეჭდება ორი წერილი რუსულ ენაზე, რომელშიც საუბარია, „რომ მეგრელები წარმოადგენენ საუკეთესო ახალშენელებს, კოლონიზატორებს აფხაზეთისათვის, რომ ისინი მთელი საუკუნის მანძილზე ბუნებას მშვენივრად მოუმზადებია... ასაცდენად იმ მომზადული ჰაერისა, რომელიც ტრიალებს აფხაზეთში, და რომელიც უღმობელად უღეტს სხვა ტომის ხალხსა...“ სტატიის ავტორი ილაშქრებს მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ცნობილი ფაქტია, რომ რუსის მთავრობამ დაიწყო ქვეყნის ცენტრალური გუბერნიებიდან გლეხების ძალის გამოყენებით გადმოსახლება აფხაზეთში. მაგრამ ისინი ადგილობრივ ჰაევას ვერ შეეჩვივნენ და ზოგიერთი ისე დაავადდა შთამომავლობის გაგრძელების უნარიც კი წაერთვათ. ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ გადმოსახლებული გლეხები ისეთი ადგილებიდან არიან, სადაც მიწის სინაკლულე სრულებით არ იგრძნობა, მაშინ როცა საქართველოში ბოგანოდ (უმიწოდ) იყო არა მარტო გლეხთა, არამედ თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ილია ჭყონია მიუთითებს, რომ „მეგრელსავეთ გამოსადეგია აფხაზეთის მიწაზე დასასახლებლად გურულები, ქვემო იმერლები და ლეჩხუმ-რაჭველნი, უკანასკნელნი ზეგნებში. უმიწობის ფაქტი, ცხადია, უეჭველია, ჩვენი დამღუპელი და გამრავლების შემჩერებელია.“ მწერლის თქმით, რუსის მთავრობამ ეგებ თავის უგუნურ პოლიტიკაზე ხელი აიღოს, რომ ქართულ „ინტელიგენციასა და მწერლობას თავიანთი მოვალეობა ესმოდეთ და ჩვენგან ნაჩვენებ ფაქტს – ქართველი გლეხობისა და წერილი აზნაურობის უმიწობასა და ბოგანობას ფაქტად დაადგენდეს, მმართვეობას მიაწვდიდეს უტყუარ კარგად დამუშავებულ ცნობებს და საზოგადოებასაც შეასმენდეს თავიდან ასაცდენ ღონისძიებას“ (წერილის გაგრძელება ცენზურას ამოულია, მაგრამ მკითხველისათვის ძნელი არ უნდა იყოს, მიახლოებით მაინც აღადგინოს მისი დასასრული, რომელიც მიწის შენარჩუნება მოპოვებისათვის ქართველთა გამოსაფხიზლებლად დარისხებულ ზარის ექოს ნაწილს წარმოადგენს.).

ღიას, შეძლებისდაგვარად ფხიზლობდნენ და იბრძოდნენ მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები – წინაპართა ნაფუძვარი მიწის შენარჩუნებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ილიას სიტყვა წარმოთქმული 1903 წელს (მაისში) სოხუმში. „საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველობას მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა“ (1.12.151).

სამწუხაროდ, „ვერ უჩვენა“ დასავლეთმა „სიფხიზლისა და ცხოვრებაში ბრძოლის უნარი“ აღმოსავლეთს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო; და ამ „ვერ ჩვენების“ თავი და თავი, როგორც ილია ჭყონია შენიშნავს „ივერიის“ №242-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „თემობისათვის“, იყო ის, რომ „...საბელი ჩვენი ყელისა სხვის ხელთ არის და ის სხვა ნებას არ იძლევა ჯერჯერობით ჩვენს საერთო გაჭირვებაზედ გინდ ეკონომიკურზედაც გარემოებისდაგვარად ვიზრუნოთ“. ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი დაქვეითების მიზეზი, მწერლის თქმით, კიდევ ორია: „... რომ განათლება საზოგადოთ სუსტათ გავრცელებულია ჩვენში, მიზეზი კიდევ ის არის, რომ საზოგადოებრივ თაოსნობას ჩვენში მხარფეხი გაყინული აქვს და ასპარეზი მოსპობილი“.

ერი და ეროვნული პოლიტიკა, ჭეშმარიტად განათლებული საზოგადოება მამულის სიყვარულის ლიბოთი შედუღაბებული, „გონივრული დაწესებულებანი და ხალხის ღვიძლი შვილები მამულის ისტორიულ ნიადაგზე ეროვნული სულით აღზრდილნი მმართველებად და გამგებლად...“ (2.21) შეიქმნებიან მწერლის აზრით იმ ძალად, რომლებიც ივერიას ძველ დიდებას დაუბრუნებენ.

ილია ჭყონიამ იცის, რომ მსოფლიოს ისტორია ესაა ძალმომრეობის მუდმივმოძრავი ექსკალატორი, რომელსაც გონივრული პოლიტიკითა და განათლებით უნდა დაუპირსპირდე. „საზოგადოდ კაცობრიობის ცხოვრება, და ყოველი ერისა კერძოდ, სხვათა შორის არის ბრძოლა არსებობისათვის, ერთი ძლიერი იარაღთაგანი ამ ბრძოლისა გახლავთ პოლიტიკა, რომლის მეოხებით უკანონობა ხშირად სჯობნის სამართლიანობას და ვერაგობა ხშირად ქედს აზრევენებს სათნობას. პოლიტიკა უარყოფს

სულგრძელობას, ყოველგვარ შებრალებას, მასთან არ გადის ხათრი და თავაზი; გულწრფელობა და კეთილი გული მის წინაშე ყოველთვის დამლუპველი ყოფილა და ეხლაც არის. უაღრესი ძალა ამ შემთხვევაში არის განათლება და სახალხო განათლება უპირატესად" (2.22). ამიტომაცაა, რომ გულმხურვალე მამულიშვილი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული იმ უცხოელების მიმართ, რომლებიც საქართველოს სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის კერად. ყოველნაირად ცდილობენ ხელახლა აღმოუჩინონ იგი მსოფლიოს. უყვართ საქართველო და ქართველები. ასეთები მე-19 საუკუნეში არცთუ ცოტა იყვნენ, მათგან გამორჩეულნი – ერთი ფრანგი, ერთი ინგლისელი და ერთი გერმანელი: მარი ბროსე, მარჯორი უორდროპი და არტურ ლაისტი. მწერალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბოლო ორთან, ხოლო არასოდეს ივიწყებდა მარი ბროსეს ღვაწლს. იგი მიესალმება ფრანგი მეცნიერის ფასდაუდებელ ღვაწლს ქართველებისთვის გაწეულს და, მამულიშვილებს სთხოვს სათანადოდ დააფასონ იგი. „ჩვენთვის დაუვიწყარ განსვენებულ მარი ბროსეს შეუდგენია და ხელნაწერად დარჩენია „საქართველოს ისტორია მის დასაბამითგან უახლეს დღემდე... მაშ, საქართველოს ისტორია იმისთანა ავტორიტეტული მეცნიერისაგან დაწერილი ძალე გვეღირსება... მაგრამ მარტო ამით ნუ დაკმაყოფილდებით, რაც არ უნდა გენიოსისგან იყოს დაწერილი ისტორია, ის ისეთი რთული და მრავალმხროვანი საგანია, რომ მისი სრულად დაძლევა ერთი კაცისთვის ყოვლად შეუძლებელია" (2.19). წერილის ავტორი მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მ. ბროსეს სახელობის პრემიის დაარსებაში, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა მეცნიერთა იმ გუნდს, რომლებიც იკვლევენ ისტორიას. „მეტადრე იმისთანა დახლართულ ისტორიას, როგორიც ჩვენია, ამ ღვაწლს უნდა დაჯილდოება რათა მშრომელი სულითა და გულით მიეცეს მას". მ. ბროსეს პრემიის დაარსებას საქართველოში თითქოს მოწინააღმდეგე არ უნდა ყოლოდა, მაგრამ აქაც თავი იჩინა ქართველთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელმა „უჩემოთ ვით იმღერიოთ" პოლიტიკამ. თვით აკაკის მჭევრმეტყველურმა, ხატოვანმა სიტყვამ ვერ გადაწყვიტა ეს ხელოვნური პრობლემა დადებითად – „კაცი რომ ჭიქით ღვინოს დაღვეს და წინაპრებს ახსენებს ჭიქაც მას რჩება და პრემიაცო. ასევე ბროსეს პრემია ჩვენ დაგვრჩება, ოღონდ ამ ამგდარ კაცს მოვიხსენიებთო" (2.20) – ბრძანებდა სულმნათი აკაკი.

თვით ბრძენი პოეტის ბრძნულმა შეგონებამაც არ გასჭრა. პატრიოტი მწერალი შეძრწუნებული შეკყურებდა თავის თანამედროვე ქართულ საზოგადოებას, რომელიც ეკონომიკურად დატაკი, ინტელექტუალურად არასაკმაოდ მომწიფებული, პარტიებად და დასებად დაყოფილი წერილმანი პარტიკულარისტული აზრებით ნამდვილად ხელს უშლიდა საზოგადო საქმის წინსვლას.

ილია ჭყონიამ წინასწარმეტყველურად გამოიცნო ქართული მოუმწიფებელი პარტიებისა და დასების როლი სამომავლო საქვეყნო საქმეში. ასეთი მისიის შესრულება მათ არ შეეძლოთ. „სიტყვა „პარტია“ და „პარტიობა“ ჩვენს მხარეში გადაქცეულია „შურისა“ და „შურისძიების“ სინონიმად. რატომ? – იკითხავთ. იმიტომ, რომ ჩემო ბატონო ყოველ საზოგადო საქმეში, რომელსაც განაგებს ზოგადი კრება, პარტიები ე. ი. მაშინ შეადგენენ აუცილებელსა და კეთილნაყოფიერ მოვლენასა, როცა თითოს მათგანს აქვს საკუთარი პროგრამა და დედა-აზრი. მტკიცეთ გამჯდარი დასთა წვერთა ძვალ-რბილში, რომლითაც ადვილად შეიძლება მოწინააღმდეგე დასს ვერ ეთანხმებოდეს, მაგრამ ზოგად საგანში კი (მიზანი) დანარჩენებთან ერთი უნდა ჰქონდეს.“ (2.20).

მწერლის წინათგრძნობა პარტიებს შორის პირადული უსაფუძვლო კინკლაობის გაძლიერებისა და ამით საზოგადო საქმისთვის ზიანის მიყენებისა ახდა. არადა, როგორც თვითონ წერილის ავტორი მიუთითებს ქართულ პარტიებს ბევრი რამ კარგი თვისება ჰქონდათ: „ენამჭვერობა, ზერხი, გაბედულება და სიმხნე“. მაგრამ ყოველივე ამან უფრო მეტი ზიანი მოიტანა, რადგან მამულიშვილური საქმის კეთების ნაცვლად ზემოხსენებული თვისებები ერთმანეთისადმი წერილმან ქიშპობაში დაიშრიტა. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების უმეტესობა მე-19 საუკუნის დასასრულს ციურ მანანას პურივით მიეტანა ქვეყანაში ახლად შემოსულ „სოციალისტურ“ თუ „მარქსისტულ“ იდეოლოგიას. უმრავლეს შემთხვევაში ეს იყო გარკვეულწილად დარდიმანდული, მოდური გატაცება, რომლის არსი ხშირად არც ესმოდათ, მაგრამ ნარკოზივით კი სწამლავდა მათ. გრ. რობაქიძე იტყვოდა: „გასული საუკუნის მოიწურულში ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტული ჯიშისა საკუთრივ“ (1.22,291).

ილია ჭყონია ფზიზლად დარაჯობდა ქართველი ერის ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმეს. ქ. ქუთაისიდან გაგზავნილ ერთ კორესპონდენციაში იგი ეხება ქართველებისა და ქართული ენის მოძულე იანკოვსკისადმი ქუთაისური საზოგადოების მიერ გამოვლენილ მძაფრ რეაქციას. ამ „ვაჟბატონის“ ბოროტი საქმეების გამო, აღშფოთება გამოუხატავს არა მარტო „ქუთაისის გონებით მოღვაწის საუკეთესო საზოგადოებას, არამედ ამაზე სჯიან და ბაასობენ ისინიც კი ვისაც ქართული ყველაფერი ფეხებზე აკიდია, ვისაც საქართველოს ბედი შარშანდელი თოვლსავით აწუხებს, და სამშობლო მაშინ გაახსენდებათ ხოლმე, როცა ღვინით შეზარხოშებულნი გაბაშვილის გორიდან ყანწით ხელში გადმოიხედებიან და ოპ მამულოს დასძახებენ“ (2.15).

მწერალი შეშფოთებულია ქართული საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილში გაჩენილი ეროვნული ნიჰილიზმითა და ინდიფერენტიზმით. პირადულის გაღმერთება და საშიში კოსმოპოლიტური იდეების მომძლავრება იგრძნობოდა მაშინდელ საქართველოში. ქართველ მოღვაწეთა მოწინავე ნაწილი იბრძვის ეროვნული იდეალების კოსმოპოლიტურით შეცვლის წინააღმდეგ. ამ მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყო ი. ჭყონია. ამასთან დაკავშირები ალბათ ნიშანდობლია ის ვრცელი წერილი, რომელიც მწერლმა 1884 წლის „ივერიის“ №7-ში გამოაქვეყნა სათაურით „ხილად“. კორესპონდენცია გარკვეულწილად წარმოადგენს 1881 წელს გაზეთ „დროების“ №216-ში გამოქვეყნებული სტატიის იდეურ გაგრძელებას. კერძოდ, ზემოხსენებული წერილის ერთ ფრაზაში ფიქსირებული იყო, რომ „კაცობრიობი ისტორია წარმოადგენს არსებობისთვის ბრძოლას“. აქედან გამომდინარე საჭიროა წინდახედულობა და სიფრთხილით მოქმედება. მწერალის აზრით მე-19 საუკუნის ბოლოს მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ისე არ მომწიფებულა, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანად, მოლაპარაკებებით გადაჭრას. ამიტომ 1884 წელს შვეიცარიაში გამართულ „მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირის“ (კონგრესის) სხდომებს ნაჩქარევად მიიწვევს.

„სხვა სიმპატიურ და კაცთმოყვრობითი გრძნობით გამსჭვალულ საზოგადოებათა შორის, ევროპაში არსებობს ერთი საზოგადოება, ანუ უკეთა ვსთქვათ კავშირი იმ პირთა, რომელთაც სწადიათ – სადავო – საქმე სახელმწიფოთა შორის უნდა წყდებოდეს არა ცეცხლითა და მახვილით, **ზ. ლ. დვალისვილი**

არამედ მხარეთა შეთანხმებით". ილია ჭყონიას ამ საზოგადოების იდეა, რომელთა შორის ხელოვნების დარგის მუშაკები სჭარბობენ მისაღებად, მაგრამ ნაადრევად მიაჩნია. ეს სამწუხარო რეალობა კიდევაც დაადასტურა შემდეგი დროის ლოკალური თუ მსოფლიო მნიშვნელობის ომებმა. მწერლის ირონიანარევი დასკვნით ეს საზოგადოება „ჯერჯერობით მაინც ჰგავს დღენაკლულად შობილსა და უნიადაგო დაწესებულებას. დიდი უმრავლესობა აწინდელი ევროპის მმართველობათა წევრებისა და საზოგადოებისა, არა თუ დაცინვით, მტრული თვალთაც უყურებენ მას."

კავშირის სხდომების მოუმზადებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ ვერ მოახერხეს ვერცერთი შეთანხმების მიღება მშვიდობისა და ომის საკითხზე. ხოლო გერმანიის რკინის კანცლერმა – ბისმარკმა კავშირის წევრად მიღების თხოვნაზე ლიგის წევრებს საგულისხმო პასუხი გასცა: „ჯერ კიდევ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ჯერ კიდევ მრავალი საუკუნე შეტურდება წყვდიადის სივრცეში, ვიდრე ხმალს კალამი შესცვლის, თოფი-იარაღს – მელანი, ზარბაზანს – ებისტოლეს და გონიერი მსჯავრი ომსაო." კონგრესზე თუ „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის" წევრები ომის საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ, სამაგიეროდ ძალიან საინტერესო გამოდგა მეცნიერთა გამოსვლები, რომლებმაც სხდომის მონაწილეებს ამცნეს მრავალი ახალი აღმოჩენის შესახებ; განსაკუთრებით საექიმო დარგში. ფრიად მნიშვნელოვანი, მჭევრმეტყველური და შთამბეჭდავი იყო ფრანგი მეცნიერის პასტერის სიტყვები, რომელმაც კოსმოპოლიტურ იდეათა მქადაგებლებს ლოგიკური პასუხი გასცა. „მეცნიერების კაცი უნდა ზრუნავდეს ყველაფერზე, რასაც კი შეუძლია მისი მამულის სახელის განთქმა: ყოველ დიდ მეცნიერში ჩვენ ვხვდებით დიდს მამულიშვილს. თავის მამულის სახელისთვის რაიმეს შეძენის აზრი, მეცნიერს ამხნევეს ხანგძლივი ღვაწლისათვის; აჩემებული პატივმოყვარეობა, რომელიც აწყურებს მას თავისი მამულის ნახვას კაცობრიობის წინა რაზმში, იძულებულყოფს აიტანოს დიდად ძნელი, მაგრამ სახელოვანი ჯაფა, რომელსაც აგვირგვინებს საუკუნო ძღვევამოსილება... თქვენი მამულის სარგებლობისათვის მოღვაწეობით, მთელ კაცობრიობას უწევთ სამსახურს!"

ილია ჭყონიას ეროვნული მრწამსისა და მსოფლმხედველობის მარადიული დევიზია – „თქვენი მამულის სარგებლობისათვის მოღვაწეობით, მთელ კაცობრიობას უწვევთ სამსახურს“ – სწორედ ესაა დულაბი, რომელიც აერთიანებს მწერლის მხატვრულ ქმნილებებს, მის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებსა და გამოკვლევებს, შემოქმედის პრაქტიკულ საქმიანობასა და თეორიულ ნააზრევს.

ბ) ქართული ენის საკითხები ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში

ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში ქართული ენის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას პარალელურად თან მოჰყვა ქართული ენის კანონიერი უფლებების უგულებელყოფა. დამპყრობელი შეეცადა და მნიშვნელოვან წილად მოახერხა კიდევ სასულიერო თუ სასამართლო საქმის წარმოება ყოფილიყო რუსულ ენაზე. ქართულ ენას შეეკვეცა პრაქტიკულ-გამოყენებითი არეალი. იგი დაემსგავსა კარგად ნაწრობ და ნაცად ფოლადის სახნისს, რომელიც მიივიწყეს, კუთხეში მიაგდეს და თანდათან ჟანგი მოეკიდა. მე-20 საუკუნის დასაწყისშიც, მაშინ, როცა ქართული ენის სულიერი და იდეური მამები ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ, ქართულმა ენამ იწყო პოლივალენტოვანი ენის თვისებების დაკარგვა. „პრაქტიკულ საქმიანობაში რუსულ ენაზე გადასვლის გამო, ქართული ენა დარჩა ენად მხოლოდ „საშინაო ხმარებისათვის“ და ამ არასახარბიელო როლშიც კი თანდათან მარტივდებოდა, კნინდებოდა და უკვე რუსულდებოდა, რადგანაც მისი გამოყენების ასპარეზი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა“ (2.3,152). წერდა საუკუნის დასაწყისში ვლადიმერ ჯაფარიძე.

ვფიქრობთ, ნიშანდობლივი იოსტასია ილიას მიერ მკაცრი თანმიმდევრობით ჩამოთვლილი სამება „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის უაღრესად სათუთი და მტკივნეული პრობლემა – ქართული ენის დაცვისა, მოვლა-პატრონობისა და

კანონიერ უფლებებში აღდგენისა, ილია ჭყონიას პულიცისტიკის მთავარი სატკივარია. ენის შესახებ გამოქვეყნებულ თუ მწერლის არქივში დაცულ წერილებში შემოქმედი უპირატეს ყურადღებას ამახვილებს არა ენის შინაგანი კანონებისა და მოვლენების შესწავლაზე, არამედ ქართული ენის კანონიერი უფლებების აღდგენის შესახებ. იგი მოითხოვს არა მხოლოდ უცილობლად ისწავლებოდეს ქართული ენა, არამედ ეთმობოდეს მას განსაკუთრებით დიდი ადგილი სასამართლო თუ სხვა საზოგადოებრივი საქმეების წარმოების დროს. ამ მხრივ საინტერესოა 1878 წელს „ივერიის“ №40-ში გამოქვეყნებული წერილი „ორიოდე სიტყვა ქართულს სახელმძღვანელოებზე“. ავტორი დიდი სიხარულით მიესალმება იმ ფაქტს, რომ, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, „ტფილისის ოლქის სასოფლო სასწავლებელთა დირექციამ გადაწყვიტა დღეის შემდეგ სასოფლო სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იქნეს და სახელმწიფო, რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც ენა. იყო დრო, როცა საქართველოს ჰქონდა საკუთარი პირველდაწყებითი, შუათანა და უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ისწავლებოდა ამგვარ საგანთა გარდა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები“. ავტორი შეჰხარის ოლქის სასწავლებელთა დირექციის გადაწყვეტილებას, რადგანაც იმედი აქვს, რომ ამ დვდგენილების განხორციელებით „გაიღვიძებს ჩვენში მწიგნობრობის საპედლოლო განყოფილების ერთი ნაწილი – სახელდობრ, პირველდაწყებითი სწავლების კურსი“. წერილში ავტორი მამულიშვილურ ვალს შეახსენებს დიმიტრი ჯანაშვილს, ა. ჭიჭინაძეს, ს. მესხს, რომლებსაც უკვე შედგენილი აქვთ ქართულ ენაზე დაწყებითი სასწავლებლისთვის საჭირო სახელმძღვანელოები. მაგრამ არ ჩქარობენ მათ დაბეჭდვას. პუბლიცისტი აქეზებს მათ და მოუწოდებს საქმის დაჩქარებისაკენ, რადგანაც: „თავი და თავი ღირსება ყველა სახელმძღვანელოსა და ნამეტურ პირველდაწყებითისა არის ენა“. მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას რომ დიდ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჭყონია, ეს სხვა წერილებიდანაც ნათლად ჩანს. სტატია მკითხველის ყურადღებას იპყრობს არა მარტო იმით, რომ აქ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა წარმოჩენილი, არამედ მოცემულია ერისთვის სასიცოცხლო საკითხის დროულად გადაჭრის გზაც. წერილის დაწერის დროს მისი ავტორი

მხოლოდ 17 წლისა იყო. მიუხედავად ასეთი ასაკისა, ი. ჭყონია და მისი მსგავსნი, ილიასა და აკაკის იდეებზე აღზრდილნი, უდრეკი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდები თავეგმეტებით ცდილობდნენ ერის უკეთესობის ბრძოლის ავანგარდში ყოფილიყვნენ. ი. ჭყონია უდიდესი სიხარულით მიესალმა 1878 წელს საქართველოსთვის მისი უძველესი ნაწილის აჭარის დაბრუნებას და ვრცელ წერილში ხაზგასმით აღნიშნა: საბედნიეროდ „აქ ე.ი. ბათუმში და მის ოლქში, დღესაც იგივე ენაა მასის მდიდარის ძალით დაცული... სასურველია გამოყვანილი იქნებოდეს აქედან აქაური მომრიგებელი მსაჯული, რომელსაც იწი არ ესმის ქართულში და როგორი მსაჯული უნდა იყოს იგი, ვისაც მომჩივნის ენა არ ესმის“ (2.45).

მწერალი თავის წერილებში ყოველგვარი ქარაგმისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ამხელს სასამართლოს მოხელეებს, რომლებიც, სარგებლობდნენ იმით, რომ ამ დაწესებულებაში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, და, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობამ რუსული ენა არ იცოდა უმნიშვნელო საქმეს აზვიადებდნენ, ყოველგვარ ხვანჯებს ზღართავდნენ ქრთამის ასაღებად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1879 წლის „დროების“ №213-ში გამოქვეყნებული სტატია „საქართველო“, რომელშიც მხილებულია მიწა-წყლის გამმიჯნეული კომისიის წევრი, სომეხი ეროვნების ბალიასნის თავგასულობა. ამ წერილთან დაკავშირებით გაიმართა სასამართლო პროცესი 1881 წელს, რომელიც დეტალურად იქნა გაშუქებული ამავე წლის გაზეთ „დროების“ №265-266-ში. ბრალდებულებმა: „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა და ი. ჭყონიამ (გაზეთის თანამშრომელმა) სასამართლოზე წარმოთქვეს მჭევრმეტყველური ბრწყინვალე თავდასაცავი სიტყვა, სადაც მძაფრად გაიჟღერა ქართული ენის უფლებების შელახვის პროტესტმა.

სასამართლო საქმეების წარმოების დროს ქართული ენის უგულუბელყოფის უმძიმეს შედეგებზე საუბრობს მწერალი საინტერესო წერილში: „კიდევ ქართულ ენაზე სასამართლოებში და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში“. „მარტო ერთჯერ არ გვითქვამს და ორჯერ ღვთის მადლით, რომ ჩვენ სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში საჭიროზედ უსაჭიროესია ჩვენი მშობლიური ენა, რომ ვიდრე ეს ენა არ იქნება სასამართლოებში საწარმოებელ ენად აღიარებული, მანამ რიგიან სამართალს, ვერ ელირსება ჩვენებური კაცი და მაშასადამე ის სარ-

გებლობის მაგიერ ვნების მეტს ვერაფერს მოიტანს“ (2.9). მწერლის ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩათვალონ, ასახელებს ფაქტებს, უბედურ შემთხვევებს, რომელიც ხალხის ენის უცოდინარობამ გამოიწვია. მას მიაჩნია, რომ მასობრივი გამოსვლები სიღნაღსა და ზუგდიდში გამოწვეული იყო ამ მიზეზით. მეფის მოხელეებთან ერთად ზოგიერთი ავანტურისტი „სარგებლობს იმით, რომ სასამართლოში საქმის ქართულად დაცვა შეუძლებელია, ხალხს ჯერ ფულის გადახდით და მერე საქმის წაგებით ატყავენ“ (2.8).

ი. ჭყონიას, სრულიად სამართლიანად, ქვეყნის აღორძინებისა და პროგრესის გზაზე მთავარ დაბრკოლებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველი ახალგაზრდები მოკლებულნი იყვნენ მშობლიურ ენაზე მიეღოთ საშუალო და უმაღლესი განათლება. სხვა ენაზე განათლების მიღება თითქმის შეუძლებელს ხდიდა პიროვნებას მაქსიმალურად გამოეყვინა თავისი შესაძლებლობა და გაღვივებულიყო მასში პატრიოტული სულისკვეთება. ამ საკითხთან დაკავშირებით საინეტერესოა მისი წერილი, რომელიც გაზეთ „დროების“ №241-ში გამოქვეყნდა. წერილის შინაარსში დასმული პრობლემა გამოტანილია მის სათაურში – „როგორ ავაცდინოთ ჩვენს ახალგაზრდობას ჩინოვნიკობა“. მწერლის აზრით, „საზოგადოება რომ ვალდებულია ყოველი ღონისძიებით ეცადოს, რათა თავიდან ააცილოს ახალგაზრდებს ჩინოვნიკათ გახდომა და გაუადვილოს მამულის სასარგებლო შვილად შექმნა ეს ცხადზე უცხადესია, თვითონ სასწავლებელ დასრულებულნი, რომ მოვალენი არიან ჩინოვნიკურ მახეს აცდნენ და თავისუფალი მოქალაქის ღვაწლით მამულს სარგებლობა მოუტანონ – ამაზე ყველა დაგვეთანხმებიან“. სტატიაში მწერალი წარმოაჩენს იმ მიზეზებს, რომლის გამოც უმაღლეს დამთავრებულნი ესწრაფვიან „ჩინოვნიკობას“. მართალია, ახალგაზრდებს სძულთ ეს საქმე, მაგრამ, რადგან მათ სხვანაირი მომზადება არ გააჩნიათ, მშობლების მიერ მიცემული სახარჯო ფულის შემოღების შემდეგ ცდილობენ „შემოსავლიანი ადგილის“ შოვნას გინდ ეს ადგილი „პოლტავაშიც იყოს“.

სტატიის მეორე ნაწილში ახალგაზრდა პუბლიცისტი გვისახელებს იმ საშუალებას, რომლის მეოხებითაც უნდა მოხდეს ჩინოვნიკობისაგან ქართველი ახალგაზრდობის ხსნა, და რომელიც იქნება უმნიშვნელოვანესი

ბერკეტი ქვეყნისთვის ეგრერიგ საჭირო ჭეშმარიტ მამულიშვილთა აღსაზრდელად.

.....ის საშუალება, რომლითაც ბოლო უნდა მოეღოს ამ მიზეზს ერთადერთია; ჩვენ უნდა გავიჩინოთ საკუთარი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლება უსათუოდ დედა-ენაზე უნდა იყოს. ამისთანა სასწავლებლები სწორედ, რომ უკედავების წყარო იქნება სწავლა-ცოდნისთვის დამშუულ ქართველებისთვის. მაშინ ჩვენ არ გვეყოლება შესამედი იმ გამოგდებულ-გამოსულებისა, რომლებითაც ყოველ წლობით „გვამდირებენ“ ეხლანდელი სასწავლებლები. მაშინ ყოველი კურსდამთავრებული იქნება ნამდვილათ და არა თუთიყუშვივით მცოდნე იმისა, რაც სასწავლებელში უსწავლია, ის იქნება სრული მეუფე თავისი ჭკვა-გონებისა, მტკიცე ხასიათისა და ჩვეულებრივი სიმხნის პატრონი, ერთი სიტყვით ნამდვილი და სასარგებლო მოქალაქე. სულითა და გულის მამულის შვილი. დღეს ჩვენ ამისთანა მოქალაქეები და მამულისშვილნი არ გვყავს, რამდენიმეს გარდა, იმიტომ, რომ მათ შექმნისთვის საჭიროა ზემოხსენებული სასწავლებელნი, რაც არ გვაქვს და, ვიმეორებ, უნდა შევიძინოთ რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს.“

სტატის დასკვნით ნაწილში მწერალი ქართული საზოგადოების ყველა ფენას მოუწოდებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართულ ენაზე მოქმედი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმეში. „აი, ამ საქმეში გვამართებს შეერთებული შრომით მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება მალე აღვასრულოთ ეგ უწმინდესი საწადელი და ამ შემთხვევაში ისეთივე სიმხნით, თავგამოდებითა და განწირულობით უნდა მივესწრაფოდეთ მიზნის აღსასრულებლად, როგორც უწინ მრავალ მტერთაგან მამულის დაცვას“.

საქართველოს მძიმე აწმყო მდგომარეობით გულშემძრული პოეტი სახავეს გზას შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მისი თქმით: „თავადაზნაურთა საზოგადო კრებები და წერა-კითხვის გამარჯვებელი საზოგადოება“ რომელთაც აქვთ მესამე და მეორე ხარისხის სასწავლებელთა დაფუძნების უფლება, კარგს იზამენ თუ შეიძენენ უმაღლესი სასწავლებლის დაარსების უფლებასაც...“ მწერლის თქმით, ეს არის დიდი საქმე საშვილიშვილო და საისტორიო, არასდროს ამნაირი საქმე

არ გარიგებულა მცირე შრომით: „ნუ შეეუდრკებით ამ სიძნელეს, ნუ დავრჩებით შთამომავლობისაგან დასაწყევლნი და საზიზღარნი, თუ გვინდა ჩვენი შვილებისა და შთამომავლობისთვის სიცოცხლე. მოვთხაროთ ძირით ის მაგნე ბალახი – უმეცრება, რომელიც მძვინვარე მტერზე უფრო გწაგრავს! მოვიკრიბოთ ყოველი ძალ-ღონე და შეუდგეთ კაცურ გზას... მაშინ გვექნება ნამდვილი უფლება ჩვენ თავს ნამდვილი ქართველი ეუწოდოთ და ვამპარტავენბდეთ ეროვნებით“.

თუ წერილის პათოსს მივყვებით, ავტორის მსჯელობა და ტონი გვაფიქრებინებს, რომ მისი დამწერი საკმაოდ დიდი გამოცდილებისა და სოლიდური ასაკის კაცია, მაგრამ სინამდვილეში იგი ამ დროს მხოლოდ ოცი წლისაა.

არა მარტო სასამართლოებში, ქართული ენის კანონიერი უფლება პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში, საერთოდ, ყველა სასწავლებელში, თითქმის უგულვებელყოფილი იყო. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული მდგომარეობა. „თითქოს ბედს ერგუნებინოს ჩვენის ერთადერთის სავაჟო გიმნაზიისათვის, რომ მისი საქმე მუდამ წარა-მარა უკულმა მიდიოდეს... ტყუილა-უბრალოდ შაგირდების გამოგდება, მასწავლებლის ხშირად გამოცვლა, და თვით სწავლისაც ურიგოთ მსვლელობა ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ გიმნაზიაში“ (2.6) წერდა გულნატკენი მამულიშვილი.

ი. ჭყონია ფიქრობს, რომ ქართული ენის კანონიერი უფლების უარყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში ქართული სასწავლებლების მმართველი ელიტა და გიმნაზიის დირექტორები ქართული ენის არმცოდნე უცხო ტომელები არიან. არ ცოდნა ენისა ხშირად მისადმი ზიზღსა და მტრობაში გადადიოდა. მწერალი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ირონიით მოიხსენიებს ასეთ დირექტორს – ვინმე არლოვს. „აქაური ოლქის სახალხო სკოლების ახალ დირექტორს, ერთი იმისთანა რამ აკლია, სხვა მხრით, რომ უნაკლო იყოს, მაშინაც კი გაუჭირდებოდა თავისი მოვალეობის რიგიანად შესრულება. მან სრულიად არ იცის ქართული და როგორც ამბობენ დრო და მოცალეობაც აღარ აქვს იმის შესასწავლადო (2.17).

მწერლისთვის ყველაზე უფრო გულსატკენი და გაუგებარია მაინც ის ფაქტი, რომ არა მარტო გარეშე ძალის დაწოლის შედეგად, არამედ

ხშირად ეგრეთ წოდებული ვითომ ძალიან განათლებული ქართული „ელიტარული“ საზოგადოების წარმომადგენლები მშობლიურ ენაზე საუბარს არ კადრულობენ და „მაია-ტვიათი პარუსკობს“. „თავისი კარგი თამაშით მობენეფიციანტემ (ლიზა უცხოფერაძის როლში) თვალწინ წარმოგვიდგინა ის გადაგვარებული ქალბატონები, რომლებიც თავის-თავისვე შესარცხვენად ქართულს აღარ კადრულობენ და „მაია-ტვიათი“ „პარუსკობენ“ (2.10) (საუბარია ცნობილი მსახიობის ქ-ნ კორინთელის ბენეფისზე, რომელიც გაიმართა 1880 წელს).

მწერალის ღრმა რწმენით ქვეყანას უკეთესობა მხოლოდ მაშინ დაეტყობა, როცა მმართველებად ჭეშმარიტი მამულიშვილები ეყოლება. მაგრამ ასეთი მმართველებისა და გამგებლების აღზრდა არ მოხერხდება, თუ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მშობლიური – „დედული“ ენით არ დაიწყება. ჩვენს სკოლებში მოსწავლეთა მიერ სწავლაზე გულის აცრუება და ცუდი აკადემიური მაჩვენებელი გამოწვეულია იმით რომ, „ყველაფერს უცხო ენითა ასწავლიან და არა დედულით. ძვალსა და რბილში გამჯდარი სახსარის საშუალებით“ (2.21). საქვეყნოდ ღალადებდა ანბანურ ჭეშმარიტებას მწერალი. ღირსეული მამულიშვილის აზრით, ცხოვრების ასეთ დაძაბულ წინააღმდეგობა-კონკურენციას გაუძლებს მხოლოდ ის ერი „რომელსაც აქვს ჭეშმარიტი განათლება და სახალხო განათლება უპირატესად, სადაც განათლება გავრცელებულია დაბალი წოდების ხალხშიც... ამ დროს ერი ძალუმად გრძნობს თავის ეროვნულ თვისებას ინდივიდუალობას... საკუთარი ეროვნული სასწავლებელთა საშუალებით.“ (2.22). წერილში მოყვანილია ჩეხი ერის მაგალითი, რომელსაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, თანამედროვენი მომაკვდავ ერად თვლიდნენო, მაგრამ ამ ხალხმა დღეს „თავისი სიმხნითა“ და განათლებით მტრებიც კი თავის სასარგებლოდ აალაპარაკა. პუბლიცისტს მთელი არსებით აქვს შეგნებული განათლებისა და ქართული ენის ბუნებრივ უფლებებში აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

მწერალი დაბეჯითებით ეძიებს გზას, რათა როგორმე გამონახოს საშუალება, რომელიც ერს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ ხალხში მასობრივად შევიდეს განათლება და უსწავლელი არ დარჩეს არცერთი ბავშვი. ამ გზების ძიებაში პუბლიცისტი უკვე ნაცად და საკმაოდ მო-

სახერხებელ საშუალებას გეთავაზობს საზოგადოების განათლებისათვის. „ჩვენზედ შეუდარებლად წინ წასულმა ევროპამ დიდი ხანია, რაც საჭირო დაწესებულებად იცნო საკვირაო და... საზაფხულო სკოლები. სკოლებში სწავლება უსასყიდლოდ არის ოღონდ კი მსურველი იყოს“ (2.29). მწერალი მოუწოდებს ქართული საზოგადოების განათლებულ ნაწილს: მასწავლებლებს, მაღალი კურსის სტუდენტებსა და, საერთოდ, ყველას, ვისაც კი ეს საქმე ხელეწიფება, მონაწილეობა მიიღოს ამ მნიშვნელოვან კამპანიაში.

ქართული ენის სწავლების საგანგაშო მდგომარეობის შესახებ საინტერესოა ჟურნალ „ივერიაში“, 1882 წლის, №2-ში, გამოქვეყნებული სტატია „შინაური მიმოხილვა“. იგი დაბეჭდილია ი. ჭყონიას ლექსის შემდეგ და ხელმოუწერელია. ამ დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ივ. მაჩაბელი და ი. ჭავჭავაძე. „მიმოხილვა“ სავარაუდოა მათი დაწერილია, თუმცა ჩვენ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია რომ ის ილია ჭყონიას ეკუთვნის.

წერილში წარმოდგენილი ამბავი შემადრწუნებელია. „ძნელად წარმოიდგენს კაცი იმ საძაგელ მდგომარეობას, რომელშიაც არის ჩავარდნილი ჩვენი ენისა და ლიტერატურის სწავლება გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში – სავაჟოში თუ საქალოში. ქართული ენისთვის დაუნიშნაეთ თითქმის ყველგან მე-6 გაკვეთილი... საქალებო გიმნაზიაში ქართული ენისთვის მთელი წლის განმავლობაში დაუნიშნაეთ 23 გაკვეთილი, მაშინ, როცა სომხურ ენას ამ სასწავლებლებში 101 გაკვეთილი აქვს... საქალებო გიმნაზიაში ტანცაობისთვის და გიმნასტიკისთვის 194 გაკვეთილია, ქართული ენისთვის კი მხოლოდ 26. სავაჟო გიმნაზიის გარდა ქართული ენის სწავლა აბარიათ მოუმზადებელ მასწავლებლებს – გაუხსნელთ და უმეცართ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ყველა სასწავლებელში შვეიცარს უფრო მეტი ჯამაგირი აქვს ვინემ ქართული ენის მასწავლებლებს, სამსახურიც არ ეთვლებათ, რადგან ქართული ენა მოკლებულია შტატს, ვალდებულებითი საგნის უფლებას. ერთი სიტყვით ქართული ენა საქართველოს სასწავლებლებში ემსგავსება უბედურს, ყოველგვარ უფლებას მოკლებულ ბუშს... სომხობა ძლივს შეადგენს მეოთხედ ნაწილს თბილისის მოსახლეობისა და თბილისის სასწავლებლები თავისი შეილებით აქვს გამოვსებული. როცა მასწავლებელს ინახავს ერთი ხალხი

თავის ფულით, მეორე კი სარგებლობს მით. ეს დიდი უსამართლობაა... ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება კიდევ უფრო მოუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასულიერო ახალგაზრდობისთვის“.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და მისი უფლებები შეზღუდული იყო, არა მარტო რუსულ, არამედ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებთან შედარებითაც კი. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიების გატარება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ილია ჭყონიას ამ და სხვა პრობლემური საკითხის გადაჭრაში სწამს პრესის უდიდესი შესაძლებლობანი (თავის დროზე ნაპოლეონი 100000 არმიას ისურვებდა მეტოქედ, ვინემ ორ დიდ ტირაუიან გაზეთს). მწერალმა იცის პუბლიცისტის კალმის წვერის სიმახვილის ძალა და ამიტომაც ასე აქტიურად ცდილობს ქართული საზოგადოების ყურადღება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მიაპყროს ერისთვის მართლაც რომ გლობალურ პრობლემას. მწერალი დარწმუნებულია პრესის ზეშე-საძლებლობაში – ყოველ სულიერს როგორც სარკეში ისე აჩვენოს თავი. ერთგან იგი წერს: „ცოფიანს წყლისა ეშინია და მასში ჩახედვა ხშირად მის სიკვდილს მოასწავებს, აგრეთვე სინდისს შებღალულ კაცს, მეტადრე თუ იგი კერძო კაცი არ არის თავის სასიკვდილოთ მიაჩნია საზოგადოთ – ბეჭდვითი სიტყვა და განსაკუთრებით მის ამქარზე თქმული. უკანასკნელ შემთხვევაში მის „გამოფშუტურებულ“ გოგრას მეხი და ზარი ეცემა და ბზიკ-ამომჯდარ ჯორივით იქნევს წიხლებს იმაზე, ან იმათზე, ვისზეც ეჭვს აიღებს, მისთვის მომაკვდინებელი სამართილანი წერილების ავტორზე“ (2.31).

ბ) ი. ჭყონია ქართული თეატრის როლისა და მნიშვნელობის შესახებ

თეატრს რომ ყოველი ცივილიზებული ერის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. თეატრი ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიასთან და კულტურასთან. იგია ცხოვრების მანკიერი მხარეების სააშკარაოზე გამომტანი და მისი უცდომეულად შემფასებელი ბარომეტრი. ისაა ერის ტკივილისა და სიხარულის, სულიერი და მატერიალური ფასეულობის წარმომჩენი უტყუარი სარკე. დიდი ილია ბრძანებდა: „თეატრს, ჩვენ ჩვენი ერის ცხოვრებაში დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ. ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრი სიკეთის მომასწავებელია... თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მასებზე უფრო საშუალება, რომელიც ვერც გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთეს გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ“ (2.47).

ი. ჭყონია მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში მოღვაწე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ შეგნებული თეატრის როლი და მნიშვნელობა – ეროვნული გამოფხიზლების, შეკავშირებისა და ქვეყნის კულტურული წინსვლის საქმეში.

პატრიოტი მწერალი უდიდესი რუდუნებით თავს დაჰკანკალებდა ახლადჩამოყალიბებულ თბილისისა და ქუთაისის თეატრალურ დასებს. თავის რეცენზიებში აქეზებს და აგულიანებს მათ. ქართულ საზოგადოებას მოუწოდებს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თეატრალურ ცხოვრებაში. მწერალი მარტო მოწოდებებით არ კმაყოფილდება, იგი თვითონაც აქტიურად იღვწოდა ქართული თეატრის დარბიი რეპერტუარის გამდიდრება, გამრავალფეროვნებისათვის. თარგმნიდა უცხო ენებიდან საინტერესო დრამატულ ნაწარმოებებს, თვითონაც წერდა პიესებს, თუმცა ისინი არ გამოუქვეყნებია. გაზ. „ივერია“ 1899 წელს, (№228) იუწყება, რომ ქართულმა თეატრალურმა დასმა გამართა წარმოდგენა: „ფული და ხარისხი, კომედია 3 მოქმედებად. თხზულება ქ-ნის აზიანისა. მეფე და პოეტი, ისტორიული სურათი. 1 მოქმედებიანი თხზულება ბანეილისა, თარგმნილი ი. ჭყონიასი.“

ქართული თეატრის საჭირბოროტო პრობლემებმა ი. ჭყონიას ყურადღება სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო. სრულიად ახალგაზრდა, 18 წლის ჭაბუკმა მწერალმა 1878 წელს, „ივერიაში“ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, რომელიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს პრობლემის მეცნიერული ცოდნითა და მისი გადაჭრის გზების ძიებით. მიუხედავად ჭაბუკური ასაკისა წერილებში იგრძნობა ავტორის გარკვეული ესთეტიკური სიმწიფე. თეატრის რეცენზენტობა მაშინაც და ზოგჯერ ახლაც უმადური, მაგრამ ფრიად საჭირო და აუცილებელი საქმე იყო და არის. სიტყვის თქმის დროს საჭირო იყო ილუზიონისტის მოქნილობა და იუველირის დახვეწილობა და სინატიფე. მოუზომელ ფრაზას შეიძლება გული გაეტეხა და უდროოდ დაეჭვნო ქართული თეატრის ახლადწამოჩენილი ყვაილი. არსებობდა აგრეთვე სამართლიანად თუ უსამართლოდ გაკრიტიკებულთა მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორებისა და სხვა გაუთვალისწინებელი აგრესიის საშიშროება. „ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა. ბერი ავი და კარგია ეგრეთ წოდებულ სასცენო ხელოვნების მიმავლობაში და პატიოსნება და სინდისი ავალებს რეცენზენტს ერთიკი შენიშნოს და მეორეცა გულწრფელად. მიუდგომლად და დაუმალავად... ბერის ერთად წყენას... კიდევ შეიძლება არ შეუშინდეს რეცენზენტი, მაგრამ ამაო წარამარა ლაპარაკს, სულმოკლე ჩხრეკას რეცენზენტის სინდისისას როგორღა გაუძღვეს კაცი დღემუდამ“ (2.49), – წერდა ილია ჭავჭავაძე 1886 წელს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა რეცენზენტმა, ილია ჭყონიამ, ღირსეულად გაართვა თავი ამ რთულ, გარკვეულწილად სახიფათო, მაგრამ საჭირო და საპატიო საქმეს. მწერალს რომ გათავისებული, შეგნებული და მთელი არსით გასიგრძელებული ჰქონდა თეატრის მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში, კარგად ჩანს „დროების“ 1880 წლის №241-ში გამოქვეყნებულ წერილში. „წარსულ ოთხშაბათს და რამდენიმე წინა წარმოდგენის დამსწრეებმა, მწუხარებით უნდა აღვიაროთ, რომ თბილისში ამ საქართველოს დედაქალაქში დღეს თეატრს საგვარტომო თეატრს ისე მაგარი ნიადავი არ ჰქონია... ჩვენთვის დღეს თეატრს უფრო დიდი და წმინდა მნიშვნელობა აქვს, უფრო ვრცელი ასპარეზი აქვს მოზომილი მის ზემოქმედებას, ვიდ-

რე სხვაგან, მაგ. საფრანგეთში ან ინგლისში, შვეიცარიაში ან გინდ რუსეთში. ამ ქვეყნებში თეატრს აფასებენ უმათავრესად, როგორც ხელოვნების ტაძარს, ესთეტიკურად დამატებობელს. ჩვენ თეატრში კი ამგვარი დანიშნულება მეორე ხარისხზეა ჩამოყენებული.

თეატრი დღეს ჩვენთვის არის ერთადერთი საზოგადო დაწესებულება, სადაც გვესმის ჩვენი დედა-ენა, ყველა სხვა დაწესებულებათაგან განდევნილი; ის არის ერთადერთი ადგილი, სადაც მამულის შვილს შეუძლია ქართული საზოგადოების ერთად შეკრებილ ნაწილს ამცნოს ასე თუ ისე თავისი გულის დარღები და წადილი, გაახსენოს და გამოუხატოს წარსული დიდებული ცხოვრება, დააკვიროს ეხლანდელ ცხოვრებას, დაამოინოს მისი ცუდი ვითარება და ასწავლოს რითი და რა საშუალებებით შეიძლება საძრახისი თვისებების აშორება და კარგის მიღება ერთი სიტყვით ის არის ძლიერი და უტყუარი საშუალება, რომლის წყალობით საზოგადოების იმისთანა წევრებსაც კი, რომლებიც მწვერლობას სრულიად არ იცნობს ადვილად ჩაეგონება, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა."

წერილში ყოველგვარი დეკლარირების, პომპეზურობისა და გადაჭარბების გარეშე მოცემულია თეატრის როლი ქართველი ერის სულიერი კათარზისის, მისი იდეური და მატერიალური აღორძინების საქმეში. უფრო ადრე, 1878 წლის 27 აპრილით დათარიღებულ სტატიისაში მწერალი შეკხარის ქუთაისში თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლებას: „წელს არ ჩვეული სიცოცხლე და საქმიანობა გამოიჩინეს ქართული სცენის მოყვარეთ. უწინდელ წლებში მთელი ერთი წლის გაღმავლობაში ორი ან სამი წარმოდგენა თუ მოხდებოდა. იგიც კარგი იყო და წელს კი იანერის აქეთ სამი წარმოდგენა იყო“ (2.41). რეცენზენტი დიდ მადლობას უხდის ქართული სცენის მოყვარეებს: ალექსანდრე ჭიჭინაძეს, კოტე მესხსა და ალექსანდრე გამრეკელს, რომელთა მონღომებითა და ხელშეწყობით ქუთაისში აღდგა თეატრალური საქმიანობა. წერილის ავტორი სიამოვნებით საუბრობს იმ ფაქტის შესახებ, რომ თეატრალურმა დასმა შემოსული ფულის ნაწილი სცენის სასარგებლოდ გადადეს, ხოლო ნაწილით დაეხმარნენ ღარიბ ქართველ სტუდენტებს.

რეცენზენტი კმაყოფილია მსახიობთა კარგი თამაშით. განსაკუთრებით აქებს ეფემია კლდიაშვილისას და მიაჩნია, რომ თავისი ნიჭის წყალობით მას „ევროპის უკეთეს თეატრშიც შეუძლია დაიჭიროს ადგილი“. ავტორი მაღლობის სიტყვებს არ იმშურებს აგრეთვე კოტე მესხის შესახებ, რომელსაც „ჩვენი სცენის უკეთეს მოთამაშეს უწოდებს“, თუმცა ამ უდავოდ ნიჭიერმა მსახიობმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს თავის თავზე. „უმთაერესი ნაკლოვანება უფ. კ. მესხისა არის ნამეტანი ჩქარი ლაპარაკი. სცენაზე აქტიორი ისე უნდა ლაპარაკობდეს, რომ ყოველი სიტყვა მისი ხალხს ესმოდეს“. წერილის ავტორი გაკვირვებულია ანტონ ლორთქიფანიძის უფერული თამაშით, რომელმაც თავის დროზე მთელი საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა იმერელის როლის წარმოდგენით თავად გ. ერისთავის „დავაში“. რეცენზენტი ურჩევს აგრეთვე მსახიობ ტერსტეფანიანცს „ხალხის წინაშე, რომ ნამეტურ პირმოთნეობას არ იჩენდეს, კარგს იქმოდა. ეურჩევთ გადაეჩვიოს“, როგორც ვხედავთ, ი. ჭყონია თავის რეცენზიებში პირდაპირი და საქმის მცოდნეა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში, მისი წერილების მკვახე ტონის მიუხედავად, გაკრიტიკებული სცენის მოყვარულნიც პატივისცემით ექცეოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მწერალი კვლავ შეეხო ქუთაისის სცენისმოყვართა მიერ გამართულ წარმოდგენას „გევო, მინას და კამპანია“. იგი აშკარად გულნატკენია და გულისწყრომას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ, ჯერ ერთი, წარმოდგენა ორი საათით დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ეს იყო საოცარი უგემოვნებით შერჩეული კომედია: „დიად, მებრალვის იგი ვისაც ჰგონია, რომ „გევო, მინას და კომპანიას“ შეწეპვით კომედია დაეწერეთ (ავტორი გახლდათ დავით ერისთავი ლ. დ.). მებრალვის იგინი, ვინც სათეატრო ხელოვნების ცოდნას ჩემულობენ და ამისთანა კომედიას კი წარმოსადგენად ირჩევენ, და უფრო მეტოდება იგი საზოგადოება, რომლისთვისაც ამ რიგ ქარაფშუტა პიესას არდგენენ“ (2.42). რეცენზენტი მიმოიხილავს მსახიობთა თამაშს და აქებს კ. მესხსა და ბარხუდარიანცს, რომლებმაც თავიანთი სამსახიობო ნიჭით წარმოდგენა სრული ფიასკოსაგან იხსნეს. სამაგიეროდ, „ვ. ნიჟარაძისგან არ მოველოდით ამისთანა ადვილი, როლის წახდენას... ეს მანდილო-

სანი პირველად არ არის სცენაზე, რომ გამოდის და არც პირველად ახდენს თავის თამაშს უდროვო-დროს სიცილით... რას მივაწეროთ ეს? მეტი-ს მეტი სითამამეს თუ..."

ი. ჭყონია თავის რეცენზიაში პირდაპირია და შეუვალი – გამომდინარე გენიალური ანდაზისაგან – მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო – ის ცდილობს საყვედურად სათქმელი სიტყვა მოზომოს და შეარბილოს. წერილის ავტორის კილოში არ იგრძნობა ჩასაფრებული კაცის ნიშნის-მოგება და გაწიწმაცება... არა, მას საქმის სიყვარული და მისი გამოსწორების სურვილი ალაპარაკებს. ალბათ ამას გრძნობდნენ მსახიობებიც და პირადულ კონფლიქტამდე თითქმის არასოდეს მისულა საქმე. წერილის დასასრულს მწერალი იმედს გამოთქვამს, რომ ივლისის თვეში წარმოდგენილი იქნება კ. მესხის მიერ გადმოკეთებული გრიგოლ რჩეულიშვილის დრამა „თამარ ბატონიშვილი“, „საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ამ დრამის წარმოდგენა ძლიერ კარგად წავა“.

ერთი თვის შემდეგ ქუთაისში მართლაც გაიმართა წარმოდგენა, მაგრამ შეპირებული დრამის – „თამარ ბატონიშვილის“ მაგიერ წარმოდგენილ იქნა „ცელქები“, ერთმოქმედებიანი ვოდევილი და „უსახელო კომედია“. წარმოდგენა, როგორც აფიშაზეა მითითებული, გამართულა სოხუმელთა სასარგებლოდ. წერილის ავტორი არ ასახელებს მიზეზს, რის გამოც გადაიდო კ. მესხის შეპირებული სასცენო ნამუშევარის წარმოდგენა. იმას კი აღშფოთებით აფიქსირებს, რომ წარმოდგენილი „აიესათაგანი მაყურებელთაგან უაზრო სიცილის მეტს არა რას იწვევს. ეტყობათ ჩვენი სცენის მოყვარეთ ავიწყდებათ იგი ჭეშმარიტება, რომ „თეატრი უნდა იყოს ხალხის სასწავლებელი, სადაც იგი უნდა ისმენდეს ყველაფერს, რაც კი აღვიძებს დიდ-სულოვნებას, სდევნის ბოროტებას, იწვევს ძმობას. ერთობას და აქეზებს სწავლას, მიწაში აძვრენს სიძვას, ჰნერგავს პატიოსნებას და უმანკობას, ამავე დროს შექსპირისა არ იყოს „სცენაზე უნდა გამოიხატებოდეს ბუნება, რათამცა სიკეთემ და ბოროტებამ, დრომ და ხალხმა, როგორც სარკეში ეგრე უნდა დაინახონ თავიანთი თავი სცენაზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრი იქნება სალაზღანდარო ასპარეზი, როგორც სამწუხაროდ ჩვენი სცენაც გახლდათ 18 და 19 ივლისს“ (2.43).

რეცენზენტი აქტიორების თეატრალურ ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევს, სჯერა მათი ნიჭისა, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ მათ შე-

მოქმედებას აშკარად ეტყობა შრომისმოყვარეობის ნაკლებობა – „აქტიორებს როლი გაზეპირებული არ ჰქონდათ და ამიტომაც ჯერ მოკარნახის ხმას გაიგონებდით და მერე აქტიორისას“. სამწუხაროდ, ეს სენი – როლის გაუზეპირებლობა – ქართულ თეატრს საკმაოდ დიდხანს შერჩა. ამის შესახებ მოგვიანებით გულისწუხილით წერდა ი. ჭავჭავაძეც.

სასიამოვნო ფაქტია, რომ 1878 წელს, ქუთაისში, თითქმის ყოველ თვეში იმართებოდა თეატრალური წარმოდგენა, რომელსაც პერიოდულად აშუქებდა ჟურნალი „ივერია“. 3 სექტემბერს აქ წარმოდგენიათ მელეილის კომედია „სიყვარული და ცრუმორწმუნეობა“. რეცენზენტი მიესალმება ამ ფაქტს, რადგანაც ახალმა კომედიამ ქართული თეატრის ღარიბი რეპერტუარი გაამდიდრა. თუმცა ტ. დ. იარლიანცის მიერ შესრულებული თარგმანი ძალიან შორს დგას დედნისაგანო. „იარლიანცს უკეთესი სიტყვები და აზრები გამოუშვია და სამაგიეროდ თავისი ჩაუკერებია უადგილო – ალაგს“ (2.44). უფრო მეტიც, მთარგმნელს ვერ გაუგია კომედიის ავტორის ნამდვილი გვარი და მელეილის ნაცვლად მოლიერი მიუწერია.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა „წარმოდგენა მაინც კარგად წავიდა, – მიაჩნია წერილის ავტორს, რადგანაც კომედიის შინაარსი იყო აქტუალური და პრობლემური: „როლი არცერთ აქტიორს არ დაუმახინჯებია, თუმც გაზეპირებით არც ერთმა არ იცოდა“. რეცენზენტი განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამს კოტე მესხის მიმართ, რომელიც დიდი სამსახიობო ნიჭის მიუხედავად როლის გაუზეპირებლობის გამო წარმოდგენას თანაბარი სიძლიერით ვერ ატარებდა. სამაგიეროდ, „უფ. ყიფიანმა – უნაკლოდ მიიყვანა ბოლომდე თავისი როლი... მან თვალწინ დაგვიყენა ტყუილა მჭამელი, ქარაფმუტა და ტრაბახა ყმაწვილი კაცი, რომლებითაც მდიდარია ევროპა და სამწუხაროდ ეხლა ხანს ჩვენი ტფილისის და ქუთაისის ბალებიც“.

წერილის ავტორის წუხილი გასაზიარებელია. კომედიაში წარმორჩენილ უცხო ქვეყნისთვის დამახასიათებელ ცხოვრების მანკიერ მხარეებს საქართველოშიც უპოვიათ ნოყიერი ნიადაგი. დღევანდელი გადასახედიდან მკითხველის გაკვირვებას, ალბათ ის ფაქტი იწვევს, თუ როგორი დაბრძენებული კაცის კილოთი მსჯელობს და წერს რეცენზენტი, რომლის ნაწერშიც

9. ლ. დვალისვილი

იგრძნობა დიდი ნაკითხობა, ინტელექტი და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ამ დროს წერილის ავტორი მხოლოდ 18 წლისაა...

რეცენზენტი სტატიის ბოლოს მკითხველს აუწყებს არასასიამოვნო ამბავს, რომ თეატრის ხაზინადარი, ვინმე კარენიანცი, ნაღდ ფულთან ერთად (120 მანეთი) გაქრაო. ანალოგიურ შემთხვევას სამი წლის წინათაც კქონია ადგილი, როცა სცენისმოყვარეთა წრეს დაეკარგა 400 მანეთი, „რომელიც ჩაყლაპა თავად ივანე აბაშიძემ, ქუთაისის ბულვარის ერთგულმა მტკეპნელმა“.

ქართული თეატრის ყოველი ახალი წარმატება სიხარულით აღავსებდა ახალგაზრდა მწერლის გულს. თეატრის აღორძინების პარალელულად, სავსებით სამართლიანად, მას მამულის აღზევება და აყვავება წარმოედგინა. მართლაც, ეროვნულმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა სიცოცხლის ხალისი შთაბერა და მოქმედებაში მოიყვანა ჩრდილოელის ბანგით გათანგულ-მიძინებული ივერია. მაგრამ ჩვეული ინტრიგებისა და პარტიკულარიზმის, ღვარძლისა და გულნამცეცობის გამო ეს თავანკარა წამოწყება – ქუთაისის თეატრალური დასი, 1881 წელს დაიშალა. ამ ფაქტით შეწუხებული მწერალი გულისტკივილით წერს: „მთელი ქვეყანა რომ შემოიარო, იმისთანა კუთხეს მგონი ვესად ნახავთ, სადაც ქუთაისზე მეტად უყვარდეთ თვალგასართობი სანახავი – თუმცა წელს მსახიობთა კინკლაობის გამო „ტრუპა“ დაიშალა და ქალაქი თეატრის გარეშე დარჩა – 1873 წლიდან ქუთაისში დაიწყეს სცენის მოყვარებებმა წარმოდგენების გამართვა, თითქმის ყოველთვის სცენის სასარგებლოდ. 1878-ში ბ. ა. ჭიჭინაძის მეცადინეობით შეადგინეს სცენის მოყვარულთა წრე, რომლის წევრნიც უსასყიდლოდ შრომობდნენ. წარსულ წლამდე თითქმის განსაზღვრული დროგამოშვებით იმართებოდა წარმოდგენები და წარსულ წელს „ტრუპად“ გადაიქცა... წელს ექვსიოდე წარმოდგენის შემდეგ სცენის ჩვეულმა ინტრიგამ მოთამაშეთა შორის ბოლო მოუღო ნორჩ ტრუპას“ (2.16).

ქუთაისის თეატრალური დასის დაშლა მართლაც რომ მნიშვნელოვანი დანაკლისი. გახლდათ ქართული კულტურისათვის. კიდევ ერთი საციცოცხლო კერა მიინაველა ამ დაწესებულებებით ისედაც ღარიბ საქართველოში.

1880 წლიდან ილია ჭყონია თბილისში გადავიდა. იგი ჯერ გაზეთ „დროების“ კორესპოდენცია, ხოლო შემდეგ – ამავე გაზეთის კორექტორი და მთარგმნელი რუსული გაზეთებიდან. მწერალი ახალი ძალით ჩაერთო ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. 1880 წელს მან გამოაქვეყნა საინტერესო წერილი – „ბენეფისი ნ. თომაშვილისა – „ეკვით ავადმყოფი“, სამ მოქმედებიანი კომედია მოლიერისა და „ცელქები“ ხუმრობა ვოდევინი ერთ მოქმედებად“ (2.13).

რეცენზენტი პატივისცემით მოიხსენიებს მობენეფისეს თომაშვილს. უწოდებს მას „თეატრის დამსახურებულ ვეტერანს“. მობენეფისეს როლის წახდენა, წერილის ავტორის აზრით, ისევე ადვილი იყო, რამდენადაც ძნელი იყო მისი კარგად წარმოდგენა, თუმცა იუბილარმა ამ რთულ საქმეს წარმატებით გაართვა თავი. რეცენზენტი გარკვეულწილად გარბეულია. მას უჭირს იმის თქმა, რომ წარმოდგენამ ცუდად ჩაიარაო, თუმცა ასევე ეძნელება მისთვის კარგი შეფასების მიცემა. „ჩენის ნიჭიერი ტრუპის თავიდა-თავი მიზეზი იყო ჩვეულებრივი როლის უცოდინარობა, რომლის ამორება ეინატროთ, მალე ისე მოენდომებინოს ტრუპის არტისტებს, როგორც ჩვენ ჯერ თეატრში მოგვძულდა მისი შემწნევა და მერე რეცენზიაში მოხსენიება“. წერილის ავტორს უკვირს, რომ ზოგჯერ ეს სენი გამოცდილ მსახიობებსაც ჭირს, და მაგალითისათვის ვასო აბაშიძეს ასახელებს. რეცენზენტი აქებს მსახიობებს: კორინთელს, ყოფიანს, მ. აბაშიძესაფაროვისას, რომლებსაც თეატრალურ ხელოვნებაში პერმანენტული ზრდა ეტყობათ. სტატის ბოლოს ავტორი სვამს რიტორიკულ კითხვას – „რათ იფუჭებს ეხლავე თავის სახელს ქ-ნი მხეიძე თავისი როლების სრულიად გაუზეპირებლობით“. აქვე იგი ქებით იხსენებს მოხევეს (ალ. ყაზბეგს), რომლის თეატრალურ ნიჭს უარყოფითად აფასებდა მაშინდელი ქართული პრესა. „დანარჩენ მოთამაშეთა შორის მხოლოდ ბ. მოხევეს: არ წაუხდენია თავისი როლი. ეს მეორედ არის, რაც ეს მოთამაშე კითხულობს ლექსს და ორივეჯერ ხელოვნურის დეკლამაციით წაიკითხა, მაგრამ ორივეჯერ ერთი და იგივე ნაკლოვანება შეენიშნეთ მის კითხვას. უმთავრესს მნიშვნელობას ის რითმებს აქცევს და გარკვეულ გამოთქმას ანაცვალებს აზრს. დანარჩენ სიტყვას ისე სულსწრაფად ამბობს „ნურც გინახავს“ სწრაფად მოუბარი აჭარული.

როგორც ი. ჭყონიას რეცენზიებიდან ირკვევა, 1880 წელს ალექსანდრე ყაზბეგი აქტიურ სამსახიობო მოღვაწეობას ეწეოდა „ჯიმშერიძის როლი ჩინებულად შეასრულა ა. მოხვეემ. პიესის დასასრულს, ქორწილის დროს, ითამაშა ლეკური და... საზოგადოების ყურადღება მიიქცია ბ. ა. მოხევის ჩინებურმა ჩანურმა ლეკურმა. ალტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ სამჯერ გაამეორებინა ცეკვა ამ ღირსეულ ჯან-პრემიერს და სამჯერვე დაუბოლავებელი ტაშით და ბრავოთი აჯილდოებდა მის დარდიმანდულ ცეკვას" (2.13). წერილში ილია ჭყონია საკმაოდ მკაცრი ტონით მიმართავს ზოგიერთ მსახიობს, რომლებიც თითქმის ყოველ წარმოდგენას როლის გაუზეპირებლობით აფუჭებდნენ „ყველა ცხადად დაინახავდა, თუ რა მანვე ზემოქმედება აქვს არტისტულ თამაშზედ როლის გაუზეპირებლობას... მთავარი როლის შემსრულებლებიც კი ვ. აბაშიძე და კ. ყიფიანი მუდამ სუფელიორს ჩასჩერებოდნენ პირში რას გვეტყვიოს". როგორც წარმოდგენილი რეცენზიებიდან ირკვევა ქუთაისისა და თბილისის თეატრალურ დასებს მართლაც რომ განუკურნებელ სენად შექმნიათ როლის უცოდინარობა, რაც ამჟამად უარყოფითად მოქმედებდა წარმოდგენის ხარისხზე, და ისედაც მცირერიცხოვან თეატრის გულშემატკივრებსა და მაყურებელში გულისგატეხვას იწვევდა.

ალექსანდრე ყაზბეგის თამაშს შეეხო ილია ჭყონია „დროების" 1880 წლის N 260-ში გამოქვეყნებულ წერილში „თეატრი" (ქართული წარმოდგენა). „ბედნიერად დასძლია თავისი უცნაური როლი პრისტავისა ბ. ა. მოხვეემ... ჩინებული იყო დივერტისმენტი – აკაკის ჩინებული ლექსებისა აკაკისგანვე გრძნობით წაკითხვის წყალობით და ალ. ცაგარელის სცენები" რეცენზენტი იწონებს რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებულ პიესის – „აი როგორი უნდა იყო პრისტავის" თარგმანს, მის ენასა და სტილს. მაგრამ მთარგმნელსა და დამდგმელ რეჟისორს უკიყინებს, რომ პიესის იდეა, მოქმედ პირთა ტიპიურობა და ხასიათი უკვე გარდასულ დროთა ამბავია, დადგმა თავისი შინაარსით პრობლემური არ არის, ამიტომ მისი წარმოდგენაც გაუმართლებლად მიაჩნია.

ი. ჭყონიას რეცენზიები უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ საგულისხმო თეორიულ ნაზრევსა და პრაქტიკულ რჩევებს. მისი ფიქრით, რადგანაც ქართული თეატრალური საზოგადოება, ჯერ კიდევ არ არის ესთეტიკუ-

რად მომწიფებული „სერიოზული პიესებისათვის“ და წარმოდგენის დროს ზოგიერთს „ტკბილი რული ერევა“, პირველ ეტაპზე საჭიროა საზოგადოებას ადვილადგასაგები ვოდვილები, კომედიები და მელოდრამები შეეთავაზოთ, და „ამრიგად თანდათანობით მოგვემზადებინა იგი საგეარტომო თეატრისათვის“ (2.11).

სხვათაშორის ეს პრობლემა მთელი სიმწკავით დაისვა გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართულ თეატრში. დიდი ილიაც კი სერიოზულად ფიქრობდა, რომ რადგანაც ე. წ. „მაღალი საზოგადოება“ არ ჰქადრულობდა თეატრში ხშირ სიარულს, და თეატრი დაბალი ფენების მიერ ინახებოდა (მხოლოდ ისინი ესწრებოდნენ წარმოდგენებს ლ. დ.). ამიტომ ის საჭიროდ თვლიდა სერიოზულად ეფიქრათ თეატრის შესაბამის რეფორმაზე (2.47). ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ორივე მოსაზრება საკმაოდ რადიკალურია და მისი პრაქტიკაში გატარება ქართული თეატრის საბოლოო ნგრევას გამოიწვევდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ი. გრიშიაშვილის მოგვიანებით გამოთქმული მოსაზრება: „თავისებურია მასის ფსიქიკა. მასა ჯერ კიდევ იმდენად არ არის ესთეტიკურად აღზრდილი, რომ დადგმულ პიესას დიდი მოთხოვნილება წარუდგინოს. აქ დამნაშავეა თეატრიც. იგი არ უნდა ჩამოქვეითდეს მაყურებლის გემოვნების დონემდე“ (2.59). ვფიქრობთ, წარმოდგენილი მოსაზრება საგულისხმოა, მისი გათვალისწინება საჭირო და აუცილებელი, თუმცა ზოგჯერ ასევე აუცილებელია სიმკაცრე და კატეგორიულობა.

ი. ჭყონიას რეცენზიები საჭიროების დროს პირდაპირია, მკაცრი და სუსხიანი. მათმა ავტორმა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იცის ასეთ პირდაპირ თქმას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს, მაგრამ იგი შეგნებულად მზადაა ამისთვის. ერთ რეცენზიაში მწერალი საკმაოდ უხეშად მოიხსენიებს ნ. გაბუნიას; თუმცა სჯერა, რომ მას დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ რიგიანად ვერ მოუხმარია, ხელმძღვანელიც არა ჰყავს. „ტაშს და ბრავოს ხშირად ანაცალებს სცენის ხელოვნებას... ავტორის აზრით, იგი ერთობ ხშირად აჭარბებს... მაგის სიცილი ქაჯის სიცილს ჰგავდა, ტირილი რალაც თავზარდამცემია და ლაპარაკის დროს გეგონება მუშტი-კრივის გამართვას აპირებსო“ (2.10). ი. ჭყონიამ იცის, რომ ასე პირდაპირ საუბარი

სახიფათოა; თუმცა იგი ღრმადაა დარწმუნებული იმ ჭეშმარიტებაშიც, რომ „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“. როგორც ჩანს, მწერალს ზოგჯერ გარკვეული უსიამოვნება ჰქონია რეცენზიებში გაკრიტიკებულ მსახიობებთან. ერთგან იგი წერს:

„მიყვარს თეატრი ჩვენსა ნიჭიერს
მსახიობთა დასს ეუქებ თამაშსა,
მაგრამ მათსავე ყოვლად ნიჭიერს
ინტრიგებს, ქირღვას, ხრიკებს მანკიერს –
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე“ (2.35).

ი. ჭყონია მაყურებელთა მხრიდან მოითხოვს მსახიობთა დაფასებასა და პატივისცემას, თუმცა ამ უკანასკნელთაც მოუწოდებს, სათანადო პატივი მიაგოს თეატრში მოსულ საზოგადოებას. დაუშვებელია ერთი მეორის გრძნობების აბუჩად აგდება, რომელსაც აუცილებლად ცუდი, შედეგები მოჰყვება. რეცენზენტი აღმფოთებულია იმ ფაქტით, რომ 1880 წელს ქუთაისში საგასტროლოდ მყოფმა თბილისურმა დასმა თითქოს „აიგლო“ აქაური მაყურებელი, ისე უგერგილოდ და უინტერესოდ წარმოადგინეს თბილისში ნათამაშევი დრამები. „ტრუპკამ თითქოს აიგლო აქაური საზოგადოება, თუმცა ამ უკანასკნელს არავითარი მიზეზი არ მიუციათ ასე უკადრისად მოპყრობისათვის. თეატრის ზალა მუდამ გატენილი იყო მაყურებელით და არცერთი ღირსეულ თამაში არ დაუტოვებია დაუფასებლათ“ (2.15).

90-იანი წლების ქართული თეატრის ჩამორჩენილობაზე წუხდა ახალგაზრდა შალვა დადიანი, როცა წერდა: „ვერაფერ წარმატებას ვერ ვნახავთ იმის მეტს, რომ ქართულ თეატრს მისი საუკეთესო მოღვაწენი შემოეცალენ“ (1.33,7). იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ასეთ აპათიურ განწყობას ი. ჭყონიას ნაწერებშიც. თუმცა ეს მხოლოდ დროებით, წამიერ ხასიათს ატარებს. მას სჯერა თეატრისა და საერთოდ საქართველოს უკეთესი მომავლისა.

მწერლის ყველა თეატრალურ რეცენზიაზე ამომწურავად საუბარი თითქმის შეუძლებელია. იგი ბოლომდე ერთგულად მსახურებდა ამ საჭირო

და აუცილებელ, მაგრამ ხშირად უმადურ საქმეს. ქართული კულტურის მსახურება მსხვერპლს მოითხოვდა და იგიც მზად იყო ამისთვის. ხშირი იყო „ნიჭიერთა ინტრიგები, ქირღვა და ხრიკები“, მაგრამ ითმენდა... მისჯილივით ვალდებულად თელიდა თავს ესმინა უნიჭოდ გადმოკეთებული და უნიათოდ, უაზარტოდ შესრულებული სასცენო ნაწარმოებები. თუმცა, როგორც დიდი გოეთე იტყოდა, რეცენზენტის ესთეტიკური და ინტელექტუალური ზრდისთვის ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია: „(თეატრში)... როცა იძულებული ხარ იჯდე, უსმინო და უყურო იმას, რაც ცუდია, მაშინ ცუდის მძულვარებით აღივსები და კარგსაც უკეთ ჩაწვდები“ (1,5,23).

თავი IV

ილია ჭყონია - რედაქტორ-გამომცემელი

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ი. ჭყონია აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა გამომცემლობასთან, პერიოდულ პრესასთან. ნაყოფიერად იღვწოდა ქართული კულტურის აღორძინებისათვის. ოცი წლის იყო მწერალი, როცა „დროების“ თანამშრომელი გახდა. აქედან მოყოლებული ქართულ ბეჭდვით ორგანოებთან მისი უშუალო კონტაქტი მწერლის გარდაცვალებამდე არ გაწყვეტილა. 1883 წელს ქუთაისში მას დაუარსებია სტამბა და ბიბლიოთეკა. როგორც რეკლამა იუწყებოდა, იგი მომსახურეობას 25% ფასდაკლებით სთავაზობს მომხმარებელს (2.25). სხვადასხვა დროს ილია ჭყონია თვითონაც გახლდათ რედაქტორ-გამომცემელი. კერძოდ, 1895-98 წლებში ქუთაისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „მეურნე“. გამოცემა ფრიად მრავალფეროვანი იყო და ჰქონდა საინტერესო რუბრიკები: სასოფლო მეურნეობა და ეკონომიკა, ჰიგიენა, ვაჭრობა და მრეწველობა, ბეთლობა და სტატისტიკა. თავდაპირველად „მეურნე“ თბილისში იქნა გამოცემული და მისი რედაქტორი იყო ვ. სულხანიშვილი. რედაქციასთან აქტიურად თანამშრომობდა ილია ჭყონია; რომელიც შემდეგ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრიც გახდა. 90-იან წლებში ჟურნალს თბილისში გაუჭირდა; ქუთაისში კი მას ხელისმომწერთა საკმაო რაოდენობა გააჩნდა. ი. ჭყონიამ ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის მხარდაჭერით მოახერხა ჟურნალის გადარჩენა და მისი გამოცემა ქუთაისში გადაიტანა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მწერლის წერილი. უახლოესი მეგობრის – ზაქარია ჭიჭინაძისადმი. „არ ასრულდა შენი წინასწარმეტყველება „მეურნის“ ქუთაისში გადატანის სიადვილეზე. სხვათა შორის ცოტათი შენც ხარ დამნაშავე. ვერ მოქმედებ ვ. სულხანოვთან ისე მხნედ, როგორც შეპირდი. შენ შეგიძლია გამოაბრუნო „მეურნის“ საქმე თუ მოინდომებ“.

– წერდა 1894 წელს ი. ჭყონია მეგობარს (2.34, ფ.5206-6). „მეურნის“ ქუთაისში დაფუძნებას მიესალმებოდა ჟურნალი „მწყემსი“ და მისი რედაქტორი დეკანოზი დ. ლამბაშიძე. „1888 წლიდან თბილისში გამოდის გაზეთი „მეურნე“. ეს გაზეთი სხვადასხვა მიზეზების გამო ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. დღეს ამ გაზეთში ბატონ ი. ჭყონიას მეთაურობით მონაწილეობას იღებენ აგრანოშები, ტექნიკოსები, ექიმები და მეფუტკრეობის მცოდნე პირნი. ამ თანამშრომლების შემდეგ ამ გაზეთს სიცოცხლე მოემატა და საინტერესო შეიქმნა თავისი შინაარსით. ბ.ნი ი. ჭყონია ცდილობს ამ გაზეთის ბეჭდვა გადაიტანოს ქუთაისში... თუ რამდენად საჭიროა სამეურნეო ცოდნის გავრცელება ჩვენს ღარიბ ქვეყანაში, ეს ვგონებ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ამიტომ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ სამღვდელოება, რომელიც ახლოს დგას ხალხთან დახმარებას აღმოუჩენს ბ.ნი ი. ჭყონიას მის კეთილ და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში“ (2.57).

ბევრი მოწინავე ქართველის სასიხარულოდ 1895 წლიდან ქუთაისში „მეურნის“ გამოცემა განახლდა. ჩვენ არ შეუუდგებით ამ ჟურნალის მიმართულებისა და მასში გამოქვეყნებული მასალების ზედმიწევნით კრიტიკულ-ანალიტიკურ ანალიზს. მოკლედ ვიტყვი, რომ იგი იყო ფრიად პოპულარული, მაღალი აკადემიური დონის გამოცემა. ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიხმობთ ერთ ფაქტს.

1895 წლის (N 21) „მეურნეში“ დაბეჭდილია სტატია, სადაც რედკოლეგიის სახელით გაცხადებულია: ჟურნალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი 5 მანეთი ღირს, ხელისმომწერთა სინაკლულეს არ განიცდის. ახლა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ფაქტს: ამ დროს ფუთი (16 კგ.) სიმინდი 70 კაპიკი ღირს, ხოლო ჩაფი (16 ლ.) ღვინო 6 აბაზი. მიუხედავად სიძვირისა ჟურნალი მაინც სწრაფად იყიდებოდა. ეს განპირობებული იყო მისი საჭიროებით – რამეთუ მეურნე ქართველი „მეურნეს“ ერთგულ მრჩეველად და მეგობრად მიიჩნევდა. მართლაც აქ დაბეჭდილი მასალები რჩევა-დარიგებას აძლევს მშრომელ კაცს, თუ როგორ მოუაროს ხეხილისა და ვენახის ბაღებს, რა არის საჭირო მოსავლიანობის გაზრდისათვის, როგორ უნდა ვებრძოლოთ სხვადასხვა დაავადებას, როგორც მცენარეებისას ისე

პირუტყვის, როგორ დაეყენოთ სურნელოვანი ქართული ღვინო, როგორ უნდა მოვაწყოთ მისი შესანახი სარდაფი; როგორ შევაზავოთ შუმსუნა ღვინო; როგორ შეიძლება მოწვეულ იქნეს სოკოს დიდი მოსავალი, როგორ მოვუაროთ ფუტკარს, როგორ შევინახოთ ზამთრობით ხილი, რა აგროვადებში უნდა დაითესოს ესა თუ ის კულტურა და უამრავი სხვ. ჟურნალში აღწერილია ყირიმში, მეფის ღვინის სარდაფების აგების პრინციპები და ტექნოლოგიები, აგრეთვე ევროპისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მეცნიერთა მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში. ერთი სიტყვით ჟურნალი მართლაც ღირსეული, აკადემიური „მეურნე“ გახდა. დღევანდელი გადასახედიდანაც კი, არც მაშინდელი და არც მომდევნო დროის საქართველოში გლეხურ მეურნეობას არ ჰქონდა ისეთი გაზეთი, ან ჟურნალი, რომელსაც ისე ზედმიწევნით დაეცვა თავისი სპეციფიკა, ისე მიზანსწრაფულად შეესრულებინა კეთილშობილი იდეა – დახმარებოდა სოფლის მშრომელებს, როგორც ეს „მეურნემ“ გააკეთა თავის დროზე.

1898 წელს ჟურნალის გამოცემა შეწყდა გამომცემლის – ი. ჭყონიას თბილისში გადასვლის გამო.

პირველი მსოფლიო ომის მიწურული მსოფლიოში მრავალი გაუთავალისწინებელი კატაკლიზმებით აღინიშნა. რუსეთის რევოლუციის შედეგად დანგრეული იმპერიის ყოფილი კოლონიების მცხოვრებლებს მოკლენების მოულოდნელად განვითარებამ თავბრუ დაახვია და საგონებელში ჩააგდო. როგორც ირკვევა, საქართველოც მოუშხადებელი შეხვდა მოსალოდნელ მოულოდნელობას. მრავალი პოლიტიკური პარტიის ერთმანეთში გაუთავებელი კინკლაობის გამო არ არსებობდა ერთიანი ეროვნული პლატფორმა, ეროვნული იდეოლოგია. ჩანს, თავის დროზე, სწორედ ამ ნაკლის გამოსწორება დაისახა მიზნად ი. ჭყონიამ, რომელმაც 1917 წლის სექტემბერში ა. სონღულაშვილთან ერთად გამოსცა საინტერესო გაზეთი „სიმართლის გზა“ – საერო ცხოვრებისა და მწერლობის დღიური; სამწუხაროდ მატერიალური სიდუხჭირის გამო (ქალაქის უქონლობა...) გაზეთის გამოცემა ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ შეწყდა. ი. ჭყონია ამ დროისათვის უკვე ცნობილი და გამოცდილი პუბლიცისტიცაა. იგი ღრმად და დარწმუნებული პრესის უდიდეს ზემოქმედებით ძალაზე საზოგადოებრივი

ცხოვრების ყველა სფეროში. „საზოგადოების ჯანსაღი ფსიქოლოგიური მდგომარეობა დიდადაა განპირობებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ნორმალური ფუნქციონირებით“ (1,25,7). ყველა პოლიტიკური პარტია დაარსებისთანავე (ზოგი დაარსებამდეც კი), იცოდნენ რა გაზეთის უდიდესი მნიშვნელობისა და ხალხზე ზემოქმედების შესახებ, ზრუნავდა პერიოდული გამოცემის შექმნაზე. ლენინმაც თავისსავე დასმულ კითხვას „რით დავიწყეთ?“ – უპასუხა პრაქტიკულად – „დავიწყეთ გაზეთის გამოცემით“. აქედან გამომდინარე ი. ჭყონიას აქტიურობაც გასაგებია.

„სიმართლის გზის“ პირველი ნომერი 1917 წლის 2 სექტემბერს გამოვიდა. მას წამძღვარებული აქვს სახარებისეული შეგონება „ნუ გაიჩენ კერპსა ნურცა ცაში, ნურცა ქვეყანაზე“. საგულისხმოა გაზეთის დევიზად გამოტანილი ციტატა: „ქართველო გულუბრყვილო ერო, იცან თავი შენი“.

გაზეთის ყველა წერილი საინტერესოა და გამორჩეული თავისი პრობლემატიკით. თვით ბოლო გვერდზე მოთავსებული ხუმრობა-ანეგდოტები, ქრონიკა და „ჭრელი ამბები“ ემსახურება საერთო იდეის განმტკიცებასა და დასაბუთებას. გამოცემის მაკეტს ეტყობა პროფესიონალი მწერლისა და ჟურნალისტის სიფაქიზე და პრაქტიკულობა. წინა გვერდზე წარმოდგენილია ნომრის შინაარსი. განსაკუთრებით საინტერესოა მეთაური წერილი „რა უშველის საქართველოს“... „ეს უმაგალითო მსოფლიო ომი ზოგ ხალხს, დროით მომარაგებულსა და შესაფერისად მომზადებულს, თავისუფლების გვირგვინს უჭედს, ხოლო ბერს კი, მათ შორის საქართველოსაც უარესი დღით ეშუქება“... მიეაქციოთ ყურადღება!.. საოცარი თანმიმდევრობით ახდა სტატიის ავტორის წინასწარმეტყველება, განსაკვიფრებელი სიზუსტით, სულ ერთ თვეში დადასტურდა ზემოთქმული ჭეშმარიტება. —ოქტომბრის რევოლუციამ, რუსეთის იმპერიის თებერვლის რევოლუციით დაბზარული შენობა საბოლოოდ დაანგრია. ნამდვილი თავისუფლება მოიპოვეს პოლონეთმა, ფინეთმა, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, ხოლო „შესაფერისად მოუმზადებელი“ ქვეყნების ფსევდო-კოსმეტიკური თავისუფლება უკვე გაწითლებული იმპერიის ამოსუნთქვას გაჰყვა.

მწერალი ქართველებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს: „თუ ჩვენ ქართველებმა ეხლა მაინც არ ვიცანით თავი ჩვენი, თუ ეხლავე არ შეუდექით დროსა და გარემოების შესაფერ თადარიგს, თუ ეხლა არ მოვისაზრეთ და

არ ვიგულმოდგინეთ ჩვენი მამულის მომავალი, ეხლანდელი გარემოებათა ტალღები ისე წაგვლეკავს, რომ მომავალ დგმას უცხო ხალხებისას არქეოლოგიური გამოკვლევები დაჭირდება ჩვენი არსებობის კვალის მისაგნებად". მწერალი საქართველოს საშველად ორ „გარდაუვალ“ მოთხოვნას აყენებს. „პირველი მოთხოვნა არის ჩვენი პოლიტიკური პარტიების სრული შეთანხმება საერთო პოლიტიკურ-ეროვნულ საქმეებში და მტკიცეთ შეკავშირება გარეშეთაგან მოსალოდნელ განსაცდელის წინააღმდეგ.

ამ განსაცდელს ჩვენი შეთანხმებული პარტიები და ჩვენ ყველანი უნდა დავხვდეთ არა, როგორც პარტიების და კლასების წევრნი, არამედ, როგორც ქართველები, საქართველოს შვილები, ერთი სულით, ერთი გულით, ერთი პირითა და სატყვიით.

მეორე მოთხოვნა ის არის, რომ დაუყონებლივ შევთანხმდეთ ყველა მეზობელთან, შევეკრათ მათ კავშირით არა მარტო ქალაქებზე დაწერილით, არამედ გულში ჩაბეჭდილით"...

ვრცელი ამონაწერის წარმოდგენა იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ სტატიის დღეისთვისაც დასაფიქრებელ-გასათვალისწინებელი ბევრი აზრია ჩაქსოვილი: წერილში წამოყენებულია საქართველოსთვის ფართო პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, 1884 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. ილია ჭყონია თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღაწეობით ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური ხაზის მიმდევარი იყო, ამიტომ პოლიტიკური ავტონომიის იდეითაც მისგანაა ნასაზრდოები.

პატრიოტი მწერალის შორსმჭვრეტელური მოთხოვნა და სურვილი ქართული პოლიტიკური პარტიების სრული შეთანხმებისა, საბედნიეროდ, სულ მალე ასრულდა. ზუსტად ორი კვირის შემდეგ გამოსულ მეორე ნომერში („სიმართლის გზა“, 1917 წ., N 2), საგანგებო შრიფტით დაბეჭდილია სტატია სათაურით „გვეშველა!“ ძახილის ნიშანი სათაურთან გამოხატავს მწერლის უდიდეს აღფრთოვანებასა და სიხარულს მომხდარი ფაქტის გამო. სტატიის ავტორი მიესალმება ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ „საქართველოს ეროვნული პარტიებშორისო საბჭოს“ შექმნას. ღირსეულ მამულიშვილს მთელი სიცხადით წარმოუდგენია, თუ როდენ ღიდი უბედურებაა მცირერიცხოვან ერისთვის პარტიათა შორის

შუღლი და კინკლაობა. ამიტომაც ასე გახარებული: „მაშ, მოვესწარით ბედნიერ დღეს ჩვენი პოლიტიკური შეთანხმებისას! მოვესწარით ნეტარ დროს, როცა სოციალ-დემოკრატები იცავენ საქართველოს ეროვნულ ტერიტორიულ თვითმართებლობას...“ (აქ ჩვენი აზრით ყურადღება უნდა მიექცეს მწერლის თითქოსდა გაკვირვებულ ამოძახილს – რომ რა ნეტარი დრო დაგვიდგა, თვით სოციალ-დემოკრატებიც კი იცავენო საქართველოს ეროვნულ ტერიტორიულ მთლიანობას) – ნაადრევი გამოჩნდა მიმნდობი კაცის სიხარული...“ აღსდგა ქრისტე ჩვენი პოლიტიკური რწმენისა, აღსდგა ჩვენი მამულის, ჩვენი სამშობლოს საესავი იდეალი, „ვინ თქვა საქართველოზე – ეგ არის ლომი კვდებაო“.

გაზეთის ორივე ნომერში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პუბლიცისტის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხონა ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიისა, და სასწრაფოდ შეთანხმება საქართველოს უშუალო ტერიტორიულ მეზობლებთან. მშვიდობიანობისა და მეგობრობის სურვილით მაღლცხებული წერილები შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული: „ველიკორუსებს“, „პაოსიანებს“, „შირვანისა და ადერბეიჯანის მაკამდიანებს“, „დალესტანელებსა და ჩრდილოეთ-კავკასიის ერებს“. გაზეთის გამოცემა ალბათ კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ვფიქრობთ, მიმართვის ადრესატების რიცხვიც გაიზრდებოდა.

კავკასიის ხალხების მეზობლური, კეთილგანწყობილი ურთიერთობა, მათ შორის ძმობა მეგობრობა და ზავი, მწერლის აზრით, წარმოადგენს უდიდეს გარანტს ამ ქვეყნების აყვავებისა და გაძლიერებისათვის. მშვიდობიან კავკასიას მიესალმებოდა თავის დროზე მირზა ფათალ-ახუნდოვი და ოვანეს თუმანიანი, რომლებიც საქართველოსგან ბევრით იყვნენ დავალებულნი. დიდი ვაჟა თავის მხატვრულ ქმნილებებში ნატრობდა და ოდას უძღვნიდა ზავს კავკასიელ ხალხთა შორის. მაგ.

„ტახტზე ბრძანდება თამარი
 დილის ცისკარსა ჰგავისა
 ვახტანგს მოურჩა წყლულები,
 იმედითა აქვს ხმალისა
 დაუთმა ნება აილო
 კავკასიის ერთა ზავისა“ (19,283).

ზავი, კეთილმეზობლობა და ურთიერთ პატივისცემა – ესაა მწერლის ნატურა. იგი წერს: „დიდხანს მონობაში ნამყოფო ცოტა სიხარულისა და ბევრი მწუხარების გამონაცადო, ყველაფრის ამტანო ყველაფრის მომთმენო ველიკოროსის ერო! მიიღე გულწრფელი თანაგრძნობა შენზე უფრო ხნოვანის, დღეს შენზე უმცროსის, შენი ჭაპანის ერთგულად გამწევის, შენი მწუხარების გულისტკივილით გამზიარებლის ქართველი ერისაგან... მხარი დაუჭირე ქართველი ხალხის გულითად წადილს მის პოლიტიკურ ავტონომიას მისი სამშობლოს საქართველოს საზღვრებში“.

სტატიის ავტორის მოკრძალებული თხოვნა პოლიტიკური ავტონომიისა შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ძალიან მორჩილ ჟესტად ეჩვენოს ბევრს. მაგრამ, თუ შესაბამისი პერიოდის ისტორიას გადავხედავთ, მაშინ გასაკვირი არაფერი იქნება, რადგანაც ქვეყნის მაშინდელ პოლიტიკურ წრეებში გაბატონებული იყო და მისაღებად მიაჩნდათ პირველ ეტაპზე ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. ეს იდეა ხომ თვით ილიას მიერ იყო ჩაფიქრებული და ნაკურთხი. დიდი საქმე, ალბათ მაღალ მთაზე ასვლასავით ეტაპობრივ შტურმსა და შესვენებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე ადვილად გასაგებია აკაკის ორლესული ფრაზა – თავისუფლება ისურვე და იმასაც დაკარგავ რაც გაქვსო. საქართველოს ბულბული წინდახედულებასა და სიფრთხილეს ქადაგებდა. სავსებით სწორია, როცა ამბობენ, რომ იდეები გარემოებისა და დროის პროდუქტიაო. ზემოდასახელებული სტატიის დაწერიდან გავიდა სულ რაღაც 8 თვე; საქართველოში შეიქმნა საჭირო საშინაო და საგარეო პირობები და ქვეყანა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა.

საინტერესოა მიმართვა „პაოსიანებს“ (სომეხ ერს – ლ. დ.). „ტიგრან დიდისა და ვარდან ლომგულის მშობელო, ჯვარცმულისათვის ჯვარცმულო, ჩვენო განუყრელო მეზობელო, ჩვენთან საერთო ინტერესების მქონებელო პაოსის ერო! საერთო განკითხვის დღე გვიახლოვდება, კარზე გვადგება საერთო უბედურება! ნუ გავიმეორებთ ზედმეტად ერთმანეთისთვის დამღუპველ შეცდომებს, გავარჩიოთ მტრები მოყვრისაგან, ერთგულნი მოღალატეებისგან“.

გაზეთი სთხოვს სომეხ მოქალაქეებს, ნუ დაუჯერებენ მოსკოვში მოკალათებულ „პლუტოკრატებს“, რომლებიც ცდილობენ ქართველებისა და სომხების გადამტერებას, მოუწოდებს პაოსის ერს, რომ ზეწოლა იქონიონ თბილისში, მოსკოვში, და სხვაგან გამოძვეულ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც აღვივებენ შულს ამ ორ მეზობელ ერს შორის. „შეკვრათ კავშირი ერთმანეთს შორის, დაეაზღვიოთ ერთმანეთი ყოველგვარი ხიფათისაგან“.

ჭეშმარიტად, მისაღებია წერილის ათოსი, ხოლო შიგ ჩაქსოვილი აზრი აუცილებლად გასათვალისწინებელი. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა ადრესატი ერის მხრიდან. ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკას პირველად სწორედ მან მოუქნია მახვილი წაქეზებითა თუ საკუთარი სურვილით. ანალოგიური ექსესები ხალხის წაკიდებისა და დაპირისპირებისა სამომხომ მხრიდან, სამწუხაროდ, გრძელდება დღესაც.

ძმობისა და თანამეგობრობის სურვილით გამთბარ მიმართვის წერილებში, თავისი ტონითა და მოზომილი ტაქტით გამოირჩევა მიმართვა: „შირვანისა და ადერბაიჯანის მაჰმადიანებს“.

„ჩვენო მუღმივო და გამტანო მეზობლებო, ომში რაინდნო, ცხოვრებაში სულგრძელნო! ერთხელ კიდევ ცდის ჩვენს მეზობლობას, ერთა ცხოვრების ჩარხის ტრიალი, ერთხელ კიდევ იჩოქებს ჩვენი სამშობლოს ზიარ კარებთან საერთო უბედურების აქლემი.

ვისარგებლოთ წარსულის საერთო გამოცდილებით, განვჭვრიტოთ აწმყო განსაცდელი და ღხინად გადავაქციოთ ჩვენსკენ მომართული ჭირი.“

პუბლიცისტი პატარა ექსკურსს აკეთებს ამ ორი ქვეყნისა და ერის მეზობლობის ისტორიიდან და აღნიშნავს, რომ ზოგჯერ „ხანმოკლედ“ ჩვენ ერთმანეთის სისხლი გვიღვრია „ხოლო უფრო ხშირად და უფრო ხანგრძლივად ერთმანეთისთვის გვიღვრია იგი“. მწერალი აფრთხილებს ზოგიერთ მუსლიმანს: „ბაქოს შიიტები... ბათუმის ოლქში ეწევიან ჩვენს საწინააღმდეგო საქმებს“... თუ ისინი შეწყვეტენ ასეთ საქმიანობას მაშინ გაზეთი პირობას დებს „...რომ არც ჩვენ გავერევით და არც სხვას მივცემთ ნებას გაერიოს ქართველი სუნიტების საქმეში“. პუბლიცისტის მომწოდებლური, მღალადებლური ტონი თავის პიკს წერილის ბოლოში აღწევს: „...ისმინეთ ჩვენი და ჩვენც ყურად ვიღებთ ყოველსავე თქვენ სამართლიან სიტყვასა და სურვილს“.

ი. ჭყონია, ღრმადაა დარწმუნებული, რომ კავკასიის ხალხების უბედურება მათ გათიშულობაშია. ამ რეგიონს ყოველთვის ერთი საერთო მტერი ჰყავდა, რომელიც მუდამ რომაული პრინციპით მოქმედებდა – დაჰყავი და იბატონე.

მწერლის აზრით, დროა რომ კავკასიის მეზობელმა ერებმა შეიგნონ ერთად ყოფნისა და ძმური კავშირის აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ეს მეორედ მოსვლის მსგავსი დრო“ დიდ ხიფათს უმზადებს მათ. წარსულის მაგალითების გათვალისწინებას, შეცდომების ხელმეორედ არ გამეორებას სთხოვს მწერალი კავკასიის ყველა ტომს მათ შორის „დაღესტნელებსა და ჩრდილო კავკასიის ერებს“.

„ჩვენო უხსოვარი დროიდან განუყრელნო მეზობლებო, ჩვენთან ერთად ჭირნახულნო! ახლაც დაგვიდგა მარჯვე დრო, ნუ გავიმეორებთ ძველ შეცდომებს, კიდევ ერთხელ ნუ წაგვავებთ ჭკუას, და ნუ დავლუპავთ ჩვენ სამშობლოებს. იქნება ასეთი მარჯვე დრო მეტი აღარ დაგვიდგეს... წინათ ჩვენი მტანჯველი რუსეთი დღეს ჩვენ გამათავისუფლებელ რუსეთად გადაიქცა. რუსეთის რესპუბლიკა ჩვენ მოგვცემს სრულ კანონმდებლობით თვითმართველობას (პოლიტიკურსა და ეროვნულ-ტერიტორიალურს)“.

წერილის ავტორს, გამომდინარე იმ კონკრეტული პერიოდის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ეიფორიული მდგომარეობისა, სჯერა რუსეთის ახლადგამოცხადებული რესპუბლიკის მმართველების მიერ დაპირებული პოლიტიკური და ტერიტორიული ავტონომიისა. მაგრამ, რაც შეეხება მიმართვის იმ ნაწილს, სადაც საუბარია მეზობელი ერების კეთილმეზობლური თანაარსებობის შესახებ ეს ყველა დროისათვის მისაღები ჭეშმარიტებაა. წერილში დასმული პრობლემა ფრიად აქტუალურია დღესაც, მაგრამ არც მაშინ და არც ახლა გარეშე თუ შინაური მტრის წაქეზებით პრაქტიკულად ვერ განხორციელდა მასში ჩადებული აზრი. „სიმაართლის გზის“ პირველ ნომერში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პატარა წერილი „რისთვის უნდა გვიყვარდეს ჩვენი მამული საქართველო“, რომელიც უდიდესი შთამაგონებელი ძალით მოქმედებს ყველა ქართველის მამულიშვილურ და პატრიოტულ გრძნობებზე. მწერლის ეს პატარა წერილი დიდი ნიჭიერებით, დიდი ტკივილითა და სიტკბოსიყვარულით არის დაწერილი. იგი მამულის სადიდებელი მინი-ჰიმნია.

„ყველა ქართველს უნდა უყვარდეს ჩვენი მამული საქართველო.

განა მარტო იმისთვის, რომ იგი საქართველოა და ჩვენ ქართველები?
- არა!

განა მარტო იმისთვის, რომ იგია მიწა-წყალი, სადაც ჩვენ დავიბადეთ, გავიზარდეთ და სამარეში ჩავალთ? - არა.

განა მარტო იმისათვის, რომ საქართველოში ჩაგვესახა და გავვიღვივება გრძნობა და გონება? არა! ჩვენი მამული ჩვენი საქართველო უნდა გვიყვარდეს უფრო იმისათვის, რომ იგი დღეს უდაჩაგრულესი ქვეყანაა, სხვა დაჩაგრულ ქვეყანათა შორის და უდატანჯულესი ერი სხვა ერთა შორის.

თუ ჩვენ არ შევიყვართ ის, და თუ ჩვენ არ ვეცადეთ ყოველი ღონისძიებით გულისა და სულის ძალებით მისი დაჩაგრვის მიზეზების მოსპობას, მტრები კიდევ უფრო უარესად დაჩაგრავენ მას, აუხვევენ თვალებს ლამაზ, ლამაზი სიტყვებით და წარმტაც აღქმებით, მერე გაუტეხენ სახელს, აპყრიან პატივს და საბოლოოდ გაუწყვეტენ ლუკმა პურს.

თუ ჩვენ არ ვეცადეთ ჩვენი მთელი არსებით გონებრივი, ზნეობრივი და ხორციელი ძალებით მისი ნუგეშის ცემასა და მისი ტანჯვის შემსუბუქებას სხვა უცხო, ვერავინ იზამს ამას, რადგან სხვა უცხო, ჩვენსავით გულისწყურით არ ესმის მისი ენა, გულის ძგერა და სულის კეთება.

და, თუ ჩვენ ასე არ მოვიქვებით, თუ ჩვენ არ გვეყვარება ჩვენი მამული, როგორც დაჩაგრული და დატანჯული, მაშინ ჩვენ ვიქნებით ზეზეულ მკვდარნი, რომლებიც სააქაოს ცოცხლებს აკლია და საიქიოს მკვდრებს!"

სომხეთ-საქართველოს შორის დაწყებულ ტერიტორიულ დავას ეხება წერილი „რას გვწერენ“, რომლის ავტორია ვინმე თემურ ალა; იგი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „სადახლოდან, აგვისტოს 24 (ბორჩალოს მაზრა) ხმა გვესმის ვილაც-ვილაცები წყალს გვიმღვრევენ ბორჩალოს ხალხსა და ქართველებს შორის. უნდათ ჩვენი კუთხე ერევანს, ან შესახანხლავათ განზრახულს გუმბრის გუბერნიას მიაწერონ." სტატიის ავტორი მტკიცე თანადგომას უცხადებს ქართველ ხალხს და გამოთქვამს მზადყოფნას, არასოდეს დამორჩილდეს ამ უკანონო ჩანაფიქრს. მისი თქმით მტრებს თავისი ყინის დასაკმაყოფილებლად სურთ „ჩვენი ჩამოსორება ჩვენ მასაზრდოებელ ტფილის ქალაქს". ამ კუთხეში მაპ მადიანები თვით შაპ-აბასს დაუსახლებია, მაგრამ, პუბლიცისტის თქმით, „ისე შევთვისებივართ ქართველებს, რომ ჩვენთვის ყოველთვის ისინი

10. ლ. დვალისძე

უფრო საყვარელნი ყოფილან, ვიდრე სხვა მაზრის ჩვენივე თანამორჯულებნიც კი". თემურ-ალა მოუწოდებს ქართველებს შეერთებული ძალებით იბრძოლონ ჩამოშორების მოსურნეთა წინააღმდეგ. „დაგვეხმარეთ, ხმა ერთად ამოვიღოთ, სანამ გვიან არ არის. ზოგჯერ ტურა უფრო საშიშია, ვიდრე მგელი". როგორც ვხედავთ, საქართველოს დაქუცმაცების მომხრენი, მისი ტერიტორიების მიტაცების მსურველნი ამ საუკუნის ათიან წლებშიც ბევრი ყოფილა და მრავალ მოიპოვებიან ახლაც, თუმცა მოსისხლე მტერს, რომელმაც ათასი უბედურება შეგვაგამხვია ძმას ვეძახით და ძმობას ვეფიცებით დღესაც.

გაზეთის მეორე ნომერში (2.62) საყურადღებოა შემდეგი პუბლიკაციები: „რუსეთის გასაჭირი და ჩვენი ავტონომია“, „ჩვენი ნაექზარხოსალი პლატონი და სამხედრო სამინისტრო“, ასევე „საქართველოს სამოციქულო კათოლიკე ეკლესიის საქმეები" და სხვ.

პირველი წერილი აგრძელებს გაზეთის წინა ნომრისათვის დამახასიათებელ მიმართვისა და მოწოდების ფორმას რუსეთისა და მის იმპერიაში შემავალი ერებისადმი – იყვენ ერთად, მაგრამ მოითხოვონ „ფართო კანონმდებლობითი თვითმართეობა ჩვენი სამშობლოების საზღვრებში".

რუსული ბიუროკრატიული აპარატის უზნეობის, გარყვნილებისა და ღალატის კლასიკური ნიმუშის დემონსტრირებაა წერილში: „ჩვენი ნაექზარხოსალი პლატონი და სამხედრო სამინისტრო".

„სუხომლინოვის დროინდელ სამინისტროს ფარულ დამქაშთა შორის ყოფილა ჩვენი ნაექზარხოსალი პლატონიც. ეს ცნობილი რეაქციონერი და კონტრევოლუციონერი საქართველოზე და ქართველებზე უფრო, თურმე თავის სამშობლო რუსეთს მტრობდა, მისი ჯარის დამარცხებას ხელს უწყობდა, რამდენადაც შეეძლო". პლატონის გამყიდველობა და ავანტურისტული ქმედება გაკვირვებას იწვევს დღევანდელ მკითხველშიც. მას სამხედრო სამინისტროსგან აუღია იჯარა, რომ რკინიგზისათვის სასწრაფოდ დაამზადებდა „ორ მილიონ შპალს". ამისათვის პლატონმა ხაზინიდან წინასწარ მიიღო ოთხასი ათასი მანეთი, დამზადებით კი ერთი „შპალიც" არ დაუმზადებია.

პლატონს ექზარხოსობაში ჩადენილი დანაშაულისათვის ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომისარიატმა გასახლება მიუსაჯა, რომელიც

დროებითა მთავრობამ არ დაამტკიცა, უფრო მეტიც იჯარა გაუფორმეს და ნღობა გამოუცხადეს მას. როგორც ჩანს, – აცხადებს გაზეთი, – პლატონს „ხაზინიდან აღებული ფული სრულათ არ ჩაუდვია ჯიბეში“, არამედ სხვა ჩინოვნიკებიც მოქრთამაო. „ნუთუ ეს რუსეთის გაყიდვა და ღალატი არ არის? დაარქვან სახელი.“

ქართული სამოციქულო ეკლესიის თავისუფლების აღდგენას მიესალმა გაზეთი წერილით – „საქართველოს სამოციქულო კათოლიკე ეკლესიის საქმეები“.

რუსეთის დროებითა მთავრობამ, როგორც წერილიდან ირკვევა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართული ეკლესიისთვის „ას ექვსი წლის წინათ წართმეული“ თავისუფლების აღდგენას და შეთავაზა მაცდური წინადადება. ქართველთა „კათალიკოსს უწოდა ყველა ქართველთა კათალიკოსი და არა საქართველოს კათალიკოსი, ესე იგი იცნო სარწმუნოების თავისუფლება მართლმადიდებელ ქართველთა, ხოლო არ იცნო საქართველო ამ უკანასკნელის სახელისუფლოთ“.

ქართველ ერისკაცთა და სამღვდელთა კრებას თავისუფლების არჩევანი ვერც პეტერბურგიდან, დროებით მთავრობის მიერ მოვლენილმა მეცნიერისა და ღვთისმეტყველ ბენეშევიჩის ვოიაჟებმა გადაათქმევინეს. მალე რუსეთიდან ჩამოვიდა ეპისკოპოსი კირიონი, რომელმაც ურჩია ქართული ეკლესიის დროებით მთავრობას მიეღოთ ბენეშევიჩის რჩევა და დაკმაყოფილებულიყვნენ ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიით; ხელი აეღოთ ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიის მოთხოვნაზე, ეცნოთ კათალიკოსი ყველა ქართველების და არა საქართველოს კათალიკოსად.

ეროვნულმა ძალებმა ბოლომდე შეინარჩუნეს მტკიცე პოზიცია და რუსეთის დროებითი მთავრობის ნების წინააღმდეგ დაადგინეს: „კათალიკოსის არჩევებამდე არჩეული იქნას მის მოსაყდრეთ მაშინდელი გურია-სამეგრელოს მღვდელმთავარი ლეონიდე... 13 აგვისტოს აღდგენილ იქნა თბილისის მიტროპოლიტის კათედრა, რომელზედაც აირჩიეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე. აგვისტოს 27 – მისივე ლოცვა-კურთხევით გამოიცა ქართული ეკლესიის ყოველკვირეული ორგანო „სვეტიცხოველი“.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, უდიდესი რუდუნებითა და ძალისხმევით ახერხებდნენ ღირსეული მამულიშვილები ეროვნული საქმეების კეთებას. ილია ჭყონია და მისი გაზეთი – „სიმართლის გზა“ ერის გამოფხიზლება და დარაზმეი-

სათვის დაუცხრომლად იღვწოდა. გაზეთის სათაური მწერალმა საგანგებოდ შეარჩია. სიმართლე მისთვის ყველაფერი იყო. „კაცმა მართალი უნდა თქვას თავის თავზეც და მტერზედაც, რომ თავი არ მოიტყუოს; მითი მართალი და ნამდვილი შემეცნება შეიდგინოს თავის თავზედაც და მტერზედაც და ყოველ შემთხვევისათვის სათანადოდ აღჭურვილ-მომზადებული იყოს" (2.24) წერდა მწერალი 1882 წელს.

ილია ჭყონიას ღვაწლი, მამულიშვილური საქმიანობა შთამბეჭდავად შეაფასა ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორმა, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ: „ჩვენი სამღვდლოება, რომელიც ახლოს დგას ხალხთან დახმარებას აღმოუჩენს ბ-ნ ი. ჭყონიას მის კეთილ და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში" (2.57).

მართლაც, ი. ჭყონიას მთელი ცხოვრება და შემოქმედება უწყვეტი ქმნადობა იყო მადლისა და სიკეთისა. „ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების" კეთების ნარეკლიან გზაზე მწერალს ხშირად ქების ნაცვლად უსამართლო კიცხვა-კილვა და აუგი მოუსმენია, მაგრამ ღირსეული მამულიშვილი არასოდეს ღალატობდა მარად ჭეშმარიტ მარადიულ იდეალებს.

პირითადი დასკვნები

ილია ჭყონიას მსოფლმხედველობრივი მრწამსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს, რეცენზიებსა და გამოკვლევებს, რომლებიც ჰარმონიულ კავშირშია მის მხატვრულ ქმნილებებთან.

პოეტური სიტყვის თვალსაზრისით ი. ჭყონია დიდი ნიჟარების შემოქმედებითი კრეატიული ექსპერიმენტი. მწერალი წვდება მკითხველის ინტერესთა სამყაროს და მარტივი, გასაგები ენით ქმნის შთაბეჭდვად დიდაქტიკურ სურათებსა და სცენებს. მას არ ახასიათებს პოზა. მისი მხატვრული ხერხი არასოდეს არაა თვითმიზანი. ი. ჭყონიას მხატვრული ნააზრევი ქართულ კლასიკურ ლიტერატურულ ტრადიციებს ეფუძნება. ეს ნათლად ჩანს, როგორც შემოქმედებითი თემატიკით, ისე იმ ლიტერატურული პარალელებით, რომლებიც შეიძლება ზუსტადაც კი გავავლოთ მის ნაწერებსა და წინამორბედ მწერალთა, უპირველეს ყოვლისა „თერგდალეულთა“ შემოქმედებით მემკვიდრეობას შორის. მწერლის დროინდელი ეპოქა უდიდესი სოციალ-ეკონომიურ გარდატეხებით ხასიათდება. ი. ჭყონიამ საინტერესოდ ასახა ამ ეპოქის განვითარების არსებითი მოვლენები, რის გამოც მის შემოქმედებაში სჭარბობს სამოქალაქო ლირიკის მოტივები და პუბლიცისტური ტონი. ამდენად შემოქმედის პოეტურ ნააზრევს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

მწერლის პოეზიაში ნათლად იგრძნობა ორი მთავარი მიმართულება: პამფლეტურ-სატირული და პეროიკულ-ეპიკური. პამფლეტურ-სატირულ სტილს შემოქმედი მოხერხებულად იყენებდა ქვეყნის შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი სატირული ნაწარმოები ფარდას ხდიდა და დღის სინათლეზე გამოჰყავდა მამულისა და ერის შენიღბული მტრები. სააშკარაოზე გამოჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები. მწერალი მტკიცედ იდგა მამულის ინტერესების სადარაჯოზე და მყესეულად რეაგირებდა თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებზე. მახვილგონიერული ირონია ხშირად შეუმჩნეველი იყო ცენზურისათვის, მაგრამ იოლად აღწევდა ადრესატამდე და იმედს აძლევდა ქვეყნის გულშემატკივართ. პეროიკულ-ეპიკური სტილით დაწერილ ნაწარმოებში ი. ჭყონია ხოტბას ასხამდა ერისა და ქვეყნისთვის თავდადების მარად ნათელ იდეალებს. სატირისა და იუმორის მოხდენილი მომარჯვებით მწერალი ახერხებდა მკითხველს იოლად ამოეცნო არა მარტო მთხრობელის

სწორი პოზიცია, არამედ ბოზოქარი ეპოქის სინამდვილეში გაეკეთებინა სათანადო ორიენტირი, კონსოლიდაცია მოეხდინა იმ ძალების ირგვლივ, ილიას დროშის ქვეშ, რომლებიც განგებამ ისტორიის მესაჭედ მოაგვლინა. ეპოქის ტრაგიკული კატაკლიზმები მთელი სიმწვავეთ აირეკლა მის ნაწიერებში.

ი. ჭყონიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გმირის გარეგნული პორტრეტისა და შინაგანი სულიერი სამყაროს სინთეზირებულად წარმოჩენას, რომელიც მჭიდრო კავშირშია პიროვნების მორალურ-ეთიკურ და ფსიქოლოგიურ საწყისებთან. ზოგადადამიანური, მარადიული ფასეულობების მხატვრული გამოსახვა იდეის ექსპრესიულ გამონახტვაშია რეალიზებული. მწერლის მოთხრობებისა და ნოველების უმრავლესობას უმეტესწილად გააჩნიათ რეალური, იშვიათად მითოლოგიური და ბიბლიური საფუძველი. იქ, სადაც მხატვრული სახეებით ავტორს უჭირდა საკუთარი აზრის გამოთქმა, მიმართავდა პუბლიცისტურ ხერხს. ამით იგი ზუსტად აგებინებდა მკითხველს თავის შეხედულებებსა და იდეებს.

ი. ჭყონიას პერსონაჟები რეალური ცხოვრებისეული სინამდვილის ღვიძლი შვილები არიან. ისინი მხოლოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი აქტიური პოზიციით როდი იქცევენ ყურადღებას; ავტორისეული რემარკების მოხდენილი ჩართვით მკითხველის თვალწინ იძერწება ცოცხალი ადამიანის ხატი, საკუთარი ბუნებით, ხასიათით, მისწრაფებებითა და მრწამსით. მწერლის თხზულების ძირითად წარმმართველ ძალას წარმოადგენს გმირის ხასიათის გახსნა, რომელშიც პერსონაჟის გარეგნულ პორტრეტს ხშირად არსებითი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. შემოქმედი ქმნის რეალისტურ სურათს, რომელიც ნათლად წარმოაჩენს პროტაგონისტის სულიერ სამყაროს. მისი ყოველი ჟესტი, ქცევა, მოვლენებთან დამოკიდებულება, მკაცრად განპირობებულია ინდივიდუალური ფსიქიკით. ზომიერი სარკაზმი და გროტესკი ხელს უწყობს ხასიათის შინაგანი ნიუანსების წარმოჩენას.

მწერალს არ სჯერა ფატალური ბედისა. მისი ღრმა რწმენით, პიროვნება თავისი მოქმედებითა და მოღვაწეობით თვითონვე გამოსჭვდავს მას. იგი ღრმად სწვდება ადამიანის შინაგან ბუნებას, მის ამოუცნობ სამყაროს, ამხელს და კიცხავს ადამიანის მანკიერ თვისებებს: სიხარბეს, მომხეჭველობას, წინდაუხედავობას; მოყვასის არგატანისა და უბედურების ხარჯზე საკუთარი ცხოვრების მოწყობისა და გამდიდრების ველურ სურვილებს. ყოველივე ზემოთქმული, მწერლის აზრით, საბოლოოდ

ამახინჯებს და ღუპავს პიროვნებას. მისი თქმით, ბოროტმოქმედი ადამიანის - „უძლები შვილის“ - ნაგვიანები მორალური ტანჯვა, ჩადენილი უდიდესი სიაცეკაცის შემდეგ მარადიული მონანიება, არ იძლევა მთლიანი კათარზისის საშუალებას. ამიტომ საჭიროა პიროვნება განზრახული ქმედების აღსრულებამდე სერიოზულად დაფიქრდეს.

ი. ჭყონიას მხატვრულ ოსტატობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, როცა მწერალი გამოჩნდა სამოღვაწეო ასპარეზზე - ქვეყანაში ფრიად საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება იყო გაჩაღებული. ილიას, აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგის გვერდით გამოჩნდნენ დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები, რომლებმაც ნოყიერი ქართული ლიტერატურის წიაღში სინედლე და სიჯანსაღე შეიტანეს. ეს ფაქტი უკვე თავისთავად განაპირობებდა პრობლემათა განსაკუთრებულ სიუხვესა და სტილურ თავისებურებათა მრავალფეროვნებას. უნდა ითქვას, რომ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, ი. ჭყონია გამოკვეთილ ტრადიციონალისტად გვევლინება. რეფორმატორულ თუ ნოვატორულ ფორმათძიება უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა მის შემოქმედებაში თითქმის არ ფიქსირდება. სიტყვის მომჭირნეობა, ზედმეტი რიტორიკის გარეშე, მიგნებული დეტალიზაციით პრობლემის წარმოჩენა ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მწერლის სტილისა. შემოქმედის მხატვრული ნააზრევის თავისებურებად მიგვაჩნია აგრეთვე მისი პროზისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი ლირიზმი. ნაწარმოებში ლირიკული განწყობილების შექმნა თბილ ტონალობას ანიჭებს თხრობას და ამით მთელი თხზულება მათში დახატული გარემო თუ ტიპები მკითხველისათვის უშუალოდ აღქმულნი და ახლო ნაცნობი ხდებიან. ყველა ეპიზოდი, წარმოჩენილი მის მიერ, დატვირთულია მწერლისეული განცდით.

ი. ჭყონია საქართველოს ისტორიის ღრმად მცოდნე მწერალია და ყველგან იცავს ეპოქის სიმართლეს. სამშობლოს ფენომენი, მისი უსაზღვრო სიყვარული, მამულის საქმეებისათვის თავდადება მძლავრად არის გამოხატული მის შემოქმედებაში. სწორედ ეს გრძნობა წარმოადგენს მწერლის პირადული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შთამაგონებელ წყაროს. დამაშვრალ მამულიშვილს ადამიანის უმთავრეს მოვალეობად სამშობლოს უანგარო სამსახური მიაჩნდა. მწერლის დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს შეერთების საკითხისადმი მისი ეროვნული კონცეფციის ერთი საინტერესო მხარეა. ქართველ მოღვაწეთა დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი ხშირად ურთიერთ განსხვავებულია. ზოგი უარყოფითად

აფასებდა მას, ზოგიც დადებითად, ზოგიც კიდევ ორჭოფობდა და საბოლოოდ ვერ გაერკვია თავისი პოზიცია. ი. ჭყონია ამ ცოდვა-მადლიან საკითხს მრავალგზის შეეხო, როგორც მხატვრულ ნააზრევში, ისე პუბლიცისტურ წერილებში. მწერლის პოზიცია ყველგან გამოკვეთილადაა ნაჩვენები. იგი უარყოფითად აფასებს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციას და რუსეთს უყურებს, როგორც დამპყრობელს.

ი. ჭყონიას შემოქმედებისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია სათქმელის იგავურ-ალეგორიული ფორმით გადმოცემა. ქარაგმული ნათქვამი უმეტესწილად ოილი გასაშიფრი გახლდათ მკითხველისათვის, თუმცა ასევე ადვილად ხსნიდა მას ოფიციალური ხელისუფლებაც, რომლის წარმომადგენლებთან მწერალს ხშირად დიდი უსიამოვნება ჰქონდა. შემოქმედის მხატვრული სამყარო მრავალფეროვანია, მის ქმნილებებში დგას ბიოლოგიური საკითხიც, ცოლქმრული ურთიერთობაც, შურიც და ბოროტებაც, მეგობრის ღალატიც, სიკეთის გამარჯვება და სიყვარულის ერთგულებაც, მაგრამ მთავარი მაინც სამშობლოს თემაა.

ი. ჭყონიას პუბლიცისტური წერილებისათვის დამახასიათებელია პროგრესული აზროვნება და თემატური მრავალფეროვნება. იგი ღრმადაა დაჯერებული „პუბლიცისტური სიტყვის სანიტარულ ფუნქციაში“. მისი რეცენზიები, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე შექმნილი ნარკვევები, მკითხველთა დაინტერესებას იწვევს დღესაც.

მწერლის მხატვრული აზროვნებისა და ლიტერატურულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ილიასა და აკაკის რეალისტური ხელოვნების ესთეტიკურმა პრინციპებმა, მისი თარგმანები ავსებს ჩვენს წარმოდგენას შემოქმედზე.

ი. ჭყონიას მიერ შექმნილი ნაწარმოები მარტივი სიუჟეტებით გამოირჩევა, მაგრამ მკითხველს არასოდეს უჩნდება პრიმიტივიზმისა და შაბლონის ასოციაცია. მწერალი ორნამენტული პროზის მოკრძალებულ ოსტატად შეიძლება ჩაითვალოს. მისი სახეები სადაა, მაგრამ მეტყველი და დინამიური. ჭეშმარიტებას ღალადებდა სულმნათი აკაკი, როცა ი. ჭყონიას შემოქმედების შესახებ წერდა: მისი პროზა „პოეტურად ჩამოსხმული მარგალიტებია! ეს პატარ-პატარა მოთხრობები, სადაც სულ უბრალო რამეზეა საუბარი, სულსა და გულს ჰხვდება! რამდენჯერმე გინდა, რომ წაიკითხო. ერთხელ წაიკითხვა არ კმარა! იქარგა ქართული ქართველის სულსა და გულში ქარციცხლად გატარებული“ (2.37).

ი. ჭყონიას არქივში დაცული ეს დაუმთავრებელი ხელნაწერი მრავალმხრივია საინტერესო. იგი ბევრ საჭეყნო მნიშვნელობის საჭირობოლო საკითხს კასუნს სცემს და ახლებური კუთხით წარმოაჩენს. წერილი, როგორც ირკვევა, შექმნილი უნდა იყოს 1920 წელს და ეძღვნება ქართველ მწერალთა პირველი საერთო დღესასწაულის „იუბილის დღის“ დაარსებას.

დღეს ქართული მწერლობის უძეგა

ქართველი მწერლების სახელით მოგესალმებით თავისუფალ საქართველოს ახალ-გაზრდა მამულიშვილნი. მრავალი საუკუნეა, რომ ქართველი ხალხი არსებობს. რაც ქართველი ხალხი კულტურისა და განათლების სარბიელზეა, როგორც ეროვნულად შეკავშირებული დიდი ჯგუფი, ეგონებ ეს პირველად არის საქართველოში განსაკუთრებული დღე ინიშნება ქართული მწერლობის აღსანიშნავად. და ეს არცაა გასაკვირი. მწერლობა ერის ცხოვრების სარკეა, და რამდენადაც ხალხი უფრო შეგნებულა, იმდენად უფრო ატივს სცემს თავის გონებრივსა და ზნეობრივი მდგომარეობის აღმნიშველ სარკეს—მწერლობას და როდის ქონია ქართველ ხალხს თავის სიღრმესა და გულში ისე შეგნებული თავისი ერთობა და ძალა, როგორც დღეს, როცა 17 წლის მონობის შემდეგ მიხმა დემოკრატიათ ცნო თავისი თავი და მკედრეთით აღადგინა საქართველო დემოკრატულ რესპუბლიკათ!

ქართული მწერლობა საქართველოს ცხოვრების გარემოებას ყოველთვის მისდევდა კეღლაკეღალ, უმშენებდა მის მხარს, იზიარებდა მის ლხინსაც და ჭირსაც.

ქართული მწერლობა ყოველთვის ყოფილა დამოუკიდებელი და მოწინავე დარგი ქართველი ხალხის ცხოვრებისა.

მაშინაც კი, როცა საქართველოში ყოველად შემძლე იყო ფეოდალობა, მწერლობა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „თუ კაცი თავად არ ეარგა, ცუდია გვარიშვილობა“. ერის კაცებს იდეალად უსახავს „სჯობს სახელისა მოხევეჭა ყოელისა მოსახევეჭლსა“. აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენილა ერთი ლეგენდა, რომელიც მე ი. ჭყავჭავაძისაგან გამიგონია, რომ ერთხელ საქართველოსა და სპარსეთს შორის ომის შემდეგ, დაზავებისას, ორივე მხარემ ერთი მერიისაგან მოითხოვა ფიცი, ზავის დაურღვევლობის შესახებ. სპარსელებს უნდა დაეფიცათ ყურანზე, კარგით, უთქვამთ ქართველებსთვის, ჩვენ დაეფიცებთ ყურანზე, ხოლო თქვენ სახარებაზე, კი ნუ დაიფიცებთ, აეფხისიტყა-ოსანი“ რომ დაქვით იმ წიგნზე შემოგეფიცეთო.

რუსთაველისა და მისი ეპოქის შემდეგ საქართველოს როგორც ერთ მთლიან ერთეულს არ გაუზარია. XVIII საუკუნეში, როცა საქართველო აღმოსავლეთისაგან შეიჭრობებულმა ამათ დაუკაქუნა დასავლეთი ევროპის კარებს და იძულებული გახდა დაკავშირებოდა რუსეთს, და როცა რუსეთმა დაარღვია პირობა კავშირისა და დამონა საქართველო, სადაც არ მისცა ცხოვრების ნება მაშინდელ ქართველ ინტელიგენციას, ეს უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ თავიანთი მოღვაწეობა გადაეტანათ რუსეთში. რუსეთის იმპერიალიზმმა შეძლო მოესპო პოლიტიკური თავისუფლება საქართველოსი, მარა

ვერ შეძლო მოესპო მისი კულტურა და მწერლობა, რადგანაც მაშინ, ნუ გაიკვირვებთ ქართული კულტურაცა და მწერლობაც უფრო მაღლა იდგა, ვიდრე რუსული კულტურა და მწერლობა. თუ რა ფასდაუდებელი იყო, და რასაკვირველია არის მწერლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, ამის დასამტკიცებლად გეტყვით ერთ ნამდვილ ამბავს, რაც 1893 წელს მოხდა თბილისში სასტუმრო „ლონდონში“, სადაც სადილობდნენ ერთი განათლებული ინგლისელი და ერთიც რუსი, მასწავლებელი რუსული მწერლობისა გიმნაზიაში. საუბრის დროს რუსმა სხვათა შორის ჰკითხა ინგლისელს: ერთი გვასწავლეთ თქვენ, ინგლისელებმა, ჩვენ რუსებს, როგორ მოვახერხოთ რომ ჩვენი სახელმწიფოს უცხო თესლის ხალხები ისე მოწიწებით გვეაყრობოდნენ ჩვენ რუსებს, როგორც მოწიწებითაც გვეაყრობიან თქვენ თქვენი სახელმწიფოს უცხო თესლის ხალხი, ინდოეთის მუფუბიც კი მოწიწებით ფეხზე დგანან ყოველი ინგლისელის წინაშე, და აქ კი ყველა ქართველს ჩვენს ტოლად მოაქვს თავი ხელს გვიწვდის და გვერდით გვიჯდება.

— ეს კულტურის საქმეაო მიუგო ინგლისელმა—ინდოელი რომ შეადარებს ჩვენს შექსპირს თავის სამშობლოს რომელიმე თუნდ საუკეთესო მწერალსაც, რასაკვირველა მოწიწებით მოგვეაყრობა ჩვენ. თქვენ კი რა კულტურული უპირატესობა გაქვთ ქართველებთან? რა შეგიძლიათ წინ დაუყენოთ მათ „ეფუხისტყაოსანს?“ და მათი შედარების შემდეგ როგორ გინდათ ქართველი მოწიწებას გრძნობდეს თქვენს წინაშე!

XIX საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკურ უფლება აყრილმა ქართველმა ხალხმა, ქართულმა ინტელიგენციამ ყველა სხვა სახალხო საქმეებს რუსეთის მძლავრობით ჩამოშორებულმა, გააჩაღა სამწერლო მოღვაწეობა. მათი მთავარი ჰანგი იყო საქართველოს გათავისუფლება გარეშე და შინაურ მწაგვრელთაგან. ქართველი ხალხის თქმულება „შენი სვი და შენი ჭამე ჩემსას ჯვარი დამიწერე“—ლაღადებს და ესწრაფება პირად თუ სახალხო თავისუფლებას. სულ ბოლოს თავი იჩინა ჩვენში ევროპიდან მობერილმა ახალმა მიმართულებამ, სიმბოლიურმა, რომელსაც სათავეში უდგანან ეალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი და კოლაუ ნადირაძე, მათი მიმართულება ახალი ევროპისათვის, არ არის სრულიად უცხო ძველ ქართულ მწერლობისათვის.

ჩვენი მწერლობის გაკერით დახასიათებაში ვერ დაეტოვებთ აღუნიშვნელად, იმ გარემოებას, რომ ქართულ მწერლობაში ადგილი არა აქვს შოეინიზმს, ე.ი. ყველაფერ თავისის და თავისიანების გადაჭარბებით მოწონებას, იმავე დროს იგი დასცინის თავისი ხალხის ნაკლოვანებებს, დასცინის მას, ახსოვს რა „აუგი ყველა სენია, სიცილით მოსარჩენია“ და „მოყვარეს პირში უძრახეო“ და სხვა.

ი. ჯონიას არქივში დაცული ეს ხელნაწერი დაზიანებულია. ზოგიერთი სიტყვა კარგად არ იკითხება. მწერალი, როგორც ჩანს, უსასწრობას განიცდიდა, რადგან წერილი სასამართლოს უწყების დაზიანებულ და გაუქმებულ ბლანკებზეა შესრულებული. ხელნაწერი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიასა და მთელ რიგ ეპოქალურ ამბებს ახლებური კუთხით წარმოაჩენს.

ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი

(მოზონება)

ალექსანდრე ანუ, როგორც ის თავისთავს და აგრეთვე მისი დროინდელი საზოგადოება უწოდებდა—სანდრო ყაზბეგი მე გაეციანი 1880 წელს გრიგოლ ჩარკიანის იმ წელსვე გახსნილ წიგნის მალაზიაში, რომელშიც თავს იყრიდა მოცილოლობის მაშინდელი ქართული ინტელიგენცია, მათ შორის ისეთი მესევეური მწერლობისა, როგორც აკაკი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, ხშირად შედიოდნენ იქვე, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ და ეახტანგ ორბელიანები, სერგეი მესხი ანტონ ფურცელაძე და სხვა.

სანდროს გაცნობამდე გაეციანი ერთი მისი სასცენო ნაწარმოები—ატარა ვოდვეილი, რომელიც გადმოშტა, პირველმა პროფესიონალმა გამოძეგვებელმა ქართული წიგნისა, ზაქარია ჭიჭინაძემ, რომლის წაქეზებით გრ. ჩარკიანმა გახსნა ის თავისი პირველი ქართული წიგნის მალაზია.

ვოდვეილის გადმოცემისას ზაქარიამ მითხრა—აი ეს ახალი მწერლის ერთი მრავალ ნაწარმოებთან, წაიკითხე, გაიცანი, ჯერ არაფერი დაბეჭდილა მისი, მარა სერგეი გაეცნო ამ ცოტა ხანში და იმედი აქვს „დროებაში“ დაბეჭდავს რამეს. კეთილი გულის კაცია ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და მწერლობა, იცის ფრანგული ენაც.

იმ დღეს თავისუფალი ვიყავი, (ემსახურობდი, „დროების“ რედაქციაში კორექტორად და რუსულ გაზეთებიდან მთარგმნელად) და ვოდვეილი იქვე გადავიკითხე. ზაქარიას გაუუხიარე ჩემი აზრი იმ ვოდვეილზე და ეუთხარი, რომ ვოდვეილში მოყვანილი კულუტი ახალგაზრდა ქალისა—

„ეაიშე დედაე, რათ არ მხედაე

როგორ ძალზე ესტირი“ და სხვ.

უნდა იმღერებოდეს ამა და ამ ხმაზე-მეთქი ამ დროს მალაზიაში შემოვიდა სანდრო ყაზბეგი. /მაღალი ტანის, კარგი ტანადი, წვერმოპარსული, ევროპულათ კოხტათ გამოწყობილია. მაღალ ცილინდრიათი ქელით. უკვი მონხადა და დავინახე მისი მაღალი შებლი, მოგრძო სწორი ცხვირი და მოწყალებისფერო თმა, ოდნავ შეთხულებული. /სხვა ჰეიუგებს კი რუეისორი და აქტიორები/ სიტყვა მსახიობი მაშინ არ იხმარებოდა. წუნს სდებდნენ თურმე, თითოეული მათგანი თავისი გემოსა და გუნების და გეარათ /წუნს მღებენ ისეთები აღელვებით ამბობდა სანდრო, რომლებსაც არ წაუკითხათ იმდენი, რამდენიც მე დამიწერია. მთელი ზანდუკი მაქვს საესე ჩემი ნაწერი ჰიეხებუნი, ერთი შეკვრა რომ ამოვიღო და თავზე დავაქერტყო რომელსამე მათგანს, თავისი ქალა ითხათ გაუსკდებათ და ისინი თავხედობის ნიშაიმით იწუნებენ ჩემს, დრამატულ გემოვნებასა და ნიჭს. თუშტა თეად არც გემოვნება აქეთ და არც ნიჭი! მივიდა პირდაპირ ზაქარიასთან, რომელიც იმ დროს წიგნებს ითელიდა და აწყობდა ზოგს დახლზე და ზოგსაც თაროზე, და გაუმართა საუბარი ერთი თავის სასცენო ნაწარმოების შესახებ, რომლის სცენაზე დადგმის იმედს მას, იმხანად აძლევდნენ თურმე, რაფიელ ერისთავი და კუჭუ ყიფიანი. ბოლოს სანდრომ

ჩურჩული დაუწყო ზაქარიას. რაც მე აღარ მესმოდა, რადგანც მოშორებით ვიჯექი მოსაუბრეთაგან. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო წამოვიდა პირდაპირ ჩემსკენ, მომიახლოვდა და გამეცნო. ხელში ქონებოდა ჩემგან წაითხული მისივე ეოდევილი, გადაშალა და მითხრა. თქვენ ეს კულატი უგონოებისათ. გულითადაც გთხოვთ გამაგონოთ ის ხმა, რომელზედაც თქვენი აზრით უპირიანი მისი დამდევრება.

მე გამეცინა და ეუთხარი: სასიმღერო სმენა არ დამებედა და არც არასოდეს მიმღერია, რის გამო თქვენს თხოვნას ვერ შეეასრულებ მეთქი.

სანდრო მაინც არ მომეშვა. ამათ ეუფიცებდი, რომ არაკითარი მუსიკალური სმენა არ მაქვს. მეხვეწა მანამდე სანამ არ შეეუღლე მისი თხოვნის შესრულებას, მაგრამ დაწყებოსთანავე მოუხედავად იმისა, რომ სანდრო სიყვარულიანათ და მოწინებთ მიყურებდა, სიცილი წამსკდა და დაევიტოხე-ახლაც არ გჯერა, რომ სმენა არ მივაგრა. არა დღეს თქვენ საჩემო გუნებაზე არა ხართ. ამ ცოტა ხანში შეეიყაროთ საღმე და იქ გამაცნობთ ამ კულატის პანჯს. რაღა თქმა უნდა ასეთი მიზნით ჩვენ აღარ შეეკრებივართ, თუმცა ერთმანეთს იმ დღიდან მუდამ ეხედებოდით, უმთავრესად „დროების“ რედაქციაში, სადაც სანდრო ჯერ ხშირად შემდეგ ყოველდღე, დადიოდა, მეტადრე მას შემდეგ. რაც მისი ნაწერების ბეჭედა დაიწყო.

ყველაზე უფრო ადრე ის მოდიოდა რედაქციაში და ყველაზე უფრო გვიან ის გადიოდა, რადგანაც უფრო ხშირად, ის რედაქციაში სწერდა თავის ნაწარმოებებს. წერას არ უშლიდა არაკითარი ხმაური.

რედაქტორი „დროებისა“ სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და წამქეზებელიც.

როცა სანდრომ უთხრა რომ ის შეიტანს ახალს პანჯსა და კილოს ქართულს მწერლობაში, გააცნობს ქართველობას ჯერ სრულიად უცნობს მისგან ხვესა და მოხვევების ცხოვრებას, თუ სერგეი დაუბეჭდავს მისს ნაწერებს, სერგეი შეეკითხა-შაბათა გაქვს ნაწერები, რაღა რა გაქვს დაწერილიო. ოციოდე დრამა, კომედია და ეოდევილები უკვე მზად მაქვს შემოიღია დაწერო რომანი და მოთხრობები, თქვენ ოღონდ აღმთქვით რომ დამიბეჭდავთ.

სასცენო ნაწერების შესახებ სერგეიმ ურჩია ჯერ სცენაზე მოეხერხებინა მათი დაღმა, და თუ კრიტიკა და საზოგადოება მოიწონებდა მათ ანუ რომელიმე მათგანს, მაშინ შეიძლებოდა მათი დაბეჭედა, ხოლო ხევისა და მოხვევების ცხოვრების ცოდნის დასამტკიცებლად სანდროს მოსთხოვა, რომ მას დაეწერა, ჯერ ეთნოგრაფიული მიმოხილვა და მერე შედგომოდა რომან-მოთხრობების წერას.

ასეც მოხდა.

პირველად სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გადაითარგმნა რუსულად რაფიელ ერისთავის მიერ და დაიბეჭდა „რუსეთის საიმპერატორო-საგოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში“. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო მისი ბელეტრისტიკული ნაწარმოებთა ბეჭედა და 1885 წლამდე მან დაწერა და დაბეჭდა ყველაფერი რაც კი შექმნა მისმა ნიჭმა, კარგ მოთხრობებში, სუსტმა ლექსებში (ცალკე გამოსცა) და უფროულმა სასცენო ნაწერებში.

პირველ ხანებში სანდროს ნაწერებს ფართო ლიანგი არ ეწაფებოდა, და ვინც შეგაღამე კითხულობდა უძახდა მას მოზღაპრეს, მოაჭია-ბაჭიას. უკეთეს შემთხვევაში ადარებდნენ მას იმ ფოტოგრაფს, რომელსაც ბუნების სახეები გადააქვს ქალაღღზე მალე გასახუნებელი ფერადებით.

ამ უკანასკნელთა შორის იყო ცნობილი ბიოგრაფი ჩვენი ზოგიერთი მწერლებისა იონა მუნარავია. პირველი მისი დამფასებლები იყვნენ: კეკე, სერგეის მეუღლე და ნიკო მისი ძმა და ის ამწყობნი, რომლებიც აწყობდნენ მის ნაწერებს.

ამ ხანებში სანდრო ეფერებოდა ყველას, ვინც კი ეტყოდა „სანდრო წაეკითხე „დროების“ ამა და ამ ნომერში მოთაუხებული „შენი ნაწერი“, ცდილობდა გაცნობოდა ყველას, ვისზედაც ეტყოდნენ, ზოგჯერ მასხრობითაც, რომ ამა და ამას მოსწონს შენი ნაწერი. სერგეის ხომ პირდაპირ აღმერთებდა და კინაღამ ლოცულობდა მასზე.

უეტკრად იმავე იონა მეუნარგიას პირით საზოგადოებაში გაერეულა ხმა, რომ გრიგოლ ორბელიანმა თქვა—„სანდრო ქართველების ომეროსია, შენმა მხემ იშვიათი მწერალია“. განსაკუთრებული აღტაცებაში მოყვანა დიდი პოეტი „ელგუჯაში“ აღწერილს ჭიდილს ყოჩებისას.

იმ დროიდან სანდროს ნაწერებით დაინტერესდა ჯერ მთელი თბილისი და მერე მთელი საქართველო. პირველად მაშინ უწოდეს სანდროს „მწერალი“ და ისიც „ნიჭიერი მწერალი“ ის გაიმართა წელში, სახეს მისას აღარ შორდებოდა ღიმილი სანამ ჭკუაზე იყო. ეფერებოდა მხოლოდ სერგეის, უმთავრესად იმიტომ ის არ თხოვდა მას ყოველივე თხზულების დამთავრებულად მიტანას, არამედ უბეჭდავდა მოთხრობებს განხეთის №14-ში თუნდაც მარტო თითო თავებს, ზოგჯერ თავების ნაწილებიც რომ მიეტანა.

მწერლის სახელის დამკვიდრებისთანავე სანდროს წინააღმდეგ გაერეულა და თანდათანობით იზრდებოდა ხმა, ვითომ ის კი არ იყო ავტორი მისი სახელით დაბეჭდილ თხზულებებისა, არამედ მისი ბიძაშვილი—ღიმიტრი ყაზბეგი. იმ დრო უკვე მიცვლილი, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლადამთავრებული, ავტორი ერთი პატარა სცენისა, რომელიც დაბეჭდილი იყო მე-70 წლების ჟურნალ „კრებულში“.

გარდა იმ ცნობებისა, რომელიც ამ ხმის შესახებ დაბეჭდილია დ. კარიჭაშვილი წინასიტყვაობაში ყაზბეგის ნაწერების სრულ კრებულში, მე გადმომცეს სანდროსა და ხსენებული ღიმიტრის საერთო ნათესავის შემდეგი ნაამბობი:

ღიმიტრის დარჩა ბევრი ქართული ხელნაწერი. ღიმიტრის სიკვდილის შემდეგ ჭირისუფლების თანხმობით მის სახლში დროებით დაბინავდა სანდრო, პირველ კვირებში, როგორც მიაბძო ღიმიტრის მოურავმაო, ის სულ კითხულობდა რაღაც ხელნაწერებს შემდეგ რამდენიმე ხნის განმავლობაში სულ იწერდა თავისთვის იმ ხელნაწერებს, შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში ის დათხოვლი ბუხარში ავღებდა და წყადა რაღაც ქაღალდებს. ყველაფერს ამას ის ჩადიოდა ჩაკეტილ ოთახში. შემდეგ სანდროს დაბრუნებისა თავის სახლში მოურავს ევლარ უნახავს, თავის ადგილზე, მისი ბატონის ნაწერები, მიუკითხავს სანდროსთვის, მარა მას უარი უთქვამს-ღიმიტრის ნაწერების არა ვიცი რაო. მოურავს გული მოსულია და დამუქრება საკმის გამჟღავნებით, თუ სანდრო დაბეჭდავდა ღიმიტრის ნაწერებს თავის სახელით. მოწმეთ დაეასახელებთ თვით იმ მოძღვარს, რომელიც ჩემი პირით დაიბარა ღიმიტრიმ, რომლის თავგადასავალი მისივე კარნახით ჩაწერა ღიმიტრიმ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოძღვარა ჯერ ის მოძღვარი, და მერე მისი ღიმიტრისეული მოურავიც. მას მერე ჩამოსულა სანდრო ტფილისში, სადაც, როგორც მოვიხსენე შეუდგა მწერლობას. დ. კარიჭაშვილსავეთ მეც მგონია, რომ ეს გადმოცემა, ცოტა სხვაგვარათ მოთხრობილი ხსენებული მწერლის წინასიტყვაობაში არ უნდა იყოს მართალი.

სანდრო ყაზბეგი, რომ უეჭველი ნიჭი იყო და დახელოვნებული მწერალი, და რომ მას შეეძლო ასეთი მოთხრობების წერა, როგორიც დაიბეჭდა მისი ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში“ და ჟურნალ „ივერიასა“ და „მოამბეში“ ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია თქვა შემდეგი.

ერთხელ „დროების“ „ივერიასთან“ შეერთებამდე სერგეი უნდა წასულიყო ორი დღით სადაც. რედაქციაში ჩემს მეტი არაინ იყო დასატოეებელი. ორივე ნომრის მასალა სერგეიმ დაამზადა თვითონ, ერთი ნომრის მასალა თავათ გადასცა აშწყობს, ხოლო მეორე დამიტოვა მე და მითხრა: თუ რამ დააკლდა საქრინიო მასალა გადათარგმნე

რუსულ გაზეთებიდან და სტამბას ის გადაეცეო. მეც პირველი ნაწილი დაბარებულისა შეეასრულე და უფროს ამწყობს დაეკეთებე იკმარებდა თუ არა ის ნომრისათვის. ამწყობა მხოლოდ დილის 10 საათზე გამცა პასუხი: სრული ფელეტონის ოდენა მასალა კიდევ მომადნოდო.

ის იყო რომ შეუღდექი საჭირო თადარიგს, რომ ჩემთან რედაქციაში შემოვიდა სანდრო და იკითხა სერგეი, მე დაეკამყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა, და დაეკითხებე, თან ზომ არ ქქონდა ახალი მოთხრობა რამ, ანუ მოთხრობის დასაწყისი რომ სტამბაში გამეგზავნა ხუალინდელი ნომრისათვის. ის შეწუხდა და მომიგო: რატომ დროზე არ გამაგებინე, დიდი სიამოვნებით დავეწრდი რამეს და მოგაწოდებდიო. ეთხოვე დაეწყო რამე და იქვე დაეწერა სამასიოდ, საგაზეთო სწკარი.

—განა მე ასეთ შემთხვევაში თხოვნა მჭირია, რომ გუნებაზე ვიყო, თავი ხელში მქოდეს, მომიგო მან და დააპირა რედაქციიდან გასულა. უცებ გამოილევა თავში აზრმა-შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეტში, ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამიწერდა გაზეთისათვის.

ასეც მოვიქეცი.

ორი საათის შემდეგ მან გადმომცა სწორეთ მაშინ დაწერილი ის პატარა და ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელი ქქეია „ციცია“, რომ ეს ესკიზი უეჭველად მაშინ იყო დაწერილი ამას ამტკიცებდა ის, რომ ბოლონდელს გვერდს ნაწერებისას რომელიც თავში ედვა დანარჩენ გვერდებს მელანი გადაეგლისა, როგორც კი ცერი შეეახე ნაწერს.

თუ არ ნიჭიერი მწერალი მონასიებათ (ექსპრომტათ) ისეთს კარგს ესკიზს ვერაინ დაწერს.

1881 წ. მე სამი თვე ვიდდექი სანდროსთან ერთს ბინაზე სასამართლოს ქუჩაზე, რუსთა-ველის პროსპექტის ზემოთ. სახლის პატრონს კარგათ მოწყობილს ერთს დიდ ოთახში მოსამსახურით ვაძლედილი თვეში 15 მანეთს. ბინაზე მას იმეიალთა ვხედავდა. მიდიოდა დილით რედაქციაში იქიდან სასადილოში და მოდიოდა დასაწყოლად ვხედავდა. სადილოზდა იაფ ფასიანი სარდაფებში, ანუ ქაბაბჩებთან, ხოლო თუ ფული ექნებოდა სასტუმროების სასადილოებში, ბინას მას ხშირათ მოქქონდა განჯის ყურძენი, ჭამდა ჯერ უწერით და ჩურჩას შეინახავდა, ხოლო შემდეგ ინჯრაზე დაუბრუნდებოდა იმაე ჩურჩას და მადიანად შეჭამდა. მოსამსახურეს ნათქვამი ქქონდა სანდროსგან, რომ იატაკის გარდა დასაწმენდად არაფერს შეხეზოდა, ამიტომაც იქ მის საწოლის მაგიდაზე და ფანჯრების დარბაზზე ყველაფერს ნახავდილი ერთად არეულს: წიგნებს, საწერ მასალებს, ცარიელ ბოთლებს ვაქსს, ჩექმებს, სამარილეს, თეფშებს. მეორე თეიდანეე სახლის პატრონს ქირას დროზე ვეღარ ვაძლედილი და მანაც მოსამსახურე ჩამოგვამორა.

სანდრო იყო კარგი სამსახურავო, უხვი, როცა რამე ქქონდა ხოლო მოკრძალებული როცა არაფერი გააჩნდა. არაფერს პირაქეთ ამხანაგს არ ვთხოვდა, ხოლო თუ შენით შეაძლედილი თეემდაბლური მოზოდისებით გამოგართმევიდა და გულწრფელად აღვითქვამდა პირველ შესაძლებლობისთანავე გადავიხდილი.

მის მეორე რიცხვთაგან წიგნი იყო ქართული, ფრანგული და რუსული ბელეტრისტული და ისტორიული ნაწერები. ფრანგ მწერალთაგან მას ქქონდა ალექსანდრე დიუმა-მამის და ვოლტერის ზოგიერთი ტომი. რუსულიდან პუშკინი მარლინსკი, ინგლისურიდან ნათარგმი ვალტერ სკოტის ზოგიერთი რომანები. ქართულიდან კი ი. ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი“ აკაკის ცალკე გამოცემული ლექსები, გრიგოლ და ეახუშტი ორბელიანების ნაწერები და ქართლის ცხოვრება ბროსეს გამოცემული და „ეფუხისტყაონის“ ორი გამოცემა.

იყო ლეტერატურულათ ნაკითხი კაცი. გულდასმით ქჷნად გადაკითხული, როგორც ეტყობოდა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში. ქართული კლასიკოსები. ზეპირად იცოდა ბევრი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“ და გურამიშვილის „დავითიანიდან“ განსაკუთრებული სიყვარულით მოჰყავდა ციტატები „ყარამანიანიდან“ რომელსაც იგი კარგი ღირსების ნაწარმოებათ თვლიდა.

ერთხელ გრ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში მას გამოუდევნა ამ თხზულების შესახებ რუსულათ განათლებული ქართველი ქართულათ ძლიეს მოლაპარაკე—რა ჰყრია ყარამანიანი რომ დრო დაეკარგათ მის წაკითხვაშიო.

—რა ჰყრიაო? გულამღვრევით მიუგო სანდრომ და დასძინა: ყარამანიანი პოეტურად ამკობს და აგვიწერს—ძმობის, სათნობის, თაყვანის სიამეს, სიყვარულს გამაკეთილმობილებლად აცხადებს და კიდევ ბერს რამეს ზნეობრივ ღირსებებს.

მე არ მახსოვს მთელს თავის სიცოცხლეში სანდროს მიეღოს თუნდ ერთ გროში ჰონორარი თავის ნაწერებში. პირიქით ის თითონ წლენდა მთელს რედაქციას „ღროებისას“. როცა ორიოდ გროშს ჩაიგდებდა ხელში. ცოტაოდენ ფულს ის მოულობდა როგორც სტეპანზე მოთამაშე, უფრო ხშირად როგორც დიეგრისისმენტებში მონაწილე, ლექსების კითხვით და ლექურის ცეკვით. ის ცეკვავდა ყოველნაირ ლექურს. ის იყო წმინდა წყლის პატრიოტი. როცა ის ელგუჯას სწერდა ნაწერი ცალკე ფელეტონებად იბეჭდებოდა „ღროებაში“ რედაქციაში აკაცი შემოვიდა და სხვათა შორის გეითხრა ქვეყნის დიდ ერთგულ კაცათ გამოჰყავს სანდროს მისი ნათესაი სიმონ ჩოფიკაშვილი, რომელმაც ბოლო დროს უღალატა მეფის და გაუღო რუსის ჯარს დარიალის კარები. ხალხს დღემდე არ დაეწინით ეს მისი მოღალატეობა და ლექსათ ამბობს.

ეს რა ქჷნა ჩოფიკაშვილმა

ფიცი გატეხა ღეთისაო!

დარეგვნა ბაგრატიონნი,

თვით კი მეფეთა ზისაო?!

სანდრო მაშინ რედაქციაში არ ყოფილა. შემდეგ ვიღაცამ გადასცა ეს მას რედაქციაშივე და დაუმატა შენ გვარში მოღალატეები ჰყოფილან?

თუნდაც მასე? მერე რა? გარსეკან ჭეჭეკეძემ ქართლ-კახეთს უღალატა, მარა ახლა ი. ჭეჭეკეძე საქართველოს ამშენებებს. ზურაბ წერეთელმა იმერეთი გასცა, მაგრამ აკაცი მამულინათვის დიდებაა. სიმონს და ჩემს სახლის პატონს მამულინათვის რომ უღალატონს კიდევ, მე, სანდრო, იმის შემოყვანილების გაყვანაზე უკნებობ? ყოველ შემთხვევაში მე ჩემდა თავად არ მეჯერა სიმონის მოღალატეობა. მაცალეთ გავათაო ჩემი მოთხრობა და მერე დასდეთ მსჯავარი ჩემს გმირსაო...

ღმერთი მისი განგებაც და ბედის წერაც სანდროს სწამდა. ამ თავის რწმენას ასე მიხსნიდა: ბებია ჩემი ერთხელ ფლავესა სჭამდა, ბრინჯის ერთი მარცვალი სასულეში გადასცდა და დააღრრო. რამდენი კაცია ათობით ტყვია მოხვედრია, ხმლით დაუჭრიათ, სატყერით გამოუშინებიათ და არ მომკვდარა. სულ იმავე ღეთის განგებით და ბედის წერით. მოდი შენ და ნუ იწამებ ღეთის განგებას და ბედის წერას.

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-საგან მამა მის მიხეილს ღენერალ-ლეიტენანტობა პირადათ ქჷნდა ნაბოძები. გრაფის ზარისხი ბრწყინვალის წოდებით, რაც მის შვილზე ვერ გადავიდოდა. სანდრო პატარაობისას ორჯერ მჯდარა ამ იმპერატორის მუხლზე და მოუსმენია მისი ამბავი.

1881 წელს ტფილისში გაერყელდა ხმა, რუსის მთავრობას განზრახული აქვს ასი ათასი კაზაკი დაასახლოს აფხაზეთშიო. გულისტკივილით გაუუზიარე სანდრო ეს ამბავი, რომელმაც ბევრი ჩვენთაგანი დააღონა. ხალისიანად მომიგო მან. ერთი ოცდახუთი წლის შემდეგ ყველა ქართველებათ გადაიტყუაო!

„მცირე შენიშვნა ივანე მანაბელზე“ საინტერესოდ წარმოაჩენს ილიასა და ივ. მანაბლის ურთიერთობის ახალ დეტალებს, ქართული ბანკობადის ტრავიკომიკურ სიტუაციებს ი. ჭყონიას მოგონება ფასეულია ფრიად, რამეთუ ის შემოხსენებული ორივე მოღვაწის თანამედროვე, მეგობარი, დამფასებელი და მოყვარულია. და თუ ზოგიერთ „წამკითხველს“ რაიმე ეჩიოთიროს დოკუმენტის გამოქვეყნების გამო, თავშივე მოვახსენებთ: დროა უარი ეთქვას (თუ ძალიან დავიანებებული არ არის) ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლამის ტრადიციულ ქცეულ უარსაყოფ ჩვეულებას—დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მხოლოდ დადებითი კუთხით წარმოუჩინონ მკითხველს. დიდი მთაზროვნეები ჯერ ადამიანები იყვნენ და შემდეგ შემოქმედნი, ამიტომაც მცირე ცხოვრებისეული „ენებების“ გამოშვებურება მათ ბიოგრაფიას არაფრით აზარალებს, პირიქით; მკვლევარს კი აუცილებლად სჭირდება შეუღალაზებელი ისტორია, რათა უკუდომლად ჩაწვდეს და შეიმეცნოს, შემდეგ კი პირუთვნულად გაიაზროს მოღვაწის ცხოვრება და შემოქმედება. მთავარია საქმე სიყვარულით ეკეთათ.

„მცირე შენიშვნა ივანე მანაბელზე“

მეთოხმოვე წლებში წარსული საუკუნისა ქართული ინტელიგენცია ორ ბანაკად იყო გაყოფილი. პირველ ბანაკს მესუეურობდა ი. ჭავჭავაძე და მისი წრე, ხოლო მეორეს „დროების“ რედაქციის ჯგუფი აკაკითურთ.

საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული ივანე (გიორგის) ძე მანაბელი, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს პეტერბურგში ჰქონდა ნათარგმნი იქ ბანკის საქმეების გამო დროებით მყოფ ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექსიირის „მეფე ლირი“, ჩამოსვლისთანავე მიეკვლია ილიას წრეს. ქართველი მოღვაწის სუსტ არამს ვერ აცდა ი. მანაბელი. ისიც შედის სამსახურში სათავადაზნაურო სასწაულებლის ინსპექტორად. მაღვეე ი. ჭავჭავაძე მისივე ყოველკვირულ გაზეთ „ივერიით“ 1880 წ. შეუერთდა ს. მესხის ყოველდღიურ გაზეთ „დროებას“. და „ივერია“ პირველ წელს გადაიქცა სამთიურ ეურნლად, ხოლო 1881 წ. ისეე იე. მანაბელი გახდა ფორმატგადიდებული „დროების მუდმივი დამოუკიდებელი თანამშრომელი. გაუმდარი, განათლებელი და ნიჭიერი. ის სწერდა გაზეთში მოწინავე წერილებს. ე.წ. ფულეტონებს (უპირველესად სამეცნიერო მიმოხილვებს. ნიკო ნიკოლაძე, რომელიც იმ დროს ქართულ მწერლობაში აღარ იღებდა მონაწილეობას მის ლექსებს ათავსებს ვაზ. „ობზორში“ უწოდა „ასტრონომია ლექსად“. მაღე აირჩიეს წ. კ. გ. ს. „გამგეობის წვერად (თა-ერე ი. ჭავჭავაძე) ამ თანამდებობაზე მან ისეთი ფხვა გამოიჩინა, რომ ყველა თავის ამხანაგებს, დანარჩენ წვერებს გამგეობის, შემატა სიმხნე და თეთი საზოგადოებას შესძინა ასიოდე ახალი წვერი.

ამას მიატკია ყურადღება ი. ჭავჭავაძემ. გადაიყვანა იგი ბანკში კასიერად, მერე დამფასებლად და პირველ შემთხვევაშივე წამოაყვანა მისი კანდიდატურა, ბანკის დირექტორობაზე, რაც მაშინ დიდად საპატიო თანამდებობად ითვლებოდა. იე. მანაბელი, რომელსაც უკვე ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა ფართო საზოგადოებაში ხმის დიდი უმრავლესობით არჩეული იქნა დირექტორად. ამის შემდეგ მიატოვა სასწაულებლის ინსპექტორობა და მხნედ შეუდგა ბანაკში თავის ახალ მოვალეობის ასრულებას ისე, რომ მწერლობაში მშრომისთვის არა დაუკლიარა. პირიქით ის ამ დროს შეუდგა შექსიირის

უკედლე დრამების თარგმნას და გადათარგმნა კიდევ მაკეტი, რიჩარდ III, ჯამლეტი, იულიუს კეისარი. მისი რჩევით ი. ჭავჭავაძემ „ივერია“. გადააქცია თეიურ ჟურნალად 1881 წ.

1883 წ. დედაბოძმა „დროებისაჲ“ და მისმა დაუნიჭყარმა მოამაგემ სერგეი მესხმა, უდროოდ მოტეხილმა აუტანელი შრომით ძალაუნებურად აიღო ხელი გაზეთზე და გადასცა იგი მცირე სასყიდლის აღებით ივ. მანაბელს, რომელსაც ფულით შევლოდა ყველაზე უფრო მდიდარი კაცი მეცენატი გ. ქართველიშვილი. „დროების“ საკუთრებად შექენამდე თანაშრომლობდა ამ გაზეთში. ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ივერიას“, რომელიც გამოდიოდა ყოველთეიურად. „დროების“ მანაბელის ხელში გადასვლისთანავე ჟურნალი დაუბრუნდა, ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც მისი ტექნიკური მხარის გამგედ მოიწვია გიგა ყოფშიძე. შემდეგ ს.ს. ნღობის საზოგადოების დირექტორი.

თეიური ჟურნალის მაგიერ ივ. მანაბელი შეუდგა გაზეთის დამატებებით პატარა-პატარა მოთხრობების გამოცემას. ასე გამოსცა მან სხვათაშორის აკაკის „სამგვარი სიყვარული“. ამ დროს ტფილისში იმყოფებოდა საფრანგეთის არხეოლოგი და ლიტერატორი მურიე, რომელმაც ივ. მანაბლის ჩაგონებით სთარგმნა ფრანგულად „ეფუხისტყაოსანი“.

გამოცემის ტექსტის დასამუშავებლად შედგა ქართული მწერლობის 2 მაშინდელი კორიფისაგან ცალკე კომისია. რომელშიაც შედიოდნენ თეით ივ. მანაბელი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი აგრეთვე ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანი, ცნობილი ბიოგრაფი იონა მუნარგია. კომისიის შემუშავებული ტექსტი გამოვიდა მხატვარ ზინის მიერ დახატული სურათებით. იმავე სუტერმა დასწერა „ეფუხისტყაოსნის“ განხილვა, რომლის თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“. ეს განხილვა უნდა ჩაითვალოს ერთ საუკეთესო განხილვათაგან, რაკი დღემდე დაწერილა „ეფუხისტყაოსანზე“.

ერთადერთი ქართული ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობამ და მეპატრონეობამ დიდი გონებრივი და ზნეობრივი გაუღენა მოუპოვა ივ. მანაბელს მთელს საქართველოში. ის ახლა უკვე ზედმიწევნით მცოდნე იყო ბანკისა და საბანკო საქმეებისა. ბევრ რამეში ის უკვე აღარ ეთანხმებოდა ი. ჭავჭავაძეს, რომელიც არ იყო ჩვეული სიტყვის შებრუნებას დირექტორთაგან. როცა ი. მანაბელმა მას ჯერ დაუწყო სიტყვიერი შეკამათება გამგეობის სხდომებზე და მერე გაზეთში შეუდგა პრინციპალურ განხილვას წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის აზრებისა, ეს არ იაზა ამ უკანასკნელს და გადაეკიდა მას. იმ დღიდან აღარ ინდობდა აღარაფრით აღარ ზოგადად მას. 1896 წელს ისეთი შეთქმულება მოაწყო მის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძემ, რომ ისეთი რომ არ ახსოვს ბანკების არსებობის ისტორიას: ბანკის დამფუძნებელ წევრთა და ჩვეულებრივ მსესხებელთა წლიურ ყრილობაზე, რომელზედაც გარდა მორიგი საქმეების განხილვისა, არავითარი არჩევანი არ იყო დანიშნული, მან, ილიამ მოუყარა თავი ყველა თავის მომხრეებს და ყრილობაზე მოულოდნეად ლადა თვის დამჭამების მოვხებით წამოაყენა საკითხი ივ. მანაბლის თანამდებობიდან გადაყენებისა მისი ეითომ უტაკტობისა და უხასიათობის გამო. განგებ გაჭინარებული ბაასნი... მოწინააღმდეგენი წინდაწინ მიღებული გადაწყვეტილებით, რათა უსათუოდ გადაეყენებიათ კანდიდატურა და მართებულობის მიუხედავად. ჰყარეთ კენჭი და თქვენი კენჭები თქვენე წინდაწინე გადაწყვეტილებას დაადასტურებს, მორჩა და გაათავდა! შენიშნა ივ. მანაბელმა ყრილობას-ასეც მოხდა. ყრილობამ 2/3 ხმის უმრავლესობით

დადგინა გადაყენებული იქნას ივ. მაჩაბელი დირექტორობისაგან, მიუხედავად იმისა, როგორც ეთქვით, ეს საკითხი არ იყო შეტანილი ყრილობაზე განსახილველ საგანთა შორის.

ივ. მაჩაბელმა გადაწყვიტა არ დამორჩილებოდა ასეთ უკანონობასა და უმართებულო დადგენილებას და განაგრძობდა ბანკში მეცადინეობას, მაგრამ ი. ჭავჭავაძისა და მისი ყურმოჭრილი გამგეობის, აგრეთვე ზედამხედველი კომიტეტის წევრების განკარგულებით ივ. მაჩაბელს აღარ აძლევდნენ საქმის ქალაქდებს ხელმოსაწერათ, აღარ იწვევდნენ გამგეობის სხდომებზე და თვით სხდომებს მისდა ნაშაღავათ მართავენ, ააღებინეს მის სამეცადინო ოთახიდან მაგიდა და სკამი.

ივ. მაჩაბლის მომხრეებმა მიმართეს ერცელი და დასაბუთებული საჩივრით ფინანსთა მინისტრს პეტერბურგში, სადაც ჭავჭავაძეს რამდენიმე ძლიერი ბიუროკრატები დაუფაცურდნენ და საჩივარმა ვეღარ გასჭრა. ივ. მაჩაბელი იძულებული გახდა გასცლოდა ბანკს (1896 წ)

საქმიანი ენერგიით საესემ მაშინვე მოკიდა ხელი ახალ საქმეს და შეუდგა ქართლის მეურნეობის აღორძინების თადარიგს, მიიმხრო სოფლის ინტელიგენცია და მოღვაწეები და დააარსებინა მათ სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი, რომლის გამგეობისა და საწყოების ბინად არჩეული იქნა რკინიგზის სადგური გომი.

იმავ 1896 წლის ბოლოს ის მძიმე აუად გახდა. იაყადმოყუა ორ წლამდე და გადარჩა ნიჭიერი დოსტაქარის (ქირურგის-გეგე მაღალაშვილის წყალობით, რომელმაც თბილისის დოსტაქართაგან ერთადერთმა გაებდა და ხელმარჯვედ გაუკეთა მძიმე ოპერაცია და ამოუღო ერთი წიბოთაგანი. ამ ოპერაციის, შემდეგ მას არ დაუბრუნდა ძველი სიმართლე, მაგრამ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მაინც შეუდგა. ის აირჩიეს სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარედ და ჩვეულებრივი თავდადებით შეუდგა საქმეს. მისმა არჩევამ სინდიკატს დიდი სიკეთე მოუტანა. ქართლს, მეტადრე ზემო ქართლს. სინდიკატის დაარსებამდე დიდი წილი ქართლის ჭირნახულისა და სხვაგვარი მოსაყლისა ჩალის ფასად გადადიოდა ადგილობრივ და მოსულ ჩარჩების ხელში. მთელს ჩარჩობას მეხად ზედებოდა გულში სინდიკატის მოქმედება, რომლის გამოისობით მილიონები ეკარგებოდა მათ უძირო ვიბეს. სინდიკატის გაძლიერება მათთვის სიკვდილის მომასწავებელი იყო. და როცა ივ. მაჩაბლის გამოჯანმრთელება გაიგეს პირდაპირ ელდა ეცათ. დაუფაცურდნენ მრავალნაირად მაგრამ საიდუმლოს სრული დაცვით.

სინდიკატის საქმე კი დღითი-დღე უმჯობესდებოდა, წვერები ემატებოდა, მუშტრები კიდევ უფრო...

1898 წელს თბათვის 26 მან იყიდა სამეურნეო იარაღები და მეორე დღეს უნდა გაეგზავნა იგი გომს სინდიკატისათვის, მაგრამ ის მეორე დღე მისი ცოლშვილისათვის და მთელი მოწალმართე ქართველებისათვის უიმისოთ გათენდა. დამით საწოლ ოთახში შესულა დასაძინებლად, მეორე დღეს ის კეღარ ნახეს კეღარც ცოცხალი და კეღარც მკეღარი...

ო. ჭყონას მოგონებას „გ. შარვაშიძის გარდაცვალების გამო“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, ახლანდელი ქართულ-აფხაზური დაძაბული ურთიერთობის ფონზე. ხელნაწერს, როგორც ჩანს, აქვია რამდენიმე ფურცელი, მიუხედავად ამისა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გ. შარვაშიძის ფსიქოფიზიკური პორტრეტი სწორედ ამ მოვლენაშია ყველაზე სრულყოფილად წარმოდგენილი. ხელნაწერი შესრულებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმებული საქმიანი ქაღალდების ბლანკებზე, როგორც ჩანს, მწერალი ამ დროს ღიდ მატერიალურ სიღვებშირებს განცილიდა, მის იდროინდელ ნაწერებს ეტყობა გარკვეული დეპრესია და აპათიის კვალი, მაგრამ მას გ. შარვაშიძის გარდაცვალება ისეთ მნიშვნელოვან ტრაგედიად მიუჩნევია, რომ თავი ეალდებულად ჩუთულია შეექმნა ეს მართლაც უადრესად ხაინტერესო დოკუმენტი.

აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის ბიორგი შარვაშიძის გარდაცვალების გამო

მონარქიული ეპოქის ჩენი უკანასკნელი წარმომადგენელი, რაინდი უშიშარი, უმწიკლო მწერალი, მოლექსე და დრამატურგი პირმშო ძე და მემკვიდრე აფხაზეთის მთავრის მიხეილისა-გიორგი, ხნოვანებით მოხუცი, გულით კი ჭაბუკი, ამ დღეებში გარდაცლილა. სამუდამოდ დახუჭა თვალი თავის სამშობლო ქალაქში სოხუმში, ახლა როცა თავის მამულიშვილურ იდეალებს ან საბოლოოდ უნდა გაემარჯვა, ან სამუდამოდ უნდა გაქარწყლებულიყო.

ვეროაულად განათლებული, კარგი მყოფნე ისტორიისა და ლიტერატურათა ისტორიისა, მშვენიერი თვალადი, კიდევ უკეთესი ტანადი, ჩინებულად მოუხარი და დარბასიელი. ის იყო ესთეტიკის სწორუყოვარი განსახიერება ჩენუნში.

როცა უნგრეთის გამოჩენილმა მხატვარმა ზინმა დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება და სთხოვეს პოემის შინაარსიდან ცოცხალი სურათების ქუთაისში დადგმაც, ის სიამოვნებით დასთანხმდა, მხოლოდ იმ პირობით ერთი ულამაზესი კაცი ქვეყნიერებაზე, როგორც ის ამბობდა გიორგი შარვაშიძე დათანხმებულიყო ტარიელის განსახიერებას იმ სენაში, როცა არაბთა მეფე ნახავს ვეფხისტყაოსან ყმას წყლის პირად, შავი ცხენის სადავით მჭირავს!.. ისიც დათანხმდა.

აიხადა ფარდა და დამსწრებთა მართლაც ნახეს უცხო მოყმე ვინმე... „(შავი ცხენი სადავით ქვეა ვითა ლომსა, ვითა გმირსა! ნახეს და ნახუა მოუნდათ უცხოსა სანახაისა! დარბაზი სიამოვნებისაგან სულგანაბული შესცქეროდა მას „არა მარტო პურითა ცხოვნლების კაცი“ მშვენიერების ცხოვრებაში განცდასაც აქვს ფსი, მნიშვნელობა. ეს სიმართლე ბეერმა იმ სენის მნახველმა პირველად შეიგნო, მხოლოდ მაშინ. ქუთაისი დიდხანს ლაპარაკობდა გრძობით მის ყმის ვეფხისტყაოსნის გამო, რასაც მოჰყვა ჯერ რუსთაველის უკუდავი ნაწარმოებისადმი ინტერესის გაცხოველება და მერმე ლექციები.

როგორც მაშამისი, მთავარი მიხეილი, ისე გიორგიც იყო დაუძინებელი ოპონიტიონერი რუსის მონარქისადმი. „რუსი ტილია, ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგახოხლებათ“ ეუბნებოდა მიხეილი სამეგრელოს მთავარს რუსთა ხელმწიფის მონურათ ერთგულს. როცა ყირიმის ომის დროს ოსმალეთმა ჯარი გადმოსხა აფხაზეთში. მიხეილს დაუწყეს კითხვა-უის დაუჭერს მხარს: აფხაზეთს, ეუბნებოდა ის ყველას.

გათავდა ყირიმის ომი. ოსმალეთმა დასცალა აფხაზეთი და რუსეთმა დაარღვია მიხეილთან შეკრული პირობა. ის გადააყენა მთავრობისაგან, გადაასახლა რუსეთში, გიორგის დაანება სამთავრო ტახტი და აფხაზეთიც შეიერთა როგორც უბრალო ოლქი. გიორგი მანამდე მძევლად ჰყავდათ წაყვანილი რუსის მთავრობას და იზრდებოდა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში. პოლიტიკური მოსაზრებით ფლიგელ-ადიუტანტობა გიორგის მისცეს სრულიად ყმაწვილს.

მიხეილის გადაყენებისა და აფხაზეთში გადასახლების შემდეგ აფხაზეთის გლეხობა აჯანყდა.

აჯანყებულთა დასამოშინებლად გაგზავნეს თბილისიდან გიორგი, თხუთმეტი წლის ყმაწვილი. სამშობლოში შესვლისთანავე ხალხი შეხედა დარაზმული აღტაცებით, დროებით, საომარი სიმღერებითა და თხოვნით-გვიმთავრე, გეინწანამძლევე, გეიშველე!

ყმაწვილი აღურთოვანდა, მოციქულთა დაკეისყდა და გადღაღოდა სოფლიდან სოფელში აუარებელი ამალით, ხალხის სანუგეშებლად და გასამხნეებლად.

რუსი მთავრობის სამხედრო ძალამ აიძულა ის თბილისში დაბრუნებულიყო. მე ეწუხეარ, რომ გხედავ ხელმწიფის ნაღალატევის! უთხრა მას მეფისნაცვალმა, როცა გიორგი წარუდგა მას თბილისში ჩასვლისთანავე.

—მეც ეწუხეარ, რომ თქვენთან ეხედავ ჩემს თავს და ვერ შეეძელი ჩემი ერის ხელმძღვანელობაო—ასხუხად მიუჯო ყმაწვილმა.

დარბაზიდან გამოსვლისას ის შეხედა მეფისნაცვლის მოხელეს თავის ამხანაგს ახლგაზრდა გრაფს და გაუწოდა ხელი. ჩემი ხელმწიფის მოღალატეს. მე ხელს არ ვართმევო უთხრა ტ—მედიდურად და შეაქცია ზურგი...

ხელმწიფის ბრძანებით გიორგის აკყარეს ფლიგელ-ადიუტანტობა, ჩინები, ორდენები და გადასახლეს რუსეთის რომელიღაც გუბერნიაში.

იქ რუსეთში გამოუჩინდნენ მას ქომაგები, რომლებმაც თავი შეადებინეს თავად ბარიათისკის, იმპერატორ ალექსანდრე II სიყმის მეგობარს და მის ნაცვალს კავკასიაში გიორგის დახმარება. იმ დროს ყირაზეთში მოხდა მთავრობის წინააღმდეგ არეულობა. ბარიათისკიმ მოახსენა მთავრობას უსისხლოდ საქმის მოგვარებას მხოლოდ დასჯილი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე შეძლებსო. მისი მოხსენება შეწყნარებული იქნა. გიორგიმაც შეასრულა მინდობილობა, ხელმწიფემ დაუბრუნა ჩინები და ფლიგელ-ადიუტანტობა, მიიწვია სასახლეში და დაიახლოვა, როგორც მთავრის შვილი.

ამ დროს სასახლეში შეხვდა მას ზემოთხსენებული გრაფი ტ. რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი და მიესალმა. მე თქვენიისთანა ფლიგელ გიორგის ხელს არ ვართმევო... ზიზლით მიუჯო გიორგი შარვაშიძემ და შეაქცია ზურგი...

სასახლეში ყველაზე უფრო დაუახლოვდა და დაიახლოვა გიორგი ტახტის მემკვიდრის მომტანმა ძმამ, შემდეგ თვით გამემკვიდრებულმა და გახელმწიფებულმა ალექსანდრე მესამემ.

ის ორნი და ილარიონ ვარანცოვ-დაშკოვი, ჩვენში ამას წინათ მეფისნაცვლად ნამყოფი, იყვნენ განუყრელი მეგობრები. (ამ დროს ეკუთვნის მისი საუკეთესო ლირიკული ლექსები) (რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ალექსანდრე, უკვე ტახტის მემკვიდრე, სარდლობდა რუმუჯის ლაშქარს. თან ჰყვა სამხედრო შტაბში გიორგი. მხნე და საზრიანი სამსახურისთვის. ომის დამთავრებისთანავე ალექსანდრემ გამოუთხოვა და ალექსანდრე II-მაც არუქა გიორგის ძვირფასი ბზის ტყე გინშ-წერი და ნება მისცა სამშობლოში დროებით დაბრუნებისა. ამის შემდეგ გულგატეხილმა ქართველური ბედოვლათობით ტყე გაჰყადა რეასიათას მანეთად და შეუდგა განუწყვეტელ ლხინს თბილისსა და ქუთაისში და სოხუმში. რამდენჯერმე დაიბარეს სასახლეში უკანასკნელად მაშინ, როცა ალექსან-

დრე III მიიღო მამის ტახტი, მაგრამ ის სხვადასხვა მიზეზებით აღარ მიიღოდა და დარჩა სიკვდილამდე სამშობლოში.

გვირგვინის კურთხევის დღეს კიდევ ერთხა ალექსანდრე III გიორგი „ამ დღეისთვის სკ კი არ მოვიდარო?“

ამით ისარგებლა ისე იმ გრაფმა ტ... რომელსაც ამ დრომდე დიდი თანამდებობა ეშოვა სასახლეში და ისეთი ინტრიგებით ქსელი გააბა, ისე გაუმტდარად, და ისე თანდათანობით, რომ ალექსანდრე III ქუთაისში ჩამოსვლის წინა დღეებში ადგილობრივ გუბერნატორის მოუვიდა ბრძანება. გიორგი შარვაშიძე გავიღეს ქუთაისიდან სანამ ხელმწიფე იქ იქნებაო.

ეს ბრძანება პირადად გამოუცხადა მას ქუთაისის გუბერნატორმა და სთხოვა დაუყოვნებლივ გასცლოდა ქუთაისს.—სრულიად ბუნებრივია ეს ბრძანება, სიამოვნებით ვემორჩილები მას, ხალისიანად აეასრულებ ზეალვე თქვენს თხოვნას!

ამ სიამოვნების შედეგი: მას ხელახლა ახადეს ფლიგელ-ადიუტანტობა. გრაფმა დაშკოვმა მოინდომა გიორგის „შერიგება“ ახალ იმპერატორთან. შეაძლიეს დიდი მთაერის ელადიმერის, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ფლიგელ-ადიუტანტობა. გიორგიმ ეს იუკადრისა და უარი გაუბედა მთაეარს-იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ეიყავი მაგ თანამდებობაში, მთაეართან აღარ შეკადრებაო.

შემდეგ ის დაბნაწადა თბილისში და შეუდგა პიესის „მომაკედევი სურათების“ წერას, რომელიც ქუთაისში დაასრულა და რამდენიმეჯერ წარმოადგინეს კიდევ პირველ წელიწადში. ამ პიესაში მას პყავს გამოყვანილი ისეთი იშვიათ ტიპი, როგორც მამია გურიელი (ფაზელი).

1885-1886 წ. ვეროპის პოლიტიკური თვალსაწიერი (პირიზონტი) მიიღრუბლა. ელოდნენ ომს გერმანიასთან და ფიქრობდნენ, რომ ოსმალეთიც მას მიემხრობოდა. ბათოშს ახლო, კახაბერის მინდორთან მოსახლე აფხაზების შუამავლობით ოსმალეთში გადასახლებულმა აფხაზებმა და ჩერქეზებმა შემოუთვალეს გიორგის თუ თქვენ გეისარდლებთ და ქართველებთან მოგვირიგებთ 40 000 კარგად შეიარაღებული ვაჟაკი ომის პირველსავე დღეს გამყოვალთ საზღეარს და შეეებებით ჩენი სამშობლოს ამოხრებლებსო. გიორგის ზემრობათ არ მიუღია ეს წინადადება. აიღო დიდძალი ეალი გინმწეწერის დაგირაეებით და გაუვზაენა ოსმალეთის მთაეარობას კაცები და დასაელეთ საქართველოს ყველა მახრებში სანდო კაცები, რომ ყოველივე წელილი ამ მძიმე საქმის დაწყებისა და გაძლოლისათვის გამოეკელია, შეესწაულა და ისე დაეჭირა თადარიგი. ომი აღარ მოხდა...

გიორგის დიდძალ ხარჯს შედეგად მოყევა მხოლოდ ეს ლექსი, რომელიც მისმა გავზაენილმა კაცმა, (მოურაემა) სტამბოლიდან გამოუვზაენა.

მაღე განხაე მხიარული, ღმერთმა რაე გესურ თუ გეაღირსა: ათასობით რომ გეახლოს, ეინე რომ თქვენთან ყოფნას ღირსა.

სიზმრათ ენახე: ჯოვს ედენიდი ელბურს იქით იყო მტრისა მეტის: მიახლოება გაეეთება არის ლეთისა!

1890 წ. მან დაიწყო ისტორიული პიესის წერა, რომელსაც დემნა ბატონიშვილი, ხოლო როცა დაასრულა 1912 წ. გიორგი III დაარქეა. ამ პიესის დასრულებამდე მან დაიწყო და დაასრულა პიესა „კეცხლი უკომლოთ“.

D. GHAMBASHIDZE & Co.

AND 17 BAYOUM,
TIFLISIA 22.

TELEGRAMS:
LIVRE LONDON.
A.B.C. CODE BY COURTESY
TELEPHONE No. 3835 AVENUE.

81, MARK LANE,

LONDON, E.C.
7/20 მაისი 1914 წ.

10237-

... 18366

ბატონ ილია ზვონიას,

სოფეკახი.

საინვილო

თქვენი 22 აპრილის წერილი მივიღეთ და ბიურ სასიამოვნო დაკვირნა, რომ ჩვენ საქმეს ეგრე გუღიანად მოკლავთ.

სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ ენერგიულად იმუშავებთ და ამიერს თანახმა ვართ მოქცეთ ჩვენი ფირმის წარმომადგენლობა:

უკვათაღის ოქმში, ვანკის და ერევნის გუბერნიებში. რაიგა შეეხება სიღნაღის მაზრას, ამ მაზრის დამუშავება მინდობილი გვაქვს თელავის შემნახველ-გამსესხეველ ამხანაგობაზე და ამის გამოსიბობით არ შეგვიძლია თქვენი თხოვნის ასრულება, მაგრამ უაშინოთად დიდი სამოქმედო ასპარეზი გავსაძინებთ.

რაიგა შეეხება პროცენტებს ამის შესახებ საჭიროა, რომ უოველ საქონელზე ცალკე შევთანხმდეთ, რადგან ჩვენი ფირმის შთავარი მიწანი დიდი მოგების გაკეთება ვი არ არის არამედ ჩვენი დაბეჩავებულ ქვეყნის ეკონომიურად გამბლავრება. ამ საქმეში რამავეკირველია თქვენც სრული თანაგრძნობით მოგვექცევიოთ. იმ შემთხვევებში რომლებსაც არა ქართველ შეიღველთან გექნებათ საქმე ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენ ფასებს თქვენი გასამრჯელოც წაუმატოთ, რადგან არც სსურვილი და არც მისწრაფება გვაქვს მფაველობა გაუწიოთ იმ ერებს რომელნიც დღეს ჩვენ სამშობლო ცერეკორიას ეპატრონებიან და ჩვენი ხალხი საყველე ობიექტათ გაუსდიან.

ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ИЛЫИ ЧКОНИЯ

РЕЗЮМЕ

Творчество И. Чкония выдержало испытание временем и сегодня, в период обостренного процесса переоценки ценностей, вполне заслуживает внимания и собственного места в истории грузинской литературы.

ГЛАВА I. ЖИЗНЕННЫЙ ПУТЬ И. ЧКОНИЯ

Жизненный путь И. Чкония относится к тому периоду, когда в истории нашего народа произошли события эпохального значения: начиная с присоединения Абхазии вплоть до потери независимости страны. Писатель, проникнутый эмоциональной поэтической страстью, не является посторонним наблюдателем этих глобальных перемен; в большинстве случаев он находился в эпицентре событий и со всей свойственной ему чувственностью отзывался на них. Поэтому рассуждения писателя зачастую имеют значение первоисточника.

Круг интересов И. Чкония весьма разнообразен. Он занимается этнографией, историографией, библиографией, проблемами происхождения языка, однако наибольшую последовательность проявляет писатель при освещении проблем, связанных с защитой и утверждением национальных прав. И. Чкония восторженно приветствовал признание Грузии надеждой республикой. Его рукописи свидетельствуют о том, с какой смотрел он на будущее страны. Писатель гордо заявляет: "Когда было у грузинского народа в глубине и сердце своем такое осознание своего единства и силы, как сегодня, после 117 лет рабства". Однако радость писателя оказалась преждевременной.

С 1921 года писатель проявляет полное равнодушие к общественной жизни. К этому добавилась явно выраженная творческая депрессия.

И. Чкония скончался 9 октября 1927 года. Грузинская пресса широко отозвалась на этого событие.

ГЛАВА II. ХУДОЖЕСТВЕННОЕ ТВОРЧЕСТВО

Творчество И. Чкония отличается многообразием. Он писал стихотворения, поэмы, прозаические произведения, интересные публицистические статьи; работал над созданием словарей, собрал и опубликовал много произведений народной словесности; был также библиографом и писал интересные рецензии, занимался переводом. С целью облегчения исследования творчества писателя мы попытались разделить его произведения по жанрам и представить их литературный анализ в хронологической последовательности.

ა) **ПОЭЗИЯ.** И. Чконია еще в детстве начал писать стихи. Он даже публиковал их, но впоследствии писателю они не казались интересными с точки зрения художественной ценности и поэтому не включал их в последние сборники. Тематика стихотворений И. Чкония не отличается многообразием. Большинство из них посвящено патриотическим мотивам, а другая часть — национальным и социальным проблемам.

И. Чкония является художником скромным, лишенным претенциозности. В его творчестве выделяются стихотворения сатирико-юмористического характера, в которых, тем не менее, больше человеческой печали и жалости, чем холодной насмешки.

б) **ПРОЗА.** Прозаические произведения И. Чкония, на которые восторженно отзывался Акакий Цертели, обращают на себя внимание читателей уже тем, что в них без всякой лишней сложности, без туманных и растянутых фраз дается простая, впечатлительная характеристика героев и событий. Цикл рассказов писателя в основном посвящен изображению бытовых сторон жизни; в некоторых из них автор выражает глубокую национальную печаль и боль. В повествование включены острые сцены, где автор предстает как строгий, но правдивый публицист, выражающий собственную позицию без всяких намеков и недоговоренности.

ГЛАВА III. ПУБЛИЦИСТИКА

Важное место занимают в творчестве И. Чкония публицистические статьи, которые писатель регулярно публиковал в периодической прессе с 70-ых годов XIX века до начала 20-ых годов прошлого столетия. Проблемы, рассматриваемые в статьях, с целью исчерпывающего и детального изучения публицистического наследия писателя, в книге разделены нами на три группы:

1) Статьи, посвященные анализу национально-политических и экономических вопросов; 2) статьи, которых обсуждаются проблемы восстановления грузинского языка его законных правах и 3) статьи о грузинском театре.

ГЛАВА IV. ИЛЬЯ ЧКОНΙΑ_РЕДАКТОР-ИЗДАТЕЛЬ

Начиная с 80-их годов XIX века. И. Чкония активно сотрудничал с различными издательствами, периодической прессой. В 1895 году при активной поддержке передовой общественности Грузии ему удалось возобновить издание весьма необходимого еженедельного журнала "Меурნэ". В 1898 году издание журнала было приостановлено в связи с переходом И. Чкония в Тбилиси.

В сентябре 1917 года И. Чкония вместе с А. Сонгулашвили издает в Тбилиси интересную газету "Симартлис гза" — дневник светской жизни и литературы. К этому времени И. Чкония уже был известным публицистом. Он глубоко верил в огромную воздействующую силу прессы во всех сферах общественной жизни. По его словам, человек с запятнанной совестью боится печати, как бешеный — воды. Газета ставила своей целью проповедование единства и единой национальной идеологии. К сожалению, по причине материальных затруднений, было издано всего два номера газеты.

ABSTRACT

The creative work of I. Chkonia survived in time and nowadays, in the period of strained process of estimating all the values, it is worthy of attention and deserves its own place in the history of Georgian literature.

Chapter I The life of I Chkonia.

I Chkonia lived in the period of global changes, beginning with the joining of Adjara and ending with the loss of independence of our country. The writer, full of emotional and poetic passions, is not the only spectator of these important changes, he was in the center of all events and made very emotional remarks. There first, the judgements of the writer have the importance of the original source.

The sphere of I. Chanturia's interests is various. He worked on ethnography, historiography, bibliography, discussed the problems of the language etymology, but mostly, he worked on the problems, concerning the defence of national rights: He was very happy, when Georgia became an independent republic.

Since 1921 the writer was quite indifferent towards the social life, he was in depression. I. Chanturia died in 1927.

Chapter II. Creative work.

I. Chkonia's creative work is also various. He wrote verses, poems, prose, interesting articles; he worked on the dictionaries, gathered and published a lot of works on folk vocabulary; was the bibliographer and wrote interesting reviews; made translations.

a). **Poetry.** He began writing verses in his childhood. He even published them. Most of them are dedicated to the national and social problems and are full of patriotic motives.

b). **Prose.** Akaki Tsereteli admired his works and made delightful remarks about them. His stories are very complicated, vague; they don't contain prolonged phrases or sentences; the author uses the simple, imaginative characteristics of his heroes. The stories mostly describe the every day life of people; they are full of national address and pain.

Chapters III. Journalism.

The articles, published by I. Chkonia hold the important place. They are divided into three groups:

dedicated to the analysis of national and political problems.

articles discussing the problems of Georgian language and its rights.

articles about Georgian theatre.

Chapter IV. I. Chkonia-Editor.

Since 1880 y. I. Chkonia cooperated with different editors. In 1893 he managed to resume the publishing of weekly magazine "Meume".

დამოწმებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ლუკას სახარება, სტოკჰოლმი, გრაფიჩკი ზეოდ პრეტსკე, 1992.
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1972.
3. ბენაშვილი დ. ვაჟა-ფშაველა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1989.
4. ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი, თბ., სახელგამი, 1934.
5. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1988.
6. გრიშაშვილი ი. თხზ., IV, თბ., საბჭოთა საქართველო, 1964.
7. დიუმა ალ. კაეკასია, თბ., ლიტერატურა და ხელოვნება, 1964.
8. ვაჟა-ფშაველა. პოემები, თბ., განათლება, 1990.
9. ვაჟა-ფშაველა, თხზ., II, თბ., საბჭოთა საქართველო, 1979.
10. ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, თბ., საბჭოთა საქართველო, 1961.
11. „ვეფხისტყაოსანი“, მარი ბროსეს წინასიტყვაობით, პეტერბურგი, 1841.
12. ილიას სამრეკლო, თბ., განათლება, 1987.
13. იმედაშვილი კ. მიჯნა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1987.
14. იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ.; ფედერაცია 1936.
15. კეკელიძე ლ. სატირა და იუმორი XVII-XVIII სს. ქართულ მწერლობაში, თბ., მეცნიერება, 1964.
16. კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1984.
17. ლაისტო ა. საქართველოს გული, თბ., ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.
18. მიწისძვრილი ნ. რჩეული, თბ., საბჭოთა საქართველო, 1928.
19. მოასანი გ. სიყვარული, თბ., საბჭოთა საქართველო, 1962.
20. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., მერანი, 1991.
21. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული, I, თბ., მერანი, 1991.
22. ობლაქიძე გრ. ჩემთვის სიმათლო ყველაფერია, თბ., ჯეკ-სერვისი, 1996.
23. ტაბიძე გ. თხზ., XII, თბ., საბჭოთა საქართველო, 1975.
24. ტაბიძე პრ. მოთხრობები ბარათები გალაკტიონს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
25. ტყეუზჩავა დ. პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
26. ფროიდი ზ. ფსიქოანალიზი, თბ., სიახლე, 1995.
27. ქართული ლიტერატურის ისტორია, V, თბ., საბჭოთა საქართველო, 1981.
28. შარაძე გ. ბედნიერების და ხათნობის საუნჯე, თბ., საბჭოთა საქართველო, 1984.
29. შტაინერი რ. თხზ., II, თბ., ლურჯა ცხენები, 1994.
30. ჩენი საუნჯე I, გიორგი მერხლე, თბ., ნაკადული, 1960.
31. ჩენი საუნჯე, V, თბ., ნაკადული, 1960.
32. ცისკარიძე ე. ლეო ქიანელი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.
33. ციციშვილი გ. შალვა დადიანის დრამატურგია, თბ., ხელოვნება, 1955.
34. ძველი საქართველო, I, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., ძმობისა, 1909.
35. ძვირფასი ავტოგრაფები, თბ., შერი, 1997.

36. ძიძიგური შ. ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., მეცნიერება, 1985.
37. წერეთელი ა. პოემები, II, თბ., საბჭოთა საქართველო, 1989.
38. წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
39. ჭავჭავაძე ალ. თხზ., თბ., მერანი, 1986.
40. ჭავჭავაძე ი. თხზ., V, თბ., მეცნიერება, 1991.
41. ჭელიძე ვ. ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., ხელოვნება, 1957.
42. ჭყონია ი. „სიტყვის კონა“ – სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, პეტერბურგი, იმპერიის აკადემიის გამომცემა, 1910.
43. ხახანაშვილი ალ. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. I, თბ., სტამბა თავართქილაძის, 1913.
44. პორაციუსი. პოეტური ხელოვნება, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981.
45. Герцен А. Соб. Соч. в тридцати томах, XII. Москва, Гослитгиздат, 1957.
46. Литературные Манифесты французских реалистов, Л., Госиздат, 1935.
47. Николаев Д. Смех – оружие сатиры, Москва, Искусство, 1962.
48. Реулло Н. Из грузинских поэтов, Тбилиси, 1914.
49. Leist A. Georgische Dichter, Leipzig 1990.

წყაროები

- „ალმანახი“, 1978 წ. N 1.
 „განათლება“, 1908 წ. N 1
 „განთიადი“, 1988 წ. N 1.
 „ღროება“, 1879 წ. N 151.
 „ღროება“, 1879 წ. N 163.
 „ღროება“, 1880 წ. N 38.
 „ღროება“, 1880 წ. N 144.
 „ღროება“, 1880 წ. N 173.
 „ღროება“, 1880 წ. N 175.
 „ღროება“, 1880 წ. N 236.
 „ღროება“, 1880 წ. N 241.
 „ღროება“, 1880 წ. N 249.
 „ღროება“, 1880 წ. N 258.
 „ღროება“, 1880 წ. N 261.
 „ღროება“, 1880 წ. N 270.
 „ღროება“, 1881 წ. N 29.
 „ღროება“, 1881 წ. N 40.
 „ღროება“, 1881 წ. N 41.
 „ღროება“, 1881 წ. N 75.
 „ღროება“, 1881 წ. N 89.
 „ღროება“, 1881 წ. N 215.
 „ღროება“, 1881 წ. N 216.
 „ღროება“, 1881 წ. N 265.
 „ღროება“, 1882 წ. N 139.
 „ღროება“, 1883 წ. N 38.
 „ღროება“, 1883 წ. N 264.
 „ღროება“, 1884 წ. N 96.
 „ღროება“, 1884 წ. N 117.
 „ღროება“, 1884 წ. N 139.
 „ღროება“, 1884 წ. N 160.
 „ღროება“, 1885 წ. N 60.
 „ღროება“, 1885 წ. N 103.
 „ღროება“, 1885 წ. N 157.
 თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი.
 „თეატრი“, 1886 წ. N 10.
 „თეატრი“, 1886 წ. N 41.
 „თემი“, 1913 წ. N 138.
 „ივერია“, 1877 წ. N 25.
 „ივერია“, 1877 წ. N 26.
 „ივერია“, 1878 წ. N 1.
 „ივერია“, 1878 წ. N 18.
 „ივერია“, 1878 წ. N 25.
 „ივერია“, 1878 წ. N 29.
 „ივერია“, 1878 წ. N 39.
 „ივერია“, 1879 წ. N 4.
 „ივერია“, 1886 წ. N 27.
 „ივერია“, 1886 წ. N 212.
 „ივერია“, 1886 წ. N 218.
 „ივერია“, 1886 წ. N 257.
 „ივერია“, 1894 წ. N 174.
 „ივერია“, 1902 წ. N 169.
 „ივერია“, 1904 წ. N 123.
 „კვალი“, 1884 წ. N 33.
 „კომუნისტი“, 1927 წ. N 12.
 „კომუნისტი“, 1990 წ. N 151.
 „მნათობი“, 1932 წ. N 5-6.
 „მწყემსი“, 1894 წ. N 8.
 „პოეზიის დღე“, 1822 წ. N 3კ
 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი.
 „საბჭოთა ხელოვნება“, 1927 წ. N 6.
 „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. N 631.
 „სიმართლის გზა“, 1917 წ. N 2.
 „ქართული მწერლობა“, 1928 წ. N 1.
 ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.
 „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. N 50.
 ჭყონია ი. ნაწერები, თბ., 1913.

სარჩევი

| | |
|---|-----|
| ილია ჭყონია (ცხოვრება და შემოქმედება) | 3 |
| თავი I | |
| ცხოვრების გზა | 10 |
| თავი II | |
| მხატვრული შემოქმედება | 46 |
| ა) პოეზია | 46 |
| ბ) პროზა | 69 |
| თავი III | |
| პუბლიცისტიკა | 103 |
| ა) ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში .. | 104 |
| ბ) ქართული ენის საკითხები ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში | 115 |
| გ) ი. ჭყონია ქართული თეატრის როლისა და მნიშვნელობის შესახებ . | 124 |
| თავი IV | |
| ილია ჭყონია – რედაქტორ-გამომცემელი | 136 |
| ძირითადი დასკვნები | 149 |
| საარქივო მასალები | |
| დღეს ქართული მწერლობის უქმეა | 153 |
| ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი | 155 |
| მცირე შენიშვნა ივანე მაჩაბელზე | 160 |
| აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის გიორგი შარვაშიძის | |
| გარდაცვალების გამო | 163 |
| ნიკო მარის წერილები | 166 |
| რეზიუმე (რუსულ ენაზე) | 168 |
| რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) | 170 |
| დამოწმებული ლიტერატურა | 171 |
| წყაროები | 173 |

**გამომცემლობის რედაქტორი ელგუჟა თავბერიძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი**

**გადაეცა ნარმოებას 1.12. 2005, ხელმოწერილია
დასაბუჭდად 20.12.2005; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,
ტირაჟი 300, შეკვეთა №916.**

ფასი სახელშეკრულებო